PRIME Time

N36 (234) ორშაბათი, 9 სექტემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„ჩემი კანდიდატურის დაბლოკვა ყველას ინტერესში შედის... სამივე კანდიდატს ანყობს, რომ არ არსებობდეს რეალური კანდიდატი“

„ირაკლი ალასანიამ, მგონი, ძალიან დიდი შანსი გაუშვა ხელიდან. ალასანია იმ მომენტში რომ გასულიყო კოალიციიდან, ბევრად მოიგებდა, როცა საჯაროდ მიაყენეს შეურაცხყოფა და საკმაოდ მიუღებელს დასთანხმდა“

სალომე ზურაბიშვილის ექსკლუზიური ინტერვიუ

ექსკლუზიური ინტერვიუ ჯანდაცვის მინისტრთან

რატომ უკავშირებს დავით სერგეენკო იაშვილის კლინიკის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს მინარეთის სკანდალს

EXCLUSIVE

დავით ბერძენიშვილი:
„ნინო ბურჯანაძეს კარგად ესმის, რომ რეალურად ის იბრძვის კარგი საპრიზო ადგილისთვის და არა პრეზიდენტობისთვის. პრეზიდენტობისთვის ბრძოლა მას შეეძლო, 7 ნოემბერს მართალი სიტყვა რომ ეთქვა... პრობლემა ბურჯანაძის პოლიტიკურ წარსულსა და მის შეცდომებშია, მისი პრობლემები მისი ტვირთია“

EXCLUSIVE

მაია ნიკოლეიშვილი:
„არ არის გამორიცხული, რომ მოხდეს პირადი ანგარიშსწორება ახალაიაზე, მერაბიშვილზე, ლორთქიფანიძესა და ამირიძეზე და ეს ყველაფერი დაბრალდეს შიდა კავკასიურ შურისძიებას“

EXCLUSIVE

ქუთაისიდან დაკარგული 19 წლის ნათია გიორგიძის ოჯახი ეჭვობს, რომ გოგონა ტრეფიკინგის მსხვერპლია

ქალი, რომელმაც დაკარგული გოგონა თურქეთის სასტუმროში ნახა, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა

გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული ალექსანდრე ღაჭავას სკანდალური აღიარება

EXCLUSIVE

„ალანიამ დამირეკა, – სვანი „ტრუპი“ ყოფილაო. დათა ახალაიამ კი მითხრა, – სხვა გზა არ არის, შენ უნდა წახვიდე ციხეში, რადგან მე სხვა მიზნები, პერსპექტივები მაქვს და ციხეში ვერ ჩავჯდებიო“

„ვანო მერაბიშვილი თითოეულს მოგვესალმა. ვასილ სანოძესა და დათა ახალაიას უთხრა: იცოდეთ, ამ ბიჭების ადგილას თქვენ უნდა იყოთო. შემდეგ ჩვენ მოგვმართა და გვითხრა: თქვენ არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნებაო“

არაპროფესიონალიზმი თუ მიზანმიმართული კამპანია გაზეთ „პრაიმტაიმის“ წინააღმდეგ?!

ვინ დგას რეიტინგების მაფიის უკან

როგორ ატყუებს ნულუკიანის უწყება სტრასბურგის სასამართლოს?

EXCLUSIVE

„პრაიმტაიმს“ ხელში სკანდალური დოკუმენტები ჩაუვარდა

„რაში სჭირდება იუსტიციის სამინისტროს ამხელა ტყუილი, რომელიც დოკუმენტების სახით წარმოგიდგინეთ? ორივე დოკუმენტს ხელს აწერს ლევან მესხორაძე. ის წარმოადგენს საქართველოს მთავრობას ყველა საერთაშორისო სასამართლოში“

რა კავშირი აქვს შსს-ს მიერ ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულ ექსპერტს 26 მაისის დარბევის შემდეგ სახურავზე ნაპოვნ ცხედრებთან და რა ინფორმაციას ფლობს ჟვანიას ექსპერტიზაზე

EXCLUSIVE

ვინ არის მალხაზ მიტიჩაშვილი და რისთვის დაჯილდოვა ის სააკაშვილმა ღირსების ორდენით?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არაპროფესიონალიზმი თუ მიზანმიმართული

my View
თამარ გორთამაშვილი

ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ უკვე მეორე წელია, წინასაარჩევნო მედიამონიტორინგს გაზეთ „პრაიმტაიმის“ გარეშე ატარებს. მათ შუალედურ თუ საბოლოო ანგარიშებში ვერც წელს ნახავთ, როგორ პოზიციონირებდა ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი „პრაიმტაიმში“, გაზეთში, რომელიც უკვე 5 წელია მედიაბაზარზეა, მზარდი რეიტინგითა და მაღალი ცნობადობით; გაზეთში, რომელმაც 2012 წლის სექტემბრიდან პროფილი რადიკალურად შეიცვალა და მთლიანად პოლიტიკურ თემატიკაზე ორიენტირებული გახდა. ეს ისე, ცნობისთვის... მთავარ საკითხს რომ დავუბრუნდეთ, რაზეც თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ, ეს წინასაარჩევნოდ ჩატარებული მედიამონიტორინგის შედეგების ხარისხს შეეხება, რისთვისაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ადგილობრივ „ენჯეოებს“ საკმაოდ სოლიდურ თანხას უხდის, იმისთვის რომ ამ მიმართულებით განვითარდნენ და საქმეს ზერელედ, არაპროფესიონალურად არ მიუდგნენ.

ამ შემთხვევაში ჩვენი პრეტენზიის ობიექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებია“, რომელმაც ანალოგიურ კვლევაში „პრაიმტაიმი“ უკვე მეორედ გამოტოვა. ერთხელ შარშან, როდესაც მონიტორინგი საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ჩატარდა და მეორედ ახლა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ.

შარშანდელთან დაკავშირებით, მათგან პასუხი მონიტორინგის პირველი შედეგის გამოქვეყნებისთანავე მოვითხოვეთ, რადგან მანამდე ჩვენი გაზეთი საქმის კურსშიც არავის ჩაუყენებია, რომ აღნიშნული ორგანიზაცია მონიტორინგს ატარებდა. ფაქტის წინაშე აღმოჩენილებმა პასუხად მივიღეთ, რომ გაზეთი „პრაიმტაიმი“ მათ უბრალოდ გამორჩათ, როდესაც საკვლევ ველს არჩევდნენ. ამ ფაქტით გაკვირვებული არა მარტო ჩვენ, არამედ მედიაექსპერტებიც დარჩნენ, ისევე როგორც ის ტელეჟურნალისტები, რომლებიც მონიტორინგის შედეგებს პირდაპირ ეთერში, ექსპერტებთან ერთად, განიხილავდნენ.

ნათია სორდია, ტელეწამყვანი: „დაგიდასტურებთ, რომ გადაცემაზე მომუშავე შემოქმედებით ჯგუფსაც გაუჩნდა ეს შეკითხვა, როდესაც პირველად დაიდო პრესის მონიტორინგის შედეგები. მათ იგივე პასუხი გაგვცეს ჩვენ, რაც თქვენც განგიმარტეს. პირველივე დილას, როცა გადაცემა იგეგმებოდა და გრაფიკული სლაიდი უნდა გასულიყო ეთერში, მაშინვე დავსვით ეს კითხვა – რატომ არ მოხვდა ამ მონიტორინგში „პრაიმტაიმი“?! ეს კითხვა ლოგიკური იყო, იმიტომ რომ წინასაარჩევნო პერიოდში ძირითადად დაკვირვება ხდებოდა პოლიტიკურ სუბიექტებზე და მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე და „პრაიმტაიმი“ ნამდვილად ქმნიდა პოლიტიკურ ამინდს პრესაში, კვირაში ერთხელ გამომავალი სხვა ჟურნალებისგან განსხვავებით, რომლებიც ამ მონიტორინგში მოხვდნენ. სხვათა შორის, დაგვეთანხმნენ კიდეც მაშინ UNDP-ის წარმომადგენლები და რამდენიმე ექსპერტსაც გაუჩნდა ეს კითხვა“.

მოკლედ, შარშან განგვიმარტეს, რომ გამოვრჩით და მივიღეთ პირობა, რომ ორგანიზაცია მსგავს „შეცდომას“ აღარ დაუშვებდა, მაგრამ ფაქტი წელსაც სახეზეა, თუმცა ამჯერად პასუხი განსხვავებული – კიდევ უფრო არაპროფესიონალური, ვიდრე შარშან.

ნანა ტაბატაძემ, რომელიც პრესის მონიტორინგს კურირებს, „პრაიმტაიმს“ განუცხადა, რომ გაზეთი 2013 წლის მონიტორინგში ვერ მოხვდა, იმის გამო რომ „აიპიემის“ მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევების მიხედვით, ის არ იყო რეიტინგში, სხვა გაზეთებისგან („ახალი თაობა“, „რეზონანსი“, „ყველა სიახლე“, „24 საათი“, „ალია“ და ა.შ.) განსხვავებით.

ვებგვერდზე: http://mediamonitor.ge , სადაც პრესის მონიტორინგის შედეგები გამოქვეყნდა, კვლევის მეთოდოლოგიაში არ არის მითითებული, რა მეთოდოლოგიით იხელმძღვანელეს, როდესაც პრესის სუბიექტებს არჩევდნენ. ვებგვერდზე არანაირი ინფორმაცია არ დევს, რა რეიტინგების მიხედვით მოხდა პრესის შერჩევა.

დავუშვათ, ორგანიზაციამ მონიტორინგი ერთი წლის წინანდელი რეიტინგებით ჩაატარა, რაც შერჩევის, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან „უცნაური“ მეთოდოლოგიაა. ნანა ტაბატაძემ, ჩვენი მოთხოვნისა და მისი დაპირების მიუხედავად, „აიპიემის“ მიერ ჩატარებული ამ კვლევის შედეგების წარმოდგენაც ვერ შეძლო.

როდესაც ჩვენ ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელს ნინო ლომჯარიას მივმართეთ და ვკითხეთ, რატომ იხელმძღვანელეს ძველი, ანუ 2012 წლის, რეიტინგებით, მან პირად საუბარში ასეთი პასუხი გაგვცა: რაღაც მონაცემები ხომ უნდა აგვეღო, რაღაცით ხომ უნდა გვეხელმძღვანელაო... არადა ჯერ კიდევ შარშან, როდესაც ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით, ჩვენ ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ გამოყენებითი კვლევების კომპანია „ARC“-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გავუგზავნეთ, სადაც გაზეთ „პრაიმტაიმს“ სხვადასხვა კითხვარში პირველი და მეორე პოზიცია უკავია. ასე მაგალითად, ARC-ის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 26% „პრაიმტაიმს“ ყველაზე გავლენიან გაზეთად ასახელებდა. ყველაზე კითხვადი გაზეთების რეიტინგში კი „პრაიმტაიმი“ 22,5%-ით მეორე ადგილზე იყო. როგორც ჩანს, „სამართლიანი არჩევნების“ ეს კვლევა საინტერესო არ აღმოჩნდა, რადგან, როგორც ამბობენ, მათ მონიტორინგის დროს „აიპიემის“ 2012 წლის კვლევით იხელმძღვანელეს.

ქეთი ჯავახიშვილი, „აიპიემის“ წარმომადგენელი:

– „აიპიემს“ 2012 წელს პრესის რეიტინგები არ გამოუქვეყნებია.

– ანუ კვლევა არ ჩაგიტარებიათ?

– ზუსტად ვერ გეტყვით, შეიძლება მედიამონიტორინგის სამსახურს ჰქონდეს რაღაც მონაცემები, მაგრამ ამ კვლევებს ჩვენ ვაკეთებთ ჩვენი მედიამონიტორინგის დეპარტამენტისთვის. მე ზუსტად არ ვიცი, მათ როდის განუახლდათ კვლევა, მაგრამ 2012 წელს ჩვენ არანაირი პრესის კვლევა არ გამოგვიქვეყნებია.

ჩვენ „აპიემის“ მედიამონიტორინგის სამსახურსაც დავუკავშირდით, სადაც გვიპასუხეს, რომ ასეთ კვლევებს ისინი მედიამონიტორინგში არ იყენებენ.

იმისთვის, რომ დაგვეზუსტებინა, „აიპიემის“ 2012 წლის კვლევის არსებობა, კომპანიის მედიამონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორს დავურეკეთ, რომელიც „სამართლიან არჩევნებს“ უკვე გაფრთხილებული ჰყავდა ჩვენი პრეტენზიის შესახებ.

ხათუნა ბაქრაძემ, მისი ხელმძღვანელისგან და კოლეგებისგან აბსოლუტურად განსხვავებული პასუხი გაგვცა. აღმოჩნდა, რომ 2012 წლის კვლევა არსებობს, რომელიც მათ „სამართლიან არჩევნებს“ მიაწოდეს და ამ კვლევის ტოპათეულში „პრაიმტაიმი“ არ არის.

ხათუნა ბაქრაძე:

– ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ ასეთ კვლევას. ჩვენი მედიამონიტორინგის დეპარტამენტი უკვეთს კვლევის სათავო ოფისს, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ამის რესურსი არ გაგვაჩნია. კითხვარს, რა თქმა უნდა, ჩვენ ვუგზავნით, ვათანხმებთ ჩვენს დირექტორთან, გოჩასთან, და შესაბამისად, ისინი გვიკეთებენ კვლევას.

– ჩვენ გოჩა ცქიტიშვილმა გვითხრა, რომ მას არანაირი კვლევა არ ჩაუტარებია.

– მას მერე მეც ველაპარაკე გოჩა ცქიტიშვილს. რაღაც გაუგებრობა მოხდა თქვენთან საუბრის დროს, გოჩამ მითხრა, არაფერი არ დამიკონკრეტებია მათთვისო. გარდა ამისა, როგორი რაღაც არის, იცით? სათავო ოფისში თვეში კეთდება მინიმუმ 15-20 კვლევა. ყველა კვლევას გოჩა ვერ დაიმახსოვრებს, იმიტომ რომ წლის განმავლობაში კვლევების რაოდენობა 200-მდეა. ამიტომ სჯობია, ასეთი საკითხები მენეჯერებთან გაარკვიოთ, იმიტომ რომ მე ეს ამბები ყველაფერი ვიცი, „სამართლიანმა არჩევნებმა“ საქმის კურსში ჩამაყენა.

– „სამართლიანმა არჩევნებმა“ თქვენი კვლევით იხელმძღვანელა?

– რა თქმა უნდა, „სამართლიანი არჩევნები“ ჩვენგან ამას ყოველწლიურად იღებს, იმიტომ რომ შეთანხმებაა გაფორმებული.

– შეგიძლიათ, ეს კვლევა ჩვენც გვაჩვენოთ?

– ეს კვლევა არის ფასიანი და უფასოდ ვერავის ვაჩვენებ. შეიძლება მოხვიდეთ და ადგილზე გაჩვენოთ, მაგრამ, როგორც ასეთი, დოკუმენტად ვერ მოგცემთ.

– ეს არ არის საჯარო?

– არ არის საჯარო, რადგან ჩვენც ფულს ვიხდით, როდესაც ვუკვეთთ.

– ეს სხვა თემაა, აქ საუბარია იმაზე, რომ „პრაიმტაიმი“ უკვე მეორე წელია, ვერ ხვდება „სამართლიანი არჩევნების“ მონიტორინგში, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, თქვენი რეიტინგებით ხელმძღვანელობს. ამიტომაა ჩვენთვის საინტერესო ამ კვლევის შედეგები.

– თქვენი გაზეთი, დღიდან გამოსვლისა, ყველა კვლევაში, ყველა კითხვარში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კამპანია გაზეთ „პრაიმტაიმის“ წინააღმდეგ?!

„სამართლიანი არჩევნების“ მიერ ჩატარებული პრესის მონიტორინგის შედეგები ეჭვქვეშ დგება

ხათუნა ბაქრაძე: „ფაქტია, რომ „აჭარასა“ და „ბათუმელებს“ 2012 წელს უფრო მაღალი ცნობადობა და მაღალი კითხვადობა ჰქონდა, ვიდრე „პრაიმტაიმს“. გაზეთები „აჭარა“ და „ბათუმელები“ მთელ საქართველოში ვრცელდება... ზუსტად ვიცი, რომ ყველგან ვრცელდება“

ეთერ თურაძე: „გაზეთი „ბათუმელები“ მხოლოდ აჭარის რეგიონში ვრცელდება“

ირაკლი ცეცხლაძე: „ჩვენი გაზეთი მხოლოდ აჭარაში გამოდის, დანარჩენ საქართველოში არ ვრცელდება“

ხათუნა ბაქრაძე: „როგორც კი თქვენ გამოეცით გაზეთი, იმის მერე გიკეთებთ მონიტორინგს, იმიტომ რომ ეს იყო ჩვენი კლიენტების მოთხოვნა. შესაბამისად, კითხვარში თქვენი გაზეთი დევს. თუ რატომ ვერ მოხვდა ათეულში „პრაიმტაიმი“, ეს კითხვა მეც დავსვი“

სოფო ჭიჭინაძე: „ჩემთვისაც ძალიან სამწუხაროა, რომ „პრაიმტაიმი“ არ მოხვდა ამ მონიტორინგში. მეც აუცილებლად დავინტერესდებოდი“

გვიდევს, იმიტომ რომ ეს იყო ჩვენი კლიენტების მოთხოვნა. შესაბამისად, კითხვარში თქვენი გაზეთი დევს. რატომ ვერ მოხვდა ათეულში „პრაიმტაიმი“? ეს კითხვა მეც დავსვი და მითხრეს, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანები მაინც მიჯაჭვულები არიან ისეთ გაზეთებს, როგორიც არის „კვირის პალიტრა“, „კვირის ქრონიკა“, „ასავალ-დასავალი“ და ა.შ. „პრაიმტაიმის“ ღირებულება არის მეტი და აქედან გამომდინარე, ისინი იმას კი არ ამბობენ, რომ საერთოდ არ ვიციოთ... აქ არის ასეთი კითხვები: რამდენად კითხულობთ, რამდენად ენდობით, რამდენად ხშირად იყენებთ?.. აი, ამ „პარამეტრებში“ ვერ მოხვდა თქვენი გაზეთი.

ჩვენი თხოვნის შემდეგ „აიპიემმა“ კვლევის შედეგები გადმოგვიგზავნა, სადაც ისეთ აშკარა შეუსაბამობას აქვს ადგილი, რომ, თუ წელს, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ „ენჯეოები“ მედიამონიტორინგისთვის მსგავს შედეგებს იყენებენ, მაქსიმუმ ტყუილთან გვაქვს საქმე, მინიმუმ – არაპროფესიონალურ მიდგომასთან.

რეალობასთან შეუსაბამოა ის, რომ „აიპიემის“ კვლევებში გაზეთები „ბათუმელები“ და „აჭარა“ ცნობადობით „პრაიმტაიმს“ უსწრებენ და ეს შედეგია იმ კვლევაში, რომელიც 2013 წლის პრესის მონიტორინგის შედეგებს დაედო საფუძვლად. (ამ გაზეთების მიმართ ჩვენს პატივისცემას აქვე დავაფიქსირებთ და ვთვლით, რომ ისინი მაღახარისხიან პროდუქტს უშვებენ. უბრალოდ, კითხვა გამოიწვია იმან, რომ კვლევაში, რომელიც საქართველოს მასშტაბით ჩატარდა, გაზეთებს, რომელიც მხოლოდ აჭარაში ვრცელდება, შეუძლებელია მკითხველი ჰყავდეს თუნდაც აღმოსავლეთ საქართველოში)

– თქვენს კვლევაში, გაზეთების ცნობადობაში, გაზეთებს „ბათუმელებსა“ და „აჭარას“ უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს, ვიდრე „პრაიმტაიმს“. ამას როგორ ხსნით, ადგილობრივ, რეგიონულ გაზეთს მთელ საქართველოში შეიძლება ჰქონდეს „პრაიმტაიმზე“ მაღალი ცნობადობა?

ხათუნა ბაქრაძე:

– ეს კვლევა მე არ ჩამიტარებია, უშუალოდ მე არ ვარ ამ კვლევის ჩამტარებელი, მე ვარ დამკვეთი. შესაბამისად, როცა მივიღე ეს შედეგები, ერთი წუთით არ შემპარვია ეჭვი. რეალურად რესპონდენტებიდან გამომდინარეა ეს პასუხები.

– კვლევა ხომ საქართველოს მასშტაბით ჩატარდა, „აჭარა“ და „ბათუმელები“ აღმოსავლეთ საქართველოში როგორ არის „პრაიმტაიმზე“ ცნობადი, ეს მაინტერესებს.

– ფაქტია, რომ „აჭარასა“ და „ბათუმელებს“ 2012 წელს ჰქონდა უფრო მაღალი ცნობადობა და მაღალი კითხვადობა, ვიდრე „პრაიმტაიმს“.

– კახეთშიც მაღალი კითხვადობა ჰქონდა?

– კახეთშიც აქვს, როგორც მე ვიცი. გაზეთები „აჭარა“ და „ბათუმელები“ მთელ საქართველოში ვრცელდება. მისი რეალიზება ხდება მთელ საქართველოში, როგორც კახეთში, ისე სხვა რეგიონებში. ზუსტად ვიცი, რომ ყველგან ვრცელდება.

როგორც გაზეთ „ბათუმელების“ რედაქტორი ეთერ თურაძე ამბობს, მისი გაზეთი აჭარის რეგიონს არასდროს გასცდენია. იგივე პასუხი აქვს გაზეთ „აჭარის“ რედაქტორის მოადგილეს ირაკლი ცეცხლაძეს.

ეთერ თურაძე: „გაზეთი „ბათუმელები“ მხოლოდ აჭარის რეგიონში ვრცელდება“.

ირაკლი ცეცხლაძე: „ჩვენი გაზეთი მხოლოდ აჭარაში გამოდის, დანარჩენ საქართველოში არ ვრცელდება“.

მოკლედ, ეს ორი გაზეთი, რომელმაც „აიპიემის“ პრესის რეიტინგში „პრაიმტაიმი“ უკან ჩამოიტოვა, მხოლოდ ადგილობრივად, საკუთარ რეგიონში ვრცელდება. ამიტომ რთული დასაჯერებელია, რომ მთელ საქართველოში მათ უფრო იცნობენ, ვიდრე „პრაიმტაიმს“.

ხათუნა ბაქრაძემ ისეთი დარწმუნებით გაგვიმეორა რამდენჯერმე, „ზუსტად ვიცი, რომ „ბათუმელები“ და „აჭარა“ მთელ საქართველოში ვრცელდებაო“, რომ, მიუხედავად ამ გაზეთების რედაქტორების პასუხისა, ჩვენ „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელს გელა მთივლიშვილსაც დავუკავშირდით:

– გელა, შეგიძლია გვითხრა, ვრცელდება თუ არა გაზეთები „ბათუმელები“ და „აჭარა“ კახეთის რეგიონში?

– დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ არ ვრცელდება...

მოკლედ, ჩვენი პრეტენზია რომ კიდევ უფრო საფუძვლიანია, ამ მნიშვნელოვანი ნიუანსიდანაც კარგად ჩანს. ზოგადად, რეიტინგების „მაფიაზე“ ბევრი გვსმენია, თუმცა ის, რომ საკითხი ასე სერიოზულად იდგა, მხოლოდ ახლა გავარკვიეთ, როდესაც ამ პრობლემის სათავე აღმოვაჩინეთ – ანუ ის, ვინც ამ რეიტინგებისთვის კვლევას ასრულებს.

აქედან გამომდინარე, ერთი თემაა, რომ „სამართლიანი არჩევნები“ მედიამონიტორინგის დროს შარშანდელ, 2012 წლის რეიტინგს დაეყრდნო, მეორე – იმ რეიტინგის სისწორე, რომელშიც ადგილობრივად გამომავალი რეგიონული გაზეთები ცნობადობით „პრაიმტაიმს“ უსწრებენ, რომელიც მთელ საქართველოში ვრცელდება.

კიდევ უფრო თვალსაჩინო რომ გაგვეხადა „სამართლიანი არჩევნების“ მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგის შედეგების ხარისხი, რომელიც მხოლოდ „აიპიემის“ რეიტინგში მოხვედრილ გაზეთებს შეეხო, კომპანია „ტერრა მედიას“ 2012 წლის განმავლობაში გაზეთ „პრაიმტაიმის“ მოხსენიების მონაცემები ვთხოვეთ. 2012 წლის განმავლობაში „ტერრა მედიას“ მედიამონიტორინგში ყოველკვირეული გაზეთი „პრაიმტაიმი“ 1412-ჯერ არის მოხსენიებული, ანუ ამდენივე მასალაა მოხვედრილი მონიტორინგის ბადეში. ამის შემდეგ, ალბათ, აღარ უნდა გაჩნდეს ეჭვი და კითხვა, ბეჭდურ მედიასივრცეში „პრაიმტაიმის“ პოზიციონირების მხრივ. გარდა ამისა, „ტერრა მედიასთან“ ისიც გავარკვიეთ, რომ მედიამონიტორინგის შემკვეთების მხრიდან მოთხოვნა „პრაიმტაიმზე“ მაღალია და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე შემკვეთს მონიტორინგიდან „პრაიმტაიმის“ ამოღება მოეთხოვოს:

მაკა მზარეულიშვილი, „ტერრა მედიას“ მედიამონიტორინგის სამსახური: „ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ვინმეს ეთქვას, „პრაიმტაიმი“ არ მინდაო. პირიქით, რეკავენ და ითხოვენ, რომ სწორედ „პრაიმტაიმში“ გასული მასალები აინტერესებთ. აბსოლუტურად ყველას აქვს თქვენი გაზეთი მონიტორინგში ჩასმული“.

სამწუხაროა, რომ „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლებთან პირველი საუბრის შემდეგ, მათი მობილური ტელეფონები, „პრაიმტაიმის“ „მომსახურების“ ზონიდან გავიდა. მას შემდეგ ამ „ავტორიტეტული“ „ენჯეოს“ წარმომადგენლები ნანა ტაბატაძე და ნინო ლომჯარია არც-ერთ ჩვენს ზარს აღარ პასუხობენ.

ასე რომ, მთავარი კითხვა პასუხგაუცემელია – უცნობია, რატომ დაეყრდნო „სამართლიანი არჩევნები“ 2012 წლის კვლევას 2013 წლის ბოლოს, როდესაც პრესაში სურათი შეცვლილია და მონიტორინგში მოხვედრილ ზოგიერთ გაზეთში პოლიტიკურ მასალებზე გაცილებით მეტი ყიდვა-გაყიდვის განცხადებები და სარეკლამო შეთავაზებებია. თუმცა, „პრაიმტაიმისგან“ განსხვავებით, ასეთი გაზეთები ხვდებიან პრესის მონიტორინგში, რომელიც კარგად დაფინანსებული პროექტია.

ვებგვერდზე, სადაც მონიტორინგის შედეგებია გამოქვეყნებული, აღნიშნულია, რომ წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია – არჩევნებისთვის“ ფარგლებში და პროგრამის მთავარი მიზანია საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში პროფესიული, მიუკერძოებელი და დაბალანსებული მედიაგაშუქების ხელშეწყობა მონიტორინგის გზით.

„პრაიმტაიმი“ დონორ ორგანიზაციებს მომხდართან დაკავშირებით, ოფიციალური წერილით აცნობებს, თუმცა მანამდე ჩვენ გაეროს განვითარების ფონდის წარმომადგენელს ვესაუბრეთ, რომელმაც განაცხადა, რომ მედიამონიტორინგის შედეგსა და ხარისხზე ისინი არ არიან პასუხისმგებლები და ეს მთლიანად „სამართლიანი არჩევნების“ პროდუქტია.

სოფო ჭიჭინაძე, UNDP-ის წარმომადგენელი:

– რამდენადაც ვიცი, შერჩევა მოხდა „აიპიემის“ რეიტინგების მიხედვით. ხომ იცით, რომ საქართველოში რეიტინგები ამბივალენტურია.

– არ გაქვთ ინფორმაცია, რომელი წლის რეიტინგებს დაეყრდნო ეს ორგანიზაცია?

– 2012 წლის რეიტინგებს.

– რამდენად მართებულია, რომ 2012 წლის რეიტინგებზე დაყრდნობით კეთდება 2013 წლის მონიტორინგი. ხომ შეიძლება, ერთ წელიწადში გაზეთმა პროფილი შეიცვალოს. იცით თუ არა, რომ გაზეთი „პრაიმტაიმი“ უკვე მეორე წელია ამ მონიტორინგში ვერ მოხვდა. ეს ძალიან გასაკვირი იყო და მაშინ ექსპერტებსაც გაუჩნდათ კითხვები, რატომ ვერ მოხვდა ეს გაზეთი ამ კვლევაში.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ მონიტორინგს. ჩვენი ფუნქცია, როგორც ორი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ორი დონორის, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის, არის არა უშუალოდ მონიტორინგში ჩარევა, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხელშეწყობა, რომ მათ ხარისხიანად გააკეთონ ეს მონიტორინგი. ჩვენ შევუქმენით პირობები ამ ორგანიზაციებს იმისთვის, რომ მათ შეძლონ ხარისხიანი მონიტორინგის ჩატარება. არა მარტო იმ ოთხს, რომელიც ახლა ჩვენთან მუშაობს, არამედ სხვებსაც, რომლებიც სხვებთან წავიდნენ და სხვების მონიტორინგში მონაწილეობდნენ.

– როდესაც ერთ-ერთი რეიტინგული გაზეთი კვლევაში ვერ ხვდება, ხომ არ აყენებს ეს ეჭვქვეშ თქვენ მიერ დაფინანსებულ კვლევის ხარისხს. როდესაც ეს შედეგი ნახეთ, კითხვა არ გაგიჩნდათ?

– ჩვენთვისაც ძალიან სამწუხაროა, რომ „პრაიმტაიმი“ არ მოხვდა ამ მონიტორინგში. მეც აუცილებლად დავინტერესდებოდი.

– არათუ სამწუხაროა, მიზანმიმართულს ჰგავს...

– არა, მიზანმიმართულს არა მგონია... ჩვენი ინტერესი იყო, რაც შეიძლებოდა მეტი მედიასაშუალება ყოფილიყო მონიტორინგის ქვეშ.

– გამორიცხავთ, რომ საქმეს ზერელედ მოეკიდნენ?

– ასე ვერ ვიტყოდი, ძალიან დასანანია, რომ არ მოხვდით ამ მონიტორინგში.

– თქვენ არ გაქვთ ინფორმაცია, რატომ არ მოხვდა გაზეთი „პრაიმტაიმი“ ამ მონიტორინგში?

– ამ კონკრეტულ შემთხვევაზე ნამდვილად არ მაქვს პასუხი. იმაზე შემიძლია გიპასუხოთ, რაც ზუსტად ვიცი. რეიტინგებით შეირჩა, მაგრამ დაზუსტებით ვერ გეტყვით, რომელი წლის რეიტინგებით მოხდა ხელმძღვანელობა, თუმცა ვიცი, რომ „აიპიემის“ მონაცემებით შეირჩა.

ყველა იმ პასუხიდან გამომდინარე, რომელიც მივიღეთ, უფლებას ვიტოვებთ, ვივარაუდოთ, რომ წელსაც წინასაარჩევნო მონიტორინგში „პრაიმტაიმი“ უკვე მეორედ მიზანმიმართულად გამოტოვეს, ან ისევ არაპროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე, როგორც ეს პირველ შემთხვევაში მოხდა, რომელიც საბოლოოდ გამოქვეყნებული შედეგების ხარისხს ეჭვქვეშ აყენებს, ისევე როგორც დონორების მიერ გადახდილი ფულის მიზნობრიობას...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ ატყუებს წულუკიანის უწყ

EXCLUSIVE

ირაკლი კერესელიძე

სკანდალური დო „პრაიმტაიმს“

მარიამ ნადირაძე

იუსტიციის სამინისტრო გვატყობინებს, რომ მიმდინარე წელს, წინა წლებთან შედარებით, სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოში საქართველოდან საქმეების გადინების დინამიკამ 70 პროცენტით იკლო. ამ მაჩვენებელს სკეპტიკოსებიც არ აყენებენ ეჭვქვეშ, თუმცა სულ სხვა თემაა, როგორ მიაღწია წულუკიანის უწყებამ ამ შედეგს.

სწორედ ეს გახლავთ ჩვენი დღევანდელი სტატიის მთავარი თემაც:

იბარებენ თუ არა მართლა პოლიციის განყოფილებებსა და პროკურატურაში სტრასბურგის სასამართლოს ქართველ აპლიკანტებს? ხდება თუ არა მათზე ზეწოლა და მუქარა? რა ხრიკებს მიმართავს იუსტიციის სამინისტრო? რა სანქციები შეიძლება დაედოს საქართველოს და შეიძლება თუ არა სტრასბურგის სასამართლომ მისი ყოფილი კლერკის, თეა წულუკიანის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს?

ამ ყველაფერს კი ერთ კონკრეტულ მაგალითზე გიამბობთ:

კონსტანტინე ჭრელაშვილი:

– 2003 წლის თებერვალში ქუთაისში დაგვიჭირეს რამდენიმე ადამიანი ყაჩაღობის ბრალდებით. პოლიციაში გვაწამეს სასტიკად. სამი დღის განმავლობაში ელექტროშოკის გამოყენებით ცდილობდნენ ჩვენგან აღიარებითი ჩვენების მიღებას. ელექტროშოკს გვიდებდნენ პირში, მეორე ბოლოს კი გვიერთებდნენ სათესლე პარკებზე. ჩვენ დაგვიჭირეს თბილისში დაკავებული ადამიანის ჩვენების საფუძველზე, რომელიც, სამწუხაროდ, წამებაში მოკლეს, წინასწარი დაკავების იზოლატორში. ჯერ მოკლეს, მერე კი ჩამოკიდეს. ეს იყო გოგიტა ბაბუნაშვილი. გამორიცხული იყო, მას თავი ჩამოეხრჩო, რადგან ისე ჰქონდა ხელები დახვრეტილი, რომ საკუთარი ხელით მარყუჟსაც ვერ გააკეთებდა. პოლიცია დაინტერესებული იყო, რომ ქუთაისში გახსნილიყო ეს საქმე. გოგიტას ათქმევინეს ჩვენი სახელი სწორედ წამების შედეგად. ვინაიდან მარტო ეს ჩვენება არ იყო საკმარისი, გვანამეს ჩვენც. ელექტროშოკის გარდა, თავზე ჩაფხუტს მაცვამდნენ და სუნთქვას მიკრავდნენ, იყო არაადამიანური, სასტიკი მოპყრობა, პირში ჩაფურთხება. ამის გახსენება ჩემთვის ამდენი წლის შემდეგაც ძალიან რთულია. ჩვენგან ჩვენება მაინც ვერ მოიპოვეს. გოგიტა რომ მოკლეს, ჩვენ შეგვეშვნენ, მაგრამ მერე გადავიდნენ მტკიცებულებების ფალსიფიკაციაზე.

– რამდენადაც ვიცი, თქვენი წამების ფაქტზე პოლიციელთა გარკვეული ჯგუფი დაიჭირეს და თანაც ეს იყო პრეცედენტი, ვინაიდან ეს პოლიციელები თანამდებობრივი მუხლით კი არა, სწორედ წამების ბრალდებით გაუშვეს ციხეში...

– დიახ, ასე იყო. სამი პოლიციელი მისცეს პასუხისგებაში მეოთხე პოლიციელის ჩვენების საფუძველზე, რომელიც მათთან ერთად იყო ჩვენი წამების დროს. მაშინ სასამართლომ დაზარალებულად მაღიარა და კომპენსაციაც მომცეს 9000 ლარის ოდენობით. 2005 წელს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ, მერაბ ტურავას თავმჯდომარეობით, ეს საქმე დაშალა და წინასწარ გამოძიებაში დააბრუნა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ უნდა დაეჭირათ გამომძიებელი ჩოგოვაძე, რომელიც იმ დროისთვის უკვე მხარის პროკურორი იყო. პირად საუბარში პროკურორები და მოსამართლეებიც მეუბნებოდნენ, მირჩევნია, შენ დაგიჭირო, ვიდრე მხარის პროკურორიო. საბოლოოდ ისევ დამიჭირეს. იმდენად რთული იყო ეს ყველაფერი, რომ 2009 წელს ინფარქტი დამემართა.

– სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდშიც გრძელდებოდა თქვენ მიმართ ეს დამამცირებელი მოპყრობა?

– იქ საერთოდ არავის თვლიდნენ ადამიანად. საქონელი უფრო მაღლა იდგა ღირსებით, ვიდრე ჩვენ. ძირითადად ჩაკეტილ სისტემაში ვიყავი, ე.წ. კრიტში, სანამ ინფარქტს მივიღებდი. მაშინ კი „გაიჯეჯილეს“: თავის დროზე წამალი არ მომაწოდეს, სასწრაფო დახმარება არ მოიყვანეს. ეს რუსთავის პირველ დაწესებულებაში ხდებოდა. როცა სასწრაფო მოვიდა, დამტოვა, მკვდარია და სად წავიყვანოო? სამი საათის დაგვიანებით მოვიდა მერე დეპარტამენტის სასწრაფო. გადამიყვანეს „რეზბალნიცაზე“. ინფარქტიანი ადამიანი ხელბორკილებით მიმაბეს საკაცეზე. იმის საშუალებაც მომისპეს, რომ გულზე დამედო ხელი. „რეზბალნიცის“ ეზოში ნახევარი საათი ვეგდე საკაცით, პირდაპირ ეზოში. მერე, როგორც იქნა, პალატაში ამიყვანეს და იქ კიდევ 5 საათი არ გამიკეთეს წამალი. მერე რეანიმაციაში ამიყვანეს. აქ ვიყავი 5 დღე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ იქ ექიმმა სიგარეტი მომიტანა, ერთბაშად მოწევის შეწყვეტა უფრო მეტ ზიანს მოგაყენებსო. როგორც კი მოვწიე, საშინლად გავხდი. იმ ღამეს პატიმარი შემოიყვანეს, რომელსაც ნემსი გაუკეთეს თუ არა, ჩემს თვალწინ მოკვდა. მეორე დღესაც და მესამე დღესაც იგივე ხდებოდა. იმდენად შევშინდი, ზონაში დაბრუნება მოვითხოვე, სადაც მეგობრებმა მომხედეს. საბოლოოდ იმდენად ცუდად ვიყავი, რომ 2012 წელს იძულებული გახდნენ, ჩემთვის სტენტირება გაეკეთებინათ. ეს უკვე 2012 წლის დეკემბერს მოხდა, როცა ძველი ხელმძღვანელობა, საბჭდნიეროდ, უკვე შეცვლილი იყო. ახლა შუნტირება მაქვს გასაკეთებელი.

– საბოლოოდ ამნისტიით გამოხვედით?

– დიახ, 10 თვე მქონდა დარჩენილი და მეპატია. რაც გამოვედი, რა გზას აღარ მივმართავ, რომ მკურნალობისთვის თანხები მოვიძიო. გამოკვლევებზე ხომ საუბარი ზედმეტია. სახლში უკვე ყველაფერი გავყიდეთ, მარტო კედლებია დარჩენილი.

– სტრასბურგს როდის მიმართეთ?

– ეს 2009 წელს მოხდა. იძულებული გავხდი, ასე მოვქცეულიყავი. როგორც კი ჩემს საქმეს ნომერი მიენიჭა, ადმინისტრაცია შემეშვა, მაგრამ გვერდზე მიმაგდეს, თუ მოკვდები, მოკვდებიო. ქალბატონი თეა წულუკიანი 2009 წელს ჩემთან აწარმოებდა მიმოწერას, როდესაც სტრასბურგის სასამართლოში რეფერენტი იყო. მას კარგად მოეხსენება, რომ ჩემი საქმე პერსპექტიულია. თუმცა, გამიკვირდა, რომ ახლა, როდესაც ის არის მინისტრი, სახელმწიფო წამოვიდა ჩემთან მეგობრულ გარიგებაზე, მითხრეს, რომ 10 ათასს ევროს მომაკუთვნებდნენ. რა თქმა უნდა, ეს თანხა მიზერული იყო, მაგრამ მაინც დავთანხმდი. რამდენიმე თვის წინ კი პოზიცია შეცვალეს და მითხრეს, 2000-ს მოგცემთ, თუ გინდაო. ეს თანხა ვერაფერში მეყოფა. გამოდის, რომ ამდენ ხანს სამინისტრო, უბრალოდ, დროს წელავდა.

უარი კონსტანტინე ჭრელაშვილმა იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფოს წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსმა, ლევან მესხორაძემ ამა წლის 15 ივნისს მისწერა. დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ მის ადვოკატს სტრასბურგიდან მოსდის წერილი, სადაც ატყობინებენ, რომ საქართველოს მთავრობამ სტრასბურგს კონკრეტული კეისების განხილვისთვის ვადა 25 ოქტომბრამდე სთხოვა. ამ წერილს დანართის სახით ერთვის ორი დოკუმენტი: ლევან მესხორაძის წერილი, გაგზავნილი სტრასბურგში, რომელიც დათარიღებულია 19 ივლისით და საქმეების ჩამონათვალი, რომელთა შორისაც 25-ე ნომრად მოხსენიებულია ჭრელაშვილის საქმეც.

რატომ მოატყუა იუსტიციის სამინისტრომ სტრასბურგის სასამართლო, თითქოს ის მუშაობდა მეგობრულ შეთანხმებაზე საქმეზე, რომელზეც გადაწყვეტილება უარით უკვე გამოტანილი ჰქონდა?

ამასთან დაკავშირებით ჭრელაშვილის წარმომადგენელი ევროპულ სასამართლოში, ირაკლი კერესელიძე გვიამბობს:

– ჭრელაშვილის საქმე სტრასბურგში მესამე მუხლით წავიდა, რადგან არსებული საერთაშორისო სტანდარტით და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტებით პირების მიმართ, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობაში, სახელმწიფოს აქვს პროაქტიური ვალდებულება, მით უმეტეს მათი ჯანმრთელობის დაცვის ნაწილში, რაც ამ შემთხვევაში დაირღვა. ეს ყველაფერი იმდენად ნათლად იყო დასაბუთებული, არგუმენტირებული და დოკუმენტური ბაზით გამაგრებული, რომ სტრასბურგის სასამართლომ დაახლოებით ერთწლიანი განხილვის შემდგომ, საკითხი წარმოებაში მიიღო. აღნიშნულის შემდგომ ჩვენ გვქონდა აქტიური მიმოწერა როგორც სტრასბურგის სასამართლოსთან, ასევე იუსტიციის სამინისტროსთანაც. საინტერესოა, რომ იუსტიციის სამინისტროს პოზიცია ახლაც იგივე დარჩა, როგორიც იყო ნაციონალების ხელისუფლების პირობებში. ამ პოზიციას მაშინაც ლევან მესხორაძე აჟღერებდა და ახლაც იგივე პიროვნება აჟღერებს. უფრო მეტიც, თეა წულუკიანმა ის დააწინაურა კიდეც. ადრე ის ამბობდა, რომ, რაკი ცოცხალია, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ საკუთარი ვალდებულება შეასრულა. ეს გაცდენილია ყველანაირ ლოგიკას... გამოდის, რომ მესამე მუხლი, რომელიც გულისხმობს წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას და ამ მიმართულებით სახელმწიფოს ვალდებულებას მაღალ კრიტერიუმად ხდის, საერთოდ უნდა გააუქმონ. გამოდის, რომ, თუ პირი გარდაიცვლება ამ წამების შედეგად, ეს უკვე გახდება მეორე მუხლის კომპეტენცია, რომელიც არის სიცოცხლის უფლება. ჩვენ თუ მესხორაძესა და იუსტიციის სამინისტროს ლოგიკას გავყვებით, ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ პირი არ გარდაიცვალა, იუსტიციის სამინისტრო პრობლემას ვერ ხედავს. და თუ პირი გარდაიცვალა, მესამე მუხლი საერთოდ არაგამოყენებადია. ანუ, ფაქტობრივად, იუსტიციის სამინისტრო მესამე მუხლით გარანტირებულ უფლებაზე, როგორც მოცემულობაზე, ამბობს უარს. მე მარტივ განმარტებას ვაკეთებ, მაგრამ ეს ნათლად აჩვენებს იუსტიციის სამინისტროს დამოკიდებულებას ზოგადად საკითხის მიმართ. ჩვენთან იუსტიციის სამინისტრომ გადაწყვიტა მეგობრულ გარიგებაზე წამოსვლა. ღია ტექსტით იყო ნათქვამი, რომ შეიძლებოდა, ისინი 10 ათასი ევროს გადახდაზე წამოსულიყვნენ. მე, როგორც ადვოკატმა, ეს პოზიცია გავანდე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს. მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ის ამას დასთანხმდა. ამას გარდა, მას შეეშინდა, რომ მის მიმართ მომავალში შეიძლებოდა რაღაც პროვოკაციები განხორციელებულიყო. მაგრამ საბოლოოდ ამაზეც უარი გვითხრეს.

– უარი თქვეს იმიტომ, რომ ადამიანი ამნისტირებულია?

– დიახ და ამაში საერთოდ არანაირი ლოგიკა არ არის. რაკი ის უკვე თავისუფალია, სახელმწიფომ ყველა ვალდებულება მოიხსნა პირზე, რომელიც დაზარალდა პატიმრობაში ყოფნის დროს. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება უკურნებელია და ნებისმიერ მცირე ნერვიულობაზეც შეიძლება ფატალური შედეგი დადგეს. ამის შესახებ არსებობს შესაბამისი სამედიცინო დასკვნები. ამ პირთან დაკავშირებით სახელმწიფომ მოიხსნა ყველანაირი ვალდებულება. ეს არის იმ უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგი, რასაც დღეს იუსტიციის სამინისტრო ატარებს. მათი მიდგომა ასეთია – მე ვარ ძალა და მე ვადგენ წესებს. მოდით, ლოგიკური პარალელი გავავლოთ – თუ ეს ჩემი მოსაზრება არ არის რელევანტური, მაშინ რაში სჭირდება იუსტიციის სამინისტროს ამხელა ტყუილი, რომელიც დოკუმენტების სახით წარმოგიდგენეთ? ორივე დოკუმენტს ხელს აწერს ლევან მესხორაძე. ის წარმოადგენს საქართველოს მთავრობას ყველა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010130101933413

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№61526

15 / ივნისი / 2013 წ.

ადვოკატ ელენა ჩიკვაიძეს
მის.: კასკადის ქ. 33/15ა, ზაგესი, ქ. თბილისი 0125
ტელ.: +995 599 67 67 67

ქალბატონო ელენა,

თქვენი, 2013 წლის 4 იანვრის, #01/732 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ განხილულ იქნა თქვენი შემოთავაზება საქმის მორიგებით დასრულებასთან დაკავშირებით.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და იმ ფაქტორის გათვალისწინებთ, რომ ბატონი კონსტანტინე ჭრელაშვილი გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2013 წლის 24 იანვარს, საქართველოს მთავრობა არ მიიჩნევს მიზანშეწონილად, ამ ეტაპზე დასთანხმდეს საქმის მორიგებით დასრულების მიზნით თქვენ მიერ შემოთავაზებულ პირობებს.

პატივისცემით,

ლევან მესხორაძე

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო
სასამართლოებში სახელმწიფო
წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეჯა სტრასბურგის სასამართლოს?

კონსტანტინე ჭრელაშვილი

ლევან მესხორაძე

კუმენტები, რომელიც ‘ ხელში ჩაუვარდა

საერთაშორისო სასამართლოში.

– რაში სჭირდება იუსტიციას ასეთი ტყუილი?

– იმისთვის, რომ ვადა განელოს, ხელი შეუშალოს წარმოებას, სტრასბურგის სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანას. თურმე ჭრელაშვილთანაც მიმდინარეობს გარიგებები მეგობრული შეთანხმების მიღწევისთვის და ამისთვის ითხოვს დროს. ეს დოკუმენტები აჩვენებს იმას, რომ იუსტიციის სამინისტრო არ არის კონსტრუქციულად განწყობილი აპლიკანტების მიმართ. არ არის განწყობილი პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი გადაწყვეტისკენ. როდესაც ჩიხურია მათი სამართლებრივი მდგომარეობა, ისინი ე.წ. დრეგინგს მიმართავენ, რაც ნიშნავს პროცესის გაწელვას.

– თქვენ ამ საკითხს სტრასბურგში დააყენებთ?

– აუცილებლად და ძალიან მაგრად აუწევენ ყურს იუსტიციის სამინისტროს ამ სახის ტყუილისთვის, რაც დოკუმენტურად დასტურდება.

– რაში გამოიხატება რეალურად „ყურის აწევა“?

– არსებობს მექანიზმი, რომელსაც სტრასბურგის სასამართლო მიმართავს. მისი გადაწყვეტილება აღსასრულებლად გადაეცემა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს და ეს შეიძლება იყოს ფინანსური სანქციებიც და, სავარაუდოდ, იქნება გარკვეულწილად საკადრო სანქციებიც. მინისტრთა კომიტეტი, რა თქმა უნდა, ქვეყანას კატეგორიულად ვერ მოსთხოვს რომელიმე კონკრეტული მინისტრის განთავისუფლებას, მაგრამ ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყანა ამას გააკეთებდა.

– მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი დგება ხოლმე?

– რა თქმა უნდა. ლევან მესხორაძე არის მაღალი სტატუსის მქონე ჩინოვნიკი, რომელიც დაიტოვეს და შეინარჩუნეს ნაციონალების შემდგომ, მაგრამ პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა მოდის უშუალოდ მინისტრზე. სტრასბურგი გირგვლიანის კეისზე არ მოერიდა, გამოეაშკარავებინა პრეზიდენტის, პარლამენტის, სასჯელაღსრულების სისტემისა და საგამოძიებო ორგანოების ყველაზე მაღალი რგოლების სასირცხვილო მოქმედებები. ამან შესაძლოა, იმ დროისთვის ეფექტური შედეგი ვერ მოიტანა, მაგრამ საბოლოო პოლიტიკური შედეგის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ეს კეისიც იყო. მე ვფიქრობ, რომ იუსტიციის მინისტრმა ეს ყველაზე კარგად უნდა იცოდეს. მართალია, წულუკიანი იმ დროისთვის ძალიან დაბალი დონის კლერკი იყო სტრასბურგის სასამართლოში, მაგრამ მაინც. მე არ ვიცი, რატომ ემართებათ ეს მეგამანია საქართველოში. ჩვენი პრეზიდენტი ამბობდა, რომ ამერიკაში ძალიან წარმატებულ კომპანიაში ძალიან მაღალ პოზიციაზე იყო, როცა რეალურად კურიერის ფუნქციებს ასრულებდა. იუსტიციის მინისტრიც, რომელიც რვა თუ ცხრა წლის განმავლობაში სტრასბურგის სასამართლოში მუშაობდა, რჩებოდა იურისტ რეფერენტის პოზიციაზე სტრასბურგის სასამართლოს რეგისტრატურის ერთ-ერთი სექციის რეგისტრატურაში. ეს ძალიან დაბალი პოზიციაა და თუ ოდნავ მაინც კრეატიული და გამორჩეული ხარ იმ საქმეში, რასაც აკეთებ, იქ ნელ-ნელა გაწინაურებენ. ეს არ არის მთავარი რეგისტრატურა. ეს არის სექციის რეგისტრატურის იურისტ-რეფერენტი. მე ამ შეფასებებს ნამდვილად მოვერიდებოდი, რომ არ მქონდეს ამის დოკუმენტური მტკიცებულებები.

„პრაიმტაიმი“ ლევან მესხორაძესაც დაუკავშირდა:

– იმ დროს, როდესაც კონსტანტინე ჭრელაშვილს უარი უთხარით მეგობრულ გარიგებაზე, რატომ მისწერეთ სტრასბურგს, რომ თითქოს სხვა საქმეებთან ერთად ამ კეისზეც მუშაობდით?

– ამ ორ დოკუმენტს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს. ის, რომ მორიგების შესაძლებლობას განიხილავ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქმე მართლა მორიგებით დასრულდება. მორიგების მიღწევისთვის ორივე მხარის თანხმობაა საჭირო.

– ჭრელაშვილთან იმიტომ ვერ მორიგდით, რომ ის ამნისტირებულია?

– ასეთი წერილი მისთვის არ მიმიწერია (მკითხველს ვთხოვთ, კარგად წაიკითხოს წერილის შინაარსი. – მ.ნ.). მხედველობაში იქნა მიღებული რამდენიმე გარემოება: პირველი, რომ ამ ადამიანის ჯანმრთელობას პენიტენციურ სისტემაში აღარ ექმნებოდა საფრთხე და ეს კარგია, რადგან ის იქნა განთავისუფლებული ამნისტიით...

– თუ ადამიანი განთავისუფლდა და აღარ არის პატიმარი, ნიშნავს, რომ მისი ჯანმრთელობის დაზიანებაზე სახელმწიფო იხსნის ვალდებულებას?

– რა თქმა უნდა, არა...

– მაშინ ჭრელაშვილის შემთხვევაში რატომ ამბობთ ამას?

– მისი განთავისუფლება არ იყო გადამწყვეტი გარიგებაზე ვერშეთანხმების. გადამწყვეტი იყო ის, რომ კომპენსაციის ოდენობაზე ვერ შევთანხმდით.

– 10 ათას ევროზე იყო საუბარი...

– თანხა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ჩვენი უარის მიზეზი იყო ამ ორი კომპონენტის ერთობლიობა. განსახილველი თემა გახლდათ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში. ჩვენთვის მთავარი იყო, რომ ის ვალდებულებები, რაც სახელმწიფოს პატიმრების მიმართ აქვს, უნდა შეასრულოს და არ იყოს საფრთხის ქვეშ პირი, რომელიც არის პენიტენციურ სისტემაში. ვინაიდან ის დღეს განთავისუფლებულია, ეს ძალიან კარგია. ამიტომ, ერთადერთი კომპონენტი, რაზეც შეიძლებოდა მხარეებს შორის შეთანხმება მიღწეულიყო, ეს არის კომპენსაცია იმ სავარაუდოდ განცდილი ზიანის გამო, რომელიც მას მიადგა პენიტენციურ სისტემაში. ამ კომპონენტზე მორიგება ვერ შედგა. ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ ამ საქმეზე დავა არ დასრულებულა. ევროსასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას და თუ საქართველოს მიმართ დაადგენს დარღვევას, სახელმწიფო შეასრულებს თავის ვალდებულებას მისი აღსრულებით.

– თუ ასეთი გადაწყვეტილება უკვე მიღებული გქონდათ, ერთი თვის შემდეგ რატომ გაუგზავნეთ წერილი სანტიაგო კესადას, რომ სხვა საქმეებთან ერთად ჭრელაშვილის კეისზეც მიმდინარეობს მეგობრული შეთანხმების პროცესი და ითხოვეთ ვადა 25 ოქტომბრამდე?

– სანტიაგო კესადა არის გამწესრიგებელი იმ სექციისა, სადაც განიხილება ქართული საქმეები. ევროსასამართლოს მიერ შეირჩა ყველა საქმე, რომელიც დევს ევროსასამართლოში და ეხება კონვენციის მესამე მუხლს – ეს არის მკურნალობის ადეკვატურობის საკითხი სასჯელაღსრულების სისტემაში. იმ წერილში სხვა 61 საქმეს შორის იყო ჭრელაშვილის საქმეც. მხოლოდ ჭრელაშვილის საქმეზე არ ყოფილა საუბარი. ჩემი წერილი ადასტურებს ერთს, რომ ევროსასამართლომ განსაზღვრა ვადა, რომ გვეცნობებინა, რამდენ საქმეზე შეიძლებოდა მიღწეულიყო შეთანხმება. ვინაიდან ბევრი საქმე იყო და მისი განხილვა 60 საქმეზე გარკვეულ დროს მოითხოვს, ჩვენთვის ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდა და მოვითხოვე მისი გაგრძელება, რომ მოვასწრო ყველა საქმის შესწავლა და გადაწყვეტა იმისა, რომელი შეიძლება დასრულდეს მორიგებით და რომელი – არა.

– მაგრამ იმ ჩამონათვალში იყო ჭრელაშვილის გვარიც, რომელზეც იმ დროისთვის, როცა კესადას წერდით, რომ მუშაობთ მორიგების თემაზე, აპლიკანტისთვის მორიგებაზე უარი უკვე გაგზავნილი გქონდათ...

– მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქმის განხილვა სასამართლოში შეჩერდება, ან შეყოვნდება.

– მაგრამ მხარე მიიჩნევს, რომ იუსტიციის სამინისტროს მხრიდან ტყუილი დასტურდება ამ დოკუმენტებით, რაც საქმის გაჭიანურებას ისახავს მიზნად.

– თუ მორიგება არ გინდა საქმეზე, უარს იტყვი და ამით საქმის განხილვა არ ჭიანურდება. მორიგებაზე უარის თქმა ნებაყოფლობითია და ამაზე არავინ მოგთხოვს პასუხს.

– რატომ დამალეთ მაშინ ეს უარი კესადასთვის მიწერილ წერილში? ეს ტექნიკური შეცდომაა?

– ამას ვერც ტექნიკურ შეცდომას დავარქმევ. ის სია, სადაც კონსტანტინე ჭრელაშვილია მოხსენიებული, დადგენილია ევროსასამართლოში და ყველა ეს მესამე მუხლთან დაკავშირებული საქმეა. მე მათ ვაცნობე, რომ რაღაც გარკვეულ ნაწილზე შეთანხმება შედგა, მაგრამ დანარჩენ საქმეებზე მჭირდება დრო. სტატისტიკურად უკვე გვაქვს ძალიან დიდი პროგრესი, რომელიც ძალიან ბევრ სახელმწიფოს არ გააჩნია. მინდა გითხრათ, რომ კიდევ რამდენიმე ათეულ საქმეზე ველოდებით გადაწყვეტილებას საქმის მორიგებით დასრულებაზე.

რაკი დოკუმენტი, რომლის შესახებაც მესხორაძესთან ვსაუბრობთ, მკითხველისთვის ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი, გთავაზობთ თარგმანს: „ვითვალისწინებთ რა მიმდინარე სამუშაოს, რომელიც ეხება მეგობრულ შეთანხმებებს და ასევე, იმ კეისებს, რომელზეც ჩვენი ოფისი მუშაობს და იწვევს მძიმე გადატვირთვას, საქართველოს მთავრობა იძულებულია, ითხოვოს, რათა სასამართლომ გადადოს დედლაინი, რომელიც თქვენი 27 ივლისის წერილით იქნა დადგენილი, რამეთუ წარმოვადგინოთ მთავრობის პოზიცია მეგობრულ შეთანხმებებთან დაკავშირებით შემდგომ კეისებზე“ (შემდეგ მოდის ჩამონათვალი, მათ შორის ჭრელაშვილის საქმეც. – მ.ნ.).

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას მესხორაძემ იმ წარმატებებზეც ისაუბრა, რასაც იუსტიციამ მიაღწია ბოლო ერთი წლის განმავლობაში. ამ თემაზე საუბარი გვქონდა ირაკლი კერესელიძესთანაც და ბავშვობაში ცნობილი თამაში – „გაფუჭებული ტელეფონი“ რომ არ გაგახსენოთ, ორივე პოზიციას თემატურად მონაცვლეობით შემოგთავაზებთ:

ლ.მ.: „ჩვენ სერიოზული პროგრესი გვაქვს. გასული წლის ოქტომბრის შემდეგ მორიგებით დავასრულეთ დაახლოებით 30 საქმე, რომლებზეც უკვე გადაწყვეტილება გამოვიდა და ათეულობით საქმე, ფაქტობრივად, დასრულებულია.

ი.კ.: „დაზუსტებით ვიცი ათობით ასეთი საქმე, როცა ადამიანებს იბარებენ პოლიციასა და პროკურატურაში, მაშინ როცა ეს სტრასბურგის სასამართლოს არსებული პრეცედენტებით პირდაპირ ზეწოლად მიიჩნევა. რადგან მოლაპარაკების წარმოება სტრასბურგის სასამართლოს თანხმობით შეუძლია მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს, ანუ იმ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს სტრასბურგის სასამართლოში. პოლიციასა და პროკურატურაში აპლიკანტების დაბარება, სულ შეურაცხყოფა რომ არ მიაყენო, არადა რეალურად ასე ხდება, ეს უკვე 34-ე მუხლის დარღვევაა, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ აპლიკაციის თავისუფლად განხილვის უფლება ილახება. რადგან ის მხარე არის დამოუკიდებელი“.

ლ.მ.: „მორიგების პროცედურა ხორციელდება ევროსასამართლოს მეშვეობით. აქ პოლიცია და პროკურატურა არის აბსოლუტურად არარელევანტური, უადგილო და ყველაფერს მოწყვეტილი აზრია“.

ამის არც ერთი ფაქტი არ არსებობს. რაც შეეხება კომპენსაციას: რაც უნდა ნაკლები კომპენსაცია შესთავაზოს სახელმწიფომ მომჩივანს, მასზეა დამოკიდებული, აიღებს თუ არა ის მას. თუ ის უკმაყოფილოა კომპენსაციით, მას შეუძლია, ერთი სიტყვით დაფიქსიროს თავისი პოზიცია და ეს მის საქმეს არ დაზიანებს. საქმე ისედაც გაგრძელდება ევროსასამართლოში, რომელიც გამოიტანს გადაწყვეტილებას. დაახლოებით 10 საქმეში კომპენსაცია თავად ევროსასამართლოს მიერ იქნა განსაზღვრული. მივიჩნიეთ, რომ ეს ოდენობა იყო ადეკვატური და თუ არ ვცდები, ათიდან ერთის გარდა, ყველა მომჩივანმა მიიღო ეს პირობა. ეს იყო კომპენსაცია 4500 ევროს ოდენობით და ეს საქმეები ეხებოდა სასჯელაღსრულების სისტემაში არაადეკვატურობას პატიმრების მკურნალობაზე.

ი.კ.: „საშუალო თანხა, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ ამ დაზარალებულებს გადაუხადა, არის დაახლოებით 2000, მაქსიმუმ სამი ათასი ევრო ისეთ ზიანში, სადაც ფინანსურ ნაწილში მოთხოვნილი იყო ასობით ათასი. მე, რა თქმა უნდა, შორს ვარ აზრისგან, ვთქვა, რომ, თუ პირი ითხოვდა 100 ან 200 ათასს, სტრასბურგის სასამართლო ამ თანხას დააკმაყოფილებდა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, საშუალოდ, 20-25 ათასი ევროს მიკუთვნება ხდება, პლუს ხარჯები, ანუ, საბოლოო ჯამში, 30-35 ათასის ფარგლებში აკუთვნებენ. ეს რაოდენობა რომ ავიღოთ, როგორც შესაძლო რეზულტატი და თავი დავანებოთ კიდევ პლუს სახელმწიფოს სირცხვილს და იმ ყველაფერს, რაზეც სტრასბურგის სასამართლო ძალიან კონკრეტულად მიგითითებს სისტემურ დარღვევებთან და ინდივიდუალურ დარღვევებთან, რა რელევანტურობა აქვს 2000 ევროს, რომელიც საქართველოში გაცემული მაქსიმალური თანხაა? თორემ ვიცი შემთხვევები, როცა 500 ევროც მისცეს კონკრეტულ პირს და ეუბნებოდნენ, იკმარე და შეირგეო“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული ა

my View

მირიან ბოქოლიშვილი

სანდრო გირგვლიანის მკვლელობა შესაძლოა, თავსატეხი ახალი ხელისუფლებისთვისაც იქცეს. მართალია, არჩილ კბილაშვილი მაქსიმუმ მაისში ვარაუდობდა ამ გახმაურებულ საქმეზე სრულყოფილი სურათის აღდგენას, თუმცა საზოგადოებაში ჯერ კიდევ ბევრი ეჭვი მუსირებს. გამოძიებას ჯერაც არ გაუცია პასუხი მთავარ კითხვაზე – უშუალოდ ვინ მოკლა სანდრო გირგვლიანი და ვინ არის პიროვნება, რომელმაც გირგვლიანს ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა? წინა ხელისუფლების დროს გირგვლიანის საქმეზე გასამართლებული კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები დღეს ბრალდების მთავარ მოწმეებად ფიგურირებენ და ჩვენებებს დათა ახალაიას წინააღმდეგ აძლევენ. ისინი გირგვლიანი-ბუხაიძის ოქროყანაში აყვანის ინიციატორად სწორედ კუდ-ის მაშინდელ შეფს მოიაზრებენ, თუმცა უშუალოდ ვინ მიაყენა გირგვლიანს სასიკვდილო ჭრილობა, მათი ჩვენებებით, კვლავ გაურკვეველი რჩება.

„პრაიმტაიმი“ ექსკლუზიურად გთავაზობთ, კუდ-ის იმდროინდელი მაღალჩინოსნის ალექსანდრე ღაჭავას ჩვენებას, რომელიც მან ახალ გამოძიებას 2012 წლის ნოემბერში მისცა. დათა ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვის ადვოკატები ამბობენ, რომ ღაჭავამ და სხვა რამდენიმე მოწმემ ჩვენებები არაერთხელ შეცვალეს და „ყოველ ჯერზე პროკურატურა მისთვის სასურველ დეტალებს ამატებინებს ჩვენებებში“. თუმცა ადვოკატების პოზიციას ოდნავ ქვემოთ გაგაცნობთ, მანამდე კი მოდით, ვნახოთ, რას უყვება ახალ ხელისუფლებას სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე წინა ხელისუფლების დროს გასამართლებული კუდ-ის მაღალჩინოსანი, ალექსანდრე ღაჭავა.

„2006 წლის მარტში დაკავებული ვიქენი სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, ნარდგენილი მქონდა სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები, კერძოდ, როგორც მახსოვს, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და სხეულის განზრახ დაზიანების ბრალდებები, რამაც გამოიწვია სასიკვდილო შედეგი. ჩემთან ერთად დაკავებულნი იქნენ გერონტი ალანია, მიხეილ ბიბილურიძე, ავთანდილ აფციაური. გავთავისუფლდი 2009 წლის 5 სექტემბერს პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე. აღნიშნულ საქმეზე მსურს, გამოძიებას მივცე ამომწურავი და სრული ჩვენება, რადგან ვთვლი, რომ სასჯელი მოვიხადე არასწორად, არა იმ ქმედებისთვის, რაც რეალურად ჩავიდინე. აქვე განვმარტავ, რომ აღნიშნული ჩვენების მიცემა და იმ გარემოებების დასახელება, რომელთა შესახებაც გამოძიებისთვის არ იყო ცნობილი, აქამდე არ შემეძლო გარკვეული მიზეზების გამო, კერძოდ: შიშის გამო, რადგან თავს დაცულად ვერ ვგრძნობდი. ამას ემატება ის სულიერი და მორალური მდგომარეობა, რასაც მე და ჩემი ოჯახი განვიცდიდით მთელი ამ წლების განმავლობაში. მსურს ამჟამად, გამოძიებას განვუმარტო ყველა ის გარემოება, თუ ფაქტი, რასაც ადგილი ჰქონდა გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით“, – ამ ახსნა-განმარტების შემდეგ ალექსანდრე ღაჭავა დეტალურად აღწერს ოქროყანის სასაფლაოსთან განვითარებულ მოვლენებს. მისი თქმით, 2006 წლის 28 იანვარს, გვიან საღამოს, დაურეკა კუდ-ის პირველი სამმართველოს უფროსმა გერონტი ალანიამ, რომელმაც შეატყობინა, რომ სახლში გაუვლიდა და მასთან ერთად უნდა წასულიყო. გერონტი ალანიამ და კუდ-ის კიდევ ერთმა თანამშრომელმა, დავით ქოქიაშვილმა ღაჭავას სახლში მიაკითხეს და ლესელიძის ქუჩის მიმართულებით გაეშურნენ.

„ლესელიძის ქუჩის გავლით მივედით შარდენის ქუჩიდან ამოსასვლელ კიბესთან. დაახლოებით 10-15 წუთში მანქანასთან მოვიდა შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი, ვასილ სანოძის მძღოლი და გია ალანიას მიუთითა ორ ახალგაზრდა მამაკაცზე, რომლებიც ჩვენი მანქანიდან დაახლოებით 50 მეტრით იქნებოდნენ დაშორებულნი და მიემართებოდნენ თავისუფლების მოედნისკენ. დავით ქოქიაშვილმა მანქანა გზაზე მიმავალ ორ ახალგაზრდას, წამოწევის შემდეგ, ჩაუყენა წინ. ჩვენ მაშინვე ჩამოვედით მანქანიდან და შევეცადეთ, ჩვენკენ მომავალ ახალგაზრდებს დავხვედროდით წინ. ამ დროს დავით ქოქიაშვილს ქვაფენილზე ფეხი აუცურდა და ისე ძლიერად დაენარცხა, რომ

„ვანო მერაბიშვილი თითოეულს მოგვესალმა. ვასილ სანოძესა და დათა ახალაიას უთხრა, – იცოდეთ, ამ ბიჭების ადგილას თქვენ უნდა იყოთო. შემდეგ ჩვენ მოგვმართა და გვითხრა, – თქვენ არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნებაო“

სუნთქვაც კი შეეკრა. ჩვენ შევეცადეთ მის წამოყენებას, ამ მომენტისთვის ორი ახალგაზრდაც მოგვიახლოვდა და როგორც მახსოვს, ქოქიაშვილის ნამოყენებაშიც კი მოგვეხმარნენ. აღნიშნულის შემდეგ გია ალანიამ მათ აუხსნა, რომ თანამშრომლები ვიყავით და უნდა გამოგვყოლოდნენ. ახალგაზრდებმა თავიდან გაიკვირვეს კიდეც, მაგრამ რაიმე წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩასხდნენ მანქანაში, კერძოდ, უკანა სავარძელში, სადაც მეც მოვთავსდი, დავით ქოქიაშვილი კვლავ საჭესთან დაჯდა, ხოლო გია ალანია – მის გვერდით. გავემართეთ თავისუფლების მოედნისკენ და როცა საქართველოს ბანკის ცენტრალურ ფილიალს მივუახლოვდით, გია ალანიამ მანქანის გაჩერება ითხოვა, რადგან ტელეფონზე დაურეკეს. როგორც ჩემთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, მას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსმა, დათა ახალაიამ დაურეკა... ალანიამ ტელეფონზე ისაუბრა დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში, ხოლო, როცა მანქანაში დაბრუნდა, დავით ქოქიაშვილს უთხრა, გზა გაეგრძელებინა სოლოლაკი-ოქროყანის მიმართულებით. ამაზე ორმა ახალგაზრდამ გამოთქვა პრეტენზია და იკითხა, – რა ხდება, რა გვინდა ოქროყანაშიო. რაზეც ალანიამ უპასუხათ, – დაწყნარდით, ყველაფერი მალე გაირკვევაო“, – ყვება ალექსანდრე ღაჭავა, რომელის თქმითაც, ლევან ბუხაიძე და სანდრო გირგვლიანი მათ ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე მიიყვანეს, სადაც ასევე შემოუერთდნენ კუდ-ის თანამშრომლები – ბიბილურიძე და აფციაური. ღაჭავა ჩვენებაში, ასევე აღნიშნავს, რომ გია ალანია კვლავ პერიოდულად ტელეფონზე ესაუბრებოდა პიროვნებას, რომელიც, მისი ვარაუდით, დათა ახალაია უნდა ყოფილიყო.

„ბუხაიძემ დაიწყო პრეტენზიების გამოთქმა. ახსენებდა ვიღაც ეკას, რომელიც, როგორც ამბობდა, მას უყვარდა და ცოლადაც უნდა მოეყვანა. მე აბსოლუტურად წარმოდგენა არ მქონდა, ვის ზე საუბრობდა ის და მოვუწოდე, გაჩუმებულიყო ვითარების გარკვევამდე, მაგრამ ის დაჟინებით განაგრძობდა ყვირილს და უკვე ჩვენი მისამართით დაიწყო უცენზურო სიტყვების გამოთქმა. ამ დროს ჩვენთან გაჩერდა შავი ფერის „მერსედესის“ მარკის მანქანა, რომლიდანაც გადმოვიდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები – ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე. უეცრად ბუხაიძე წელში შეუვარდა გია ალანიას და წააქცია თოვლში, რის შემდეგაც ორივე ჩავარდნენ გზის გაყოლებაზე არსებულ კანაოში. მე სასწრაფოდ მივვარდი მათ და შევეცადე, მომეშორებინა. ბუხაიძე ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდა, რამაც ჩვენს შორის გაწევ-გამოწევა და ჩხუბი გამოიწვია. ის არ ცხრებოდა, გვაგინებდა და ძიძგილაობდა, რის გამოც, ჩვენ ვეღარ შევძელით დაშოშმინება და მოგვიწია მისი ცემა, რაშიც მე, გია ალანია, დავით ქოქიაშვილი, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე ერთად ვმონაწილეობდით. გასაკვირი ის იყო, რომ მეორე ახალგაზრდა, სანდრო გირგვლიანი არც გაწევ-გამოწევაში და არც გაშველებაში არ ჩართულა. ის შორიახლოს იდგა და თვალყურს გვადევნებდა... გია ალანია პერიოდულად კვლავ განაგრძობდა მობილური ტელეფონით ვიღაცასთან საუბარს. შემდგომში ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ის დათა ახალაიას ესაუბრებოდა. როგორც მივხვდი, სწორედ მისი (დათა ახალაია) სიტყვების შემდეგ მოსთხოვა გია ალანიამ ბუხაიძესა და გირგვლიანს ტანსაცმლის გახდა, ბუხაიძე გამეტებით უარობდა ამ მოთხოვნის შესრულებას, მაგრამ საბოლოოდ მან, როგორც მახსოვს, ქურთუკი და ჯემპრი გაიხადა, ხოლო გირგვლიანმა, რომელთან ახლოსაც მე მომიწია ყოფნა, უცაბედად გაიხადა ქურთუკი და ჯემპრი, გახდილი ტანსაცმელი დაყარა თოვლში და ისე მოულოდნელად გაიქცა სასაფლაოების მხარეს, მე ვერც კი შევძელი მისი შეკავება. მხოლოდ ის მოვასწარი, დამეძახა, – გაიქცა-მეთქი და შევხედე ალანიას შემდეგი მითითების მოლოდინში, რომელმაც მიპასუხა: „გაიქცა და გაიქცესო“... ამ დროს დავინახე, რომ გირგვლიანი სასაფლაოებთან მდგომ ნაძვებს შორის გარბოდა“, – ყვება ალექსანდრე ღაჭავა და იქვე განმარტავს, რომ ამის შემდეგ, ისინი მანქანაში ჩასხდნენ და თბილისისკენ გაემართნენ, ნაცემი ბუხაიძე კი სასაფლაოებთან ფეხზე მდგომი დატოვეს.

ღაჭავას ჩვენებას თუ დავეყრდნობით, მან სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების შესახებ ორი-სამი დღის შემდეგ შეიტყო, როდესაც ბულაჩაურში მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა და გერონტი ალანიამ დაურეკა სიტყვებით: „სვანი ტრუპი ყოფილაო“. ჩვენებაში ღაჭავა იხსენებს დათა ახალაიას სიტყვებსაც: „სხვა გზა არ არის, შენ უნდა წახვიდე ციხეში, რადგან მე სხვა მიზნები, პერსპექტივები მაქვს და ციხეში ვერ ჩავჯდები“. საბოლოოდ გადაწყდა, რომ დანაშაულს თავის თავზე აიღებდნენ ალექსანდრე ღაჭავა, გია ალანია, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე. დავით ქოქიაშვილი თავისუფლებაზე მხოლოდ იმიტომ დარჩა, რომ მას დათა ახალაია არ ენდობოდა, – განმარტავს ღაჭავა, რომელიც ამბობს, რომ კუდ-ის ხელმძღვანელისგან მათ გარანტიები მიიღეს, რომ უყურადღებოდ არ დარჩებოდნენ და მალევე გაათავისუფლებდნენ. ალექსანდრე ღაჭავა, საკუთარ ჩვენებაში მოდულის წინასწარი დაკავების იზოლატორში, ვანო მერაბიშვილის ვიზიტსაც იხსენებს.

„2007 წლის 6 მარტს დათა ახალაიამ შეგვკრიბა მე, ავთანდილ აფციაური, გია ალანია და მიხეილ ბიბილურიძე. გვითხრა, – დღეს უნდა მოხდეს თქვენი დაკავებაო, რის შემდეგაც დათა ახალაია თვითონ ჩამოგვყვა მოდულის შენობის პირველ სართულზე, იზოლატორის შესასვლელთან ჟურნალისტების თანდასწრებით დაგვადო ხელბორკილები, გაგვიყვანეს გარეთ და წაგვიყვანეს გენერალურ პროკურატურაში. საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ, საღამო ხანს გადაგვიყვანეს ისევ მოდულის შენობაში. იმავე საღამოს გაგვიყვანეს დაკითხვების ოთახში, სადაც შემოვიდნენ დათა ახალაია, ვასილ სანოძე და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვანო მერაბიშვილი. ვანო მერაბიშვილი თითოეულს მოგვესალმა და ვასილ სანოძესა და დათა ახალაიას უთხრა, – იცოდეთ, ამ ბიჭების ადგილას თქვენ უნდა იყოთო. შემდეგ ჩვენ მოგვმართა და გვითხრა, – თქვენ არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნებაო“, – იხსენებს კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი.

ამის შემდეგ იყო სასამართლო პროცესები, რომელიც დასრულდა ასეთი განაჩენით: გია ალანია – 7 წელი, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური – 6-6 წელი. ბრალდებულები სასჯელის მოსახდელად ზაჰესის მე-10 ზონაში გადაიყვანეს, საიდანაც 2008 წლის 5 სექტემბერს პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე განთავისუფლდნენ. ალექსანდრე ღაჭავა ყვება, რომ მათ ვერც დაპირებული გარანტიები მიიღეს და არც მათ ოჯახებს აქცევდა ვინმე ყურადღებას. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ალექსანდრე

ღაჭავა, მეგობრის დახმარებით, მუშაობას იწყებს ტრანსპორტის სამინისტროში, რიგით თანამშრომლად, თუმცა ის იძულებული გახდა, სამსახური მიეტოვებინა, ამის მიზეზად კი დათა ახალაიას მუქარას ასახელებს.

„სამსახურის დაწყებიდან ერთ კვირაში მობილურზე დამიკავშირდა კუდ-ის თანამშრომელი დავით კუხიანიძე, რომელმაც მითხრა, რომ დათა ახალაიას უნდოდა ჩემი ნახვა. მე მივედი მოდულის შენობაში და შევედი დათა ახალაიას კაბინეტში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა დაახლოებით ათიოდე პიროვნება. მათგან შემიძლია დავასახელო მეგის და ლევან ქარდავები, გია დგებუაძე, სოსო თოფურიძე, დათო კუხიანიძე... დათა ახალაიამ მისალმებისთანავე მკითხა, რამ გაიძულა სამსახურის დაწყებაო, რაზეც ვუპასუხე: დათა, რამე შემოსავალი ხომ უნდა მქ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლექსანდრე ღაჭავას სკანდალური აღიარება

ადვოკატი: „გარკვეული ინფორმაციებიდან გამომდინარე, ჩვენ მოვითხოვთ, ამ ადამიანებს ჩაუტარდეთ ნარკოლოგიური შემოწმება“

ალანიამ დამირეკა, – სვანი „ტრუპი“ ყოფილაო. დათა ახალაიამ კი მითხრა,-სხვა გზა არ არის, შენ უნდა წახვიდე ციხეში, რადგან მე სხვა მიზნები, პერსპექტივები მაქვს და ციხეში ვერ ჩავჯდებიო

ონდეს-მეთქი. უცბად დათა ახალაიამ მიყვირა, – ვინაა შენი დათაო. წამოხტა და ჩემკენ გამოინია. ამ დროს მეც წამოვხტი, თუმცა დათა ახალაიამ ხელებისა და ფეხების რტყმევა დამიწყო. ჩემდა გასაოცრად ოთახში მყოფებმაც მას მიჰბაძეს და უმოწყალოდ დამიწყეს ცემა. სხვა გზა არ მქონდა, ქურთუკი წავიფარე სახეზე, რათა თავი დამეცვა, თუმცა მათ ძირს დამაგდეს, იატაკზე და მცემდნენ დაახლოებით 5-10 წუთის მანძილზე, სანამ არ დაიღალნენ. ამის შემდეგ, გვერდით დათა ახალაია მომიჯდა და განაგრძო ჩემი დაცინვა. უეცრად მან ე.წ. რეზინის დუბინკა მომხვია კისერზე და თითქოს ჩემს გაგუდვას ცდილობდა. შემდეგ, მაგიდიდან ვიღაცამ „შტიკნოჟი“ აიღო და დამეშუქრა, ფეხის თითი უნდა მოგაჭრაო, თუმცა მხოლოდ ტერფში ჩამარტყა... საბოლოოდ დათა ახალაია დამეშუქრა, შენი სამსახური აღარ გავიგო, იცოდეო“, – ყვება ალექსანდრე ღაჭავა, რომლის თქმითაც იგივე განწყობა აქვთ გირგვლიანის საქმეზე გასამართლებულ გია ალანიას, მიხეილ ბიბილურიძესა და ავთანდილ აფციაურსაც. ისინი თავს მოტყუებულად მიიჩნევენ და თვლიან, რომ სასჯელი მოიხადეს იმ დანაშაულისთვის, რაც რეალურად მათ არ ჩაუდენიათ.

მაშინ ისმის კითხვა – ვინ არის რეალური დამნაშავე და ვინ მოკლა კონკრეტულად სანდრო გირგვლიანი? დათა ახალაიასა და ოლეგ მელნიკოვის ადვოკატები მიიჩნევენ, რომ პროკურატურა მოწმეებზე ზეწოლის გზით ცდილობს მათი დაცვის ქვეშ მყოფების დანაშაულის გამოკვეთას, ამის დასტურად კი არაერთხელ შეცვლილი ჩვენებები მოჰყავთ. „ახალი გამოძიების პერიოდში საქმეში დევს ჩვენებები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ეწინააღმდეგება“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას იურისტი გიორგი ონიანი, რომელიც ალექსანდრე ღაჭავას, გია ალანიას, ავთანდილ აფციაურის, დავით ქოქიაშვილისა და მიხეილ ბიბილურიძის ნარკოლოგიურ შემოწმებას ითხოვს.

გიორგი ონიანი, ადვოკატი:

– თვითონ ბიბილურიძე და ღაჭავა ხელს ადებენ დათა ახალაიას, მაგრამ ამბობენ, რომ უშუალოდ მასთან კი არ უსაუბრია ტელეფონით დათა ახალაიას, ალანიას ურეკავდა ვიღაც და ალანია მას მიმართავდა, როგორც შეფსო. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ დათა ახალაიას ესაუბრებოდა ტელეფონით შემთხვევის დროსო. პირველ ჩვენებებში ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ გირგვლიანისთვის ხელი არავის დაურტყამს სასაფლაოზე, ისე გაექცათ. დავით ქოქიაშვილი მის პირველ ჩვენებაში ამბობს, რომ საერთოდ არ გადავსულვარ მანქანიდანო. ანუ ოთხი ადამიანი ვარაუდობს, რომ ეს ყველაფერი იყო არა ალანიას, არამედ დათა ახალაიას მიერ დაგეგმილი. კითხვაც კი არა აქვს დასმული გამოძიებას, როგორ დასრულდა ეს კონფლიქტი, ვინმემ დანა ხომ არ მოიქნია, სისხლი ხომ არ შეუმჩნევიათ გირგვლიანზე? გამოძიებას ეს არ აინტერესებს, მკვლელობის დეტალებს უყურებს, მაშინ, როდესაც საქმეში უდევთ ექსპერტიზის დასკვნა, რომ გირგვლიანს ყელის არეში ბასრი საგნით ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ამ ჩვენებებიდან საერთოდ არ ირკვევა მკვლელობის მომენტი და შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე დღემდე გაუხსნელია. უბრალოდ, ამ ადამიანებს ათქმევინეს, რომ გირგვლიანისა და ბუხაიძის ოქროყანაში აყვანა დაგეგმა დათა ახალაიამ.

– ანუ თავად ბრალდების მოწმეებითაც არ ირკვევა, ვინ მოკლა რეალურად სანდრო გირგვლიანი?

– მე კი არ მინდა ვთქვა, ასეთი მოცემულობაა პროკურატურის მიერვე შედგენილ საქმეში. პირველად რომ ჩამოართვეს ჩვენებები, იქ ამბობდნენ, რომ წელს – ზევით გახდა მოსთხოვეს გირგვლიანს და ბუხაიძეს და ამ დროს, გირგვლიანი შემთხვევის ადგილიდან უცებ გაიქცა. შევყვირეთ ალანიას, – ბიჭო, გაიქცაო, რაზეც მან გვიპასუხა, – ერთი მაგისიც, გაიქცა და გაიქცესო. ამის შემდეგ, ამავე პირებს შეაცვლევინეს ჩვენებები, სადაც უკვე სხვაგვარად ალაპარაკდნენ. იგივე დათო ქოქიაშვილი, მას შემდეგ, რაც ციხეში ჩასვეს, უკვე ახალ ჩვენებაში ამბობს: კი, დავინახე, რომ ალანია ურტყამდა გირგვლიანსო. პირველ ჩვენებაში ამბობს, რომ მანქანიდან არც კი გადმოვსულვარო, ორი კვირის მერე კი აცხადებს, რომ არ მახსოვდა და რეალურად მანქანიდან ვიყავი გადმოსულიო. სხვა პირებიც თუ ამბობდნენ, რომ ხელი არ გაურტყამთო, ახლა ამბობენ, კი, დავინახეთ, რომ წამოარტყაო. მაგრამ მკვლელობა როგორ მოხდა, კვლავ პასუხგაუცემელი რჩება. ხომ გაირკვა, რომ ეს ადამიანი კი არ გაიყინა, არამედ ყელის არეში დაჭრა ვიღაცამ. აი, ვინ არის ის ვიღაც – ეს ახლანდელი გამოძიებითაც არ დგინდება. ფაქტია, რომ ადამიანს ხორხი აქვს დაზიანებული. დღემდე არ არის გარკვეული, ვინ და რა პირობებში მოკლა გირგვლიანი. საზოგადოების დაცინვაა, ეს საქმე უკვე მერამდენედ გამოაცხადო გახსნილად და რეალური სურათი კვლავ ბუნდოვანი დარჩეს.

– ღაჭავა და სხვა ფიგურანტებიც ამბობენ, რომ მათი ციხეში გაშვება თავიდან ბოლომდე დათა ახალაიას დადგმული სპექტაკლი იყო..

– არ ვიცი, რა სპექტაკლზე საუბრობენ ეს ადამიანები, მაგრამ ძალიან ადამიანური მომენტია, როდესაც უწყების ხელმძღვანელი დანაშაულში მხილებულ მის თანამშრომლებს დაპატიმრებამდე შეხვდეს და სინანული გამოხატოს. როდესაც ამჟამინდელი შს მინისტრის მოადგილე, გელა ხვედელიძე დააკავეს, დარწმუნებული ვარ, თავად მინისტრი ინახულებდა მას, აუხსნიდა, რომ ამიტომ და ამიტომ უნდა მოხდეს შენი დაკავება. ეს იმას ნიშნავს, რომ რამე სპექტაკლი დაგეგმა ღარიბაშვილმა საკუთარი დანაშაულის აცილების მიზნით? ცხადია, არა და სწორედ ამ მიდგომით ხელმძღვანელობდა დათა ახალაიაც, როდესაც ის პირები მოინახულა და შეატყობინა, რომ მათ მოუწევდათ ციხეში წასვლა.

– ალექსანდრე ღაჭავა საკუთარ ჩვენებაში ამბობს იმასაც, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის დაიბარეს დათა ახალაიას კაბინეტში და ფიზიკურად გაუსწორდნენ...

– აქედან პირდაპირ ჩანს, რომ არაფრით არ შეიძლება ღაჭავას ჩვენების გაზიარება, ვინაიდან, თუკი ის მართლაც სცემეს, როგორც თავად ამბობს, გამოდის, რომ მას პირადი შურისძიება ამოძრავებს, არის განაწყენებული და მისი ჩვენება ცხადია, დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. რაც შეეხება იმას, მართლაც სცემეს თუ არა, თუკი ეს მოხდა, ამაზე ცალკე უნდა დაიწყოს გამოძიება. ადამიანის ფიზიკური შეურაცხყოფა ხომ დანაშაულია? რატომ არ გამოიყო და რატომ არ აღიძრა საქმე ალექსანდრე ღაჭავას ცემის ფაქტზე? ცალსახაა, რომ თვითონ გამოძიებასაც არ სჯერა ამ ადამიანის ჩვენებების, რადგან ყოველდღიურად ის საკუთარი, ან ვინმე სხვისი შეხედულების მიხედვით ცვლის ამ ჩვენებებს. პროკურატურა თითოეული დაკითხვის შემდეგ მათ ამატებინებს მისთვის სასურველ დეტალებს. მაგალითად, ქოქიაშვილი ხან ამბობს, მელნიკოვმა ყურში უჩურჩულა რაღაც ალანიას, ხან – ყურში კი არ უჩურჩულა, თვალით ანიშნა ამ ორ პიროვნებაზეო. და ერთსაც გეტყვით, გარკვეული ინფორმაციებიდან გამომდინარე, ჩვენ მოვითხოვთ, ამ ადამიანებს ჩაუტარდეთ ნარკოლოგიური შემოწმება.

– ანუ რაზე მიანიშნებთ?

– ჩვენ გვაქვს ინფორმაციები, რომელსაც ამჟამად ვერ გავახმაურებ, თუმცა მოვითხოვთ, ჩაუტარდეთ მათ ნარკოლოგიური შემოწმება. კარგი იქნება, თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ადამიანებს გადაიყვანს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე და საქმეს დაურთავს დასკვნას. მე არ ვსაუბრობ ჭორის დონეზე.

– და თუკი მათ ნარკოტიკების მოხმარება დაუდგინდათ, ეს რას ცვლის?

– ეს საქმეში არაფერს შეცვლის, მაგრამ, როდესაც პროკურატურა აპელირებს სამი ადამიანის ჩვენებით, საზოგადოებამ ხომ უნდა იცოდეს, ვინ არის ეს სამი პირი, არიან თუ არა ისინი ნარკოტიკების მომხმარებლები და რამდენად გასაზიარებელია მათი მონათხრობი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



სალომე ზურაბიშვილი: „ვფიქრობ, ირაკლი ალასანია ძალიან კარგი საპრეზიდენტო კანდიდატი იქნებოდა და ასეთ შემთხვევაში, ალბათ, არც მე დავაყენებდი ჩემს კანდიდატურას“

ხათუნა მგალობლიშვილი

საკუთარი პოლიტიკური კარიერის მანძილზე სალომე ზურაბიშვილი, სავარაუდოდ, უკვე მეორედ ახსენებს სიტყვა „ქაჯებს“ და ასე დატოვებს ქართულ თუ ქაჯურ პოლიტიკურ სცენას. უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ნაციონალებმა სულ ცოტა ხნის წინ გამონაკლისი დაუშვეს და ეს გამონაკლისი დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრია. პოლიტიკაში ექსკლუზიურად მისთვის განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილების შედეგად მოსული ოლიგარქი იგივე პრობლემებს უკვე საკუთარ თანამოქალაქეს უქმნის. თუმცა დაპირება აშკარად საპირისპირო იყო – ევროპის დემოკრატიით გაკვირვება. ეს, როგორც ჩანს, ყველას გადაგვავიწყდა. საფრანგეთის მოქალაქეობის გამო სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება არ ეძლევა. სხვათა შორის, ცვლილებები კონსტიტუციაში დაგეგმილიც იყო და განხილულიც. უბრალოდ, მათი „რეალიზაცია“, ანუ კენჭისყრა, ვერ მოესწრო პარლამენტში. თავად ზურაბიშვილი დარწმუნებულია, რომ დირექტივა უშუალოდ ივანიშვილისგან მოდის და თუ რატომ აწყობს „ოცნებას“ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის არდაყენება, ამას თავად პოლიტიკოსი მარტივად ხსნის...

სალომე ზურაბიშვილი:

– შეფასებებისას მე გამოვდივარ შედეგებიდან. ფაქტია, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. ეს არის პროცესი, რომელიც მართულია და ვფიქრობ, ჩემ მიმართ საკმაოდ დიდი შიში არსებობს. თუმცა მე ვარ მარტო, ყველამ იცის, რომ პარტია, რომელიც მხარს მიჭერს ფინანსურად, არ არის ძლიერი. თუ შიში არ არის, მაშინ რა საჭირო იყო ასეთი აჟიოტაჟი? მთელი ორი თვეა, არ ვყოფილვარ საქართველოში, მაგრამ არ ჩამოვსულვარ ეკრანებიდან. ანუ არის ძალიან დიდი ინტერესი ჩემ მიმართ. შეიძლია ვთქვა, რომ ეს პროცესები მაინც მართულია ივანიშვილისგან. კოალიციაში ძალას ან ჯგუფს, რომელიც დამოუკიდებლად მართავს პროცესებს, ვერ ვხედავ. ყოველ შემთხვევაში ამის ნიშნები გარედან არ ჩანს. პირიქით, ვხედავ უფრო მორჩილ და მართულ პარტიებსა და მათ ლიდერებს, ვიდრე გამოკვეთილად დამოუკიდებლად მოქმედ ლიდერებს. ვინც დამოუკიდებლად სცადა ნაბიჯების გადადგმა, ვნახეთ, რაც მოუვიდა. სწორედ ეს მაძლევს საშუალებას, ვთქვა, რომ ეს არის ივანიშვილის ხედვა. მე ვიქნები თუ არა კანდიდატი, ეს არ არის დამანგრეველი ქვეყნისთვის, მაგრამ მსგავსი პრობლემების შექმნით სხვა ნიშნები ფიქსირდება ქვეყანაში. ეს კი ჩემთვის და ქართული დემოკრატიისთვის ძალიან მძიმე ნიშნებია. ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ სამართლიანი არჩევნების შესახებ განცხადება – ეს არ არის მხოლოდ ფასადი და სიტყვები. მე ხელისუფლებისგანაც ვეღოდი, რომ ცესკოს უკანონობას შესაბამისი რეაქცია მოჰყვებოდა. კანონის მიმართ უნდა ეთქვათ სიმართლე. ვენეციის კომისიის წარმომადგენლებს აინტერესებთ სიმართლე, რაც ხდება რეალობაში. ამიტომაც მე ოფიციალურად მივმართავ იუსტიციის სამინისტროსა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, მიანოდოს მათ ეს ოფიციალური ინფორმაცია.

– ვის ინტერესებში შედის თქვენი კანდიდატურის დაბლოკვა?

– ყველას ინტერესში. ყველამ ვიცით, როგორ შეირჩა უმრავლესობის კანდიდატი. მას თურმე ნდობა იმიტომ უნდა გამოვუცხადოთ, რომ ენდობა პრემიერი. დემოკრატიულ ქვეყანაში ეს არ არის განმსაზღვრელი კრიტერიუმი, მით უფრო საპრეზიდენტო არჩევნებისას. რაც შეეხება დავით ბაქრაძეს, ისიც ფასადური კანდიდატია. მისმა გუნდმა იცის, რომ არანაირი შანსები არ აქვს მათ კანდიდატს. უბრალოდ, სურთ, რომ მინიმალური ადგილი დაიჭირონ პოლიტიკაში. ეს არის კანდიდატი, რომელიც მოდის არა გამარჯვებისთვის, არამედ ბოდიშებს იხდის და ირწმუნება, რომ არაფერი არ დაუშავებია, არაფერი არ გაუკეთებია და არაფერზე არ არის პასუხისმგებელი. ამბობს, რომ ერთადერთი, რაზეც პასუხისმგებელია, ეს არის სამხედრო ბაზების გაყვანა. თურმე იმ დროს ბაქრაძე ევროინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელი იყო. ამ პოსტზე მყოფ ადამიანს კი არანაირი კომპეტენცია არ ჰქონდა ამ მოლაპარაკებებში. ასე რომ, მისი ეს განცხადება სასაცილოა. რაც შეეხება მესამე კანდიდატს, ის მოდის აბსოლუტურად პოპულისტური და დემაგოგიური თემებით. რეალურად არც ერთ კანდიდატს არ აქვს ის წონა, რომელიც ამომრჩევლისთვის გადამწყვეტი გახდება. სამივე კანდიდატს აწყობს, რომ არ არსებობდეს მათ გარდა სხვა კანდიდატი, რომელიც საკითხებს აბსოლუტურად სხვანაირად დააყენებს. არითმეტიკულადაც არავის აწყობს ჩემი კანდიდატურა, რადგან ვიცით, რომ ძალიან ბევრი ამომრჩეველი სახლში დარჩება, თუ მე არ მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში.

– რამდენად განსხვავდება უმრავლესობის კანდიდატი დანარჩენებისგან?

– მარგველაშვილი საკმაოდ არაცნობილია ფართო საზოგადოებისთვის და პირადი პრინციპების ნაკლებად მატარებელი პიროვნებაა. ბუნებრივია, ეს ბევრს მეტყველებს იმაზე, რა ტიპის პრეზიდენტის დატოვება უნდა ივანიშვილს, მით უფრო მაშინ, როცა თავად წასვლას აპირებს, თანაც ჩემთვის ძალიან გამაკვირვებელი მუქარით, რომ, თუ ქართული საზოგადოება მარგველაშვილს არ აირჩევს, ის არც ფულს დახარჯავს და არც თავად აღარ დარჩება პოლიტიკაში. ჩემთვის ორმაგად იყო ეს გასაკვირი, რადგან მე მართლაც დავუჭირე მხარი ამ ძალას და მეგონა, ის მოდიოდა იმ ღირებულებებით, რაზეც აპელირებას აკეთებდნენ. დღეს ვხედავ, რომ ეს ღირებულებები რეალობა არ ყოფილა. კანონის უზენაესობა და ინსტიტუციური დემოკრატიულობა – ამ ყველაფერს თუ ძირი გამოეცალა, გაურკვეველია, რა დღეში ჩავარდება ქვეყანა, რომელიც დღეს რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაშია, არაფერი რომ აღარ ვთქვა რთულ სოციალურ ვითარებაზე. მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში, რაც იყო მთავარი მიზანი – სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განვითარება შეჩერებულია და უფრო მეტიც, მიდის უკუსვლა. რა პარლამენტი გვეყოლება, როცა ის დაკარგავს ლეგიტიმურობას? როგორ უპასუხებს ის ქვეყნის გამოწვევებს, რა კანონებს მიიღებს, რა ნდობა და ლეგიტიმურობა ექნება... ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ძალიან სწრაფად იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ვერც ახალი პრემიერი და ვერც პრეზიდენტი, მით უფრო, ვერც პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც არის სრულიად მორჩილი, ვერ დაუდგება წინ სახალხო მოთხოვნას რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე. იმ დღესვე, როგორც კი პოლიტიკიდან წავა ბიძინა ივანიშვილი, კოალიციის ლეგიტიმურობის საკითხი დაისმება. კოალიცია მხოლოდ ივანიშვილის გამოა არჩეული.

– ეს მაშინ, თუ ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა...

– მგონი, „თუ“ აღარ არსებობს. ის აპირებს წასვლას, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა მზად არ არის. მისი გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ ვერ გაიგო დემოკრატიის საფუძვლები. დღეს თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ არჩეულია, ეს არის ივანიშვილი. როცა არჩეული პიროვნება ამბობს, რომ პოლიტიკიდან და თანამდებობიდან წავა მაშინ, როცა ეს მას მოუნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიული მანდატის არაფერი ესმის. ეს, სხვათა შორის, არც სააკაშვილს ესმოდა, როდესაც საკუთარი პრეზიდენტობის ვადა გაიგრძელა და ასევე, იყო პარლამენტიც, როდესაც ვადა გაიხანგრძლივა. რეალურად სწორედ ეს არის დემოკრატიის ქვაკუთხედი. მე, ამომრჩეველი, გაძლევ ხმას ამდენი წლით, შენ კი, პოლიტიკოსი, ვალდებული ხარ, შენი ვადის გასვლის შემდეგ ანგარიში ჩააბარო ამომრჩეველს და უთხრა, რა შეასრულე მიცემული დაპირებებიდან; რაც ვერ შეასრულე, რა მიზეზით ვერ გააკეთე ეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია წასვლა. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რა გამოაცხადა ივანიშვილმა. თუ დემოკრატიაში არსებობს რაიმე წმინდა, სწორედ კანდიდატის მიმართ პატივისცემაა. ეს ამომრჩევლის მიმართ პატივისცემის ტოლფასია და არა ის, რომ დაემუქრო ხალხს: თუ ჩემს კანდიდატს არ მისცემთ ხმას, ფულს აღარ მოგცემთ, აღარ დავხარჯავ ჩემს ქონებას თქვენი კეთილდღეობისთვის, ქველმოქმედებისთვის, როგორც ეს ივანიშვილმა გააკეთა. ისე, მსგავსი განცხადება სწორედ რომ მოსყიდვაა ამომრჩევლის ტვინის. ამაში დემოკრატიული არაფერია.

– პრემიერმა განაცხადა, ჩემი ვალდებულებები შევასრულეო. მიგაჩნიათ, რომ მართლაც ასეა?

– რა შეასრულა? თუ ის იმიტომ მოვიდა, რომ სააკაშვილი გაეგდო, ეს სხვა რამეა.

– თუმცა ამ აზრს, ალბათ, ოპონენტები კოჰაბიტაციის პროცესს დაუპირისპირებდნენ...

– არც მასეა. კოჰაბიტაციის უცხოელებზე გადაბრალება პრემიერის მხრიდან, ასევე, მიუღებელია. ეს არის პასუხისმგებლობის მოხსნა. ეს ხელისუფლება მოვიდა იმ პირობით, რომ უნდა აღედგინა სამართლიანობა. მე მგონი, ეს არასწორი დაპირება იყო, რადგან მთავარია კანონის უზენაესობა და არა სამართლიანობა, რომელიც იურიდიული ტერმინი სულაც არ არის, ის ცნებაა. თუმცა პირობა დაიდო და ვფიქრობ, ის უნდა შესრულებულიყო იმ ზომით, როგორც ეს მათ შეეძლოთ. მათ უცხოელებისთვის უნდა აეხსნათ, რა იყო დაპირება და არ უნდა დამალულიყვნენ. ასევე, საკუთარი ხალხისთვის უნდა აეხსნათ, რატომ არ სრულდებოდა ყველა დაპირება. ეს არის ქვეყნის მართვა და არა დემაგოგიურად დაპირებების გაცემა და შემდეგ მათი არშესრულება. ახლა კი ქვეყანას ივანიშვილი ტოვებს ჰაერში და თანაც საკმაოდ აგრესიულ მდგომარეობაში. როცა ქვეყანა ელოდება რაღაც გაუგებარ სამართლიანობის აღდგენას და არავინ არ უხსნის, რა შეიძლება მოხდეს კანონის ჩარჩოებში, ბუნებრივია, ასეთ დროს მოლოდინი ყოველთვის გადაჭარბებული იქნება. ასეთ დროს ნებისმიერი სხვა დემაგოგი რომ მოვიდეს და ახალი დაპირებები მისცეს ამომრჩეველს, ის სწორედ იმ ახლისკენ მიბრუნდება. ეს ქვეყნის სტაბილურობისთვის ძალიან ცუდია. „ნაციონალური მოძრაობა“ ჩემთვის წარსულია, დღეს ერთადერთი მთავარი არის ის, რომ პასუხი აგონ იმ ნაციონალებმა, რომლებიც რეალურად იყვნენ დამნაშავეები. როდესაც დავით ბაქრაძე გამოდის და ამბობს, მე არანაირი პასუხისმგებლობა არ მაქვსო, შეიძლება ეს მე პიროვნულად მჯეროდეს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. უნდა გაირკვეს, ვინ არის პასუხისმგებელი იმ დანაშაულებზე, რაც ამ წლების განმავლობაში ხდებოდა. ეს არ არის აუცილებელი მხოლოდ საზოგადოებისთვის, ეს თავად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისთვისაც მნიშვნელოვანია. მხოლოდ ამით შეძლებენ მათი წევრები იურიდიულად განთავისუფლებას. ჩვენ წინ უნდა წავიდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ ანგარიშსწორებაზე ვიფიქრებთ და ამასობაში ეს ქვეყანა საერთოდ დაინგრევა.

– დასაწყისში ახსენეთ შიში, რატომ არის თქვენ მიმართ ასეთი შიში?

– როგორც ერთხელ მიშამ თქვა, მე ვარ ამრევი და მგონი, ძალიან კარგადაც დამახასიათა. მე არ შევდივარ გარიგებებში, გათვლებში, ვერავინ ვერ მომისყიდის, ვერც ქონების 90%-ით მათ შორის, ვერც ზენოლა ვერ იქნება ჩემი წარსულის გამო... ამ ძა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ

ლიან არეულ სიტუაციაში მე მაქვს ნდობის საკმაოდ მაღალი კოეფიციენტი, თანაც არა ვინმესგან გადმოცემული, არამედ ხალხის მიერ მინიჭებული.

– ფიქრობთ, რომ კოალიციაშიც სააკაშვილის მსგავსად ფიქრობენ თქვენზე?

– ალბათ... იგივე მიზეზის გამო, რომ არსებობს ნდობა ჩემ მიმართ და ხალხი არის გაუთვლადი იმის გამო, რომ არჩევანი არ არის. ძნელია ჩემთვის ამის თქმა, მაგრამ საკმარისია, გახვიდეთ ხალხში და დასვათ კითხვა: ვის აძლევთ ხმას? ალბათ, ძალიან ბევრი იტყვის, რომ აირჩევდა სალომე ზურაბიშვილს. არა იმიტომ, რომ მე ვარ ძალიან კარგი, არამედ იმიტომ, რომ, უბრალოდ, არჩევანი არ არის.

– თუ თქვენ არ დაგარეგისტრირებენ, ეს ამომრჩეველი ვის მისცემს ხმას?

– თუ მე არ დამარეგისტრირებენ, ამომრჩევლები, რომლებიც ჩემთვის აპირებენ ხმის მოცემას, საერთოდ არ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში. ჩემი ამომრჩეველი ხმას არ მისცემს ნინო ბურჯანაძეს. საკმაოდ ძნელი გასათვლელია, შეიძლება ძალიან მცირე ნაწილი, რომელიც თავის დროზე დავით ბაქრაძის მხარეს იყო, მას დაუბრუნდეს, მაგრამ დიდი ნაწილი მაინც სახლში დარჩება. თუმცა ეს სულ სხვა რამეს ნიშნავს. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში შეიძლება ნინო ბურჯანაძემ გაიმარჯვოს, და მას ამის დიდი შანსი აქვს, რადგან სტრუქტურულად, ფინანსურად ძლიერი სხვა პარტია არ არის. პარტია, რომელმაც კოალიციაში დისკრედიტაცია არ განიცადა, ან „ოცნების“ ფონზე, საერთოდაც, არ გაქრა, არ არსებობს. რაც შეეხება დავით ბაქრაძეს და მის პარტიას, სანამ არ მოხდება სასამართლო წესით მათი გამართლება, განახლება, დამნაშავე წევრების გარეშე, შანსი არ ექნება. ამიტომ საქართველოს ის ნაწილი, რომელსაც სურს სხვა რამის თქმა, გაქრება. საზღვრებს გარეთ კი საქართველო გამოჩნდება, როგორც უკრაინა. ჯერ ერთი, უკვე ვჩანგართ, როგორც ბარბაროსები, გიჟები, რომლებიც ჯვრებით დავრბივართ, ბურჯანაძის გამარჯვებით კი გამოვჩნდებით პრორუსული ძალის მიმდევრებად, რაც საქართველოში არ მომხდარა, თვით საბჭოთა პერიოდშიც კი.

– ანუ ბურჯანაძეს საზღვარგარეთაც პრორუსულ ძალად აღიქვამენ?

– სხვათა შორის, სააკაშვილის დროს ყოველთვის ვიცავდი ბურჯანაძეს, როცა რუსეთის ჯაშუშობას აბრალებდნენ. სწორად არ მიმაჩნია მსგავსი ბრალდებების წაყენება, მტკიცებულებების გარეშე. თუმცა როცა ბურჯანაძე მოსკოვში ჩავიდა, პუტინს შეხვდა და დაესწრო სამხედრო ლონისძიებას, თანაც ომის შემდეგ და ამას აკეთებს როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, ანუ არანაირი მანდატის მქონე, ეს რას ნიშნავს? იმას, რომ მას აინტერესებდა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სტატუსი. კადრები პრეზიდენტთან, რომელიც მას ამაღლებდა. გამოდის, საკუთარი ქვეყნის ინტერესები საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებში გაცვალა. ეს მიუღებელია და დღეს ის ხმამაღლა ამბობს, რომ არ უნდა გვრცხვენოდეს საკუთარი ორიენტაციის გამო. ამ ყველაფრის შემდეგ იძულებული ვარ, მისი ორიენტაცია ვაღიარო.

– თუ გაქვთ ინფორმაცია, როგორია თქვენი რეიტინგი?

– ეს შეგიძლიათ, მარტივად შეამოწმოთ ამომრჩეველთან გასაუბრებით. სხვა რეიტინგები მე არ გამაჩნია, არ ჩამიტარებია არანაირი კვლევები, რადგან ამას საკმაოდ სერიოზული ფინანსები სჭირდება. რაც შეეხება „ოცნების“ რეიტინგს, ის სასაცილოა.

– მიგაჩნიათ, რომ ის რეალური არ არის?

– თუ ის წინასწარაა დადებული იმიტომ, რომ გვეუბნებიან, რა შედეგით დასრულდება საპრეზიდენტო არჩევნები, მაშინ გასაგებია, რატომაც არის ისეთი, როგორიც არის.

– ფიქრობთ, რომ მეორე ტური იქნება?

– არა მგონია, რომ ბურჯანაძე პრეზიდენტობისთვის იბრძოდეს, ის იბრძვის მეორე ადგილისთვის. ბურჯანაძეს დღევანდელი პრეზიდენტობა ნაკლებად აინტერესებს, ეს ფაქტია. მით უფრო, მარგველაშვილი არის ადამიანი, რომელიც მას არაფერში შეეწინააღმდეგება. მე პრეზიდენტის პოსტი მაინტერესებს იმისთვის, რომ პრეზიდენტი იქნება მთავარი შემაკავებელი იმ საფრთხეების, რაც შეიძლება ანი წამოვიდეს. მე ქვეყნის მართვა არ მინდა. აი, ბურჯანაძეს რეალურად მართვა სურს, მას უნდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ასეთი ადგილი არის პრემიერის პოსტი, რომელიც მალე განთავისუფლდება. თუ გადავხედავთ ივანიშვილის გარემოცვას, დავინახავთ, რომ იქ ძლიერი ფიგურა არავინ არ არის. უკვე აღვნიშნეთ, რომ საპარლამენტო არჩევნებიც მალე იქნება... მარგველაშვილი წინ ვერ აღუდგება მოსახლეობის ამ მოთხოვნას. შეიძლება ცოტა ხნით გადადონ, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებს მალე მივიღებთ.

– ანუ თქვენ ამბობთ, რომ ბურჯანაძე პრემიერობისთვის და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის რეალურად ემზადება?

– მეორე ადგილზე გასული ძალა დამკვიდრდება, როგორც რეალური ოპოზიცია და სწორედ ამისთვის ამზადებს ბურჯანაძე სტრუქტურებს. რეალურად ის მუშაობს არა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, არამედ თვითმმართველობისა და საპარლამენტო არჩევნებისთვის. ორივე არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. რომელი გაიმართება უფრო ადრე, ამას ბურჯანაძისთვის არ აქვს მნიშვნელობა.

– თქვენც მიიღებთ მონაწილეობას თვითმმართველობის არჩევნებში?

– ვერ გეტყვით... მე მივიღე გადაწყვეტილება, ყველაფერი დავტოვე და ჩამოვედი საქართველოში. სხვათა შორის, მე ყოველთვის გულდაწყვეტილი მივდივარ ხოლმე, ისევე როგორც წავიდა ნიკო ნიკოლაძე. როდესაც ვხვდები, რომ ჩემი ქვეყნისთვის ვერაფერს ვაკეთებ შიგნით, ვცდილობ, ქვეყნიდან გავიდე და შორიდან გავაკეთო რაიმე სასიკეთო. დღეს ვერ ვიტყვი დაზუსტებით, რომ შევქმნი პოლიტიკურ ძალას, ან ამის შესაქმნელად რაიმე საშუალება მექნება – მე არ ვიცი, საზოგადოება როგორ განეწყობა ამ პროცესების შემდეგ.

– თქვენ დიდ დროს ატარებთ საზღვარგარეთ, გაქვთ შეხება დიპლომატიურ კორპუსთან, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან, როგორია მათი დამოკიდებულება ახალი ხელისუფლების მიმართ?

– სხვათა შორის, თავიდანვე იყო ეჭვები, თუმცა ეს უფრო სააკაშვილის ლობისტების მიერ გავრცელდა. ახალმა ხელისუფლებამ არაფერი არ გააკეთა იმისთვის, რომ ეს ეჭვები გაქარწყლებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ამის ბევრი საშუალება არსებობდა. თეა წულუკიანის ვიზიტი იყო წარმატებული. არ ვიცი, რა წარუდგინა წულუკიანმა, რა ფაქტები გააცნო, თუმცა ფაქტია, რომ დადებითად იმოქმედა, თუმცა ამის შემდეგ არანაირი ნაბიჯი აღარ გადადგმულა. საქართველოს პრემიერი არის საფრანგეთის მოქალაქე. მას რომ სურვილი გასჩენოდა, საფრანგეთში ოფიციალურ ვიზიტზე უარს არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა. როდესაც შენ მიმართ არსებობს ეჭვები და ეს ეჭვები ბუნებრივად მოდის ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე, სწორედ ევროპულ ქვეყნებში უნდა განეხორციელებინა ვიზიტები. ის კი ჩავიდა ევროსაბჭოში. დღეს ევროსაბჭო და მისი საპარლამენტო ასამბლეა არის ადგილები, რომლებსაც რეალური პოლიტიკური დატვირთვა არ გააჩნია. რაც შეეხება საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს, ისინი ძალიან იმედგაცრუებულები არიან.

– შეიძლება, რომ მარგველაშვილმა მათი ხმები ვერ მიიღოს?

– მარგველაშვილს მათი მხარდაჭერა არანაირად არ ექნება. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ამ მიმართულებით ხელისუფლება არც მუშაობს. ამ ადამიანებს არავინ არანაირი ყურადღება არ მიაქცია. არ მესმის, რატომ არის ასეთი დისკრიმინაციული დამოკიდებულება ემიგრანტების მიმართ, რომლებიც ისედაც საკმაოდ რთულ მდგომარეობაში არიან.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად მოახერხებს კოალიცია ერთიანობის შენარჩუნებას ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ?

– კოალიცია არ დაიშლება იმ პირობით, თუკი ივანიშვილი ერთად ყოფნისთვის გადაუხდის მათ ძალიან დიდ თანხებს, თუმცა პოლიტიკური პარტიების ბუნებრივი მიმართულებაა, რომ არჩევნებისას იბრძოლონ. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ კოალიცია ადგილობრივ არჩევნებზე ერთად გასვლას ვერ შეძლებს, ეს წარმოუდგენელია. მით უფრო, რომ კარგად მახსოვს, როდესაც ოპოზიციური ერთობა გვქონდა, რა ომები მიმდინარეობდა საარჩევნო სიების შედგენისას. ალბათ, ყოველთვის, ყველა კოალიციაში ასე იყო ხოლმე. ადგილობრივი არჩევნებისთვის ეს ბრძოლა ასმაგდება ხოლმე. მით უმეტეს, ისეთი კოალიციისთვის, რომელიც იძულებით არის ერთად. შეიძლება ივანიშვილმა ფინანსებით შეძლოს მათი ერთობის შენარჩუნება გარკვეული პერიოდით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში არჩევნებზე კოალიცია აუცილებლად წააგებს, რადგან კოალიცია ივანიშვილის გარეშე უფრო ნეგატივის მატარებელია. სწორედ მათთან იქნება ასოცირებული შეუსრულებელი დაპირებები და ხალხი მათ მოსთხოვს პასუხს, დაუსვამს კითხვებს, – რა გაგვიკეთეთ? ეს საკმაოდ მძიმე ნეგატივია, რომელიც კიდევ უფრო დამძიმდება. თანაც ისე, რომ ამ დაპირებების შესრულების იმედი აღარ იქნება. ცალ-ცალკე მყოფი პოლიტიკური პარტიები შეეცდებიან, დამოუკიდებლად სცადონ საკუთარი პარტიის რეინკარნაცია.

– როგორ შეაფასებთ ივანიშვილის გადასვლას საზოგადოებრივ სექტორში?

– ეს არაფერს არ ნიშნავს. ეს არის პასუხისმგებლობის მოხსნა. ჩემთვის ეს უფრო სცენარია სხვა ძალებისთვის ძალაუფლების გადაბარებისა... მართალია, ჩემთვის მიუღებელია გამუდმებით კონსპირაციული შეთქმულებების არსებობა, თუმცა ეჭვები თავიდანვე მქონდა იქიდან გამომდინარე, რომ მე ვიყავი მათთვის მიუღებელი და ეს არ მესმოდა. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მე პირადად არასოდეს გამომითქვამს სურვილი კოალიციაში შესვლის, რადგან ყოველთვის მირჩევნია დამოუკიდებლად ყოფნა. მაგრამ მაინც უცნაური იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აქცენტი ივანიშვილმა დასავლური ორიენტაციის, ჩემთვის მისაღებ ძალებზე გააკეთა და მათ შორის მე არ ვიყავი. მართალი გითხრათ, დიდად ამაზე არც მიფიქრია. ახლა უკვე ცხადია, მიჩნდება კითხვები, რადგან საუბარია ევრაზიულ კავშირზე. ფაქტია, იქმნება პრობლემა, თითქოსდა ძალიან მარტივ წესებზე, როგორიც არის საპრეზიდენტო კანდიდატის დარეგისტრირება. არის მცდელობა, გაცოცხლდეს ის ძალა, რომელიც საქართველოში დამოუკიდებლად ვერ გაცოცხლდებოდა. ეს არის ის საკითხები, რომელიც თავისთავად ძალიან ბევრ კითხვას აჩენს ყველაფრის მიმართ.

– რატომ არ უჩნდება ეს კითხვები და რატომ არ რეაგირებს ამ ყველაფერზე ირაკლი ალასანია, მით უფრო, რომ ის შიგნით არის და ყველაფერს ახლოდან ხედავს?

– არ ვიცი. ირაკლი ალასანიამ, მგონი, ძალიან დიდი შანსი გაუშვა ხელიდან. ალასანია იმ მომენტში რომ გასულიყო კოალიციიდან, როცა საჯარო შეურაცხყოფა მიაყენეს და დასთანხმდა საკმაოდ მიუღებელს, ბევრად მოიგებდა. ვფიქრობ, პოლიტიკა არის ის, რომ უნდა გქონდეს დროის შეგრძნება. საქართველოში მამაკაცი, რომელიც საკუთარი ოჯახის ღირსებას არ იცავს და ამით აძლევს ნიშანს, რომ შეიძლება მისთვის სავარძელი უფრო მნიშვნელოვანი იყოს, კარგავს ძალიან ბევრს. ეს რომ არ მომხდარიყო, ვფიქრობ, ირაკლი ალასანია ძალიან კარგი საპრეზიდენტო კანდიდატი იქნებოდა და ასეთ შემთხვევაში, ალბათ, არც მე არ დავაყენებდი ჩემს კანდიდატურას.

– მას დაუჭერდით მხარს?

– ალბათ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!

სიახლე ავიაკომპანია აირზენასგან!

1 აგვისტოდან

ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომელ ტელეკომპანიებს ემუქრებათ დახურვა?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

„ქართული ოცნება“ ტელევიზიების შესაძლო დახურვაზე ალაპარაკდა

ირაკლი ტრიპოლსკი: „თუ გაგრძელდა ის გეზი, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს აღებული, ტელევიზიები საჭირო აღარ იქნება“

როგორც ჩანს, მედია, განსაკუთრებით კი სატელევიზიო სივრცე, კიდევ დიდხანს დარჩება პოლიტიკური ბრძოლის ავანსცენად. ამ სექტორში გადანაწილების პროცესი ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ ექსპერტებიც კი გაანალიზებას ვერ ასწრებენ. არჩევნებიდან ცოტა ხანში „იმედი“ კვლავ პატარკაციშვილებს დაუბრუნდა, „მაესტროზე“, საკადრო გადაადგილებებთან, ერთად ფინანსური პრობლემები იქმნება, ბიძინა ივანიშვილმა უკვე მეორედ დახურა საკუთარი არხი, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება „რუსთავი 2“-ის წილების საკითხი, რომლის გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას დეპუტატი თინა ხიდაშელი საგამოძიებო კომისიის ფარგლებში დაკითხვაზე იბარებს, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კი უკვე მეორედ გადაირჩია დირექტორის თანამდებობიდან გიორგი ბარათაშვილი... რა ხდება და რა შეიძლება მოხდეს ქართულ ტელესივრცეში? ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ყოფილ ხელმძღვანელსა და ამჟამად პარლამენტის წევრს („ქართული ოცნებიდან“) ირაკლი ტრიპოლსკის ესაუბრა. ინტერვიუ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარე პროცესების შეფასებით დავიწყეთ.

ირაკლი ტრიპოლსკი, საპარლამენტო უმრავლესობა:

– სიტყვებიც არ მყოფნის, როგორ შეიძლება ასე იქცეოდეს სამეურვეო საბჭო. სულ ზეწოლაზეა საუბარი, თუმცა დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი მხრიდან არავითარი ზეწოლა არ ხდება. სამწუხაროდ, დაბნეული ვარ და მართლა ვერ გავიგე ვერაფერი, არ ვიცი. რაღაც რეფორმა ჩაიფიქრეს, საინფორმაციო სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელი ხათუნა ბერძენიშვილი დააწინაურეს და რატომღაც, იმის გამო, რომ ის საინფორმაციო სამსახურს ჩამოაშორეს, სამეთვალყურეო საბჭომ უკანონოდ გაათავისუფლა არხის დირექტორი, რომელიც მოგვიანებით სასამართლომ აღადგინა. მესამე კლასის ბავშვიც მიხვდება, რაშია საქმე. ახლა, როგორც ვიცით, შეჩერდა თუ ვადა გაუვიდათ კვესიტაძისა და პაიჭაძის გადაცემებს. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, როგორც ვიცი, შეიძლება აღარ აღმდგარიყო ეს გადაცემები. ამას მოჰყვა მეორეჯერ დირექტორის განთავისუფლება.

– პაიჭაძისა და კვესიტაძის გადაცემების დახურვას უკავშირებთ ბარათაშვილის მისამართით მიღებულ გადაწყვეტილებას?

– ალბათ. მე ასე მგონია. აბა, სხვა ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ, იმიტომ რომ სამეურვეო საბჭოს ამდენი ხანი ხმა არ ამოუღია, ამდენი ვალები რომ აქვს მაუწყებელს, რატომ არაფერს ამბობდნენ? საინტერესოა, სად წავიდა ეს თანხები. 14 თუ 21 მილიონზეა საუბარი და ბარათაშვილი რა შუაშია ამ შემთხვევაში?

– ანუ თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ სამეურვეო საბჭოს ამ გადაწყვეტილების უკან პოლიტიკური მოტივი დგას?

– რა თქმა უნდა, პოლიტიკური კონიუნქტურაა, ჩემი აზრი ასეთია...

– სამეურვეო საბჭოს პოზიცია იყო, რომ ახალი სეზონის სატელევიზიო ბადე გიორგი ბარათაშვილს არ წარმოუდგენია და იქ იყო საუბარი ფინანსურ კოლაფსთან დაკავშირებით და შესაძლებელია, ხელფასების გაცემაზეც კი შექმნილიყო პრობლემები...

– მერე რა, ეგ გიორგი ბარათაშვილის ბრალია? არა მგონია, რომ ბარათაშვილის ბრალი იყოს, რადგანაც, როგორც ვიცი, ბარათაშვილმა წარადგინა ფინანსური დოკუმენტაცია. ბადეც წარადგინა, ის ფინანსური კოლაფსი, რაზეც არის საუბარი, მე ნელან ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, – ვიცი, რომ ვალი აქვს საზოგადოებრივ მაუწყებელს ძალიან დიდი და საიდან დაგროვდა ეს ვალი, კაციშვილი არ კითხულობს ამას.

– თვითონ გიორგი ბარათაშვილი რამდენად ართმევდა თავს სიტუაციას?

– მე რასაც ვუყურებდი, ნორმალურად იყო ყველაფერი, თორემ რეიტინგით ყველაზე დაბალი რეიტინგის მქონე ტელევიზიაა საზოგადოებრივი მაუწყებელი, იყო და რჩება ასევე. რაღაც სწორდებოდა, მე მგონი, ახალი პროექტები იყო, საინფორმაციო სამსახური შეიცვალა, რომ შეხედავდით, ობიექტურ რაღაცებს ნახავდით. არც ერთ მხარეს არ იხრებოდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი და გადავდექი იმის გამო, რომ ვხედავდი, რაშიც იყო საქმე. რა ზეწოლა იყო და რანაირად ხდებოდა საერთოდ. პიროვნულად ჩემთვის მსგავსი რამე მიუღებელია. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.

– პირადად თქვენ როდესაც იყავით ბორდის ხელმძღვანელი, ზეწოლა იყოო, ამბობთ... კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს ყველაფერი?

– პირდაპირ ჩემთან არ ყოფილა სატელეფონო ზარები, თქვენ ახლა არ იფიქროთ, რომ მე გულადი კაცი ვარ და იმიტომ არ იყო. როგორც იმართებოდა ტელევიზია, როგორიც იყო დირექცია და საინფორმაციო სამსახური, როგორც ხდებოდა ეს ამბავი, მით უფრო რამდენიმე არჩევნებს დაემთხვა ჩემი იქ ყოფნა და ამ ყველაფერს ხომ ვხედავდი?.. ყველაფერს ემჩნეოდა ტენდენციურობა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება იყო თუ რაც. მე ამას ვხვდებოდი. მემჩნევა, რომ ქვებს ვისვრი და გიჟი ვარ? აბა, რატომ გადავდექი იქიდან? გადავდექი იმიტომ, რომ ვერავის ვერ შევაგნებინე და ვერ გავაგებინე ვერაფერი... ათასი მიზეზი არსებობდა, ამიტომაც ავდექი და გადავდექი. ვხედავდი, რომ უძლური ვიყავი, რადგანაც რამდენიმე ადამიანი ვიყავით 9-კაციან საბჭოში. მიუხედავად იმისა, რომ ორი ხმა მქონდა მე, როგორც თავმჯდომარეს, ვატყობდი, რომ არანაირ ბერკეტს არ ვფლობდი. ახლა თითქოს შეიცვალასავით ეს ყველაფერი, მაგრამ ისევ ისე მოხდა და გაუგებარია ჩემთვის.

– როგორ აფასებთ სამოქალაქო სექტორის ინიციატივას, „მეცხრე არხთან“ დაკავშირებით, ისინი პრემიერს სთავაზობენ, რომ სააქციო საზოგადოებას გადასცეს არხი...

– არასწორად ვაფასებ, „მეცხრე არხი“ ჩემი აშენებულია და მე ვიყავი პირველი დირექტორი. სულ რამდენიმე ხანი ვიყავი და აქედანაც მალე გადავდგები, ალბათ. ეს არის კერძო საკუთრება. რას ნიშნავს სამოქალაქო სექტორისთვის გადაცემა, არ მესმის. ბევრი რამ არსებობს ამ ქვეყანაში, რომელსაც საზოგადოებრივი ინტერესი აქვს. მაშინ შევიკრიბოთ ახლა ვიღაცები და რომელიმე პრობლემურ კერძო სტრუქტურას ვუთხრათ, – მოდი, შენ რატომ გაქვს ეს და საზოგადოებას მოგვეციო. მე მგონი, ასე არ უნდა ხდებოდეს. ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი არ იყო და ნახევარი საქართველო ააშენა, მაშინაც მის ფულზე იყო ლაპარაკი და ახლაც ივანიშვილის ფულზეა საუბარი. იმ კაცს თავისი აზრი აქვს, თავის შეხედულება აქვს და მე ის მიმაჩნია სწორად, რომ პრემიერ-მინისტრს არ უნდა ჰქონდეს თავისი ტელევიზია და არ უნდა იყენებდეს. არ იყენებდა, მაგრამ ეჭვი მაინც არსებობდა.

– ანუ დახურვის გადაწყვეტილებასაც სწორად აფასებთ?

– რა თქმა უნდა, თუ ამ კუთხით მიუდგებით, სწორია, მაგრამ თუ იმ კუთხით მიუდგებით, რომ იქ ადამიანები მუშაობდნენ და იქიდან 50%-ზე მეტი ჩემი ძველი თანამშრომელია, რა თქმა უნდა, გული მწყდება, რომ უმუშევრად დარჩნენ. საერთოდ კი, ამდენი ტელევიზია საქართველოში საჭირო არ არის. ერთი კარგი ტელევიზია უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და ერთი-ორი კერძო ტელევიზია. რამდენი არხია, აბა, ჩამოთვალოთ, 14-15 არხია, უძლებს ამას სარეკლამო ბაზარი? ვინმეს დაუთვლია, რით ცხოვრობენ ისინი?

– შესაძლებელია, მოხდეს ტელევიზიების დახურვა?

– როგორც კი პოლიტიკური ინტერესი გაითიშება ამ ტელევიზიებიდან, ეს შესაძლებელია. შეხედეთ, აბა, რა ჯდება ტელევიზიები და საიდან მოდის ეს „სიამოვნება“? წლების განმავლობაში ეს პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენდა და საიდანლაც ფინანსდებოდნენ ისინი, თუმცა კაციშვილმა არ იცოდა, საიდან... ახლა ვითომ კანონია, რომ უნდა იყოს გახსნილი, ვინ არის მფლობელი და ა.შ. მაგრამ არავინ არ იცის, საიდან ფინანსდება და ვისგან ფინანსდება... ერთადერთი ადამიანი იყო ივანიშვილი, რომელიც ღიად ამბობდა, რომ ის აფინანსებდა და ნუ, პატარკაციშვილის ტელევიზია. დანარჩენი ტელევიზიები, მითხარით, ვისგან ფინანსდებოდა? მე აქ მხედველობაში არ მაქვს აქუბარდიას „კავკასია“, რომელიც პატიოსნად, თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ფინანსდება და ამიტომაც ის ბევრ რამეში, სუფთა ეკონომიკური საკითხიდან გამომდინარე, კონკურენციას ვერ უწევს სხვა ტელევიზიებს. თუ გაგრძელდა ის გეზი, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს აღებული (რომ უნდა ნავიდეთ მართლა დემოკრატიისკენ და უნდა იყოს დემოკრატიული არჩევნები), ტელევიზიები საჭირო აღარ იქნება, აღარ იქნება საჭირო, რომ ადამიანებს ტვინი გამოურეცხონ. ისინი ბუნებრივად დაიხურებიან. დავითვალოთ რამდენია სარეკლამო შემოსავალი, რამდენი ტელევიზიაა და ნახავთ, რომ ერთი, ორი ან სამი ტელევიზია შეიძლება იყოს სარეკლამო ბაზარზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით სერგეენკო: „ჩვენ ასე გულ

my View
თამარ გორთამაშვილი

იაშვილის კლინიკის ირგვლივ განვითარებული მოვლენები შესაძლოა, სოფელ ჭელაში, მინარეთის დემონტაჟის შემდგომ ხელოვნურად პროვოცირებული რელიგიური დაპირისპირების გაგრძელების მცდელობა იყოს – ჯანდაცვის მინისტრი თავის პირად მოსაზრებას „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურად აცნობს და საკუთარი ვარაუდის საფუძვლად, კლინიკის თურქი მმართველის ალოგიკური ქმედებები მოჰყავს. რა შედეგით დასრულდა კლინიკის თურქ მმართველთან შეხვედრა და რას გეგმავს მინისტრი, რომლის პოზიციამაც იაშვილის კლინიკის თანამშრომლები კმაყოფილი დატოვა. ამ და სხვა თემებზე „პრაიმტაიმის“ კითხვებს დავით სერგეენკო პასუხობს.

დავით სერგეენკო:

– იაშვილის სახელობის კლინიკა არის დიდი გაერთიანების შემადგენელი ნაწილი, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს იმ სერვისების აბსოლუტურ უმრავლესობას, რაც სჭირდება ბავშვთა სამედიცინო მომსახურებას. მოხდა ის, რომ დაახლოებით ორი კვირის წინ კლინიკის მფლობელმა გადაწყვიტა ამ საკუთრების გასხვისება. ამ მხრივ, არანაირი კითხვა არ არსებობს, ეს მოქმედება კანონიერი იყო თუ არა. ის მისი მფლობელია და შეუძლია, გაასხვისოს, ან მოიქცეს ისე, რის საშუალებასაც კანონი აძლევს, თუმცა, ზოგადად, მიღებულია, რომ ასეთი მსხვილი ინფრასტრუქტურისა და ქვეყნისთვის მართლაც სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის შემდგომი ბედ-იღბალი კოორდინირებული უნდა იყოს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემასთან, რაც არ მომხდარა. ამაშიც არ არის დიდი ტრაგედია, შეიძლებოდა ეს შემდგომ პროსპექტიულად დაგვერეგულირებინა, მაგრამ ამ გარდამავალ პერიოდში, როდესაც, გასხვისების სრული პროცედურები ჯერ კიდევ არ იყო შესრულებული, კლინიკაში შევიდა ადამიანი, რომლის სახელი და გვარიც კი არ ვიცი. ის მხოლოდ სიტყვიერად ადასტურებდა, რომ იყო გარკვეული კომპანიის წარმომადგენელი და შესვლისთანავე მოახერხა და მთლიანად ჩაშალა სამკურნალო პროცესი. მან სამედიცინო პერსონალის აგრესია გამოიწვია. ობიექტური იყო ეს თუ სუბიექტური, ამას შესაბამისი სტრუქტურა იკვლევს, მაგრამ მივიღეთ ის, რომ დადგა რეალური საფრთხე პაციენტებისთვის სამედიცინო სერვისების მიწოდების მხრივ. შესაბამისად, ჩვენ ასე გულგრილად ამას ვერ შევხედავდით. მინისტრის პირველი მოადგილე უშუალოდ იყო ჩართული მოლაპარაკებაში და ეს პროცესი არცთუ ისე ცუდად მიდიოდა. თუმცა, ამ ადამიანმა, რომელმაც ჯერ მხოლოდ სიტყვიერად გაგვაცნო თავი (ჩვენ ისიც არ ვიცით, რეალურად ამ კომპანიის წარმომადგენელია თუ არა), ვერანაირი დოკუმენტაცია ვერ წარმოგვიდგინა. არანაირი დოკუმენტი არ გვინახავს, რომ ის რეალურად აპირებდა ამ 20 მილიონის ინვესტირებას, ეს მხოლოდ სიტყვიერად იყო ნათქვამი. ამას, რა თქმა უნდა, ვერ დავუშვებდით. ამ ადამიანს ავუხსენით, რომ ასეთი მოქმედება არ შეიძლება და ის უნდა მოიქცეს ამ ქვეყნის კანონების შესაბამისად. ვთხოვეთ, წარმოედგინა რწმუნების სიგელები, წარმოედგინა თავისი ხედვა, გეგმები, წერილობითი შემოთავაზება, რომელსაც განვიხილავდით და ამაზე დავშორდით. ახლა სწორედ ამ სტადიაზე ვართ.

– თურქი ინვესტორი ამბობს, რომ, თუ ვერ მოაგვარებს სიტუაციას, შესაძლოა, გაიტანოს ინვესტიცია. ამ შესაძლებლობას თუ განიხილავთ და რა იქნება თქვენი შემდგომი მოქმედება?

– პირველ რიგში, ჩემი თხოვნა იქნება, ნუ განვაზოგადებთ ამ ერთი კონკრეტული ადამიანის ქმედებას და გარკვეულ აქტივობებს ზოგადად თურქეთის სახელმწიფოსთან და თურქულ ინვესტიციებთან. რეალურად, არც კი ვიცი, ვინ არის ეს ადამიანი. გაგვეცნოს, წარმოადგინოს დოკუმენტაცია, წარმოგვიდგინოს წერილობით დადასტურებული თავისი ხედვა და დიდი სიამოვნებით განვიხილავთ ყველა შესაძლებლობას. რაც შეეხება იმას, გაიწვევს თუ არა უკან ინვესტიციას, ეს მათი გადასაწყვეტია.

– თქვენ ერთ-ერთ კომენტარში თქვით, რომ პროცესები მართული იყო, რა იგულისხმეთ ამაში?

– პროცესი მართულია თუ არა, ამის მოკვლევას სჭირდება შესაბამისი კომპეტენცია და ამ საქმეზე ავტორიზებული სტრუქტურების მუშაობა. თუმცა ჩემი პროფესიაც ის არის, რომ გარკვეული სიმპტომების ამოცნობითა და შეჯერებით ვიმსჯელო, რა პროცესი დგას ამ ყველაფრის უკან. იმდენად, რამდენადაც აბსოლუტურად აუხსნელი და ალოგიკური იყო ასეთი აგრესია თანამშრომლების მიმართ, მათ ღირსებასა და განსაკუთრებით მრწამსზე, რომ ჩემი შეხედულებითა და იმ სიმპტომებით, რომელიც გამოიკვეთა, ეს დავაკავშირე რელიგიურ ნიადაგზე იმ ხელოვნურ დაპირისპირებასთან, რისი რამდენიმე პრეცედენტიც იყო წინა დღეებში, ვგულისხმობ სოფელ ჭელაში განვითარებულ მოვლენებს... სხვა მხრივ, ვერაფრით ვერ ავხსნი ამას, არანაირი სხვა ახსნა მე არ მაქვს.

– არანაირი კითხვა არ არსებობს, რამდენად კანონიერად მოხდა იაშვილის კლინიკის გასხვისება? ჰქონდა თუ არა გარკვეული ვალდებულებები მის მფლობელს და ჩაითვლება თუ არა უკანონოდ გასხვისების პროცესი, თუკი აღმოჩნდა, რომ ეს ვალდებულებები ბოლომდე არ იყო შესრულებული?

– რაც შეეხება არსებულ ვალდებულებებს, რომელიც ფურცელზეც არის დატანილი, ამას სწავლობენ შესაბამისი ორგანოები და ჩვენი რეაგირება იქნება იმის შესაბამისი, თუ რა დასკვნას გამოიტანენ ისინი ამ საქმიდან.

– სადაზღვევო კომპანიების თემას მინდა შევეხოთ. ცოტა ხნის წინ პრემიერმაც გააკეთა განცხადება, რომ ვითარება რთულია და სადაზღვევო კომპანიებმა რეალობას ანგარიში უნდა გაუწიონ. რა გახდა პრობლემის წარმოშობის მიზეზი და როგორ აპირებთ სიტუაციის გამოსწორებას?

– საყოველთაო ჯანდაცვის დაწყებამდე, ანუ 2013 წლის 28 თებერვლამდე, ჩვენ გვქონდა შემდეგი სურათი – საქართველოს მოსახლეობის ნახევარი სარგებლობდა სამედიცინო დაზღვევით. ამ დაზღვევის 90%-ზე მეტი იყო სახელმწიფო დაზღვევა და შესაბამისად 10%-ზე ნაკლები – კორპორაციული დაზღვევები. იმ თანხიდან, რაც იხარჯებოდა დაზღვევაზე, 90%-ზე მეტს იხდიდა სახელმწიფო, კერძო სადაზღვევო კომპანიები კი ასრულებდნენ არა კერძო ბიზნესის მოთამაშეების როლს, არამედ სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებლების, ადმინისტრატორების ფუნქციას. როდესაც შარშან ოქტომბერში, სტრატეგიული განვითარების დაგეგმარება დავიწყეთ, ჩვენ ღიად შევთავაზეთ და ვუთხარით კერძო სადაზღვევო ინდუსტრიის წარმომადგენლებს, რომ პროექტებს განახორციელებს ის, ვინც შეძლებს, მაქსიმალურად ეფექტურად იმუშაოს, იქნება, ეს კერძო სექტორი თუ სახელმწიფო სექტორი. ჩვენ არანაირი დოგმატური მიდგომა არ გვქონდა, რომ მაინცდამაინც ყველა აქტივობა ჩამოგვერთმია მათთვის და სახელმწიფოს განეხორციელებინა. ამ თვეების განმავლობაში ჩვენ დავინახეთ, რომ ეს პრობლემები ვერ გვარდება. პირველ რიგში, ვგულისხმობ სახელფასო დავალიანებებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კლინიკების თითქმის 95% არის კერძო მფლობელობაში ამ გაუთავებელი სახელფასო დაგვიანებების გამო სამედიცინო პერსონალი მოგვმართავს ჩვენ – ჯანდაცვის სამინისტროს. ისინი ამას აბსოლუტურად სწორად აკეთებენ, რადგან, საბოლოო ჯამში, ჩვენ ვართ პასუხისმგებლები სამედიცინო სერვისების უწყვეტობაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ, ამ მხრივ, ვერ დავინახეთ ეფექტური მართვა. სადაზღვევო კომპანიების პოზიცია იყო ასეთი, რომ ისინი ეფექტური მენეჯერები არიან, მაგრამ წინა მთავრობის მიერ, ორი წლის განმავლობაში (2010-დან 2012 წლამდე), მათ, მათივე ნების გარეშე, დაეკისრათ ახალი ვალდებულებები, რომელიც მოიცავდა ინფრასტრუქტურულ ვალდებულებებს და ასევე, ორ ახალ პროგრამას – სოფლის ექიმსა და რეგიონულ სასწრაფოებს. შესაბამისად, ამ ახალმა ვალდებულებებმა, მათი პროექტები გახადა ზარალიანი და შეუძლებელი შეიქნა მათი შემდგომი ოპერირება. ჩვენ მათ შევთავაზეთ ღია თანამშრომლობა და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. დიდი ხანია მუშაობს უწყებათაშორისი კომისია, რომელიც განიხილავს ამ საკითხებს. გარდა ამისა, ახლა შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც უფრო ინტენსიურად, დეტალურად განიხილავს ამ პრობლემებს. მთავრობის ამოცანაა, პირველ რიგში, უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოება და ეცადოს, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი კერძო ბიზნესს, თუმცა არავითარ შემთხვევაში თავისი მოქალაქეების ჯანმრთელობის ხარჯზე და დღეს გვაქვს ის, რაც გვაქვს! – პერმანენტული გაფიცვები, დაგვიანებული ხელფასები, მთელი საქართველოს მასშტაბით, დღეში 50-დან 60-მდე შეუსრულებელი სასწრაფო დახმარების გამოძახებები. მანქანები ვერ გადიან გამოძახებაზე, იმიტომ რომ სასწრაფოების არაეფექტური მართვაა და ტექნიკური ბაზაც ამკარად ამორტიზებულია.

> „ჩვენ ვიცავთ კანონს და ვერაფრით ვერ დავეთანხმები ამ ადამიანს, რომ ეს არის მიზანმიმართული თავდასხმა და ისევ და ისევ ვთხოვ მას, ასეთი მძიმე ბრალდება გაამყაროს შესაბამისი მტკიცებულებით“

– გამოსავალი რა არის ამ სიტუაციიდან?

– გამოსავალი არის ის, რაც არაერთხელ გვითქვამს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ძირითადი საბაზო სერვისების მიწოდება თავისი მოქალაქეებისთვის. ამას უკვე ვაკეთებთ მოსახლეობის 50%-ზე და მალე გადავალთ 100%- ზე.

– რას უპასუხებთ სადაზღვევო კომპანია „არქიმედე გლობალ ჯორჯიას“ წარმომადგენელთა ბრალდებას, რომ ინვესტიციის მიზანმიმართული შევიწროება ხდება?

– ნებისმიერ ბრალდებას სჭირდება დასაბუთება. კიდევ ერთხელ მინდა დავაზუსტო, რომ ესენი არ არიან ებრაელი ინვესტორები, ეს არის „არქიმედეს“ ერთი, ეროვნებით ებრაელი კომპანიონი და დამფუძნებელი. ბრალდებას სჭირდება დასაბუთება და მე მათ ვთხოვდი, რომ თუ ასეთ ბრალს მდებენ, წარმოადგინონ შესაბამისი დასაბუთება. რეალურად რაც ხდება, მე შემიძლია მოკლედ გითხრათ, თუმცა ეს არის სხვა სახელმწიფო უწყების ფუნქცია, კერძოდ, სადაზღვევო კომპანიებზე ზედამხედველობის სამსახურის, რომელიც სწავლობს მდგომარეობას. მოხდა ისე, რომ „არქიმედეს“ დაუგროვდა მრავალი თვის დავალიანება სამედიცინო დაწესებულებების მიმართ. შესაბამისად, ეს დაწესებულებები, არა თუ ხელფასს ვერ უხდიან თავის თანამშრომლებს, არამედ უკვე ვეღარ ყიდულობენ სახარჯ მასალას და მედიკამენტებს. ზოგ შემთხვევაში კომუნალური გადასახადების ფულიც არ რჩებათ. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კანონით დაწესებული ფინანსური პარამეტრები, „არქიმედეს“ შემთხვევაში, იყო დარღვეული. ასეთ სიტუაციაში, კანონი მოითხოვს, რომ იქ შევიდეს იძულებითი მმართველი, რომლის ფუნქციაც არის ერთადერთი – ხელი შეუწყოს ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებას, დაეხმაროს კომპანიას, წარმატებით განაგრძოს თავისი აქტივობა და არა ის, რომ განახორციელოს თავდასხმა და ხელოვნურად შეაფერხოს ამ კომპანიის მუშაობა. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ასეთ სიტუაციაში კომპანიაში იძულებითი მმართველის შესვლა, არის საერთაშორისო პრაქტიკა და არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში ამას არ განიხილავენ აგრესიად და მიზანმიმართულ თავდასხმად. ჩვენ ვიცავთ კანონს და ვერაფრით ვერ დავეთანხმები ამ ადამიანს, რომ ეს არის მიზანმიმართული თავდასხმა და ისევ და ისევ ვთხოვ მას, ასეთი მძიმე ბრალდება გაამყაროს შესაბამისი მტკიცებულებით.

– რაც შეეხება საყოველთაო დაზღვევას, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი?

– წინასწარი რისკების გათვლით, რაც ჩვენ გავაკეთეთ, საყოველთაო ჯანდაცვა მიდის საშუალო და დაბალ რისკებს შორის ზონაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცესი მიდის წარმატებით. გამომდინარე იქიდან, რომ საუბარია დაახლოებით 2 მილიონი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვაზე, არის გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც თავიდან უფრო მეტი იყო, თუმცა – მცირდება. ნებისმიერ პროექტს აქვს თავისი ტექნიკური ხარვეზი და სწორედ ამის გათვალისწინებით ვამბობ, რომ ეს არ არის იდეალური, მაგრამ ეს არის წარმატებული პროექტი, რომლითაც უკვე ათეულ ათასობით ადამიანმა ისარგებლა.

> „ასეთი მსხვილი ინფრასტრუქტურისა და ქვეყნისთვის მართლაც სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის შემდგომი ბედ-იღბალი კოორდინირებული უნდა იყოს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემასთან, რაც არ მომხდარა“



რატომ უკავშირებს დავით სერგეენკო იაშვილის კლინიკის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს მინარეთის სკანდალს

– C ჰეპატიტის პროექტთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, რომელსაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რა ბედი ეწია ეგვიპტური კომპანიის შემოთავაზებას, საქართველოში ეგვიპტური წარმოების მედიკამენტის შემოტანის თაობაზე, რომელიც გაცილებით იაფია, ვიდრე დღეს აქ არსებული მედიკამენტები... რატომ ვერ შედგა შეთანხმება ამ კომპანიასთან?

– ამ შემთხვევაში მიზეზი ძალიან მარტივია. ეს, სუფთა სამედიცინო, კლინიკური საკითხია და არაფერი არ აქვს საერთო ადმინისტრირებასთან და მით უმეტეს პოლიტიკასთან. საქმე ისაა, რომ C ჰეპატიტს გააჩნია თავისი ქვეჯგუფები, გამომწვევები, რომელსაც გენოტიპებს უწოდებენ. ყველა ქვეყანას აქვს თავის პრევალირება, თავისი ინდივიდუალური სურათი, თუ რომელი ტიპის გენოტიპი სჭარბობს. საქართველოში ეს არის პირველი ტიპის გენოტიპი, რომელიც არის შემთხვევების 2/3. არის ასევე მეორე ტიპის გენოტიპი, რომელზეც შემთხვევების 1/3 მოდის. ყველა ქვეყანას, მათ შორის ეგვიპტეს, ეს სურათი განსხვავებული აქვს. ეგვიპტეში უმეტესად, 75%-ზე მეტი არის მეოთხე ტიპის გენოტიპი. ის ეგვიპტური წარმოების წამალი, რომელიც ფასით დაბალია, მოქმედებს მხოლოდ მეოთხე ტიპის გენოტიპზე, რომელიც საქართველოსთვის საერთოდ არ არის აქტუალური. შესაბამისად, ამ ეგვიპტური წამლის საჭიროება აქ რეალურად არ არსებობს და არამცთუ უფრო იაფად, საერთოდ უფასოდაც რომ იყოს, მისი გამოყენება არაფრის მომტანია. ეს სუფთა სამედიცინო საკითხია და პოლიტიკასთან არაფერი ესაქმება. რაც შეეხება ზოგადად ამ პროექტის მიმდინარეობას, მოგახსენებთ, რომ იშვიათია ქვეყანა, რომელმაც შეძლო C ჰეპატიტით დაავადებული ყველა პაციენტის სრულყოფილი მოვლა. მძლავრი ეკონომიკის ქვეყნებს შეუძლიათ, რომ გააკეთონ შედარებით დიდი მოცვა, თუმცა 100%-იანი არც ერთ ქვეყანას არ აქვს. საქართველოს შემთხვევაში, პირველი ჩართული ჯგუფი, რომელიც სახელმწიფოსგან თანადაფინანსებით დახმარებას იღებდა და დღესაც იღებს, ეს არის ჰეპატიტით დაავადებული ადამიანები, რომლებსაც იმავდროულად აქვთ „შიდსი“ ან გადანერგილი ორგანო. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მათ ეხმარება მკურნალობაში. პირველი სექტემბრიდან მოხდა ამ პროექტის მეორე გაფართოება, როდესაც სახელმწიფომ დაიწყო დაფინანსება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ანუ პატიმრების დიაგნოსტიკა და მკურნალობა. საბედნიეროდ, პატიმრების რაოდენობა პროცენტულად თუ პროპორციულად ბევრად ნაკლებია, ქვეყნის რაოდენობასთან შედარებით, შესაბამისად, ბიუჯეტი ბევრად ნაკლები დასჭირდა. თუმცა ამ მნიშვნელოვანმა გაფართოებამ, რომელიც პირველ სექტემბერს დაიწყო, მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ უშუალო მოლაპარაკებებით მწარმოებელ ფარმაკოლოგიურ კომპანიებთან, მნიშვნელოვნად, რამდენჯერმე შეგვემცირებინა ფასი და ამ ძირითად მედიკამენტზე მიწვდომადობა. მოლაპარაკება დაწყებულია და უკვე სრულდება კიდეც. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ, ალბათ, მინიმუმ 10 000 ადამიანისთვის მედიკამენტის ღირებულება მნიშვნელოვნად შევამციროთ. მე არ მინდა კონკრე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ᲒᲠᲘᲚᲐᲓ ᲐᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲮᲔᲓᲐᲕᲓᲘᲗ“

„იმდენად, რამდენადაც აბსოლუტურად აუხსნელი და ალოგიკური იყო ასეთი აგრესია თანამშრომლების მიმართ, მათ ღირსებასა და განსაკუთრებით მრწამსზე, რომ ჩემი შეხედულებითა და იმ სიმპტომებით, რომელიც გამოიკვეთა, ეს დავაკავშირე რელიგიურ ნიადაგზე იმ ხელოვნურ დაპირისპირებასთან, რისი რამდენიმე პრეცედენტიც იყო წინა დღეებში, ვგულისხმობ სოფელ ჭელაში განვითარებულ მოვლენებს... სხვა მხრივ, ვერაფრით ვერ ავხსნი ამას“

„ᲜᲣ ᲒᲐᲜᲕᲐᲖᲝᲒᲐᲓᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲔᲑᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲣᲚ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲗᲐᲜ. ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲐᲠᲪ ᲯᲘ ᲕᲘᲪᲘ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ“

EXCLUSIVE

ტული ციფრები ვთქვა, მაგრამ ეს იქნება ჯერადობით შემცირება. შესაბამისად, რამდენჯერაც შემცირდება მედიკამენტის ფასი, ზუსტად იმდენჯერ გაიზრდება მიწვდომადობა. ეს ამ ეტაპზე არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავაფინანსებთ ამ წამალს, მაგრამ რამდენჯერმე შევამცირებთ ჩვენი მოქალაქეების დანახარჯებს. 2014 წლიდან მოსალოდნელია მესამე გაფართოება, როდესაც ჩართულობის ახალი კრიტერიუმებით პროექტში ჩაერთვება მოქალაქეების დიდი ჯგუფი, რომელსაც ასევე სახელმწიფო დაუფინანსებს მკურნალობას. გვაქვს ასევე ამბიციური გეგმა, რომ 2016 წლამდე, ისევე როგორც ტუბერკულოზისა და „შიდსის“ შემთხვევაში, უნივერსალურად მიწვდომადი, ანუ ყველასთვის მიწვდომადი გავხადოთ C ჰეპატიტის მკურნალობა.

– როგორც გავიგეთ, სტომატოლოგიურ კლინიკებში შედის მონიტორინგი... ეს ჰეპატიტის პრევენციისთვის კეთდება?

– მათ შორის ამისთვისაც. შარშანდე ჯანდაცვის განვითარების სტრატეგიაში ჩვენ გამოვყავით სამი ძირითადი მიმართულება, როგორიც არის წვდომადობა, ხარისხი და ფასი. ჩვენ ვმუშაობთ სამივე ამ მიმართულებაზე. ხარისხის კონტროლი მოიცავს არა მხოლოდ იმას, კონკრეტული ქირურგიული ოპერაცია რამდენად კარგად გაკეთდა, არამედ, ზოგადად, სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლს, მათ შორის ინფექციების გავრცელებაზე ხარისხის კონტროლს. ეს ჩვენი სტრატეგიის ერთ-ერთი ნაწილია და მხოლოდ C ჰეპატიტის გავრცელების პრევენციის გამო არ გაგვიკეთებია. ხარისხის კონტროლი გამოიხატება არა მხოლოდ იმაში, რომ იქ მონიტორინგის ჯგუფები შევლენ, არამედ იმაში, რომ მოხდება ლიცენზირების პირობების დახვენა, რომელიც დღეს ზედმეტად ლოიალურია. სტომატოლოგიური კაბინეტის გახსნა დღეს პრაქტიკულად ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, რაც ცალსახად დაუშვებელია. ვეცდებით, რომ მინიმალური კრიტერიუმები დავაწესოთ და ამის შემდეგ მონიტორინგის ჯგუფებმა შეამოწმონ ისინი.

– სამუშაო წელი მთავრდება, ხართ თუ არა თქვენი უწყების მუშაობით კმაყოფილი, სად დარჩა ხარვეზები და არის თუ არა რაიმე ახალი პროექტები, რომლებსაც გეგმავთ?

– არის რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, თუმცა ამ პროექტების განხორციელება შესაბამის რესურსებს მოითხოვს. ერთ-ერთი პროექტი მთლიანად ონკოლოგიის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებასა და შეფასებას გულისხმობს. 9 სექტემბერს ჩამოდის ჯგუფი, რომელთანაც ამერიკაში ვიზიტისას მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი და ამ ყველაფრის წარმართვაში დაგვეხმარებიან. ასევე არსებობს მთელი საქართველოს მასშტაბით პრევენციული და ადრეულ ეტაპზე დაავადებათა კონტროლის ეფექტურობის გაზომვის პროგრამა. ახლა ეფექტურობა მერყეობს 0,5-დან 3 პროცენტამდე, მაშინ როდესაც სამიზნე 30 პროცენტი უნდა იყოს.

ახალი პროექტია ინტეგრალური განფასების სისტემის შექმნა, რომელიც გაამარტივებს ადმინისტრირებას. დღეს განფასების ინტეგრირებული ერთიანი სისტემის არარსებობა, ადმინისტრირების პროცესს ძალიან ართულებს.

მიმდინარე პროექტია ექიმთა შემდგომი განათლების სისტემის სრული შეცვლა, როგორც თვისობრივი მოთხოვნების, ასევე რესერტიფიცირების აღდგენა. ექიმებმა თავიდან უნდა დაამტკიცონ თავისი ცოდნა. ასევე, მიმდინარე პროექტს წარმოადგენს ლიცენზირება, რომელიც უნდა შეიცვალოს და გადავიდეს ევროპულ და ამერიკულ აკრედიტაციის სისტემაზე, დინამიკურ კონტროლზე.

წელს სამშობიარო სახლებში დაწყებული გვაქვს პილოტური პროექტები, თუმცა ამ ყველაფრის გახორციელებას სჭირდება ძალიან კრეატიული ჯგუფი ჯანდაცვის სამინისტროში. არ მინდა ჩემს თანამშრომლებზე რაიმე საყვედური ვთქვა, ან ნეგატიურად ვისაუბრო. აბსოლუტური უმრავლესობა მოტივირებული და გამსჭვალულნია გუნდურობის პრინციპით, თუმცა სისტემაში რჩება მთელი რიგი ხარვეზები, რომლის ეფექტურად მოგვარებას აუცილებლად შევძლებთ. სწორედ ამ ხარვეზებმა არ მოგვცა იმის საშუალება, რომ ამ ათი თვის განმავლობაში მნიშვნელოვნად მეტი გაგვეკეთებინა, მაგრამ აქვე აღვნიშნავ, რომ უნივერსალურ ჯანდაცვაზე გადასვლა თავისთავად მასშტაბური და ამბიციური პროექტი იყო, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ. სტრუქტურა უფრო მეტად კრეატიული რომ ყოფილიყო, უფრო მეტის გაკეთებას შევძლებდით.

– თუ არსებობს სამედიცინო პერსონალის გადამზადების გეგმა? რადგან არის შემთხვევები, რომელიც ცხადყოფს, რომ პრობლემები არსებობს.

– ზოგადად, ჯანდაცვა ისეთი დარგია, რომელშიც არასდროს უნდა ჩათვალო, რომ მიღწეულია რაღაც დონე და ამას განვითარება აღარ სჭირდება. ეს არის თემა, რომელიც ყოველთვის განახლებას უნდა ექვემდებარებოდეს. მაგალითად, ხუთი წლის წინანდელი ჭეშმარიტებები დღეს უკვე ვადაგასულია და საერთოდ, ახალი მიდგომებია გავრცელებული. საქართველოში, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ასეთი მიდგომა არ არსებობდა და შესაბამისად, ექიმების მართვა, პერსონალის ზოგად-სამეცნიერო კვალიფიკაციის ასამაღლებელი მიდგომები არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ჩემი კოლეგებისთვის შეურაცხმყოფელი, ეს არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ცოდნა და გამოცდილება გვაკლია, უბრალოდ, არ არსებობს აუცილებელი ინსტრუმენტი იმისთვის, რომ კვალიფიკაციის ამაღლება გახდეს ეფექტური. ამ ინსტრუმენტებს ხარისხის შეფასების ინდიკატორები წარმოადგენს. იმის მიუხედავად, რომ ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და ერთი და იგივე დაავადება, ერთსა და იმავე ადამიანშიც კი შეიძლება სხვადასხვანაირად მიმდინარეობდეს, ჯანდაცვის ხარისხი გაზომვადია თვლადი ელემენტებით და ამას ჰქვია ხარისხის ტოტალური მენეჯმენტის სისტემა. გაზომვა იწყება ყველაზე პრიმიტიულად, მაგალითად, სასწრაფოს გამოძახებით, თუ რამდენ წუთში მიდის ბრიგადა ადგილზე. ეს არის ყველაზე პრიმიტიული გაზომვადი ელემენტი. ასეთი ელემენტები ასეულობით არსებობს, რომელსაც თავის თავში აკრედიტაციის სისტემა მოიცავს. საქართველოს ჯანდაცვაში ხარისხის კონტროლის ელემენტები საერთოდ არ არსებობს. თუ დავჯდებით და ექიმს ვეტყვით, რომ „თქვენ ახალი რაღაც უნდა გასწავლოთ“, ის აუცილებლად გვიპასუხებს: „თქვენ მე რა უნდა მასწავლოთ, 30 წელია ამას ვაკეთებ. რატომ გგონიათ, რომ მე ცუდად ვმუშაობო?“. ხარისხის კონტროლის არარსებობის შემთხვევაში ამაზე პასუხი არ გვექნება. მონაცემების არსებობის შემთხვევაში ჩვენ ვუპასუხებთ, რომ „იმიტომ მგონია, რომ შენი ინდიკატორი, რომელიც უნდა ყოფილიყო 10, გაქვს 5“. ხარისხის კონტროლი თავის თავში გადამზადებას მოიცავს. ის გაჩვენებს შენს სუსტ ნერტილებს და გაძლევს მიმართულებას, როგორ გამოასწორო არსებული ხარვეზები. მაგალითად, ქირურგიული ოპერაციის დროს არც ერთი ქირურგი არ იტყვის, რომ რამე შეეშალა. ქირურგის ასისტენტი, რომელიც იმ ჭრილობაში იყურება, ბოლომდე ვერ ხედავს, რას აკეთებს ქირურგი. შესაბამისად, განსაკუთრებულ სირთულეს ქირურგიის კონტროლი წარმოადგენს. ამიტომ აღებულია რვა ირიბი ინდიკატორი. მაგალითად, შენ თუ ნახულობ, რომ რომელიმე ოპერაციაზე ქირურგმა დახარჯა 2 ერითროციტული მასა, უკვე იცი, რომ იქ სისხლდენა იყო განვითარებული. შენ თუ ნახულობ დანიშნულებაში, რომ პროფილაქტიკური ანტიბიოტიკი, რომელიც პაციენტს ოპერაციის შემდეგ სჭირდებოდა, მესამე დღეს შეეცვალა და დაინიშნა უფრო მძლავრი, უკვე იცი, რომ იქ ინფექცია განვითარდა. ასეთი გასაღები და გამოსავალი სწორედ ხარისხის კონტროლია, რომელსაც იმპლემენტაცია სჭირდება. ამის გარეშე ნებისმიერი კვალიფიკაციის ამაღლების მცდელობა იქნება მხოლოდ ცარიელი „პიარი“. ეს დროისა და რესურსების ფლანგვაა.

დავუშვათ, გადავამზადეთ ათი ექიმი, ჩვენ უნდა შეგვეძლოს შემოწმება და გაზომვა, რა შედეგი მივიღეთ ამით. მარტო სერტიფიკატი აიღეს და კედელზე დაკიდეს? – რა თქმა უნდა, არა. ამიტომ ყველაზე მეტად ამბიციური გეგმები ზუსტად ამ მიმართულებით არსებობს, რომლის გარეშეც ჯანდაცვის სისტემის მართვა საერთოდ არ უნდა განხორციელდეს. სამწუხაროდ, ვაღიარებ, რომ ეს დღესაც ვერ კონტროლდება. აქამდე ჩვენ დაკავებულები ვიყავით რაღაც კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავებით. ამას სჭირდება დანერგვა, იმპლემენტაცია და მონიტორინგი. მოქმედებას, რეალური გათვლებით, მომავალი წლის დასაწყისში დავიწყებთ. თუმცა ხუთი სამშობიარო სახლის შემთხვევაში, ვიწყებთ პილოტურ პროექტებს, რომელიც ახლა, სექტემბერში დაიწყება. პილოტის ხარისხის შესაფასებლად მინიმუმ 3-4 თვე გვჭირდება.

„ჯანდაცვა ისეთი დარგია, რომელშიც არასდროს უნდა ჩათვალო, რომ მიღწეულია რაღაც დონე და ამას განვითარება აღარ სჭირდება. ეს არის თემა, რომელიც ყოველთვის განახლებას უნდა ექვემდებარებოდეს“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

მორიგი სპეცოპერაცია ქურდ

ქურდული სამყაროს 13 წევრი რუსულ და აზერბაიჯანულ დაჯგუფებებს წარმოადგენდა

my View
მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქურდული სამყაროს წინააღმდეგ მორიგი სპეცოპერაცია განახორციელა, რა დროსაც, ჯამში, 13 პირი დააპატიმრეს. „პრაიმტაისთვის“ ცნობილი გახდა „ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით დაკავებული რამდენიმე პირისა და რუსეთში მცხოვრები იმ „კანონიერი ქურდის“ ვინაობა, რომელიც უშუალოდ მართავდა ერთ-ერთ კრიმინალურ კლანს საქართველოში. სანამ უშუალოდ ამ დეტალებს გაგაცნობთ, მოდით, ვნახოთ, რას ამბობენ შინაგან საქმეთა სამინისტროში მორიგი, მასშტაბური სპეცოპერაციის შესახებ.

შსს-ს ინფორმაციით, მარნეულისა და დმანისის რაიონებში ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად ერთდროულად დააკავეს ე.წ. ქურდული სამყაროს 13 წევრი, რომლებიც ორ დაჯგუფებას განეკუთვნებიან. დაკავებულებიდან 9 პირი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. 13-ვე პირის დაკავება მათ საცხოვრებელ სახლებში მოხდა. სამართალდამცველებმა ჩხრეკისას „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, სანადირო თოფი, ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“ და ფსიქოტროპული აბები ამოიღეს.

ირაკლი კობახიძე ინსპექტორ-გამომძიებელი:

„დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. კერძოდ კი, რვაკაციანი დაჯგუფება კონკრეტულ დავალებებს იღებდა და ასრულებდა რუსეთში მცხოვრები ე.წ. კანონიერი ქურდისგან. ხოლო მეორე ხუთკაციან დაჯგუფებას მართავდა ე.წ. კანონიერი ქურდი ნადირ სალიფოვი, მეტსახელად „გულუ“, რომელიც აზერბაიჯანის ციხეში იხდის სასჯელს. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით)“.

მოკლედ, როგორც საგამოძიებო ორგანოში აცხადებენ, დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე. წ. „კანონიერი ქურდების“ გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა იმ „კანონიერი ქურდის“ ვინაობა, რომელიც 8-კაციან კლანს რუსეთიდან ხელმძღვანელობდა. ეს „კანონიერი ქურდი“ წარმოშობით ქართველი ნოდარ ჯინჭველაშვილი გახლავთ, რომელიც კრიმინალურ სამყაროში „შოშიას“ მეტსახელითაა ცნობილი. ჩვენი ინფორმაციით, მისი დაჯგუფების დაკავებული რამდენიმე წევრი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვისაა ნასამართლევი, მათ შორის ძმები რასიმ და ნამიკ ოფჩიევები. რასიმი 2002 წელს მოსკოვში დააპატიმრეს და რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლით გაასამართლეს, მისი ძმა ნამიკ ოფჩიევი საქართველოში 2007 წელს აიყვანეს ნარკოდანაშაულის ბრალდებით. სპეცოპერაციის დროს ოფჩიევების საცხოვრებელი სახლებიდან სამართალდამცველებმა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები ამოიღეს. ამავე კლანს განეკუთვნებოდა 1990 წელს დაბადებული რაშიდ გეიდაროვი, რომელიც 2011 წელს აზერბაიჯანში იქაური კანონმდებლობით გაასამართლეს.

რაც შეეხება უშუალოდ ნოდარ ჭინჭველაშვილს, იგივე „შოშიას“, ის ქურდულ სამყაროში ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად სახელდება. მისი სახელი ფიგურირებდა საზღვარგარეთ გამართულ რამდენიმე გახმაურებულ ქურდულ „სხადნიაკზე“, რომელიც ასევე სპეცოპერაციით დასრულდა, თუმცა დაკავებულთა უმეტესობამ მართლმსაჯულებისგან თავის არიდება მოახერხა. მაგალითად, ასე მოხდა 2008 წელს, როდესაც რუსმა სამართალდამცავებმა მოსკოვის გარეუბანში, პიროგოვსკის წყალსაცავზე „დიდი წმენდა“ ჩაატარეს. სპეცოპერაციის შედეგად, მილიციის „ხაფანგში“ 30-ზე მეტი „კანონიერი ქურდი“ გაება, მათ შორის იყო ნოდარ ჯინჭველაშვილიც. „შოშიასთან“ ერთად, 2008 წლის 7 ივლისს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, ასევე, დააპატიმრეს კრიმინალური სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი ისეთ „ავტორიტეტები“, როგორებიც არიან: ალექსანდრე ბორი, იგივე „ტიმოხა“, დიმიტრი გალეევი, იგივე „გალეი“, როლანდ გეგეჭკორი „შლიაპა“, მერაბ ჯანგველაძე – „მერაბ სოხუმელი“, თემურ ნემსიწვერაძე – „წრიპა“, ტარიელ ონიანი – „ტარასა“ და სხვ.

გასულ კვირას, ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაკავებულთაგან ხუთს, როგორც უკვე გითხარით, „კანონიერი ქურდი“ ნადირ სალიფოვი, მეტსახელად „გულუ“ მართავდა. ის ამჟამად აზერბაიჯანის საპყრობილეში იხდის სასჯელს.

ნადირ სალიფოვი დედ ჰასანის დაჯგუფების ერთ-ერთ გავლენიან წარმომადგენლად ითვლებოდა. ამბობენ იმასაც, რომ სწორედ პირადად მან იძია შური პოსტსაბჭოთა სივრცის კრიმინალური სამყაროს ნათლიმამის, ასლან უსოიანის (დედ ჰასანის) მკვლელებზე. რუსულ პრესაში ისიც იწერებოდა, რომ ჰასანის მომხრეებმა საკუთარი „გამოძიება“ ჩაატარეს და თავიანთი ლიდერის მკვლელობაში ე.წ. კანონიერი ქურდი როვშან ჯანიევი დაადანაშაულეს, რის შემდეგაც მისი კლანის წევრებზე ნადირობა გამოცხადდა. მალევე მოსკოვში მოკლეს როვშანის „მარჯვენა ხელი“ რუფატ ნასიბოვი, მეტსახელად რუფო გიანჟანსკი. დედ ჰასანის მკვლელობის მომენტში როვშან ჯანიევი უკრაინის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც დედ ჰასანი მოკვდა, მისი ე.წ. მარჯვენა ხელი მოსკოვში ჩავიდა. მართალია, მისი მოსკოვში ყოფნის შესახებ მხოლოდ ადამიანთა ძალიან ვიწრო წრემ იცოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთ-ერთმა მათგანმა ინფორმაცია მაინც მიაწოდა უსოიანის კლანის წარმომადგენლებს.

მას იმ ბინაში მიაკითხეს, სადაც იმალებოდა, დაცხრილეს და ცხედარი გაურკვეველი მიმართულებით ავტომობილით წაიღეს. უცნობია, თუ კონკრეტულად ვინ განახორციელა რუფატ ნასიბოვის მკვლელობა, თუმცა მკვლელობის ადგილიდან მსხვერპლის წაღება ჩვენ მიერ ზემოხსენებული „კანონიერი ქურდის“, ნადირ სალიფოვის ხელწერა გახლდათ, ამიტომაც რუსულმა პრესამ ამ მკვლელობის უკან სწორედ მისი სახელი გააჟღერა. ცნობილია, რომ ნადირ სალიფოვი ბოლო დროს დედ ჰასანთან განსაკუთრებით ახლობლობდა. ერთ-ერთ ქურდულ შეკრებაზე მას „კანონიერი ქურდის“ „ტიტული“ ჩამოართვეს, თუმცა უსოიანმა მას ეს „ტიტული“ დაუბ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ული სამყაროს წინააღმდეგ

ნადირ სალიფოვი ბოლო დროს დედ ჰასანის უახლოეს გარემოცვას წარმოადგენდა, ნოდარ ჯინჭველაშვილის სახელი კი რამდენიმე გახმაურებულ „სხადნიაკს“ უკავშირდება

რუნა. მართალია, ის ამჟამად აზერბაიჯანის ერთ-ერთ ციხეში იხდის სასჯელს, მაგრამ გარეთ, და მათ შორის მოსკოვშიც, მისი დაჯგუფების მრავალი წევრი რჩება. სწორედ აზერბაიჯანის ციხიდან ახერხებდა ნადირ სალიფოვი იმ პირების მართვას საქართველოში, რომლებიც გასულ კვირას ღარიბაშვილის უწყებამ „ქურდული სამყაროს“ ბრალდებით ერთმანეთის მიყოლებით დააკავა.

ეს არ არის ერთადერთი სპეცოპერაცია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო პერიოდში ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ჩაატარა. ჩვენ მხოლოდ ბოლო რამდენიმე თვის სტატისტიკას გადავხედეთ.

მაისი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს მასშტაბით ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, სამეგრელოში, იმერეთსა და თბილისში ერთდროულად დააკავეს წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი, ქურდული სამყაროს 12 წევრი, მათ შორის, ერთი არასრულწლოვანი და ერთი ქალბატონი. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ისინი ქურდული სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი პირებისგან კონკრეტულ დავალებებს იღებდნენ და ასრულებდნენ.

ივნისი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით ხუთი პირი დააკავეს. სამართალდამცველებმა ხუთივე პირი სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ბათუმში ერთდროულად აიყვანეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ე. წ. „ქურდული წილების“ მისაღებად აჭარაში ბიზნესმენებზე ზეწოლას ახორციელებდნენ. ყველა მათგანი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის მრავალჯერ არის ნასამართლევი.

ივლისი

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი ექვსი პირი დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები აღიარებენ ე.წ. ქურდულ სამყაროს, ამ სამყაროს წესების დაცვით მონაწილეობდნენ ე.წ. ქურდულ გარჩევებში და მოქალაქეებისგან, დაშინებისა და მუქარის გზით, ე.წ. ობშიაკისთვის გარკვეულ თანხებს ითხოვდნენ. ასევე მუდმივად იძიებდნენ და ადგენდნენ იმ ობიექტებს, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა თანხის ამოღება. სამართალდამცველებმა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის სპეციალური სამალავიდან ამოიღეს კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდით და 44 საბრძოლო ვაზნით, ასევე „ტე-ტე“-ს ტიპის პისტოლეტი 2 მჭიდით და 16 საბრძოლო ვაზნით. ასევე, ამოღებულია დიდი ოდენობით ფული და ე.წ. ქურდული „ობშიაკისთვის“ თანხების შეგროვების ამსახველი შავი ჩანაწერები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარიამ ნადირაძე

რა ვითარებაში დაიკარგა რატომ ეჭვობს ოჯახი, რომ ვის EX ეკუთვნის შავი ჯიპი, რომელიც შემთხვევის ადგილზე საეჭვო დრო გამოჩნდა?

ეს ამბავი ქუთაისში უკვე სამი წელია მითქმა-მოთქმის საგანია, ზოგი ფიქრობს, რომ დაკარგულმა გოგონამ მდინარეში დაიხრჩო თავი, ზოგისთვის მისი მკვლელობის ვერსიაა უფრო მეტად სარწმუნო. ოჯახი კი თითქმის დარწმუნებულია, რომ 19 წლის ნათია გიორგიძე ტრეფიკინგის მსხვერპლია და ის შესაძლოა, დღესაც მეზობელ სახელმწიფოში, თურქეთში იმყოფებოდეს და ოჯახთან დაკავშირების საშუალებას არ აძლევდნენ.

ამ ხნის განმავლობაში გამოძიება საქმეზე უხმაუროდ მიდიოდა. მშობლებიც არ მიმართავდნენ პრესას დახმარებისთვის. თუმცა საბოლოოდ „პრაიმტაიმი“ თავის მკითხველს ექსკლუზიურად უამბობს ამ ისტორიას და აქვე შესთავაზებს ინტერვიუს დაკარგულის დედასთან, ქალბატონ **რუსუდან გიორგიძესთან:**

– ჩემი შვილი 2010 წლის 11 ოქტომბერს დღის სამ საათზე გავიდა სახლიდან. სამი საათის შემდეგ მასთან კავშირი შეწყდა. ტელეფონი გაითიშა. მაშინვე განვაცხადეთ პოლიციაში. თითქოს მუშაობდნენ, მაგრამ უშედეგოდ... სულ სხვა ვერსიები აქვთ. ეს ამბავი ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე მოხდა.

– თქვენ ამ ქუჩაზე ცხოვრობთ?

– ჩვენ ავტოქარხნის დასახლებაში ვცხოვრობთ. პუშკინის ქუჩა ქალაქის ცენტრშია.

– ნათია ამ ქუჩაზე არსებულმა ვიდეოკამერამ დააფიქსირა ბოლოს, არა?

– დიახ. მერე უკვე კვალი იკარგება. ახლოს არის მდინარე რიონი. მისი მიმართულებით მიდის და მერე კვალი იკარგება. როცა დავიწყეთ ძებნა, პოლიციამ ამოიღო ჩანაწერები ვიდეოკამერიდან. იმ დროისთვის იმ ქუჩაზე კამერამ დაფიქსირა შავი ფერის ჯიპიც. ვინ არის მისი მფლობელი, დღემდე უცნობია.

– მეგობრებმაც არაფერი იციან?

– ნათიას ჰყავდა მეგობარი გოგონა, შორენა იობიძე, რომელიც იმ დღესვე ნათიას პუშკინის ქუჩაზე ეძებდა და რატომ – არ ვიცი... მან ყველაფერი შეიძლება იცოდეს.

– ეძებდა მანამ, სანამ გაირკვეოდა, რომ კამერას ჰყავს დაფიქსირებული ნათია ამ ქუჩაზე?

– დიახ.

– ფიქრობთ, რომ ამ გოგონას ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნათია იმ ტერიტორიაზე მივიდოდა?

– დიახ. როგორც ჩანს, დაბარებული ჰყავდა იქ ვიღაცას.

– პოლიცია თვითმკვლელობის ვერსიაზეც მუშაობს...

– თვითმკვლელობა გამორიცხულია. პირადად მე გამოვრიცხავ. როცა ადამიანი ამ გადაწყვეტილებამდე მიდის, ამას მომზადება სჭირდება. სახლიდან რომ გადის, ის არ გადის დალაგებული გონებით. ნათიამ კი ჩანთაც წაიღო, მობილურიც. მე მაქვს თავი მოსაკლავი და მე გამიჭირდა ამის გაკეთება. ჩემს შვილს კი ამისთვის მიზეზი არ ჰქონდა. გამორიცხულია, ის არ დაიხრჩობდა თავს და ასე რომ ყოფილიყო, დამხრჩვალი მაინც ხომ უნდა გვენახა? პოლიცია კი ფიქრობს, რომ რაკი მდინარის პირას მივიდა, მას აუცილებლად თავი უნდა დაეხრჩო. არადა ბევრი საეჭვო დეტალია ამ საქმეში. ერთი თვის შემდეგ პოლიციაში მიიტანეს ნათიას პირადობის მოწმობა.

– ვინ მიიტანა?

– იმ ქუჩაზე მცხოვრებმა, ძმებმა გუგავებმა. როდესაც გამომძიებელმა ისინი დაკითხა, მაგრამ ამას დაკითხვა არ ერქვა, მათ განაცხადეს, რომ დაიწყეს პირადობის მოწმობის მფლობელის ძებნა, მაგრამ რაკი ვერ ვიპოვეთ, მერე სახლში შევინახეთო. იქ ჩანთაც იდო, მაგრამ მერე ეს ჩანთა ვინმემ მოიპარა, თუ სად გაქრა, არ ვიცითო. ასე ყვებიან ძმები გუგავები. მათი ნაამბობიდან ირკვევა, რომ მათ ნახეს ჩანთაც, მობილურიც და მერე არც ერთი არ ჩანს საქმეში.

– პირადობის მოწმობა სად ნახეს?

– ჩანთა გავხსენით, პირადობა ამოვიღეთ და ჩანთა იქ დავტოვეთო. მერე, რომ მივბრუნდით, ჩანთა აღარ დაგვხვდაო. მე ეს ყველაფერი ზღაპრად მიმაჩნია და არ ვიცი, თქვენ როგორ მიიჩნევთ ამას.

– თქვენი აზრით, რეალურად რასთან გვაქვს საქმე?

– ჩემი აზრით, ვიღაცამ კვალის ასარევად შემოაგდო ეს პირადობა და ამ ბიჭებმა ეს პირადობა სწორედ მაშინ მიიღეს, როცა გამოაჩინეს, თორემ სახლში ვინ ინახავს სხვის პირადობას? რამდენჯერ უპოვიათ ასეთი საბუთი და სადღაც მაღაზიაში, აფთიაქში ან სხვა ასეთ ადგილას დაუტოვებიათ, რომ ვინმეს ენახა.

– გუგავები რით ხსნიან, რომ ერთი თვის შემდეგ ამ პირადობის მოწმობის გამოჩენა გადაწყვიტეს?

– ეს კითხვა პოლიციას უნდა დაესვა მათთვის. ჩემი აზრით კი, მათ დაინტერესებულმა პირებმა მაშინ მისცეს ეს პირადობა და უთხრეს, რომ პოლიციაში მიეტანათ.

– ამ კითხვებს არ სვამს პოლიცია გუგავებთან?

– კითხვა ბევრია, მაგრამ პასუხები არ არის.

– თქვენ შავი ჯიპი ახსენეთ...

– ზუსტად იმ ადგილას და იმ დროისთვის, როდესაც ნათიამ გაიარა, იგივე გზას გადის ეს მანქანაც. ჩასულს აჩვენებს ვიდეოკამერა და იქიდან ამოსულს აჩვენებს საღამოს რვა საათზე, ანათებს ყველა ფარს. სისხლის სამართლის სამძებრო საქმეზე დავით ფრუიძე მუშაობდა და მისგან ვიცი, რომ ეს ჯიპი მიდიოდა და მიუხაროდა...

– მანქანის ნომერი არ დაფიქსირებულა?

– არ ჩანს ჩანაწერშიო. ამიტომ, დღემდე გაურკვეველია, ვისია ეს მანქანა და ვინ იჯდა იმ დროისთვის შიგნით. ასე რომ, ოქტომბერში სამი წელი გახდება, რაც ჩემი შვილი დაიკარგა და სამწუხაროდ, მუშაობისთვის მადლობას ვერ გადავუხდი ვერავის. პოლიცია ცრუ ვერსიაზე მუშაობს.

– თქვენ თვითონ, თქვენი ძალებით თუ მოიპოვეთ ნათიას შესაძლო ადგილ-სამყოფელის შესახებ რამე ინფორმაცია?

– ქვეყანა შევძარი და ვერაფერს გავხდი. დღემდე გაურკვევლობაში ვარ და მოლოდინში...

– გავიგეთ, რომ არსებობს ვერსია, თითქოს თქვენი ქალიშვილი გადაყვანილია სხვა ქვეყანაში...

– რა თქმა უნდა, ეს ასეა. მისი მოკვლაც არავის არაფერში აწყობდა. მისგან რაღაც გამორჩენას ელოდნენ და უნდა გაეყვანათ ქვეყნიდან. 19 წლის გოგო ვინმეს რომ მოეკლა, ამის მიზეზიც არ ჩანს. თუ არც თვითმკვლელობის მიზეზი არსებობდა, ერთადერთი რჩება ეჭვი ტრეფიკინგზე. მას თავი რომ დაეხრჩო, იმ ქუჩაზე ხალხი ცხოვრობს და დღის სამ საათზე ვინმე მაინც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

19 წლის ნათია გიორგიძე და ამ ის ტრეფიკინგის მსხვერპლია?

CLUSIVE

ან ხმას გაიგებდა და ან თვალს მოჰკრავდა. ამიტომ წარმოუდგენელია, თუ ეს ასე იყო, ვინმეს მის საშველად რამე არ გაეკეთებინა.

– ანუ, მდინარესთან მოსახლეობა ახლოს ცხოვრობს?

– კი, ორივე ნაპირზეა მოსახლეობა. იმ ადგილას, სადაც ჩემი შვილი დაიკარგა, უამრავი ადამიანი მოძრაობს. ნათია იქ აშკარად შეხვედრაზე წავიდა. ახლა ვცდილობ, როგორღაც სიმართლე გავიგო. შვილი მკვდარიც დაკარგო და ცოცხალიც, ასე ხომ არ შეიძლება?

– გამოდის, რომ ეჭვი მაინც ტრეფიკინგზე გაქვთ?

– დიახ.

– ამ ეჭვის საფუძველს რა გაძლევთ?

– ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში ცხოვრობს მინდელის ოჯახი. ამ კაცის მეუღლე საბერძნეთში მიდიოდა არალეგალურად. ეს ამბავი მოხდა შარშან ივნისში. თავის ქმარს დაურეკა ღამის სამ საათზე თურქეთის ერთ-ერთი სასტუმროდან, – აქ ქუთაისელი გოგო მოიყვანეს და იქნებ დავეხმაროთ ამ გოგოსო. სახელიც უთხრა და გვარიც. 20-21 წლის იქნებაო.

– თქვენი შვილის სახელი და გვარი უხსენა?

– დიახ. ისე ხომ ვერ დაეხმარებოდა, თუ სახელსა და გვარს არ ეტყოდა? ქუთაისში მილიონი კაცი ცხოვრობს. ამ საუბრის დროს, ამ კაცის მონათხრობით, მის მეუღლეს წაართვეს ტელეფონი და მას შემდეგ მე მას აღარ დავლაპარაკებივარო. მალევე ეს ქალი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ერთი სიტყვით, ამ ქალს ჩემი შვილი დაკარგვიდან 2 წლის შემდეგ თურქეთის ერთ-ერთ სასტუმროში ნანახი ჰყავს. გიორგიძეები ბევრნი ცხოვრობენ დიმში და ეტყობა, ვინმე თავისიანი ეგონა და იმიტომ უთხრა, დავეხმაროთო.

– შემდეგ ამ კაცმა მოგძებნათ თქვენ?

– ეს ამბავი მე თვითონ შემთხვევით გავიგე. ტრანსპორტით ვმგზავრობდი, ბაღდათში მივდიოდი და მგზავრები საუბრობდნენ, მინდელის ცოლს თურქეთის ერთ-ერთ სასტუმროში ქუთაისელი გოგო უნახავსო. დავინტერესდი. ვკითხე, სად ცხოვრობდა ეს მინდელი. მივედი მასთან სახლში. ეს კაცი არ უარყოფს ამბავს. შეაშინეს და უბრალოდ, ჩემი შვილის სახელსა და გვარს არ ამბობს, თორემ დანარჩენს ყველაფერს ყვება, არაფერს მალავს.

– სახელისა და გვარის დამალვას რა აზრი აქვს?

– ამბობს, არ მახსოვს, რა სახელი და გვარი მიხსენაო...

– მისი მეუღლე რა პირობებში გარდაიცვალა?

– გაურკვეველ ვითარებაში, თვითონ ოჯახის წევრებმაც არ იციან დაზუსტებით. ზოგი ამბობს, ინფექციითო. ფაქტია, რომ ამ ზარის შემდეგ მალევე გარდაიცვალა. შარშან, 18 აგვისტოს დაკრძალეს ეს ქალი.

– ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ თქვენ თავად თუ მიმართეთ თურქეთის საელჩოს, ან ინტერპოლს?..

– შევძარი ქვეყანა. ვის არ მივმართე, რა არ გავაკეთე, პრეზიდენტს ორჯერ მივაწოდე წერილი ხელში, ივანიშვილს დაჩოქილი ვთხოვე დახმარება. არ დამიტოვებია არავინ. მეტი აღარ ვიცი, რა ვქნა. შედეგი ჩემთვის ჯერ არ არსებობს, ყველაფერი მოსპეს და გაანადგურეს.

– იცით, რომელ სასტუმროზეა საუბარი?

– არა. ის მინდელიც არ ამბობს, არ ვიცი, ეშინია, თუ რა ხდება...

– პოლიციას გააგებინეთ ამ ვერსიის შესახებ?

– რა თქმა უნდა.

– პოლიციამ მინდელი არ დაკითხა?

– კი, დაკითხა, მაგრამ პოლიციასთან რომ მივიყვანე, ეს კაცი, უფრო შეშინდა. ვფიქრობ, რომ შეცდომა ზუსტად აქ დავუშვი. პოლიციისთვის ეს ამბავი არ უნდა გამემხილა, რაღაც სხვა ღონე უნდა მეხმარა.

– რამ შეაშინა ეს ადამიანი? ვინმე დაემუქრა?

– არ ვიცი, რა მოუვიდა. ჩემს შვილთა დაკავშირებული ამბავი ამ კაცმა გასვენებაში მოყვა. იქ ეს ყველაფერი ხომ უამრავმა ადამიანმა მოისმინა?

– პოლიციამ საბოლოოდ ეს საქმე შეწყვიტა?

– საქმე შეჩერებულია. ახლა რას აკეთებს, დღემდე არ ვიცი. ვერავითარი დასკვნა ვერ გამოვიტანე მათი მუშაობიდან. ერთადერთ ვერსიად ავითარებენ, რომ თითქოს დაიკარგა მდინარე რიონში. არ დაკარგულა იქ და რატომ უნდათ, ასე რომ იყოს, ვერ გავიგე.

– ნათია ხშირად დადიოდა მდინარეზე?

– არა. დაკარგვამდე 6 თვით ადრე გაიცნო ეს გოგონა, შორენა იობიძე. პირველად იქ ამ შორენამ მიიყვანა. იმ ქუჩით თუ ვინმე არ დაინტერესდა, რატომ უნდა მივიდეს ვინმე. უცნობიც არ მივა იქ, იმ ქუჩაზე დასათვალიერებელი არაფერია. ეს გოგონა კი ამბობს, იქ ახალგაზრდები ვიკრიბებოდით, ხაჭაპურს ვჭამდით და ვერთობოდითო. ერთხელ ისიც კი თქვა, ნათიამ ასე მითხრა, აქ სად წამომიყვანეო. მერე, ალბათ, მიეჩვია ბავშვი, ამხანაგი იყო და მიდიოდა ხოლმე.

– დეპრესია არ ჰქონია?

– არ ჰქონდა ამის გაჭირვება. ამაზეც ვფიქრობ ხშირად. რომ ვიცოდე, რომ თვითონ მოიკლა თავი, ან უბედური შემთხვევის მსხვერპლია, ბოლოს და ბოლოს, იქნებ შევგუებოდი კიდეც, მაგრამ ასე სხვისი ხელით წაყვანილს, ვერაფრით შევეგუები. მაგრამ ეს უბედური შემთხვევა არ არის.

გიორგიძეების ოჯახის ადვოკატი, ლედი ტუკვაძე მიიჩნევს, რომ პოლიცია გულხელდაკრეფილი ნამდვილად არ მჯდარა, თუმცა ფიქრობს, რომ მათ უფრო მეტი აქვთ სამუშაო ტრეფიკინგის ვერსიაზე:

– ოჯახმა ისეთი ტრაგედია გადაიტანა, რომ სანამ შვილს არ დაინახავს და არ ჩაიხუტებს, ყოველთვის იტყვის, რომ პოლიციამ არაფერი გააკეთა. ბუნებრივია, რომ დედას აქვს უსამართლობის განცდა, თითქოს ვიღაცამ რაღაც დააკლო. მაგრამ მათი ადვოკატი იყო ირმა ჭკადუა. სწორედ მისი მითითებით და მასთან შეთანხმებით მუშაობდა პოლიცია. ქალბატონი რუსუდანი იურისტი არ არის და ბუნებრივია, რომ ბევრ რამეს ეჭვის თვალით უყურებს. თუმცა, რა თქმა უნდა, გასაკეთებელი ბევრია. ინტერპოლს უნდა მიეღო ძალიან აქტიური მონაწილეობა ამ ყველაფერში.

– რამ შეუშალა ხელი?

– ალბათ, სპეციფიკიდან გამომდინარე... ინტერპოლი უფრო აქტიურად მუშაობს ტერორიზმისა და მსგავს საკითხებზე. ბევრი კითხვის ნიშანი რჩება საქმეში, თუნდაც ტრეფიკინგის ალბათობის კუთხით. ვფიქრობ, რომ ეს საქმე უფრო სერიოზულმა უწყებამ უნდა გაითხოვოს. ქუთაისის მეორე განყოფილებამ ბევრი იმუშავა, მაგარამ მან რესურსები უკვე ამოწურა.

– ეს საქმე პერსპექტიულია, რომ გაიხსნას?

– ვფიქრობ, რომ თურქეთის მხარესთან უფრო მეტია სამუშაო. ბოლოს და ბოლოს, ოჯახს იმედი გაუჩნდა მას შემდეგ, რაც საბერძნეთიდან ზარი გაისმა. მერე ისევ ჩაიკეტა კვალი. მე სულ ახლახან ჩავერთე ამ საქმეში. ყველაზე საინტერესო ჩვენთვის სნორედ ტრეფიკინგის შესახებ ვერსიაა. იკვეთება ვინმე ქეთინო. ჩემი კავშირებით დავადგინე, რომ მას ვინმე ზაზასთან ერთად გადაჰყავდა გოგონები თურქეთში, ეს უკანასკნელი კი 2006 წელს ჩაცხრილეს გაურკვეველ ვითარებაში სალონიკში. ვინ არის ეს ქალბატონი, გასარკვევია. სწორედ მისი გადაყვანილია საბერძნეთში მინდელის ცოლიც. ასე რომ, ამ ქალის გარშემოც ბევრია სამუშაო. იმ დროისთვის ძალიან ბევრი გოგო გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი. თუმცა, მე, როგორც იურისტი, ვერ ვიკადრებ, ვთქვა, რომ პოლიციამ არაფერი გააკეთა. გავეცანი საქმეს და პოლიციას ნამუშევარი ნამდვილად აქვს. მაგრამ დაზარალებულს ბოლომდე დარჩება დაუკმაყოფილებლობის განცდა, ვიდრე საკუთარ შვილს არ ჩაიხუტებს. ამიტომ ეს საქმე აუცილებლად უნდა გაითხოვოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში. თავიდან ბოლომდე უნდა იქნას შესწავლილი ეს საქმე და მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ყველა ტექნიკური საშუალება. მით უმეტეს, რომ ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა: ძალიან ბევრი გოგო იკარგება, ბევრი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი. ვნახოთ ახლა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

„პრაიმტაიმი“, ბუნებრივია, დაკარგული ნათია გიორგიძის საქმესთან დაკავშირებით იმერეთის სამხარეო პოლიციასაც დაუკავშირდა. გვთხოვეს, კონკრეტული კითხვებით მიგვემართა მათთვის. ჩვენ შემდეგ კითხვებზე ვითხოვეთ პასუხი:

გთხოვთ, შეგვატყობინოთ, რა ეტაპზეა 2010 წელს დაკარგული ნათია გიორგიძესთან დაკავშირებული საქმე.

1. რა მუხლით მიმდინარეობს საქმეზე გამოძიება;

2. რა სახის სამძებრო ღონისძიებები ჩატარდა;

3. დაიკითხნენ თუ არა მოწმის სახით შორენა იობიძე და ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში მცხოვრები, ვინმე მინდელი;

4. რამდენად რეალურია ვერსია ტრეფიკინგის შესახებ;

5. მიმართა თუ არა გამოძიებამ ინტერპოლს და იძებნება თუ არა ნათია გიორგიძე ინტერპოლით?

6. ოჯახი მიიჩნევს, რომ ქუთაისის მე-2 განყოფილებამ თავისი რესურსები ამოწურა. ხომ არ იგეგმება საქმის გადაცემა სამინისტროსთვის.

იმის გამო, რომ საქმეზე მიმდინარეობს ძიება (ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო სამხარეო პოლიციის ოფიციალური არგუმენტი. – მ.ნ.), უწყება მხოლოდ ასეთი განმარტებით შემოიფარგლა: „2010 წლის 05 ნოემბერს ქუთაისის საქალაქო სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის N041100789 საქმეზე, ნათია გიორგიძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამჟამად საქმეზე გრძელდება გამოძიება, ხდება სხვადასხვა ვერსიების გადამოწმება“.

მაშ ასე, საქმე გახმაურდა. ვფიქრობთ, რომ გაზეთში ნათია გიორგიძის ფოტოსა და ამ ისტორიის გამოქვეყნების შემდეგ, ალბათ, გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც რამე იცის გოგონას ადგილ-სამყოფელის შესახებ და ბუნებრივია, მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას მოგვაწვდიან.

რისი ეშინია ბაღდათელ მინდელს, რომლის ცოლიც საეჭვო ვითარებაში საზღვარგარეთ გარდაიცვალა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლაფანყურის საქმეს ქვეყანა სერიოზულ ჩიხში შეჰყავს

საქართველოს ორ სკანდალს ზორის არჩევანის გაკეთება უნევს?!

მარიამ ნადირაძე

ლაფანყურის სპეცოპერაციიდან ერთი წლის შემდეგ საქმის გარშემო არაფერი შეცვლილა. ის ვნებათაღელვა, რაც რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილთა ექსჰუმაციამ გამოიწვია, ჩაცხრა და ამ ისტორიას მას შემდეგ საზოგადოებისთვის თავი არ შეუხსენებია.

შეგვახსენა მხოლოდ დამოუკიდებელმა ექსპერტმა ალეკო გეჯაძემ თავისი სკანდალური განცხადებით იმის შესახებ, რომ თითქოს გარდაცვლილები ჯერ სცემეს და შემდეგ დახოცეს.

ამ დასკვნას კი ექსპერტი ფოტოების მიხედვით აკეთებს.

რამდენად კომპეტენტური და რეალობასთან მიახლოებულია ამ განცხადების შინაარსი?

„პრაიმტაიმი“ დამოუკიდებელ ექსპერტს, მაია ნიკოლეიშვილს ესაუბრა:

– პირველ რიგში, ამ ოჯახებს კიდევ ერთხელ მინდა სამძიმარი ვუთხრა, მათი შვილების გარდაცვალების გამო. რასაც ველოდი, ისე ვითარდება ჯერჯერობით ყველაფერი. მაშინ, როდესაც ჩემი მონაწილეობა ექსპერტიზაში გამოირიცხა, თვითონ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა დამისახელეს კონკრეტული პიროვნება, ვინც მათ პირადად ესაუბრებოდა და ახდენდა ჩემს დისკრედიტაციას, მაგრამ, საბედნიეროდ, არა როგორც პროფესიონალის, არამედ ჩემი პოლიტიკური წარსულის გამო. მაგრამ მაინც ვერ მიაღწია პროკურატურამ იმას, რომ ამ ადამიანებს ჩემზე უარი ეთქვათ და შემდეგ უკვე თავად გააკეთეს ცნობილი არჩევანი. ეს ჩემთვის საკმაოდ გულსატკენი იყო, ვინაიდან ამან მაჩვენა პროკურატურის დამოკიდებულება, რომ არ დადგენილიყო ჭეშმარიტება. თუ ამ საკითხს უფრო გლობალურად შევხედავთ, მოდით, ვთქვათ სიმართლე, გავხსნათ ბრჭყალები... არავითარი სურვილი არ მაქვს, პოლიტიკურ ჭრილში ვისაუბრო, მაგრამ ეს ის რეალობაა, რომლის შესახებ დასკვნამდეც ელემენტარული ანალიზი ჩვეულებრივ ადამიანსაც მიიყვანს. ხელისუფლება დგას სერიოზული დილემის წინაშე – დაადგინოს სრული სიმართლე, თუ ნაწილობრივი. ორივე შემთხვევაში სერიოზულ სკანდალში ეხვევა. თუ სიმართლე დაიფარება, ამით თავიდან იქნება აცილებული საკმაოდ დიდი მასშტაბის საერთაშორისო სკანდალი, რაშიც, დარწმუნებული ვარ, ჩართულნი არიან მაღალი რანგის პირები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ეს არის საკმაოდ სერიოზული სინდიკატი, რომელიც ამზადებდა ბოევიკებს და შემოჰყავდა ისინი საქართველოში, წვრთნიდნენ და შემდეგ გადატყორცნიდნენ სირიასა თუ კიდევ სხვა ქვეყნებში. ეს, რა თქმა უნდა, არ წყდებოდა მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლების დონეზე. თუ ამ სიმართლეს ფარდას ახდიან, ძალიან დიდი სკანდალი მოჰყვება ამას საერთაშორისო დონეზე. არსებობს ამ პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზაც – ეს ყველაფერი დავიდეს ლოკალურ შეტაკებამდე და ჩამოვიდეს ახალაიას, მერაბიშვილის, ლორთქიფანიძისა და ამირიძის დონეზე. ამასაც მოჰყვება სერიოზული სკანდალი, მაგრამ ეს უფრო მცირე მასშტაბისაა და გადის მხოლოდ კავკასიაზე. ანუ, ეს ხდება მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობის სკანდალი, რაც, ბუნებრივია, გაართულებს ურთიერთობას ადგილობრივ ქისტებთან. ჩემი აზრით, ჯერჯერობით სამართალდამცველები თვლიან, რომ რეგიონული დონის სკანდალი ნაკლებად მტკივნეული იქნება ქვეყნისთვის. თუმცა, ჩემი აზრით, ეს გაცილებით მძიმე შედეგებს გამოიწვევს საქართველოსთვის. შესაბამისად, სრული სიმართლის დადგენას მივანიჭებდი უპირატესობას. წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ მოხდეს პირადი ანგარიშსწორება ახალაიაზე, მერაბიშვილზე, ლორთქიფანიძესა და ამირიძეზე და ეს ყველაფერი დაჰბრალდეს შიდაკავკასიურ შურისძიებას. სამართალდამცველების უმოქმედობა სწორედ ამ რეგიონული კონფლიქტის გაღვივებაზე ასხამს წყალს. გარდაცვლილების ოჯახების უფლებების გაუთვალისწინებლობა, მათი აბსოლუტურად უპასუხოდ დატოვება სწორედ ამაზე მიგვანიშნებს. ბოლოს და ბოლოს, ექსპერტიზა დასრულებულია, პასუხები კი – გასაიდუმლოებული.

– ბოლო დროს პრესაში გამოჩნდა დამოუკიდებელი ექსპერტის, ალეკო გეჯაძის სკანდალური განცხადებები იმის შესახებ, რომ თითქოს ლაფანყურში სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილები ჯერ სცემეს და მერე დახოცეს... ხომ არ ფიქრობთ, რომ გამოძიება თავისი დუმილით ასტიმულირებს ასეთი ტიპის სკანდალურ განცხადებას?

– საქმეც ეს არის. ეს განცხადება სწორედ იმ ვერსიას ამაგრებს, რომ მთელი ეს პროცესი რეგიონულ ჩარჩოებში მოექცევა მხოლოდ. შორს ვარ იმ აზრისგან, ვთქვა, რომ ეს გამოძიების დაკვეთაა და ექსპერტმა ვიღაცის მითითება შეასრულა...

– მაგრამ ამ განცხადებას აკეთებს საკმაოდ ცნობილი ექსპერტი...

– დიახ, ეს არის ექსპერტი, რომელიც 6 წლის განმავლობაში ერთადერთ დამოუკიდებელ ექსპერტად რჩებოდა, როდესაც მე, მართალია, რეალურად ხელბორკილების გარეშე ვიყავი, მაგრამ პროფესიულად ეს ხელბორკილები ნამდვილად მედო, არ მქონდა ჩემი პროფესიით მუშაობის უფლება. მისი განცხადებების შემდეგ მეფიქრება, რომ ვერასდროს წარმოვიდგენდი, ოდესმე ლევან ჩაჩუას ოპონირება მომენატრებოდა, როგორც პროფესიონალის. რასაც გეჯაძე აცხადებს, ეს აბსოლუტური პროფანაციაა. ეს სისულელე როგორ უნდა აკადრო თუნდაც იმ ჟურნალისტს, რომელსაც ინტერვიუს აძლევ? არადა, სერიოზული ჟურნალისტი აწერს ხელს.

– გეჯაძე ასეთ დასკვნებს აკეთებს გარდაცვლილებისთვის გადაღებული ფოტოების მიხედვით და ცალსახად აცხადებს, რომ კონკრეტული დაზიანებები მათ სიცოცხლის დროს აქვთ მიღებული. ასეთი დასკვნის საფუძველს სურათი იძლევა?

– ექიმისთვის არსებობს ჰიპოკრატეს ფიცი, ექსპერტისთვისაც არის რაღაც ძირითადი ქვაკუთხედი, რომლის გარშემოც ტრიალებს. ეს ქვაკუთხედი კი ასეთია – ექსპერტი შეიძლება შეცდეს, მაგრამ მას უფლება არ აქვს, გამოიგონოს. სამედიცინო ექსპერტმა არ შეიძლება თქვას, რა იქნებოდა, რომ... ალეკო გეჯაძე ცნობილი მიქაუტაძის საქმეზეც აცხადებდა, რომ ცხვირზე აღმოჩენილი დაზიანებები შესაძლოა, მას ჩამოხრჩობის დროს ხეზე დაჯახების შედეგად მიეღო. ღმერთო ჩემო, ასეთი უვიცობა თითქმის არ მსმენია. ფოტოსურათით არ შეიძლება სამედიცინო ექსპერტმა დასკვნა გააკეთოს და თან თქვას, რისგან არის მიყენებული დაზიანება, მით უმეტეს განსაზღვროს, სიცოცხლისდროინდელია თუ არა ის. ეს წარმოუდგენელი მკრეხელობაა სამედიცინო ექსპერტიზის თვალსაზრისით. რაც შეეხება ცეცხლსასროლ დაზიანებებს, ის მართლაც საინტერესოა. მე მაინც ვიტოვებ იმედს, რომ ოფიციალური ექსპერტიზის დასკვნა ოდესმე ცნობილი გახდება. მე იქ რაღაც ეჭვი მაქვს და მას მხოლოდ დასკვნის გასაჯაროების შემთხვევაში გამოვთქვამ, თუ მასში ამ ეჭვზე პასუხებს ვერ ვნახავ. ექსპერტთა ერთმა ჯგუფმა საკმაოდ მწარე, მაგრამ დიდი გამოცდილება მივიღეთ აფხაზეთის ომის დროს, როდესაც ვეხებოდით უამრავ ცეცხლნასროლ დაზიანებას. ალეკო გეჯაძე მაშინ სასექციოში არ მდგარა. ის ცოცხალ პირებზე მუშაობდა. სწორედ ამ გამოცდილებით ჩნდება ის ეჭვი, რომელზეც ახლა ვერ ვისაუბრებ. ძვალი უფრო მეტად აჩვენებს იმას, რაზეც მე ვეჭვობ.

– აჩვენებს ძვალი და არა სურათი?

– რა თქმა უნდა. სურათმა, რომელიც მე ვნახე რამდენიმე თვის წინ, დუისში რომ ვიყავით, იმის საშუალება მომცა, რომ ჩემთვის რაღაც მოვინიშნე. მაგრამ უნდა ვიყო პროფესიული აფერისტი, რომ ამის შესახებ მშობლებთან განვაცხადო და ამაზე გავაკეთო რაღაც დასკვნა. ადამიანს უნდა გესმოდეს შენი კომპეტენციის დონე და იმის იქით არ უნდა გახვიდე, სირცხვილია.

– როდესაც ექსპერტმა სურათით ასეთი სკანდალური დასკვნა დადო, რის შესახებ შეგვიძლია ვისაუბროთ – ეს არის შეცდომა, თუ რამე პოლიტიკური გათვლა?

– მიზანმიმართულ პოლიტიკურ განცხადებაზე საუბრისგან თავს შეიკავებდი, თუმცა თავისი შესაძლო შედეგით, ნამდვილად არის. ამ განცხადებას შესაძლოა, მართლაც მძიმე შედეგები მოჰყვეს. მაგრამ ამის მიუხედავად მე ვიტყოდი, რომ ეს უფრო უცოდინრობისა და ზედმეტი სითამამის ბრალია. თუმცა ამ უცოდინრობამ ხვალ შესაძლოა სერიოზულ პოლიტიკურ სკანდალამდეც მიგვიყვანოს.

– მაგრამ ოფიციალური ექსპერტიზის დასკვნა გასაიდუმლოებულია. გამოძიებაც მიჩუმდა. ეს ყველაფერი ასეთი განცხადებებისთვის სტიმული ხომ არ ხდება?

– მახსენდება, რომ, როდესაც გეჯაძე მიქაუტაძის შემთხვევას შეეხო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ექსპერტიზის დასკვნა აბსოლუტურად საჯარო გახადა. საეჭვოა, რატომ დუმს ამჯერად პროკურატურა? რა თქმა უნდა, ის ამ დუმილით, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს, შექმნას მყარი ნიადაგი უამრავი ასეთი ფანტაზიისთვის, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი პოლიტიკური მიმართულებით წაიყვანს ამ ყველაფერს. ეს არის იმ ოჯახების, საზოგადოების შეურაცხყოფა, რომელსაც პასუხის ღირსად არ თვლის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შეექმნა თუ არა ფსიქიკური პრობლემები პატიმარ მერაბიშვილს?

მარიამ ნადირაძე

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა 17 კილო პოლიტიკური პროცესების გამო დაიკლო?!

საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე პროცესები ექსპერტებისთვის უკვე დიდი ხანია პარალელებისთვის და მსგავსებებისთვის საუკეთესო მაგალითია. განსაკუთრებით ინტენსიურად ამ მსგავსებებზე მას შემდეგ დაიწყეს საუბარი, როდესაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი საქართველოშიც გისოსებსმიღმა აღმოჩნდა. გულუბრყვილოებისთვის შესაძლოა, ეს ჩვეულებრივი დამთხვევა იყოს, მაგრამ ჩვენთანაც ყოფილი პრემიერი პატიმრობაში თავს შეუძლოდ გრძნობს და მის ყოველ ამოსუნთქვას „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ ლუპით აკვირდებიან.

ახალი აჟიოტაჟი კი მას შემდეგ ატყდა, რაც ოჯახმა და ახლობლებმა შეიტყვეს, რომ ვანო მერაბიშვილმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში წონაში 17 კილოგრამი დაიკლო. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ პენიტენციარულ სისტემას მედიკების კოჰორტა მიადგა და მერაბიშვილის პულსისა და წნევის გაზომვა დაბეჯითებითა და კატეგორიულად მოითხოვა.

კონსილიუმიც შედგა, კომისიაც შევიდა ე.წ. მატროსოვის დაწესებულებაში და საბოლოოდ ყველამ შვებით ამოისუნთქა. სასჯელაღსრულების მინისტრიც და ოჯახის ექიმიც ერთსა და იმავეს ადასტურებენ – ყოფილ პრემიერს აქვს ხერხემლის პრობლემა და გულის არითმია. თუმცა საბოლოო დასკვნა მაინც იმ ლაბორატორიული კვლევების შემდეგ დაიდება, რაც მერაბიშვილს დაწესებულებაში ჩაუტარდა.

ბუნებრივია, რომ ამ ფონზე გავრცელდა სხვადასხვა ვერსიები. ერთ-ერთი ვერსიით, მერაბიშვილს პატიმრობაში ფსიქიკური პრობლემები შეექმნა, სხვა ვერსიის მხარდამჭერები კი ამტკიცებენ, რომ მას ფსიქოტროპულ წამლებს აძლევენ. ბუნებრივია, ეს მოსაზრებები „პრაიმტაიმმა“ კომპეტენტურ წყაროსთან გადაამოწმა, თუმცა ამის შესახებ ქვემოთ გიამბობთ. მანამდე კი გთავაზობთ სასჯელაღსრულების მინისტრის პოზიციას აღნიშნულთან დაკავშირებით.

„თუ რაიმე დაავადებაზეა საუბარი, არის ის, რაც ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება ჰქონდეს ბავშვობიდან, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას აწუხებს ხერხემალი, სხვა განსაკუთრებული არაფერი არ არის“, – განაცხადა სოზარ სუბარმა. ექიმების თქმით, ყოფილ პრემიერ-მინისტრს სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში დამატებითი გამოკვლევები ესაჭიროება. მათი თქმით, მერაბიშვილს ასევე გულის პრობლემები აწუხებს. მინისტრი მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ყველა კითხვა აბსოლუტურად ხელოვნური და ადვოკატების მიერ შეგნებულად გამწვავებული იყო. ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების სამინისტრო ოფიციალურ განცხადებასაც ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, მერაბიშვილი ჰოსპიტალში მოთავსებას არ საჭიროებს. სამინისტროს ცნობითვე, დამატებითი ამბულატორიული გამოკვლევები ბრალდებულს გეგმიურად ჩაუტარდება ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირებული მოთხოვნის საფუძველზე: „ივანე მერაბიშვილის ადვოკატების მიერ გაკეთებული განცხადებების საპასუხოდ, სასჯელაღსრულების #9 დაწესებულებაში სამოქალაქო ჯანდაცვის ექიმ-სპეციალისტებისგან დაკომპლექტებულმა კონსილიუმმა ი. მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეაფასა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო და მას ბოლო კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები სამოქალაქო ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ მიმდინარე წლის ივლისში ჩაუტარდა, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ ერთხელ გადამოწმდა. კონსილიუმში მონაწილეობდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, თერაპევტი და კარდიოლოგი შალვა პეტრიაშვილი, დაწესებულების მთავარი ექიმი ირაკლი მურჯიკნელი და აშშ-სა და საქართველოში მოღვაწე ექიმი-თერაპევტი, ჰოსპიტალისტი გრიგოლ ხურციძე, რომელიც ბრალდებულის ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირია. ი. მერაბიშვილს განმეორებით ჩაუტარდა გამოკვლევები. შეფასდა მის სამედიცინო ისტორიაში არსებული ანამნეზური და კლინიკური მონაცემები. ექიმებმა მოამზადეს დასკვნა, რომლის მიხედვითაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და ის ჰოსპიტალში მოთავსებას არ საჭიროებს. რაც შეეხება რეკომენდებულ, დამატებით ამბულატორიულ გამოკვლევებს, ბრალდებულს ყველა გამოკვლევა გეგმიურად ჩაუტარდება ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირებული მოთხოვნის საფუძველზე. ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ პაციენტის წერილობითი თანხმობით ვრცელდება“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

„ვანო მერაბიშვილს ხერხემლის ტკივილი და გულის არითმია უქმნის დისკომფორტს, თუმცა დაწესებულებაში შეიკრიბა კონსილიუმი და ჩვენთვის, ექიმებისთვის, ყველაზე პრობლემატური წონაში კლებაა. როგორც თავად მერაბიშვილმა თქვა, იგი 92 კილოგრამს იწონიდა, როდესაც დააპატიმრეს, ახლა კი 75 კილოგრამია. ამ მხრივ, მერაბიშვილს გარკვეული ტესტები უკვე ჩატარებული აქვს, თუმცა საჭიროებს სამოქალაქო სექტორის რომელიმე კლინიკაში დამატებით ტესტებს, რისი საშუალებაც, ალბათ, მიეცემა“, – განაცხადა „ჯოენის“ კლინიკის ექიმმა გრიგოლ ხურციძემ. მისი თქმით, დამატებითი გამოკვლევის ჩატარება გადაუდებელი არ არის, თუმცა ექიმის რეკომენდაციით, ეს უახლოეს დღეებში უნდა მოხერხდეს.

„პრაიმტაიმი“ ესაუბრა კონსილიუმის ერთ-ერთ წევრს, კარდიოლოგს, ბატონ შალვა პეტრიაშვილს, რომლის პოზიციითაც, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მხრივ, ვანო მერაბიშვილი დამატებით გამოკვლევებს არ საჭიროებს:

– გაირკვა, რომ მას ერთადერთი ხერხემალი აწუხებს. აქვს ყრუ ტკივილები, ზოგადი დისკომფორტი დგომის, წოლისა და ჯდომის დროს.

– ეს რისგან შეიძლება იყოს გამოწვეული?

– ეს ხერხემლის პათოლოგიაა, რომელიც, როგორც მისგან შევიტყვეთ, თავიდანვე ჰქონდა, ამ სიტუაციაში კი უფრო მეტად გაუმძაფრდა. ამასთანავე, აქვს მნიშვნელოვანი კლება წონაში. არის სხვა პატარ-პატარა პრობლემები. სასტაციონარე არ არის და თვითონაც არ მოუთხოვია ეს.

– პატარ-პატარა პრობლემებში რას გულისხმობთ?

– ხანდახან გული მიფრიალებსო, ზოგჯერ კუჭი სტკივა, თუმცა ეს ტკივილები მას ადრეც აწუხებდა თურმე, თვითონვე თქვა, კვების რეჟიმს ადრე უფრო ვარღვევდიო. ასე რომ, სერიოზული არაფერი სჭირს.

დავით ხაჟალია, ვანო მერაბიშვილის ადვოკატი:

– არსებული პირობების გამო და იმ სტრესის გამო, რასაც იმ პროცესების შემხედვარე იღებს, რაც ქვეყანაში ვითარდება, თავს კარგად ვერ გრძნობს. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ეს ყველაფერი გულის არითმიისა და აქედან გამოწვეული შედეგების ბრალია.

– განგაში წონაში კლების გამო ატყდა?

– დიახ. 20 კილოგრამი ჰქონდა დაკლებული.

– თუ 17?

– მერე მოიმატა ცოტა. ამან გამოიწვია ჩვენი შეშფოთება და მოვითხოვეთ, სამოქალაქო სექტორის ექიმები შესულიყვნენ და ჩაეტარებინათ კვლევა. ეჭვი გვქონდა, რომ მას შეიძლებოდა დამართნოდა დიაბეტი. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღეს სახარბიელო არ არის, მაგრამ კონტროლსა და მკურნალობას ექვემდებარება ამ ეტაპზე.

– დადგინდა, რომ წონაში კლება სტრესისგან არის გამოწვეული?

– არა. მას აღმოაჩნდა გულზე დარღვევები.

– თქვენს მოთხოვნას სასჯელაღსრულების მხრიდან წინააღმდეგობა ხომ არ გამოუწვევია?

– არა, მათი მხრიდან იყო თანხმობა, რომ გამოკვლევები ჩატარებოდა. ზოგიერთი ანალიზის პასუხი ამ დღეებში იქნება, რაც სრულ სურათს შექმნის. ეს ყველაფერი გამოიწვია იმ ყველაფერმა, რაც მის ირგვლივ განვითარდა.

– მკურნალობა ადგილზე უტარდება?

– წამლები მიეწოდება დანიშნულების მიხედვით. თუმცა ის განიცდის ყველაფერს – არა მარტო თავის ფიზიკურ მდგომარეობას, არამედ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსაც. ეს ყველაფერი არა მარტო გულზე, არამედ ნევროზულ ფონზეც აისახება.

– სხვათა შორის, გავრცელდა ინფორმაციაც იმის შესახებ, რომ თითქოს მას ფსიქიკური პრობლემები შეექმნა...

– არანაირი ფსიქიკური პრობლემები ვანო მერაბიშვილს არ შეჰქმნია. ის აბსოლუტურად საღ გონებაზეა, აბსოლუტურად ადეკვატურია. ეს არის, უბრალოდ, ყოფითი ავადმყოფური გამოვლინებები, რაც შეიძლება ნებისმიერ ადამიანს შეემთხვეს.

– გულის პრობლემა მას თავისუფლებაში ყოფნის დროს არ ჰქონია?

– თითქოს ადრეც ჰქონდა რაღაც პრობლემები, თუმცა, ეს გამწვავდა შემდგომ.

> „ეს არის, უბრალოდ, ყოფითი ავადმყოფური გამოვლინებები, რაც შეიძლება ნებისმიერ ადამიანს შეემთხვეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაზარალებულებმა პარლამენტთან კარვები გაშალეს

გუბაზ სანიკიძე: „ამაზე სალაპარაკოდ დრო არ მაქვს“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

იპოთეკით დაზარალებულები გასულ კვირას პარლამენტთან დაბანაკდნენ, თუმცა კანონმდებლებამდე მათი ხმა არ აღწევს. მოქალაქეები დეპუტატებისგან იპოთეკური სესხების გადავადებასა და დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემას ითხოვენ. მათთან შედავება დღეს პარლამენტის უმრავლესობას უჭირს, რადგან წინასაარჩევნოდ ეს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ეს ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ დაპირების შესრულებას ითხოვენ და არაფერს მეტს. პარლამენტთან გამართული აქციის არაერთ მონაწილეს დღე-დღეზე გამოსახლება ელის, გამოსახლებამდე კი მათ თავშესაფარი საკანონმდებლო ორგანოსთან გაშლილ კარავში დაიგულეს.

„გაიარეს არჩევნები, შეგვპირდნენ ყველაფერს და მორჩა, მერე დანაპირები აღარ ახსოვთ. ჩვენი სახლის ფასი ჯიპებით დადიან ეს პარლამენტარები. ჩვენით არიან იმ სკამებზე დამჯდარი და დღეს ჩვენ არავინ გვაქცევს ყურადღებას“, – გვიყვება აქციის მონაწილე ხანდაზმული ქალბატონი, რომელსაც ჩვენთან საუბრის მომენტში რამდენიმე დეპუტატმა ისე ჩაუარა გვერდი, რომ ზედაც არ შეუხედავს... მისი თანაკარველები კი ყიჟინით გაეკიდნენ პარლამენტიდან გამოსულ შალვა შავგულიძეს, თუმცა დეპუტატმა უდრტვინველად განაგრძო სვლა საკუთარი ავტომობილისკენ.

„დავით უსუფაშვილს ვთხოვეთ და არ გამოდის. ვაპირებთ შიმშილობის გაგრძელებას, სანამ მიზანს არ მივაღწევთ. მესამე დღეა, რაც აქ ვართ და არავინ გამოგვხმაურებია. ჩემი თავის მე თვითონ მრცხვენია. რატომ არ უნდა გამოვიდეს უსუფაშვილი და რატომ არ უნდა მოგვხედონ“, – აგრძელებს საუბარს ჩვენი რესპონდენტი.

საუბარში ერთვება კიდევ ერთი დაზარალებული ლელა ხურციძე, რომელიც წარმოშობით ქუთაისელი გახლავთ:

– მე ქუთაისელი ვარ, შვილო. ჩვენი დეპუტატი გუბაზ სანიკიძე ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ხალხს გვეხვეწებოდა მხარდაჭერას, დღეს კი ზედაც აღარ გვიყურებს. თურმე ესენი ხალხი არ ყოფილან, მასა გვჭირდება ძალიან დიდიო, გვეუბნებოდა. დღეს ეს მასა აღარაა საჭირო?! უსუფაშვილი მზეთუნახავია, რომ არანაირად არ გამოდის და არ გვენახვება?!

– თქვენ გეუბნებოდნენ, რომ ეს პრობლემა მოგვარდებოდა?

– წინასაარჩევნოდ, ჩემო კარგო, არავის მიუცია ხმა არც უსუფაშვილისთვის და არც ქუცნაშვილისთვის და არც არავისთვის. ჩვენ მივეცით ხმა ბიძინა ივანიშვილს... რატომ? სწორედ ივანიშვილმა მოგვცა პირობა დავით აღმაშენებლის ძეგლის წინ, – ხალხო, საკაშვილმა და მისმა ბანკებმა დაგაქციათ და ჩვენ რომ მოვალთ, დაბალპროცენტიან, გრძელვადიან სესხებს მოგცემთო. მამაჩემს არ უჩუქებია ჩემთვის არაფერი და ივანიშვილს რა მოვთხოვო. დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი სესხი მომცეს, რომ ვიმუშაო, ან დამასაქმოს. სადაც მივედი, 50 წლის ასაკის არ გვჭირდებაო, მეუბნებიან, არ გვაქვს თქვენთვის ადგილიო და 15 წლის ვერ გავხდები ახლა მე. ან სამსახური მოგვცეს, რომ ბანკს ნარვუდგინოთ, ან პენსიაში გაგვიშვას, რომ ის 160 ლარი იქნება თუ 150, იქ მივიტანოთ.

„გუბაზ სანიკიძე ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ხალხს გვეხვეწებოდა მხარდაჭერას, დღეს კი ზედაც აღარ გვიყურებს“

– კონკრეტულად რამდენი გაქვთ გადასახდელი ამჟამად?

– 22 ათასი მქონდა გატანილი, 38 კი მაქვს შეტანილი. ახლა 5 ათასი დოლარის გულისთვის მასახლებენ. ნუ, ჯერჯერობით ბანკი გვცემს კიდევ პატივს, თორემ მძიმე მდგომარეობაში გვაგდებენ. იმაზე მეტი მაქვს შეტანილი, რაც გამოვიტანე. იმასაც შევიტანდი, მაგრამ მეუღლე გამიხდა ავად და მისი ქიმიოთერაპია არავინ დამიფინანსა.

– გუბაზ სანიკიძესთან გიცდიათ მაინც შეხვედრა?

– ვინ გხვდება, შვილო, ან საიდან შემოდის, ან კარებში საიდან გადის? აქ ვდგავართ რამდენი ხანია, საიდან ეტევა ეს კაცი და საიდან ძვრება, ვერ გავიგეთ. ჩვენ რომ გვნახულობენ, მანქანებს აბრუნებენ და იქით შედიან, მეორე მხარეს. აგერ ბათუმელმა მურმან დუმბაძემ რომ გვნახა, წვიმასა და უბედურებაში ვიდექით, აქამდე მოვიდა მანქანით, მოგვიახლოვდა თუ არა, მოატრიალა და უკან გაბრუნდა. ჩვენ გავეკიდეთ, ის კიდევ გაიქცა. ბატონი დავით უსუფაშვილის ირონიული ტონი გუშინ აუტანელი იყო. კობა დავითაშვილს რომ მიმართა ირონიით, ეს სწორი იყო? ჩვენ აქ ხალხი ვუსმენდით და სამკვდრო სასიცოცხლო პრობლემა გვაქვს. თუ არ დადგა სამართლიანობა, ძალიან ცუდად წავა ყველაფერი.

სვეტლანა ახალაია, აქციის მონაწილე:

– ჩვენ ყველას გვქონდა სამსახურები, მე ქონება წამართვა ნაციონალებმა. ის ძმამ და მეგობარმა მიშა ჩოგოვაძემ, 500-ათასიანი ქონება წამართვა, მეორე კი ახლა მეკარგება. 24 დღე ვიშიმშილე და არავის არაფერს არ ვაპატიებ. კარგად მიცნობს მთელი საქართველო. 66 წლის ვარ! მე, ამ ხალხმა და მთელმა საქართველომ ივანიშვილს მივეცით ხმა, მე არ ვამცირებ სხვას, მაგრამ ის მიდის ახლა პოლიტიკიდან და რომ მიდის, ვისთან გვტოვებს? ჰოდა, თუ მიდის, მას გაჰყვება თავისი გუნდიც! მე ვთხოვ ბიძინა ივანიშვილს, ხალხის ხმა მოისმინოს და არა ბანკირებისა და მაფიოზების! 10 კაცი ამ ხალხიდან უნდა მიიღოს პირადად ბატონმა ივანიშვილმა და ძალიან გთხოვთ, ეს გაახმოვანეთ!

ლონდა ფრანგიშვილი, აქციის მონაწილე:

– კერძო იპოთეკარები თავისი ე.წ. ბიზნესსაქმიანობით მოსახლეობის 80%-ზე მეტს ასახლებენ. შეიძლება ბიზნესმენი ეწოდოს ასეთ ადამიანს, რომლის საქმიანობაც ქვეყანას ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანს? აქვე გეტყვით, რომ ხელმოწერით არ არის დაფიქსირებული, რომ ისინი 10% საშუამავლოსაც იღებენ. წინასწარ პროცენტის აღება ნიშნავს იმას, რომ 5 ათასიდან 2 ათასი მიაქვს მას. მოვითხოვთ, პირველ რიგში, გამოცხადდეს მორატორიუმი, დაეხმარონ ამ ადამიანებს, შეაძლებინონ, ჩამოყალიბდეს კომისია და რეალურად რაც აიღეს თანხა, ის დააბრუნებინონ. არიან ადამიანები, რომელთაც 2-3 ათასში 25 ათასის გადახდას სთხოვენ. 6 ათასი უკვე გადახდილი აქვთ, ამას კი საზღვარი არ აქვს. ჩამოყალიბდეს კომისია და ამ ხალხს დაეხმაროს. ჩვენ მოვიყვანეთ ეს ხალხი, მაგრამ დღეს ჩვენ უბრალოები ვართ, ისინიც თავის დროზე უბრალოები იყვნენ. ვთხოვთ, საკუთარი დედის, ოჯახის, შვილის თვალებით შეხედონ ამ ყველაფერს და იგრძნონ ის, რაც დღეს ნამდვილად სატკივარია.

P. S. იპოთეკარების საკითხზე „პრაიმტაიმი“ შეეცადა დეპუტატებთან გასაუბრებას, თუმცა მათი უმრავლესობა ამბობს, რომ ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა და დამატებით სათქმელი არაფერი აქვთ. გუბაზ სანიკიძემ კი, რომელსაც აქციის მონაწილეების დიდი ნაწილი პრეტენზიებს უყენებს, „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ „ამაზე სალაპარაკოდ დრო არ აქვს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქიბარ ხალვაშს საქართველოში არ უშვებენ

my View
მირიან ბოქოლიშვილი

გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფრით მყოფი ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში საქართველოში ვერ ჩამოდის. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, მას სამშობლოში დაბრუნების საშუალებას გერმანული მხარე არ აძლევს. რა პრობლემები აქვს გერმანიაში ბიზნესმენს, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობამ პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა. ინფორმაცია ბიზნესმენის დასთან, დეპუტატ ფატი ხალვაშთან გადავამოწმეთ.

ფატი ხალვაში:

– ქიბარი ნამდვილად აპირებს ჩამოსვლას, მაგრამ ჯერჯერობით გერმანიის სახელმწიფო არ აძლევს უფლებას. ოჯახმაც და თავად მანაც მიიღო იქ ცხოვრების უფლება. საქმეში ისე დევს, რომ პირადად მიხეილ სააკაშვილი იყო დაინტერესებული მისი პერსონით, შესაბამისად, სანამ სააკაშვილი პრეზიდენტია, მას სამშობლოში დაბრუნების საშუალება არ ეძლევა. გარწმუნებთ, ადრე თუ გვიან, ის დაბრუნდება ქვეყანაში და გააგრძელებს თავის საქმიანობას.

– პოლიტიკური გეგმები თუ აქვს?

– პოლიტიკური არანაირად, არასოდეს არც ჰქონია პოლიტიკური გეგმები. მას უყვარს ის საქმე, რასაც აკეთებს და ალბათ, გააგრძელებს თავის საქმიანობას.

– თუმცა ის იყო ირაკლი ოქრუაშვილის ძალიან ახლო მეგობარი და ამბობენ იმასაც, რომ მას მუდმივად ჰქონდა პოლიტიკური ინტერესები...

– არანაირად, ჟურნალისტები ხართ და თქვენ შეგიძლიათ, ამოიღოთ მასალები, მოიპოვოთ, თუნდაც ჟურნალისტური მოკვლევა ჩაატაროთ, რომ ჩემს ძმას გაცილებით ადრე, 2003 წლამდე, ანუ სანამ ნაციონალები მოვიდოდნენ ხელისუფლებაში საკმაოდ წარმატებული ბიზნესი ჰქონდა.

– თუმცა იგივე სოზარ სუბარის ანგარიშებშიც, როდესაც სახალხო დამცველი იყო, წერია, რომ ყველა ტენდერში, რომელსაც ოქრუაშვილის უწყება აცხადებდა, იქნებოდა ეს თავდაცვის სამინისტრო თუ სხვა ძალოვანი უწყება, ტენდერში მუდმივად იმარჯვებდნენ ხალვაშის კომპანიები...

– თუ თქვენ მეკითხებით სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით, დიახ, მის აშენებაზე იყო საუბარი. მაშინ პირდაპირ მიხეილ სააკაშვილის მითითებით მისცეს მას ეს, რადგანაც საქმე ეხებოდა სამხედრო სტრატეგიულ ობიექტებს, რომელიც გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო. უთხრეს, სასურველი არ არის, რომ ტენდერი გამოცხადდესო. ამიტომაც მას სთხოვეს და მან ეს გააკეთა. ჩემს ძმას ჰქონდა სრულიად სხვა გეგმები, ჰქონდა ტერიტორია, სადაც მას უნდა აეშენებინა საცხოვრებელი კომპლექსი, თავისი სავაჭრო ცენტრებით და ამის გაკეთება სურდა. უბრალოდ, თხოვნა იყო ასეთი და მან ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

– რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს... საუბარია იმაზე, რომ თითქოს მას აყიდვინეს რეალურად „რუსთავი 2“ და მას ამაში არავითარი დაინტერესება არ ჰქონია.

– ქიბარი „რუსთავის 2“-ისთვის აპირებს ბრძოლას და ბოლომდე იბრძოლებს კიდეც. იცით, რა? დეტალებში მე ვერაფერს გეტყვით, რადგანაც არ ვიცი ეს საქმე და ეს შეგიძლიათ, ჩემს ძმასთან ან მის ადვოკატთან გადაამოწმოთ.

– დაახლოებით მაინც როდის შეიძლება ჩამოვიდეს საქართველოში?

– როცა თვითონ ჩათვლის საჭიროდ და როცა მიეცემა ამის შესაძლებლობა. დრო აჩვენებს. ის მოუთმენლად ელოდება ამ დღეს.

ფატი ხალვაში:
„ქიბარი ნამდვილად აპირებს ჩამოსვლას, მაგრამ ჯერჯერობით გერმანიის სახელმწიფო არ აძლევს უფლებას“

სად წავლენ სააკაშვილი და ივანიშვილი?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

2014 წლიდან ქართული პოლიტიკის ორი დიდი მოთამაშე – მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი, თანამდებობებზე აღარ იქნებიან და შესაბამისად, საინტერესოა, სად და როგორ განაგრძობენ ისინი მოღვაწეობას? რამდენად მოახერხებს ეს ორი ლიდერი პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენას? „პრაიმტაიმის“ კითხვებს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა, სერგო რატიანმა უპასუხა.

– ბატონო სერგო, დაახლოებით წლის ბოლოს, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ისევე როგორც სააკაშვილი, წავლენ თანამდებობებიდან. მაინტერესებს, ეს ორი პოლიტიკური ფიგურა რამდენად დარჩება აქტიურ პოლიტიკაში და რომელი რა გავლენისა და წონის მატარებელი იქნება ოფიციალური თანამდებობების მიღმა?

– მიხეილ სააკაშვილის გავლენებზე საუბარი ბუნებრივია, რადგანაც ის რჩება პოლიტიკაში, რა სახით, ამას ის თვითონ გადაწყვეტს. ის არის პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც შექმნა მნიშვნელოვანი განვითარების ეპოქა საქართველოში. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მას სურს, გაექცეს... მართალია, არაპირდაპირად, მაგრამ რამდენჯერმე წამოსცდა, რომ სურს, გაექცეს პრობლემებს. მას უნდა, დაიტოვოს უფლებები და ჩამოიშოროს პასუხისმგებლობები. რეალურად, რასაც ის აკეთებს, სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც მის სოციალურ წარმომავლობაზე მიუთითებს. ეს არის ოლიგარქია. როდესაც შენ არ ხარ პოლიტიკაში და გინდა, ზემოქმედება იქონიო ხელისუფლებაზე – ეს არის სქემა, რომელიც მუშაობს რუსეთში და რომლის წარმომადგენელიც არის ივანიშვილი.

– ანუ თქვენ გაქვთ ეჭვი, რომ ის კულისებს, მიღმა მართავს ამ ყველაფერს?

– რეალურად რასაც ის ამბობს, სწორედ ამაზე მიუთითებს.

– მიხეილ სააკაშვილის წასვლა რამდენად მოახდენს გავლენას ზოგადად პოლიტიკაზე, არა მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობაზე“, არამედ ზოგადად?

– როგორც ჩვეულებრივი პოლიტიკოსი, ის არის „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი და ის ჩვენთან ერთად გააგრძელებს პოლიტიკურ ბრძოლას. რა სახით და რა ტაქტიკით, ამას ვნახავთ...

– რაც შეეხება კანდიდატებს, ამ ეტაპის მონაცემებით თქვენი კანდიდატის, დავით ბაქრაძის შანსებზე რომ გვითხრათ, რამდენად რეალურია, რომ მან მოიგოს არჩევნები, ან მეორე ტურამდე მივიდეს საქმე?

– ვფიქრობ, ეს საკმაოდ რეალურია. საქართველოს ისტორიაში გვახსოვს ნაბოძები თავადაზნაურობა, მაგრამ ნაბოძები პრეზიდენტობა არ გვინახავს და არ გამიგია. და ვფიქრობ, ქართველი ხალხი ასეთი სახით წარდგენილ პრეზიდენტობის კანდიდატს მხარს არ დაუჭერს.

სერგო რატიანი:
„ივანიშვილს სურს, დაიტოვოს უფლებები და ჩამოიშოროს პასუხისმგებლობები, სააკაშვილი კი ჩვენთან ერთად გააგრძელებს პოლიტიკურ ბრძოლას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი ჩიქოვანი: მიმაჩნია, რომ ირაკლი ალასანია და „თავისუფალი დემოკრატები“ პოლიტიკაში მოვიდნენ არა ერთი-ორი წლით, ან გარკვეული საარჩევნო პერიოდით, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი დროით“

ხათუნა მგალობლიშვილი

ოპონენტები ირაკლი ალასანიასგან განსხვავებულ ნაბიჯს ბოლო წუთამდე ელოდებიან. ჯერჯერობით იმედს არ კარგავენ, რომ 27 ოქტომბრამდე „თავისუფალი დემოკრატები“ აზრს შეიცვლიან და საკუთარი კანდიდატით წარდგებიან საპრეზიდენტო არჩევნებზე. მოლოდინი ნელ-ნელა და უფრო ძლიერდება, თუმცა აბსოლუტურად საწინააღმდეგოს ირწმუნებიან თავდაცვის მინისტრის პირად გუნდში. ნებისმიერი „თავისუფალი დემოკრატელი“ დარწმუნებით აცხადებს, რომ ალასანია მხარს უჭერს მარგველაშვილს და ასე იქნება ბოლომდე. სწორედ ამიტომაც წინასწარვე კეთდება დასკვნა, რომ ირაკლი ალასანია ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან შანსს უშვებს ხელიდან...

დეპუტატი ირაკლი ჩიქოვანი „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია. მიაჩნია, რომ მისი პარტია, კოალიციასთან ერთად, ხანგრძლივი პერიოდით მოვიდა პოლიტიკაში და ცალკე გასვლა არასწორი გადაწყვეტილება იქნებოდა. უფრო სწორად, თვლის, რომ ასეთ შემთხვევაში პარტიის აქტიურობა არჩევნების გრაფიკის დასრულებისთანავე დამთავრდებოდა. ამით კი ისინი დაპირებების ასრულების შანსს გაუშვებდნენ ხელიდან. შესასრულებელი კი, სხვა ბევრ დაპირებასთან ერთად, ევროინტეგრაციის პირობაა. შესაბამისად, ისინი მთელ ყურადღებას უთმობენ პრემიერისა და კოალიციის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ნაკლებს საკუთარ გეგმებს... ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე...

ირაკლი ჩიქოვანი, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი:

– პრემიერის განცხადება ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით, მგონი, ძალიან ჩვეულებრივი განცხადება იყო, მაგრამ ამ განცხადების პოლიტიზება და მისი სხვა ჭრილში გადატანა პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ოპოზიცია ცდილობს, ამას სხვა შედეგები მიაბას. რეალურად საქართველო დღეს-დღეობით მწყობრი, ძალიან მყარი ნაბიჯებით მიდის ევროინტეგრაციისკენ. საქართველო ემზადება საკუთარი ადგილის დასაკავებლად ევროპულ ოჯახში. საქართველოს სხვა არჩევანი არც კი არსებობს, ევროპული არჩევანი ჩვენს ქვეყანას უკვე გაკეთებული აქვს. ევრაზიის კავშირი თავისთავად მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, რომელიც ჩვენს მეზობლად ვითარდება და ამ სამეზობლოში ინფორმაციის ფლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ანუ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა იქმნება, რა ვითარდება და ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს.

– ეს ორგანიზაცია ჩვენთვის მნიშვნელოვანია თუ საფრთხის შემცველი?

– თვითონ ევრაზიული კავშირი ჯერჯერობით კონტურებს კვლავ იძენს, ის საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. ჩამოყალიბების შემდეგ სურათი ბევრად ნათელი გახდება. მაგრამ გვინდა თუ არ გვინდა, ეს რეალობა არსებობს და ამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ჩვენ უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას, თუ რა ხდება ამ ორგანიზაციაში.

– რა შემთხვევაში შეიძლება დავთანხმდეთ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას?

– ამ ეტაპზე მე ვერ ვხედავ, უფრო სწორად მე ვერ ვხედავ იმ გარემოებას, რომელიც შეიძლება საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაერთიანების სასარგებლოდ განიხილებოდეს.

– პრემიერის განცხადება დამოუკიდებელი იყო, თუ კოალიციაში ამ საკითხზე მსჯელობენ?

– პოლიტიკური დისკუსია იმის შესახებ, რომ საქართველო უნდა გახდეს თუ არა ევროპის კავშირის ან ნატოს წევრი, არ არსებობს. საქართველო განაგრძობს სვლას ევროკავშირისკენ და ნატოსკენ. დისკუსია იმის შესახებ, თუ სად არის საქართველოს ადგილი, კოალიციაში არ არსებობს.

– ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ალასანიამ თავისი შანსი გაუშვა, როცა კოალიციას არ გამოეყო და დამოუკიდებლად არ დააყენა საპრეზიდენტო კანდიდატად საკუთარი თავი. თვლით, რომ მან მართლაც გაუშვა შანსი?

– ჩემი აზრით, ირაკლი ალასანია და „თავისუფალი დემოკრატები“ პოლიტიკაში მოვიდნენ არა ერთი-ორი წლით, ან გარკვეული საარჩევნო პერიოდით, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი დროით. მიმაჩნია, რომ ჩვენი პარტია ძალიან მნიშვნელოვან პროცესებში მონაწილეობს, ჩვენ დღეს ვართ კოალიციაში და ასევე, ვთვლი, რომ ძალიან დადებითი მუხტი შეგვაქვს იმ დაპირებების შესრულებაში, რაც წინასაარჩევნოდ გვქონდა, მაგრამ რაც შეეხება სხვა პოლიტიკური ძალის განცხადებებს, ვფიქრობ, სჯობს, საკუთარი პოლიტიკური ძალის გაძლიერებაზე იზრუნონ. ვფიქრობ, ის დანაპირები, რაც კოალიციას ერთობლივად გვქონდა, ასევე ერთად უნდა შევასრულოთ და ეს სწორედ საპარლამენტო ციკლის სრულ პერიოდზეა გათვლილი. დღევანდელი პოზიცია არის ასეთი: კოალიცია, რომელიც შედგება ექვსი სუბიექტისგან ვთანხმდებით დაპირებების ერთად ასრულებაზე. ძალიან სამწუხაროა პრემიერის გადაწყვეტილება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, თუმცა ეს სიახლე არ არის.

„მიხეილ სააკაშვილი საკუთარი გუნდისთვის საპრეზიდენ

ხათუნა მგალობლიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის გამწევი ძალა პირობას დებს, რომ კოალიცია არც ივანიშვილის წასვლის შემდეგ დაიშლება და არც თვითმმართველობის არჩევნების წინ. დავით ბერძენიშვილის განცხადებით მათ პარტიას პირველად მიეცა ქვეყნის მართვის შანსი, 35 წლის არსებობის მანძილზე და ამ შანსის ხელიდან გაშვებას არ აპირებენ, არც თავად და არც კოალიციის სხვა წევრები. ძნელია ამის დაჯერება მაშინ, როცა ოპოზიციაში ყოფნისას იგივე ერთობამ ვერასდროს მოახერხა მიზნამდე ფეხშეწყობით სიარული, მით უფრო მაშინ, როცა მათი ერთობის მთავარმა მიზეზმა, ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განცხადება უკვე გააკეთა. თუმცა ბერძენიშვილის მტკიცებით ეს ყველაზე ღირსეული და ადამიანური საქციელი იყო, რადგან ახლა ამომრჩეველი კოალიციას ხმას სწორედ კოალიციის გამო მისცემს და არა ივანიშვილის გამო. ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ მარგველაშვილს გასამარჯვებლად მეორე ტური არ დასჭირდება და ამით უმრავლესობის ლეგიტიმაციის საკითხის ირგვლივ არსებული ეჭვებიც ავტომატურად გაქრება...

დავით ბერძენიშვილი:

„სააკაშვილმა იმხელა შეცდომა დაუშვა, რომ ქვეყანამ უთხრა უარი შარშან, პირველ ოქტომბერს და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მას უარს საკუთარი პარტია ეუბნება“

„მოტივაცია იმდენად გასაგები და სასარგებლოა, რომ კოალიციის არც ერთ პარტიას არ აქვს სურვილი ამ პასუხისმგელობას გაექცეს და შესაბამისად, წავიდეს ხელისუფლებიდან“

დავით ბერძენიშვილი, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:

- არ ველოდები მეორე ტურს, ვფიქრობ, დამაჯერებელი გამარჯვება პირველივე ტურში იქნება. დანარჩენს ჯობია ოქტომბრის ბოლოს დაველოდოთ, რაც შეეხება მეორე ადგილს, ბრძოლა სერიოზული იქნება.

- როგორ ვარაუდობთ ვინ გავა მეორე ადგილას?

- ვერ გეტყვით, მნიშვნელოვანია, სალომე ზურაბიშვილი მიიღებს თუ არა მონაწილეობას არჩევნებში. ბაქრაძე-ზურაბიშვილი-ბურჯანაძე თანაზომადი ფიგურები არიან. რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, ისინი, ჯამში, ერთად სულ რამდენიმე პროცენტს აიღებენ. დღეს რაიმე არსებითი სხვაობა ეგზოტიკურ კანდიდატებსა და იმ პოლიტიკოს კანდიდატებს შორის, რომლებიც ადრე საკმაოდ რეიტინგული პარტიების ლიდერები იყვნენ, სხვაობა მათ შორის პრაქტიკულად აღარ არის. ამიტომ, ვფიქრობ, რომ „ოცნების“ კანდიდატი გამოკვეთილი ლიდერია კანდიდატებს შორის. ანუ საპრეზიდენტო არჩევნების მარათონი ასე გამოიყურება: მარგველაშვილი, რომელიც ლიდერია და მეორე ჯგუფი - ის იქნება ორ ან სამკაციანი, ეს დამოკიდებულია სასამართლო გადაწყვეტილებაზე, ვგულისხმობ ბაქრაძე-ზურაბიშვილ-ბურჯანაძეს და ყველა დანარჩენი კანდიდატები, რომლებიც ოლიმპიური პრინციპით იღებენ მონაწილეობას.

- ზურაბიშვილის დაბლოკვა ყველაზე მეტად რომელი კანდიდატის ინტერესებში შედის?

- ზურაბიშვილი ხმებს ყველა კონკურენტს წაართმევს, ზოგს მეტს, ზოგს ნაკლებს. სულ რამდენ ხმას აიღებს ამას ვერ გეტყვით. ამიტომ ვფიქრობ, მისი უშუალო კონკურენტი, ნინო ბურჯანაძე, ძალიან კორექტულია, როდესაც აცხადებს, რომ ქალბატონი სალომე ძალიან ღირსეული კანდიდატიაო. მე, არ მგონია, რომ ბურჯანაძე აღფრთოვანებული იქნება თუ სალომე ზურაბიშვილი რეგისტრაციაში გაატარეს. თუმცა კორექტული საქციელი სწორი არჩევანია მისი მხრიდან.

- პოლიტიკურ წრეებში აქტიურად განიხილავენ ვერსიას, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ გზას სწორედ ბურჯანაძეს უთავისუფლებს და ამის დასადასტურებლად მოჰყავთ ფაქტი, რომ „ოცნებამ“ სწორედ მარგველაშვილი აირჩია კანდიდატად და არა სხვა, რომელიმე ძლიერი პოლიტიკოსი, ასევე იშველიებენ იმ ფაქტსაც, რომ ზურაბიშვილს დარეგისტრირებაზე პრობლემები შეექმნა...

- დავიწყოთ იმით, რომ მარგველაშვილი არ არის სუსტი კანდიდატი.

- დამოუკიდებლად, ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშე...

- ამ კონტექსტში ის კონკურენტუნარიანი კანდიდატია. ივანიშვილის ფაქტორი, ფაქტია, განმსაზღვრელია, მაგრამ „ოცნებას“ სხვა კანდიდატიც რომ აერჩია, იქაც ივანიშვილის ფაქტორი ითამაშებდა მნიშვნელოვან როლს. ამიტომ კოალიციას ჰყავს ძლიერი კანდიდატი. რაც შეეხება საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ ადამიანებს, არც ერთი მათგანისთვის რაიმე ხელშეშლას ან ხელშეწყობას კოალიციის ლიდერი არ აპირებს. ჩვენ უზრუნველვყოფთ და მივეხმარებით ჩვენს კანდიდატს, გიორგი მარგველაშვილს, გამარჯვების მოპოვებიაში. ამიტომ ყოველგვარი ვერსიები, რომ რაიმე გზით ივანიშვილი მარგველაშვილის გარდა მხარს უჭერდეს სხვა კანდიდატს, არ არის სწორი. ხანდახან ეს არაკვალიფიციური შეფასებებია და ასევე არის ყურში ჩაჩურჩულების მსგავსი საქციელი, კონკრეტული კანდიდატის მხრიდან საკუთარი ამომრჩეველების მისამართით, კი ბატონო, ღიად თავის კანდიდატს უჭერს ივანიშვილი მხარს, მაგრამ... ეს არ არის სერიოზული საქციელი და ბურუსი მალე გაიფანტება, დამიჯერეთ.

- პრემიერის წასვლის შემდეგ ფიქრობთ, რომ თქვენი უმრავლესობის ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება? ეს საკითხიც ძალიანა აქტიურად დგას პოლიტიკურ წრეებში, რადგან ითვლება, რომ თქვენ ხელისუფლებაში სწორედ ივანიშვილმა მოგიყვანათ და შესაბამისად საჭირო გახდება ვადამდელი არჩევნები...

- უფ, რას ამბობთ... და ისინი, ვინც ახლა მაგრად წააგებენ არჩევნებს, რა ლეგიტიმაცია ექნებათ, რომ საპარლამენტო არჩევნები მოითხოვონ? მე ვფიქრობ, რომ არანაირი საპარლამენტო არჩევნები არ იქნება და არც ამის საჭიროება იარსებებს. მთავარი კი ის არ არის, „ნაციონალურ მოძრაობას“ რამდენი მანდატი შერჩება პარლამენტში, მთავარია, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს გამარჯვებული „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებშიც თუ ასევე დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს, მაშინ გასაგები იქნება, რომ ლეგიტიმაცია ასევე ძლიერი იქნება.

- თუმცა ეს გამარჯვებაც ივანიშვილის გამო იქნება, ხომ ასეა?

- არა, აი, ხომ არის უკვე ცნობილი, რომ ივანიშვილი მიდის? ივანიშვილი უაღრესად პატიოსნად მოიქცა, რადგან მან საკუთარი გადაწყვეტილება წასვლის შესახებ, არჩევნებამდე გააჟღერა და არა ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების შემდეგ. ღიად განუცხადა მოსახლეობას, რომ აპირებს წასვლას და მხარს უჭერს მარგველაშვილს კანდიდატს და უთხრა, ხალხო, იცოდეთ, მართვას გააგრძელებს ჩემი კოალიცია, გყავთ პარლამენტის თავმჯდომარე, იქნება ახალი პრემიერი, ახალი პრეზიდენტი. ღიად ამბობს, რომ სწორედ ამ ხალხს უნდა მისცეს ამომრჩეველმა ხმა. ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემი პროგნოზით, მარგველაშვილის ხმები იქნება დაახლოებით 2/3-ის ფარგლებში და ძალიან დიდი სხვაობა იქნება პირველ და მეორე ადგილზე გასულს შორის. 1-2 ან 3%-ით ნინო ბურჯანაძეს, სალომე ზურაბიშვილს და დავით ბაქრაძეს შორის სხვაობა მნიშვნელოვანი არ იქნება. შესაბამისად მეორე, მესამე თუ მეოთხე ადგილზე ვინც არ უნდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებშიც თუ ასევე დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს, მაშინ ლეგიტიმაცია ისევ ძლიერი იქნება“

EXCLUSIVE

„ნინო ბურჯანაძეს კარგად ესმის, რომ რეალურად ის იბრძვის კარგი საპრიზო ადგილისთვის და არა პრეზიდენტობისთვის. პრეზიდენტობისთვის ბრძოლა მას შეეძლო, 7 ნოემბერს მართალი სიტყვა რომ ეთქვა... პრობლემა მის პოლიტიკურ წარსულში და მის შეცდომებშია, მისი პრობლემები მისი ტვირთია“

გავიდეს, ჯამურად ეს იქნება ხმების ერთი მეორედი. შესაბამისად, მეორე ადგილზე გასულს დიდი დატვირთვა არ ექნება. ჩვენ, რესპუბლიკელებიც და კონსერვატორებიც გავედით 2006 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ჩვენც ავიღებთ მეორე ადგილი, მაგრამ ნაციონალებს მაშინ 60% ჰქონდათ, ჩვენ, მეორე ადგილზე გასულებს კი - 12%. ჩვენ არ მიგვიღია მაშინ იმდენი ხმა, რომ პოლიტიკურად დაგვესვა ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის უფლება. ამ არჩევნებშიც, იგივენაირად ვინც მიიღებს 12%-ის ფარგლებში ხმებს, ისინი ვერანაირად ვერ გადააქცევენ ამ ხმებს პოლიტიკურად და პარლამენტის ლეგიტიმაციის საკითხად.

- ანუ არავითარი ლეგიტიმაციის პრობლემა არ იარსებებს?

- არანაირად. ჯერ ერთი სულ სხვადასხვა ინსტიტუტებია საპარლამენტო და საპრეზიდენტო და ამ თვალსაზრისითაც არ დგება სამართლებრივი ლეგიტიმაციის საკითხი, მაგრამ აქ საუბარია შეფასებებზე და მორალურ-ფსიქოლოგიურ თვალსაზრისზე, თუმცა როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი ლეგიტიმაცია პარლამენტს აქვს მაღალი და ეს კიდევ გამყარდება არჩევნების შემდეგ.

- თუ კოალიცია არ დაიშალა ივანიშვილის წასვლის შემდეგ...

- რა თქმა უნდა, ივანიშვილი პოლიტიკის ძალიან დიდ სივრცეს ათავისუფლებს და პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში გადანაწილდება. ივანიშვილის მიერ გათავისუფლებული სივრცე, ბუნებრივია, შეივსება კოალიციის სუბიექტების მიერ. ივანიშვილი ამას ღიად ამბობს, ჩემი პირველი კომენტარიც ასეთივე იყო. გასაგებია, კოალიციის სუბიექტების, მათ შორის ჩვენი პარტიის პასუხისმგებლობის ხარისხი მნიშვნელოვნად იზრდება, როცა ივანიშვილი აღარ იქნება პოლიტიკაში. მოტივაცია ხელისუფლების და ერთობლივი მართვის, იმდენად გასაგები, მისაღები და პოლიტიკურად სასარგებლოა, რომ კოალიციის არც ერთ პარტიას არ აქვს სურვილი ამ პასუხისმგელობას გაექცეს და შესაბამისად, წავიდეს ხელისუფლებიდან.

- თუმცა პასუხისმგებლობის ტვირთი ძალიან დიდია ამ შემთხვევაში...

- ეს პოლიტიკაა და სხვათა შორის ჩვენ პირველად ავიღეთ ეს პასუხისმგებლობა 35 წლის განმავლობაში. ამის შანსი არაერთხელ გვქონდა, სამივე ყოფილი პრეზიდენტის დროს გვქონდა შანსი აგვეღო პასუხისმგებლობა, მაგრამ ეს არცერთხელ არ გავაკეთეთ. ჩვენ მათთან ერთად არ ვიხელისუფლეთ, სამაგიეროდ ვხელისუფლობთ ივანიშვილთან ერთად. ივანიშვილის მიერ შექმნილ კოალიციაში ვიხელისუფლებთ მის გარეშეც.

- ვარაუდობთ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზეც კოალიცია ერთად იქნება?

- კოალიცია ნებისმიერ შემთხვევაში ერთად იქნება, როგორც კოალიცია, რაც შეეხება საარჩევნო კონიუნქტურას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი საარჩევნო კანონმდებლობა იქნება მიღებული. შესაძლოა, არჩევნებზე ერთ სუბიექტად გასვლამ მოგიტანოს მეტი ხმა, შესაძლოა, არჩევნებზე რამდენიმე სუბიექტად გასვლამ ბევრად მეტი ხმა მოიტანოს. ეს იმის მიხედვით დალაგდება, თუ როგორი საარჩევნო კანონმდებლობა იქნება. ამიტომ კოალიცია, ნებისმიერი შემთხვევაში, ერთად იქნება, საარჩევნო ქრონოლოგიები იმის მიხედვით დალაგდება, როგორი კანონმდებლობაც იქნება.

- ანუ თუ გაგიჭირდათ, რეიტინგი თუ დაეცა, ცალ-ცალკე გახვალთ, რომ საბოლოოდ მეტი ხმა შეაგროვოთ?

- არა, ეს წმინდა კანონის საკითხია. მაგალითად, თუ იქნება სამი არჩევანის შესაძლებლობა რეფერენციებით, მაშინ კოალიციას შეეძლება ეს ხმები ერთმანეთში გაანაწილოს. მაგალითად, ვიღაცას, პირველ რიგში, მოეწონება „ქართული ოცნების“ პარტია, ვიღაცას მეორე პარტიად რესპუბლიკელები, კიდევ ვიღაცას „თავისუფალი დემოკრატები“, ან კონსერვატორები... თუ პრეფერენციული იქნება, მაშინ ჯამურად კოალიცია მეტ ხმას მიიღებს. მთავარია, რომ პოლიტიკური კოალიცია ძალიან მაღალი ალბათობით თვითმმართველობის არჩევნებზე იქნება ერთად, საარჩევნო ტექნოლოგიების შესაბამისად, გადაწყდება ერთად გავა თუ ცალკეულ სუბიექტებად.

- მინდა ბურჯანაძეს მივუბრუნდე, როგორც ამბობენ, ბურჯანაძე სულაც არ ემზადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის და ის რეალურად უფრო მომდევნო არჩევნებს უმიზნებს, ეს შეიძლება იყოს თვითმმართველობის ან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები...

- ეს სწორია, ეს არის პოლიტიკური დათვალიერება. ბურჯანაძე ყოველთვის ადეკვატური იყო და ალბათ, ახლაც ასეა, არ მაქვს მასთან ურთიერთობები. მე მგონი მას კარგად ესმის, რომ რეალურად ის იბრძვის კარგი საპრიზო ადგილისთვის და არა პრეზიდენტობისთვის. პრეზიდენტობისთვის ბრძოლა მას შეეძლო, 7 ნოემბერს მართალი სიტყვა რომ ეთქვა და არა ისეთი, როგორიც 9 ნოემბერს გამოგვიცხადა, თავისი საგანგებო მდგომარეობით, 7 ნოემბერი რომ შეაფასა, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. მაშინ რესპუბლიკელები გამოგვაცხადა, როგორც დამნაშავეები, მოკლედ, შეეშალა ბურჯანაძეს. მგონი მას ეს ძალიან კარგად ესმის. ჩვენ ამით არაფერი წაგვიგია, ეს მან წაგო. პრობლემა მის პოლიტიკურ წარსულში და მის პოლიტიკურ შეცდომებშია. მისი პრობლემები მისი ტვირთია. ამიტომ დღეს ის პრეზიდენტობისთვის არ იბრძვის. ვადამდელი არჩევნების ნაკლები შანსია და რაც შეეხება ადგილობრივ არჩევნებს, ბუნებრივია, ეს იქნება პირველი სერიოზული დათვალიერება. როგორც ბურჯანაძე, ასევე სხვები, ცდილობენ პირველი გენერალური რეპეტიცია თვითმმართველობის არჩევნებისთვის გამოიყენონ, რომ პოლიტიკური სივრცე შეავსონ თვითმმართველობებში საკუთარი სპექტრით. ეს ნორმალურია და კარგია.

- ანუ ის გზას იხსნის პრემიერობისთვის?

- ბურჯანაძეს გრძელვადიანი გეგმებისთვის ჯერ არ სცალია. მისთვის მთავარი ორიენტირი არის მაისის თვითმმართველობის არჩევნები. ეს იცის კოალიციამაც და ეს იცის ოპოზიციამაც. როგორც საპარლამენტო ოპოზიციამ ასევე, არასაპარლამენტომ. ყველაფერი, საპრეზიდენტო არჩევნებიც, მუშაობს მაისის არჩევნებისთვის. ჩვენ ვიცით მოცემულობა როგორი იქნება - პრეზიდენტი - კოალიციის კანდიდატი, შეიკვრება სამეული, როგორც საპრეზიდენტო, ასევე საპრემიერო და საპარლამენტო თანამდებობები იქნება მთლიანად კოალიციის ხელში, ეს მისჯილი კოაბიტაციაც მთავრდება.

- არჩევნების შემდეგ?

- დიახ, გაილია ეს უკვე. ხელისუფლებაში ინსტიტუციონალურად აღარ იქნება საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული ძალა და ავტომატურად ამოინურება ეს საკითხი. ჩვენ კარგად გავიარეთ ეს ათი თვე, პრაქტიკულად არაფერი არ დავთმეთ. კონსტიტუციის ფარგლებში, როცა მოქმედ პრეზიდენტს ყველაფრის უფლება აქვს, რეალურად ის ვერ იყენებს საკუთარ იურიდიულ უფლებებს. ის გვეთამაშება პარლამენტში, დაგვიდებს ვეტოს და ერთი თვით ან თვე-ნახევრით საკანონმდებლო პროცესს აფერხებს. თუმცა მას ჰქონდა უფლება არ წამოეყენებინა არც პრემიერი, ძალოვნები, მაგრამ დაჰყვა ხალხის ნებას. ასე რომ, ეს ყველაფერი ნარჩენი მოვლენებია. ახლა პრეზიდენტი სადღაც მყინვარწვერზე შეფერხდა მგონი და ბოლოს და ბოლოს ავა, ალბათ, გაისეირნებს-გამოისეირნებს, ხან ზღვაში, ხან მთაში, მაგრამ საბოლოოდ მე ვერ ვხედავ სააკაშვილს მომავალში პოლიტიკაში. მან საკუთარი კატასტროფული პოლიტიკური ნაბიჯებით საკუთარ პერსპერქტივას განაჩენი გამოუტანა.

- თქვით, რომ სააკაშვილი არ დარჩება პოლიტიკაში? თუმცა სხვანაირი განცხადებები კეთდება მისი გუნდიდან...

- პოლიტიკაში ყოფნის უფლება ყველას აქვს, აქ საუბარია შესაძლებლობებზე. მიხეილ სააკაშვილი საკუთარი გუნდისთვის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ისეთი ტვირთი იქნება, რომ აღარ მოინდომებენ მასთან ერთად ყოფნას. მე წმინდა პრაგმატულად ვლაპარაკობ. ვისაც ბაქრაძის კლიპი ნანახი აქვს, მითხრას, სად არის იქ სააკაშვილი, სად არის იქ მათი ხერხემალი ვანო, სად არიან იქ ახალაიები, გინდ ერთი, გინდ მეორე და გინდ მესამე? ხომ გასაგებია, რომ ეს ხალხი ცდილობს 10 თუ 12 -პროცენტიანი შედეგის აღებას და პოლიტიკაში პატარა ადგილის დაკავებას მაინც, ოღონდ, მიშა სააკაშვილის გარეშე. სააკაშვილმა იმხელა შეცდომა დაუშვა, რომ ქვეყანამ უთხრა უარი, შარშან, პირველ ოქტომბერს და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მას უარს საკუთარი პარტია ეუბნება. როდესაც მე ვუთხარი სააკაშვილს აქ პარლამენტში, რომ მას არ აქვს პოლიტიკაში დარჩენის პერსპექტივა, მიპასუხა, ვერავინ ვერ გამაგდებს ქართული პოლიტიკადო. მე არ ვადგებ, მისი გუნდი აგდებს.

„ივანიშვილი უაღრესად პატიოსნად მოიქცა, რადგან მან საკუთარი გადაწყვეტილება წასვლის შესახებ არჩევნებამდე გააჟღერა და არა ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების შემდეგ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როდემდე გასტანს გამოცდ

ხათუნა მგალობლიშვილი

განცხადება გაკეთებულია და კოალიციის ის ნაწილი, რომელიც კოაბიტაციის კატეგორიული წინააღმდეგია, პროცესის დასრულებას 27 ოქტომბერს ელოდება კიდეც. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საკითხი ჩიხშია შესული. ერთი მხრივ, არსებობს პრემიერ ივანიშვილის განცხადება, სადაც ნათლად ჩანს, რომ დასავლეთი ოპონენტების პოლიტიკურ დევნას მკაცრად არ ეთანხმება და აკონტროლებს, მეორე მხრივ კი, არის მოცემულობა, რომლის მიხედვითაც გიორგი მარგველაშვილი უკვე ახალი პრეზიდენტის ამპლუაში კოაბიტაციის დასრულების პირობას დებს. ოქროს შუალედის პოვნა ორ რადიკალურ მხარეს შორის პრინციპში შეუძლებელია, თუმცა პრიმიტიული განმარტებით ის შემდეგნაირად გამოიყურება: ნაციონალების ლიდერი 27 ოქტომბერს პოსტიდან მიდის, შესაბამისად, ნაციონალებთან კოაბიტაციის ვალდებულებაც სწორედ ამ დღეს წყდება. ანუ „ოცნების“ მთავარი მიზანი - ნაციონალების ხელისუფლებიდან ჩამოშორება, სწორედ 27 ოქტომბერს სრულდება. შესაბამისად ინტერესიც, გამონაკლისის გარდა, მათ მიმართ აღარც უმრავლესობას აქვს და აღარც მთავრობას. ამ ლოგიკით მსჯელობისას კოალიციის წევრებს ერთი დეტალი ავიწყდებათ. დღესაც და 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ 2015 წლის ჩათვლით ერთ-ერთ საკვანძო თანამდებობაზე სწორედ ნაციონალების წევრი დაიკავებს თანამდებობას. თბილისის მერი სწორედ 2015 წლამდეა ხალხის მიერ არჩეული... რაც შეეხება გამონაკლისს, ის ერთადერთი შეიძლება იყოს - თუ ნაციონალები ისე არ გაძლიერდებიან, რომ ხელისუფლებაში დაბრუნება შეძლონ... ამ ვერსიას ნაციონალების გარდა არავინ განიხილავს. თავად კოალიციაში აცხადებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ეს წარსულია. შესაბამისად, დასავლური იმიჯის მქონე პარტიები კოაბიტაციას გაგებით ეკიდებიან, რადიკალები კი ნაციონალების მაქსიმალურად მკაცრი ზომებით დასჯას ითხოვენ. სწორედ აქ არის „ქართული ოცნების“ გზაგასაყარი. თუმცა პრემიერმა პოლიტიკიდან წასვლამდე საკუთარი პოზიცია ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა.

გია გაჩეჩილაძე: „თუ კოაბიტაციაზე საუბრისას ნაციონალების ელიტას გულისხმობთ, იქ დამნაშავეების დიდი კოჰორტაა, რომლებთან კოაბიტაციის წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის და ახლაც წინააღმდეგი ვარ“

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერი:

- ნაციონალები არ უნდა იყვნენ წყალგამყოფები. ისინიც ჩვენი საზოგადოების წევრები არიან და უნდა მივცეთ საშუალება, რომ ჩვეულებრივად იგრძნონ თავი. ისინი იდეოლოგიაზე არ არიან დაფუძნებულები, მხოლოდ ძალაზე. ამ ძალას კი, ინაწილებდნენ ისინი, ვინც თანამდებობას იღებდა. ნუ გვინდა, რომ ერთ დღეს ჩამოვიშოროთ ყველაფერი. არ შეიძლება ასე. „ნაციონალურ მოძრაობაში“ არის ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანი, მივცეთ საშუალება. დამთავრდება კოაბიტაციის პერიოდი. ძალიან ბევრი გადაეწყობა და ბევრი იზრუნებს სახელმწიფოზე და სამშობლოზე და არა ერთ კაცზე ჩამოკიდებულ იდეოლოგიაზე. არ უნდა დავისახოთ მიზნად ვადამდელი არჩევნები. როგორიც იქნება ოპოზიცია ისეთი უნდა ავიტანოთ და შეიძლება უფრო მეტიც ვისწავლოთ. ჩვენ ერთად უნდა განვვითარდეთ. ნუ გავიწყდებათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ჩვენი მოქალაქეები არიან, ჩვენი ხალხი არიან და არ შეიძლება, რომ ეს დამოკიდებულება იყოს ასეთი, რომ ძალიან სწრაფად დავშორდეთ. ვის დავშორდეთ? ესენი ხომ ჩვენი მოქალაქეები არიან. სად წავიყვანოთ ისინი, სხვაგან გადავასახლოთ თუ რა? იდეოლოგია „ნაციონალური მოძრაობის“ არ არსებობს. შევეცადოთ, რომ აღვზარდოთ, სწორი გზა ვაჩვებოთ. რა ვქნათ, ყველა სოფელშია ერთი გიჟი. ეს უნდა ავიტანოთ.

ივანიშვილმა პირადად ისაუბრა მიხეილ სააკაშვილზეც. თუ მისი გუნდის წევრები პრეზიდენტის დაპატიმრებას წინასწარვე აანონსებენ და დეტალებსაც კი აკონკრეტებენ, თუ რა მუხლით, რომელ საქმეზე და რა ბრალდებით მოხდება სააკაშვილის დაკავება, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, პრემიერი აქაც რადიკალურად განსხვავდება საკუთარი შეხედულებით.

ბიძინა ივანიშვილი:

- მე სანამ ვიყავი ოპოზიციაში, მკვეთრ განცხადებებს ვაკეთებდი. ახლა მთავრობის მეთაური ვარ და ევროპასაც და ამერიკასაც, ამ შემთხვევაში, ბევრს ვესაუბრები და ძალიან ვერიდები წინასწარ რაიმე მკვეთრი განცხადება გავაკეთო. კითხვები, რა თქმა უნდა, არსებობდა და არსებობს. ეს ნორმალური პროცესია, ეს არ ხდება მხოლოდ საქართველოში. ეს ხდება ევროპის ბევრ სახელმწიფოში. კითხვები არსებობს ნიკოლა სარკოზისთან, კითხვები არსებობს ბერლუსკონისთან. ეს ნორმალური პროცესია და ამას ნუ მივანიჭებთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მით უმეტეს, რომ ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ და როგორც წესი, ასეთ ქვეყნებში პოლიტიკოსები უფრო ბევრს თავნებობენ და ბევრ შეცდომებსაც უშვებენ. აბსოლუტურად კორექტულია ეს და ნორმალურიც იქნება, პრინციპში, თუ კითხვები იქნება. ამაში არ არის ტრაგედია, ამაში არ არის განსაკუთრებულობა. მთავარია, რომ ყველაფერი იყოს სამართლიანად, არ იყოს ანგაჟირებული და შერჩევითი. მთავარია, რომ ყველასთვის ყველაფერი იყოს გასაგები და სასამართლოს თუ პროკურატურის ყველა ქმედება იყოს გამჭვირვალე.

ეს ის მტკივნეული საკითხია, რომელზეც უმრავლესობა დიდი იმედგაცრუების მოლოდინშია. ისინი თავდაპირველ გადაწყვეტილებას ემხრობიან. ანუ დაისაჯოს „ლიდერშიფი“ და „პოლიტიკური ამნისტია“ შეეხოს მხოლოდ დაბალ, შემსრულებელ წრეებს.

გია გაჩეჩილაძე

გია გაჩეჩილაძე, უმრავლესობის წევრი:

- თუ კოაბიტაციაზე საუბრისას ნაციონალების ელიტას გულისხმობთ, იქ დამნაშავეების დიდი კოჰორტაა, რომლებთან კოაბიტაციის წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის და ახლაც წინააღმდეგი ვარ. რაც შეეხება იმ მასას, რომელიც მათ მხარს უჭერდა, იქ შეიძლება ბევრი ადამიანი იყოს ნორმალური. ისინი, უბრალოდ, შეცდომაში იყვნენ შეყვანილები. რაც შეეხება თვითონ კოაბიტაციის პროცესს, ეს იყო იძულებითი ნაბიჯი. ის არჩევნები, რომლებიც დაკავშირებული იყო ხელისუფლების გადაცემასთან საარჩევნო გზით, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 40% აიღო მიტაცებით, ჩვენ ის ვაღიარეთ და შესაბამისად პროცესი უნდა გაგრძელებულიყო, რადგან ეს იყო ევროპის და ამერიკის მოთხოვნა. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაციონალებისთვის პროცესი მაინც არასასარგებლოდ წავიდა, რადგან მათი 40% ჩამოვიდა 32%-მდე. მათი შემცირების პროცესი კიდევ გაგრძელდება სააკაშვილის წასვლის შემდეგ.

- არის ინფორმაცია, კონკრეტულად ვინ აპირებს ნაციონალების დატოვებას?

- პარლამენტი არ ერევა ამაში. ეს თავისთავად ხდება. ხალხი გრძნობს, რომ ნაციონალებს პერსპექტივა აღარ აქვთ და ცდილობენ ისეთ ძალასთან დაიჭირონ კავშირი, რომელთანაც მეტი პერსპექტივა იქნება. მართალია ეს ცუდი პროცესია, მაგრამ ასეთი უბედური ქვეყანაა. ეს ასე ხდებოდა ჯერ კიდევ 1992 წლის პარლამენტიდან. ეს ხდება იმიტომ რომ ჩვენთან ვერ ჩამოყალიბდა ნორმალური პოლიტიკური სპექტრი, არ იქმნება იდეოლოგიაზე დამყარებული ერთობა, როგორც ეს დასავლეთში ხდება ხოლმე. გადასვლები მუდმივად იქნება, სანამ იდეოლოგიაზე დამყარებული ერთობა არ შეიქმნება. კოაბიტაციის პროცესი თავისთავად ჩაქრება სააკაშვილის წასვლის შემდეგ. ეს ბუნებრივიც იქნება, თუ ნაციონალების რაოდენობა იმ მინიმუმამდე დავა, სადაც მათ უმცირესობის სტატუსი აღარ ექნებათ, ანუ შეიქმნება ისეთი უმცირესობა, რომელიც რიცხობრივად მათზე მეტი იქნება, მაშინ მათ მიმართ საერთოდ გაქრება ინტერესი.

- ეს რა ძალა იქნება?

- არ ვიცი, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული.

საკანონმდებლო ორგანოში არიან კიდევ უფრო რადიკალები, რომლებიც კატეგორიულად და ღიად აცხადებენ, რომ საკუთარ ლიდერს არ ეთანხმებიან და მზად არიან პირადად დაადონ ბორკილები სააკაშვილსაც და მისი გუნდის ყველა წევრსაც...

გოგი ქავთარაძე ნინო ბურჯანაძის ყოფილი თანაგუნდელია. შესაბამისად, მისი რეაქცია ადეკვატური და ლოგიკურიც არის. ბურჯანაძეს პირდაპირ აქვს გაცხადებული თუ რას გააკეთებს პირველს გაპრეზიდენტების შემთხვევაში. მისი ოცნებაც, მიზანიც და სურვილიც ერთია - სააკაშვილის დაპატიმრება. სრულად ანტიკოაბიტაციური ძალა პარლამენტში შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ქავთარაძით იწყება...

გოგი ქავთარაძე: „კოაბიტაცია არ უნდა გაგრძელდეს. არავითარი კოაბიტაცია. იმ გუნდში მე არავინ მეგულება ნორმალური“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხალხებული კოაბიტაცია!

ბიძინა ივანიშვილი:

„ნაციონალები არ უნდა იყვნენ წყალგამყოფები. ისინიც ჩვენი საზოგადოების წევრები არიან და უნდა მივცეთ საშუალება, რომ ჩვეულებრივად იგრძნონ თავი“

EXCLUSIVE

გოგი ქავთარაძე, უმრავლესობის წევრი:

- კოაბიტაცია არ უნდა გაგრძელდეს. არავითარი კოაბიტაცია. იმ გუნდში მე არავინ არ მეგულება ნორმალური, ეს დაფიქსირეთ. ბატონი ბიძინა არის თანამდებობის პირი, ხელმძღვანელი და ის სხვანაირად ვერ იტყოდა, შესაბამისად, კოაბიტაცია მისთვის მისაღები უნდა იყოს.

- ანუ თქვენ კოაბიტაციის წინააღმდეგი ხართ?

- კოაბიტაციის წინააღმდეგი ვარ 100%-ით...

- თუ კი ეს ასე გაგრძელდა თქვენ რას მოიმოქმედებთ, როგორც ერთი დეპუტატი?

- თავი დავანებოთ მე რა მინდა, ხალხი, ყველა ფენა არის აღშფოთებული კოაბიტაციით. შეხედეთ, როგორ იქცევიან სხდომაზე, ისე იქცევიან, თითქოს ისევ ხელისუფლებაში არიან. არაფერს ისინი არ აკეთეთებენ... ეს არის დესტრუქციული ძალა და ეს კოაბიტაცია არ გაგრძელდება.

- რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

- განწყობაა ასეთი, როგორც მე ვამბობ. არჩევნები რომ დამთავრდება, მერე დასრულდება და დალაგდება ყველაფერი, რადგანაც ჯერ კიდევ ფართხალებენ და აქვთ იმედი.

- დალაგებაში რას გულისხმობთ?

- როდესაც ეს არჩევნები დამთავრდება და ნაციონალები წაგებენ, მერე ჩაცხრება ეს ყველაფერი. ახლა ჯერ ილაპარაკებენ. დარწმუნებილი ვარ, რომ ბაქრაძე მეორე ადგილზე ვერ გავა.

- ანუ თქვენ მომხრე ხართ, რომ არჩევნების შემდეგ მოხდეს კონკრეტული საქმეების აღძვრა და დაპატიმრებები?

- რასაკვირველია, მე ვახმოვანებ ხალხს, საზოგადოებას, მე რომ გავდივარ, ხალხი მეუბნება, რატომ აძლებთ ამდენის თქმის უფლებას ნაციონალებს? რატომ აკეთებთ ამას, ისინი ხომ ამას არ აფასებენ.

- მაშინ რითი ხსნით ივანიშვილის განცხადებას?

- გითხარით, ივანიშვილი არის სახელმწიფოს, მთავრობის პირველი პირი... მე არ ვიცი მან რატომ თქვა ეს, მაგრამ ყველაფერში ვეთანხმები ივანიშვილს, ამ განცხადების გარდა.

- თუ ხელისუფლების ძირითადმა ნაწილმა ეს კოაბიტაცია შეინარჩუნა, ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ თქვენ უმრავლესობას გამოეყოფით და ცალკე გახვათ?

- არა. ჩემს აზრს იზიარებს ყველა უმრავლესობაში, თითქმის ყველა ერთი აზრის ვართ.

- გულისმობთ „რესპუბლიკელებს“, ალასანიას პარტიას და სხვებსაც?

- თქვენ იმათ ჰკითხეთ, მე მგონია, რომ კი, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მე ასე მგონია. ვინც კოალიციაში ვართ, პრინციპებში, ერთმანეთს ვეთანხმებით.

- გამორიცხავთ, რომ კოალიციაში ის ჯგუფი, რომელიც უფრო რადიკალური ნაბიჯების მომხრეა, ცალკე ჯგუფად გამოიყოთ?

- ასე, ალბათ, გაყოფილად არ იქნება, მაგრამ ეს, ალბათ, გამოჩნდება.

- ანუ შეიძლება გადაჯგუფება მოხდეს?

- ვერ გეტყვით, მე მგონია, რომ უბრალოდ გვეცოდინება, რომ ვიღაცა რადიკალური გზების მოხმრეა, ვიღაცა არა. მაგრამ ჩვენ შორის ამაზე განხეთქილება არ მოხდება.

- ეს, ალბათ, არჩევნების შემდეგ იქნება?

- დიახ, არჩევნების შემდეგ უფრო გამოჩნდება ეს, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თვითმმართველობის არჩევნებია, შემდეგ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროცესი, ამიტომაც მერეც იქნება ათასი თავსატეხი...

- თქვენ როდესაც იყავით „სახალხო კრებაში“ ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას აქტიურად უჭერდით მხარს, დღეს ის არის კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატის კონკურენტი, თანაც თქვენი იდეები სწორედ ბურჯანაძის მოსაზრებებს უფრო ემთხვევა...

- მე ძალიან უხერხულ სიტუაციაში ვარ, რადგან დღეს ვარ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი და გარკვეული პერიოდის წინ სწორედ „სახალხო კრების“ წევრი ვიყავი. 26 მაისის შემდეგ ყოველგვარი უთანხმოებების გარეშე წამოვედი „სახალხო კრებიდან“. ვფიქრობ, ბურჯანაძეს ბევრი დაუჭეს მხარს.

- პირადად თქვენს სიმპათიას იმსახურეს ეს საპრეზიდენტო კანდიდატი?

- მე ჩემი კანდიდატი მყავს და ხომ არ შემიძლია ორ კანდიდატს დავუჭირო მხარი... ვერ მივიღებ მის საპრეზიდენტო კამპანიაში მონაწილეობას...

- მაგრამ თუ ბურჯანაძე გაიმარჯვებს უკმაყოფილოც არ იქნებით...

- არა, უკმაყოფილო არ ვიქნები, მაგრამ არ დავბრუნდები იქ. მე ძალიან ვაფასებ ნინო ბურჯანაძეს და თუ გაიმარჯვებს სულითა და გულით მივულოცავ.

მიუხედავად პრემიერის განცხადებისა ნაციონალები სიტყვებს შედეგებად თარგმნიან და აცხადებენ, რომ მათ საწინააღმდეგო ქმედებებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი. თუმცა ისევ პრემიერის სიტყვებს თუ მივყვებით, კითხვები არა მარტო საქართველოში ჩნდება, ყოფილი ხელისუფლების მისამართით, არამედ ბევრ ევროპულ ქვეყანაშიც...

ნუგზარ წიკლაური, უმცირესობის წევრი:

- მე ვფიქრობ, კოაბიტაციაზე საუბრისას მნიშვნელოვანია არა პრემიერის ან უმრავლესობის რომელიმე წევრის რიტორიკა, არამედ კონკრეტული ქმედებები. კონკრეტული ქმედებები კი კვლავ ძველებურია. კვლავ ხდება ადამიანების დევნა სხვადასხვა დონეზე, მაგალითად, საკრებულოებში, გამგეობებში, ადგილობივ თვითმმართველობებში. მაგალითად, როგორც ვნახეთ, უშიროების წარმომადგენელი პირდაპირ აშანტაჟებდა მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელს. ამიტომაც მნიშვნელოვანია არა იმდენად რიტორიკა, არამედ ქმედებები. იმ ფონზე, რომ მარგველაშვილი პირდაპირ ამბობს, მისი პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში კოაბიტაცია და თანაარსებობა დასრულდებაო, ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის იარაღი, რომელიც მათ აიღეს სააკაშვილის წინააღმდეგ, ისევ გაგრძელდება.

ნუგზარ წიკლაური

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ პოლის მალ

EXCLUSIVE

პრეზი

ნინო დათაშვილი

26 მაისის სპეცოპერაციის სისხლის სამართლის საქმეს, დიდი ალბათობით, სულ მალე ახალი სკანდალური მოწმე დაემატება, მანამდე კი პროკურატურის ზედამხედველობით მიმდინარე ექსპერტების საქმეებს კიდევ ერთი ბრალდებული ექსპერტის გვარი მიემატა.

მალხაზ მიტიჩაშვილი

რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებას პომპეზურად აცნობა, რომ ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი, 58 წლის მალხაზ მიტიჩაშვილი.

დაკვირვებული და ინფორმირებული ადამიანისთვის ეს სახელი და გვარი ძალიან უცხო არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ მიტიჩაშვილი ფართო აუდიტორიის წინაშე იშვიათად ჩნდებოდა, თუმცა კოლეგების წრეში ის საკმაოდ ცნობილი იყო და თუ რა კუთხით, ამას ქვემოთ უფრო დაწვრილებით გიამბობთ. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ ის სწორედ ის ექსპერტია, რომელმაც 2011 წლის 26 მაისის სპეცოპერაციიდან 2 დღეში, ზუსტად 28 მაისს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით, თავისი „კომპეტენტური“ აზრი საჯაროდ დააფიქსირა, რითაც გაამყარა მაშინდელი ხელისუფლების ვერსია იმის შესახებ, რომ სპეცოპერაციის ღამეს თავისუფლების მოედანზე მდებარე მაღაზია „ცაცის“ სახურავზე ორი ადამიანი სწორედ დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა. აი, რას აცხადებდა ის 2 წლის წინათ: „ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მოტანილი იქნა ორი ამოუცნობი მამაკაცის გვამი. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათ სხეულზე აღინიშნებოდა ელექტროტრავმის შედეგად განვითარებული ელექტრონიშნები, ანუ გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, მათი სიკვდილი დადგა დენის დარტყმის შედეგად“. დიდი ალბათობით, იგივე მიტიჩაშვილი აწერს ხელს ექსპერტიზის ოფიციალურ დასკვნასაც. ალბათობით იმიტომ, რომ გარდაცვლილების ოჯახებს ჯერ კიდევ არ აქვთ მიღებული ეს დოკუმენტი.

მოგეხსენებათ, რომ ამ საქმეზე გამოძიება თავის დროზე 115-ე მუხლით, ანუ თვითმკვლელობამდე მიყვანით დაიწყო. ახალი ხელისუფლების პირობებში კი საქმემ გაცილებით მეტი მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი, ვანო მერაბიშვილი დაიჭირეს.

ახლა გისოსებსმიღმა სხვა პირიც არის, თუმცა, მისი ოფიციალური ბრალდება სულაც არ შეეხება 26 მაისს გარდაცვლილთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას. რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა:

„გამოძიებამ დაადგინა, რომ მალხაზ მიტიჩაშვილმა თურქეთის რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალებული მოქალაქის წარმომადგენელს, სამსახურებრივი მდგომარეობისა და მისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, დაზარალებულისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამძიმებული სამედიცინო დასკვნის დაჩქარებულ ვადებში გაცემას დაჰპირდა, რისთვისაც მან ქრთამის სახით მოითხოვა 4000 აშშ დოლარი...

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე“. – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ადამიანთა იმ ჯგუფისთვის, რომელმაც კარგად იცის, რა ოდენობით ანაზღაურებას იღებენ ექსპერტები სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში, გაკვირვებას იწვევს ექსპერტის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე დაჭერა. ინფორმირებულები „პრაიმტაიმს“ უამბობენ, რომ იქ ექსპერტის ხელფასი, საშუალოდ, 1500 ლარია და ამის გარდა, ლეგენდარულ პრემიებს იღებდნენ სამ თვეში ერთხელ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში.

რაც შეეხება მიტიჩაშვილს, ხელფასი და პრემია არ ყოფილა მისთვის ნაგონალური ხელისუფლებისგან მიღებული ერთადერთი სიკეთე. ის პრეზიდენტმა განსაკუთრებული დამსახურებისთვის დაახლოებით ერთი წლის წინათ ღირსების ორდენით დააჯილდოვა. აკი არ შეარცხვინა კიდეც(?!)...

ბუნებრივია, „პრაიმტაიმი“ დაინტერესდა ამ ექსპერტის პროფესიული წარსულითაც და ბუნებრივია, მკითხველს დაწვრილებით ვუამბობთ, რა შევიტყვეთ მისი კარგად ნაცნობების წრიდან: ირკვევა, რომ ბატონი მალხაზი ველისციხელი კომბინატორის ვაჟი გახლდათ. ფინანსურად მას არასდროს უჭირდა, თუმცა ერთმა შემთხვევამ, როგორც ამბობენ, ის კომუნისტების დროსაც კი მოახვედრა კომუნისტური პრესის ფურცლებზე: მისი მამა ტყავის წარმოების საქმეში იყო და სწორედ ეს საქმიანობა გახდა მისი დაჭერის მიზეზი. როგორც ინფორმირებული წყარო გვიამბობს, სტატიაში, რომელიც მაშინდელ პრესაში გამოქვეყნდა, მამის „დანაშაულის“ გარდა, იხერებოდა დაპატიმრებულის შვილზეც, თითქოს გამოძიებამ აღიარების მისაღებად ბატონ მალხაზზეც მოახდინა გარკვეული ტიპის ზეწოლა, რათა მამა ფსიქოლოგიურად გაეტეხათ. ისტორიის დასასრულს ვეღარ იხსენებს ჩვენი წყარო, თუმცა ცხოვრების დინებამ ფაქტია, რომ ის ექსპერტიზის ბიურომდე მიიყვანა. როგორც „პრაიმტაიმს“ უამბობენ, ის საკმაოდ ახლო ურთიერთობაში იყო რევოლუციამდე ბიუროს უფროსის თანამდებობაზე მყოფ ზაზა ოქრუაშვილთან, რომლის საექსპერტო დასკვნებსაც განსაკუთრებული კომპეტენტურობით ვერ მოიხსენიებენ ექსპერტთა წრეში. მოგვიანებით ოქრუაშვილი უფროსის თანამდებობას ჩამოაშორეს, თითქოს ირაკლი ოქრუაშვილთან ნათესაური კავშირის გამო. თუმცა ამას ხელი სულაც არ შეუშლია მისთვის, გამხდარიყო ერთ-ერთი ექსპერტი ჟვანიას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაში. ალბათ, ამიტომაც ვარაუდობენ, რომ მასთან დაახლოებულ მიტიჩაშვილს შეესაძლოა, მნიშვნელოვანი ინფორმაციები ჰქონდეს ჟვანიას საქმეზეც.

ასეთი ინფორმირებულობისა და ხელმძღვანელობასთან შემსრულებლის რანგში მჭიდრო სიახლოვის გამო, კოლეგებმა კონფიდენციალურად გაგვიმხილეს, რომ მას სხვადასხვა ხელმძღვანელის პირობებში ეძლეოდა საშუალება, კორუფციულ გარიგებაში შესულიყო კლიენტთან გაუხმაურებელ საქმეებზე. შეფებისგან ნდობის მაღალი ხარისხით აღჭურვილი, ის ყველაზე ხშირად მონაწილეობდა კომისიურ ექსპერტიზებში.

ალბათ, ამიტომაც ვარაუდობენ, რომ მიტიჩაშვილის დაკავებით საგამოძიებო ორგანოებს ოქროს თევზი ჩაუვარდათ ხელში. მით უმეტეს, თუ მის შემსრულებლის ხასიათსაც გავითვალისწინებთ, რაზეც მისი ნაცნობები მიგვითითებენ, მისი თანამშრომლობა არაერთ გახმაურებულ საქმეს მოჰფენს ნათელს და რა თქმა უნდა, ეს პირველ რიგში იქნება სისხლის სამართლის საქმე 26 მაისის მიტინგის ვანდალურად დაშლასთან დაკავშირებით.

თუმცა არსებობს მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ თურქეთში ავარიის დროს დაზარალებული მოქალაქე მას ოპერატიულმა სამსახურებმა „შეუგდეს“. ეს მოსაზრება კი, ბუნებრივია, უფრო მეტად ამყარებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ სპეცსამსახურები ასეთი ინფორმირებული პირის ხელში ჩასაგდებად დიდი ხანია ნადირობდნენ.

იმ ობიექტის პატრონი, რომლის სახურავზეც იპოვეს 26 მაისს გარდაცვლილი ორი ადამიანის ცხედარი, ოლეგ ჟვანია, დარწმუნებულია, რომ მიტიჩაშვილის დაკავებით ძალიან მალე საზოგადოება შეიტყობს, ვინ იყო იმ სიყალბის ავტორი, რომელიც გამოძიებას ყალბი მტკიცებულებების შეთითხვნას უბრძანებდა.

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ თავად ოლეგ ჟვანიასაც აიძულებდა პოლიცია 2 წლის წინათ, რომ ტელევიზიის კამერებთან ეთქვა, თითქოს დენის კაბელი მისი მაღაზიის სახურავზე დაზიანებული იყო და ამის შესახებ მან 26 მაისს თელასსაც შეატყობინა. თელასის თანამშრომლები კი გამოძახებაზე არ მოვიდნენ. პოლიციამ თელასის ორ თანამშრომელს ათქმევინა, რომ თითქოს ჟვანიამ მათ შეატყობინა კაბელის დაზიანების შესახებ. იმის გამო, რომ მაღაზიის მეპატრონე არ დასთანხმდა ასეთი ტიპის ჩვენების მიცემას, ოლეგ ჟვანია მალევე დაიჭირეს, ციხეში სცემეს კიდეც. ის მაინც არ იძლეოდა პოლიციისთვის სასურველ ჩვენებას.

„პრაიმტაიმი“ დღეს სწორედ მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ძირითადად მისი მაღაზიის სახურავზე მომხდარი ინციდენტის ფარგლებში:



ოლეგ ჟვანია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲓᲐ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ ᲘᲡ ᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲓᲘᲠᲡᲔᲖᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ?

ᲠᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲡᲡ-Ს ᲛᲘᲔᲠ ᲥᲠᲗᲐᲛᲘᲡ ᲐᲚᲔᲖᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲖᲔ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲖᲣᲚ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲡ

26 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲖᲔ ᲜᲐᲞᲝᲕᲜ ᲪᲮᲔᲓᲠᲔᲑᲗᲐᲜ

– ვინაიდან მიტიჩაშვილი დაიჭირეს, რა თქმა უნდა, ის იტყვის, ვინ დაავალა მას ექსპერტიზის გაყალბება. ამას ის თავისი ინიციატივით რომ არ გააკეთებდა, ფაქტია. მან არა მარტო ექსპერტიზის დასკვნა გააყალბა, არამედ მთელი მასალები, რაც მანახვეს, ყველაფერი გაყალბებული იყო. ელექტროდენის კაბელი გამურული იყო, თუნუქის ჟეტში რომ ამოჭრეს და წაიღეს თითქოს იმის დასადასტურებლად, რომ მასზე დენი გადავიდა, ამაზეც ხომ სჭირდებოდათ შრომა? მიტიჩაშვილი ამ სიყალბეში ერთ-ერთი ბეჯითი „მშრომელი“ იყო.

– რატომ აცხადებთ ასე კატეგორიულად, რომ ეს ყველაფერი სიყალბე იყო?

– მე საკუთარი თვალით ვნახე მასალები გაყალბებამდე და გაყალბების შემდეგ. სწორედ ეს მაძლევს საშუალებას, ასე კატეგორიულად ვისაუბრო.

– სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასაც ხართ გაცნობილი?

– დიახ. ამ დასკვნაში წერია მთელი რიგი მორფოლოგიური, ციტოლოგიური და ბიოქიმიური სახეცვლილებების შესახებ გარდაცვლილი ადამიანების ორგანიზმში, თითქოს ასეთი ცვლილებები იყო. ეს ყველაფერი მაგან ხომ გაყალბა? როგორც ჩანს, რაკი ამ ვერსიის განვითარება უნდოდათ, დენი მიცვალებულების ქსოვილში გაატარეს, ეს ცვლილებები რომ აღენიშნათ. ეს იცით, როგორ ხდება: ამოჭრიან ქსოვილის ნაწილს, შემდეგ მიკროსკოპზე გასინჯავენ ამ შრეს და ნახულობენ დაზიანებას. მათ ეს დაზიანებები შექმნეს და საქმესაც დაურთავდნენ ამ დაზიანებულ ქსოვილებს იმის დასადასტურებლად, რომ ეს სიცოცხლის დროს მიღებული დაზიანებებია და არა გარდაცვალების შემდეგ. ამ ყველაფერს გეუბნებით, როგორც ექიმი.

– სინამდვილეში როდის არის მიღებული ეს დაზიანებები, ამის გარკვევა შეუძლებელია?

– ამისთვის კეთილი ნება უნდა გაგაჩნდეს და ეს ნება მაშინ არ იყო. ეს ყველაფერი ამ ექსპერტს, ბუნებრივია, კარგად მოეხსენება.

– მიტიჩაშვილი ქრთამის აღების ფაქტზე დაიჭირეს. როგორ ფიქრობთ, გამოძიება მხოლოდ ამ კონკრეტული ფაქტის გამოძიებით შემოიფარგლება, თუ სხვა საქმეებზეც დაკითხავენ მას?

– წესით უნდა დაკითხონ, ვინაიდან მიტიჩაშვილმა უნდა აღიაროს ის სიყალბეები, რაც მან 26 მაისის საქმის ექსპერტიზაზე ჩაიდინა. მე მაინც ვფიქრობ, რომ ის იძულებული იქნება, აღიაროს ეს დანაშაულიც, რადგან იმ გვამებს ამ რამდენიმე თვის წინ ჩაუტარდა ხელახალი ექსპერტიზა. ეს მასალები არ წამიკითხავს, მაგრამ ვვარაუდობ, რომ ეს დაზიანებები მიყენებულია არა სიცოცხლის პერიოდში, არამედ სიკვდილის დადგომის შემდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ მათი გარდაცვალების მიზეზი ნამდვილად არ იყო დენი. ამას ახალი ექსპერტიზა უსათუოდ დაადგენდა მორფოლოგიურად, ციტოლოგიურად, ბიოლოგიურად, რადგან სულ სხვადასხვა პროცესები მიმდინარეობს ამ დროს ცოცხალ ორგანიზმში და მიცვალებულის ქსოვილებში. მე ამ ყველაფერს სამედიცინო კუთხით ვვარაუდობ, მაგრამ იურისტები ამას უფრო დააკონკრეტებენ. მეტიჩაშვილს კომპეტენტურ კითხვებზე სხვა პასუხი არ ექნება, გარდა იმისა, რომ დანაშაული აღიაროს. ფაქტი ისეთი რამ არის, რომ მას ვერსად გაექცევა.

– გაყალბებებზე საუბრისას ასეთი კატეგორიული იმიტომ ხართ, რომ პოლიცია თქვენც გაიძულებდათ თავის დროზე ყალბი ჩვენების მიცემას?

– მე ჩვენებები არ გამიყალბებია. მიუხედავად იმ ზეწოლებისა, რაც განვიცადე მთელი ამ ხნის განმავლობაში, ყოველთვის ვამბობდი სიმართლეს. თუმცა ჩემგან კატეგორიულად მოითხოვდნენ ცრუ ჩვენების მიცემას არა მარტო ამ ადამიანების გარდაცვალების მიზეზების ფარგლებში, არამედ იმ საქმეზეც, რომელიც წინააღმდეგობის გამო შემითითხნეს.

მაშ ასე, მართალია, სხვა საქმეზეა დაკავებული, მაგრამ 26 მაისის საქმის ოქროს მოწმე უკვე გამოძიების ხელშია. ახლა უკვე მის მარიფათზეა დამოკიდებული ახალი დეტალების აღმოჩენა ამ პრინციპულად მნიშვნელოვან საქმეზე ახალი ხელისუფლებისთვის.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

პირადი ცხოვრების ამსახველი 110 დისკი განადგურებულია...

უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების გავრცელებაზე კონტროლი გამკაცრდება...

ნანა შონია

„მოდულის“ შენობაში პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ფოტო, ვიდეო და აუდიოჩანაწერები გაანადგურეს. უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის წევრებისა და მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით, აპარატ „შრედერის“ მეშვეობით, 110 დისკი განადგურდა, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველ 144 ფაილს შეიცავდა. კომისიის წევრების ინფორმაციით, პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა დაახლოებით 181 საათისა და 30 წუთის ხანგრძლივობისაა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, თამარ ქალდანის განცხადებით, აღნიშნული მასალა 2007-დან 2012 წლის ივლისამდე პერიოდშია ჩაწერილი.

კადრების განადგურებას დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი. შს მინისტრმა კომისიის წევრ ლაშა ტუღუშთან ერთად პირადი ცხოვრების ამსახველი თითო-თითო დისკი სიმბოლურად პირადად გაანადგურა. ღარიბაშვილის განცხადებით, უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების გავრცელებაზე კონტროლი გამკაცრდება რადგანაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კადრები კოპირებულია და ის წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „სამინისტროში დაცული 26 ათასი ფაილიდან მხოლოდ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა განადგურდა, დანარჩენ ფაილებზე კი გამოძიება დაიწყება...“

„ჩემი ვარაუდით, ფაილების უმრავლესობა კოპირებულია. არის დიდი ალბათობა იმისა, რომ მასალების დიდი რაოდენობა წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონდეთ. ამის გამო, ჩვენ კომისიის წევრებთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, გამკაცრდეს სასჯელის ზომები უკანონოდ მოპოვებული მასალების გავრცელებაზე“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, აღნიშნული დანაშაულისთვის აღარ იქნება ადმინისტრაციული ჯარიმა და გამოიყენება პატიმრობა. იმაზე, თუ რამდენნლიანი სასჯელი დაწესდება, უწყებები იმსჯელებენ.

„კომისიის წინა სხდომაზე ერთხმად გადავწყვიტეთ, რომ ამ მუხლებიდან მოხდეს დანაშაულის შემადგენლობის დაზუსტება და არ მოხდეს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის უკანონოდ გამოყენება. არსებობს მოსაზრება, რომ ეს შეეხოს არა მხოლოდ მოქმედი თანამდებობის პირებს, არამედ ყოფილი თანამდებობის პირებსაც. ვვარაუდობთ, ჯარიმა საერთოდ ამოვიღოთ ამ მუხლებიდან და ახლა ვმუშაობთ საპატიმრო წლების რაოდენობაზე. მიგვაჩნია, რომ 1, 2 და 3 წელი ამ ტიპის დანაშაულისთვის საკმარისი არ იქნება. ჯარიმა უადგილო და სასაცილოც კი გვეჩვენება“, – აღნიშნა წულუკიანმა.

კომისიის წევრებს შორის კადრების განადგურების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას ექსპერტი კახი კახიშვილი ეწინააღმდეგებოდა.

„ეს მასალები კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ საქმე გვაქვს სისტემურ დანაშაულთან. მე იმიტომ არ ვუჭერ მხარს მის განადგურებას, რომ აუცილებლად მივიჩნევ, დადგეს პასუხისმგებლობა იმ ადამიანებისა, ვინც ასეთი მიყურადებებისა და თვალთვალის შესახებ იღებდა გადაწყვეტილებას. სასტუმროებსა და სხვადასხვა ადგილებში ხდებოდა ამ ყველაფრის დამონტაჟება და შემდეგ აქტიურად მიმდინარეობდა ადამიანებზე ზეწოლა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი საკანონმდებლო ინიციატივით შევა პარლამენტში, რათა გამკაცრდეს კანონი და არავინ არ მოინდომოს ამ ყველაფრით მანიპულირება“, – აღნიშნა კახიშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, აქ საუბარი არ არის ყველა მასალის განადგურებაზე, რადგანაც სამეგრელოში აღმოჩენილ ვიდეომასალებზე გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს.

„მოსახლეობის დიდი ნაწილი შეშფოთებას გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მასალები არ უნდა განადგურებულიყო, მაგრამ მე მინდა გავნმარტო. სამინისტროში დაცული 26 ათასი ფაილიდან მხოლოდ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა გამოიყო, რომლებიც განადგურდა. დარჩენილი ფაილები კი შს სამინისტროში ინახება, კომისია შეისწავლის ამ მასალებს, რის შემდეგაც გამოძიება დაიწყება. ბუნებრივია, როგორც მინიმუმ, პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს სწორი ანალიზი იმისა, რა იყო და რასთან გვქონდა საქმე. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ წლების განმავლობაში ხდებოდა უკანონო ჩაწერა, მიყურადება, ამიტომ, როგორც მინიმუმ, პრიორიტეტი უნდა გახდეს ამ მრავალწლიანი ძალიან ნეგატიური გამოცდილების მკაცრი შეფასება კომისიისა და მთავრობის მხრიდან. ამის შემდეგ საჭირო იქნება გამოძიების დაწყება. აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენ სამეგრელოში აღმოვაჩინეთ დიდი რაოდენობით ვიდეო და აუდიომასალა, დაახლოებით 404 CD დისკი, ის მასალა არ შედის ხსენებულ 26 ათას ფაილში, ის არის აბსოლუტურად სხვა საქმე და ჩვენ ამ საქმეზე ვატარებთ გამოძიებას“, – აღნიშნა შს მინისტრმა.

მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის მოსაზრებით კი, პირადი ინტიმური ცხოვრების ამსახველ კადრებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების შემთხვევაში, ღირებულებით კონფლიქტთან გვექნებოდა საქმე.

„მინდა ორიოდე სიტყვით განვმარტო კომისიის გადაწყვეტილების ლოგიკა. იმ მრავალათასიან ფაილში, რომელიც ჩვენ დაგვხვდა, ჩვენივე გადაწყვეტილებით, ცალკე გამოიყო პირადი ცხოვრების ამსახველი ფაილები და ვფიქრობთ, ეს გავანადგუროთ ისე, რომ გამოძიება არ დავიწყოთ. აქ მინდა განმარტება გავაკეთო. ერთი შეხედვით, როდესაც უკანონო ჩანაწერთან გვაქვს საქმე, არ აქვს მნიშვნელობა, ეს პირად ინტიმურს ეხება თუ სხვა კატეგორიას, უკანონობა უკანონობაა და გამოძიება უნდა დაიწყოს, მაგრამ ამ ლოგიკას რომ მივყვეთ, პირადი ინტიმური ცხოვრების ამსახველ კადრებზე გამოძიების დაწყების შემთხვევაში, გამოძიება თავისთავად ნიშნავს იმას, რომ დაიკითხოს ყველა ადამიანი, ვინც ასახულია ამ ვიდეოფირზე, დაადგინო იდენტურობა, ჩატარდეს ექსპერტიზა და დადგინდეს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რაც გამოძიების პროცესშია დასადგენი. ჩვენ წავაწყდით ძალიან დიდ ღირებულებით კონფლიქტს, ადამიანებს, გამოძახებულს სამართალდამცავ ორგანოებში, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ, რაზე ეძახიან, აჩვენებენ საკუთარ თავს და ამის შესახებ იცის გამომძიებელმა, მოსამართლემ, პროკურორმა, ეს უდავოდ გამოიწვევდა ადამიანების დიდ ტკივილს და ღირებულებით კონფლიქტში აღმოვჩნდით გამოძიებასთან. სწორედ ამიტომ იყო, რომ კახა კახიშვილი, რომელიც გამოძიებას უჭერდა მხარს, მეც კახასთან ვარ, მაგრამ, როცა ღირებულებითი კონფლიქტის წინაშე დავდექით, უმრავლესობამ გადავწყვიტეთ, რომ გამოძიებაზე უარი გვეთქვა“, – აღნიშნა კბილაშვილმა.

კომისიის წევრის ლაშა ტუღუშის თქმით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების განადგურებით სამარცხვინო წარსულზე უარის თქმის პროცესი იწყება. აღნიშნული კი არა მარტო სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური საკითხიცაა, რის გამოც მასზე როგორც კომისიამ, ისე პარლამენტმა სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება უნდა გააკეთოს.

ლაშა ტუღუში: „მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე. ეს მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქართული სახელმწიფოსთვის, მთელი საზოგადოებისთვის, რადგან ამით დავიწყეთ სამარცხვინო წარსულზე უარის თქმის პროცესი, რაშიც ვცხოვრობდით. ეს თემა არა მარტო სამართლებრივი, არამედ პოლიტიკურიც გახლავთ. შესაბამისად, დასკვნაში, რომელსაც კომისია დადებს, იქნება პოლიტიკური შეფასებაც. ეს არ იყო მხოლოდ ორი ავადმყოფი ადამიანის მიერ განხორციელებული პროცესი. მასალები, რომლებიც დარჩა, ძალიან დიდი და მრავალფეროვანია და მასში აშკარად ჩანს პოლიტიკური მოტივები. ეს იძლევა სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას. ვფიქრობ, არა მარტო კომისიამ, არამედ პარლამენტმაც უნდა გააკეთოს შესაბამისი სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება, რადგან აღარ აღმოვჩნდეთ იმ გაურკვევლობაში, რომელშიც ვიყავით“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი სიგუა: „წელს ჩავარდნები არ ყოფილა“

„დღეის მონაცემებით, გასულ წელთან შედარებით, საქართველოში ტურისტების რაოდენობამ იმატა. სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი ძალიან მაღალია, წლის ბოლომდე 5 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური გვეყოლება“

„ინტერესების თანხვედრის ხარჯზე ფონს, ხშირად, იოლად გავდივართ, რათა ჩვენი მწირი ბიუჯეტი მაქსიმალურად ეფექტურად გამოვიყენოთ“

„BBC“-ის და „CNN“-ის ფული ჩვენ არ გვაქვს, დიდი სიამოვნებით გავუშვებდით საერთაშორისო დონის ტელევიზიებში რეკლამებს, თუ ამის საშუალება იქნება“

ნათიკა ქანთარია

ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზაფხულის ტურისტულ სეზონს აფასებს. გიორგი სიგუა წლევანდელი სეზონით კმაყოფილია და ამბობს, რომ შარშანდელთან შედარებით ტურისტების შემოსვლის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. რა პროექტებს იწყებს ტურიზმის დეპარტამენტი უცხოელი ტურისტებისთვის და როგორ აპირებს შიდა ტურიზმის განვითარებას - გიორგი სიგუა „პრაიმტაიმის“ კითხვებს პასუხობს.

გიორგი სიგუა: „წელს ჩავარდნები არ ყოფილა. ერთადერთი, აჭარაში ცუდი ამინდის გამო ნახევარი სეზონი დაიკარგა, თუმცა სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, ძალიან მაღალი იყო. თბილისში ზაფხულის სეზონის განმავლობაში საშუალო კოეფიციენტი 70 – 80 პროცენტი, აჭარაში 30 პროცენტზე მეტი დაფიქსირდა. ზაფხულის სეზონზე უკრაინაში ჩავატარეთ კამპანია, რომელიც ახლაც მიმდინარეობს. ავიაკომპანიებთან თანამშრომლობის შედეგად რამდენიმე ავიარეისი დაემატა. უკრაინის სხვადასხვა ქალაქებიდან ტურისტები დონეცკის, ხარკოვის, კიევის აეროპორტებიდან, ქუთაისში, თბილისში და ბათუმში გამოემგზავრებიან. გვქონდა თანამშრომლობა, სხვა აივიაკომპანიებთან, როგორებიცაა „Qatar“, „Fly Georgia“, აგრეთვე ტოკიო-თბილისის რეისზე ვმუშაობთ. მუდმივად ვეძებთ ისეთ პარტნიორებს, რომლებთანაც ჩვენი ინტერესების თანხვედრა ხდება. ერთობლივად ვგეგმავთ სარეკლამო და მარკეტინგულ აქტივობებს საზღვარგარეთ. მაგალითად, „ვიზეიერსს“ და „Fly Georgia“-სთან შეთანხმდით შემდეგზე, რომ შევარჩიოთ კონკრეტული ქვეყნები, ერთობლივი ძალებით ჩავატაროთ კამპანიები, ჩამოვიყვანოთ ჟურნალისტები, რომლებსაც ვაჩვენებთ საქართველოს, როგორც ტურისტულ მიმართულებად. ასევე, ჩამოგვყავს ტუროპერატორები, მათ დავანახვებთ ქვეყნის შესაძლებლობებს, თუ როგორი პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ქვეყანას. ამ ბიზნესში ძალიან მნიშვნელოვანი კავშირების ქონაა. ამაში ავიაკომპანიები გვეხმარებიან, ჩვენ არ ვიხდით ავიაბილეთის ფულს და ისინი ანაზღაურებენ ან ძალიან დაბალ ფასად გვთავაზობენ ბილეთებს. გვყავდა ტუროპერატორები სტუმრად სხვადასხვა ქვეყნებიდან: ჩამოსულები იყვნენ რიგი ქვეყნებიდან: სკანდინავია, უკრაინა, პოლონეთი, რუსეთი, ისრაელი, ჩინეთი, გვსურს ასევე იაპონელი ვიზიტორების ჩამოყვანა და ა.შ. მათ აქვთ ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის შესახებ. ამის გარდა ვთანამშრომლობთ იმ ტურისტული ობიექტების წარმომადგენლებთან, რომელთა ინტერესებშიც ტურისტების ზრდა შედის. ხშირად გვიკეთებენ კარგ ფასდაკლებებს ან საერთოდ უფასოდ ანთავსებენ სტუმრებს. ამიტომ ინტერესების თანხვედრის ხარჯზე ფონს ხშირად იოლად გავდივართ, რათა ჩვენი მწირი ბიუჯეტი მაქსიმალურად ეფექტურად გამოვიყენოთ.

დღეის მონაცემებით, გასულ წელთან შედარებით, საქართველოში ტურისტების რაოდენობამ იმატა. სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი ძალიან მაღალია, წლის ბოლომდე 5 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური გვეყოლება. თუ აქამდე ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმის წილი 6, 37 პროცენტი იყო, ეს რიცხვი აუცილებლად გაიზრდება. ამის ეკონომიკური მონაცემები წლის ბოლოს დაიდება. შეჯამდება ფისკალური წელიწადი და ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში გაირკვევა.

- არსებობს თქვენთან მონიტორნიგის სამსახური, რომელიც კონკრეტულად აჩვენებს სტატისტიკას, თუ რომელი ქვეყნიდან რა რაოდენობის ტურისტი შემოვიდა?

- ამ სტატისტიკას საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აკეთებს, თუმცა ჩვენ ვატარებთ კვლევებს თუ ვინ რისთვის შემოვიდა. ამისთვის შექმნილია სტატისტიკური პორტალი, რომელიც ჩვენს ვებ-გვერდზეა განთავსებული, აქ შეგიძლიათ დეტალური ინფორმაცია მოიპოვოთ თუ ვინ შემოდის, რა პროცენტული ცვლილებებია და ა.შ. საშუალო რაოდენობა ყოველი თვის განმავლობაში 25-30 პროცენტით იზრდება. ამიტომ, წელს წინა წელთან შედარებით, სულ ცოტა მილიონით მეტი საერთაშორისო მოგზაური გვეყოლება.

- თუ გრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება?

- რა თქმა უნდა, გრძელდება. აჭარაში, გოდერძის უღელტეხილზე, ჩატარდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, სადაც დასრულდა საბაგიროს მშენებლობა და იხსნება პირველი სასტუმრო, რომელიც იანვარში ამოქმედდება. ამ ადგილზე ნახევარი წლის განმავლობაში შესაძლებელია თხილამურებით სრიალი. ეს არის ადგილი, რომელიც ზღვის დონიდან 2 200 მეტრზეა. ასევე გვინდა „Rest Area„-ს გაკეთება, რომელიც თავის თავში გზატკეცილებზე დასასვენებელი ადგილების შექმნას გულისხმობს. ეს ინფრასტრუქტურული პროექტები განთავსდება მთელი საქართველოს მასშტაბით. ყაზბეგში გაიხსნება ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრი. ასევე, ჩვენი პროექტია ქალაქში „მობილური გიდების“ გამოჩენა. ერთი თვეა, რაც სტუდენტებმა დაიწყეს სიარული, რომლებიც არიან სპეციალურად ეკიპირებულები. მათი მთავარი მიზანი ტურისტების დახმარებაა. ავამუშავეთ უფასო ცხელი ხაზი, 0-800-800-909 არის უფასო 24-საათიანი მომსახურება. ამ ტელეფონზე დარეკვის შემთხვევაში ისინი მიიღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელიც მათ სურთ. ასევე გვსურს, რომ ტაქსის მძღოლებს ინგლისური ვასწავლოთ, რადგან მათ ტურისტებთან კომუნიკაცია გაუადვილდეთ. ტესტების ჩაბარების შემდეგ მძღოლები მიიღებენ სპეციალურ სანიშნეს. ამის აღება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, რომელიც ტაქსს მართავს.

რაც შეეხება შიდა ტურიზმს, დავიწყეთ საქართველოს ტურისტული აქტივის შესწავლა, რა გვაქვს. კომუნისტური ეპოქის შემდეგ არ მომხდარა საქართველოს ტურისტული აქტივის, პოტენციალის საფუძლიანი შესწავლა. რა ტურისტულ მიმართულებებში შეიძლება გამოვიყენოთ ქვეყნის პოტენციალი, ბუნება, ისტორიული ძეგლები და ა.შ. ყველა მუნიციპალიტეტს თუ ადგილს შევისწავლით. ასევე ხდება ყველა მარშრუტის მარკირება. მანიშნებლების განთავსება. ტურისტები იკარგებიან იმის გამო, რომ არ არის მაჩვენებლები განთავსებული. ტყეში და ღრეში კი არა, თბილისში არ არის საკმარისი რაოდენობის მაჩვენებელი.

შიდა ტურიზმში დაყოფა ხდება, ღვინის ტურიზმი, რომელიც ერთნაირად საინტერესოა, როგორც უცხოელი ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივებისთვის. სათავგადასავლო ტურიზმი, ინკლუზიური ტურიზმი, ხდება სხვადასხვა თემატური ტურიზმის ცალკეულად განვითარება, იმისთვის, რომ გვქონდეს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქცია.

საზღვარგარეთ კამპანიის დაგეგმვისას, მხოლოდ საქართველოს ლამაზი ხედების ჩვენებას არ ვახდენთ, კონკრეტულად ვაწვდით ადამიანებს ინფორმაციას, რას ვთავაზობთ. ზოგს ღვინის ტური აინტერესებს, ზოგს სამთო-სათხილამურო კურორტზე დასვენება, ვიღაცას სათავგადასავლო იტაცებს, სამედიცინო და სხვა.

მაგალითად, წყალტუბო ძალიან საინტერესო კურორტი იყო უცხოელებისთვის, დღეს ხდება მისი აღდგენა. აღნიშნულ პროექტი მსოფლიო ბანკის რეაბილიტაციის პროექტებში ზის. ხდება წყალტუბოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ამიტომ ტერიტორიული მდებარეობითაც შესაძლებელი იქნება ამ კურორტის სრული აღდგენა და ტურისტებით დატვირთვა.

- გადის თუ არა სარეკლამო სახის ვიდეორგოლები უცხოეთის ტელევიზიებში, ისე, როგორც მანამდე ხდებოდა?

- ახლაც გადის, მაგრამ არა ისეთ ძვირადღირებულ ტელევიზიებში. „BBC“-ის და „CNN“-ის ფული ჩვენ არ გვაქვს, დიდი სიამოვნებით გავუშვებდით საერთაშორისო დონის ტელევიზიებში რეკლამებს თუ ამის საშუალება იქნება.

– თქვენ აღნიშნეთ, „მწირი ბიუჯეტი“. საქმიანობისთვის ეს ბიუჯეტი არ გყოფნით და უფრო მეტია საჭირო ეფექტური მუშაობისთვის?

- რა თქმა უნდა. თუ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ამ ორგანიზაციამ ტურიზმი უნდა განავითაროს, ეს არის ეკონომიკის ის სფერო, რომელსაც ქვეყანაში თითქმის მილიარდ-ნახევარი დოლარი შემოსავალი მოაქვს. ამ დროს ჩვენი თანხა მთლიანობაში 6 მილიონ-ნახევარ ლარს შეადგენს.

- ადრე როგორ ხერხდებოდა ძვირადღირებული კამპანიების ჩატარება, შეგიმცირდათ ბიუჯეტი?

- პროგრამული ბიუჯეტი იგივეა, რაც ახლა გვაქვს. ადრე, უმეტესად, პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდებოდა სარეკლამო კამპანიები.

- რაც შეეხება მესტიას, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება თუ გრძელდება?

- მესტიაში, პირველ რიგში, ტრანსპორტის პრობლემაა მოსაგვარებელი. იმისთვის, რომ იყოს რეისი მესტიასა და ქუთაისს შორის პრემიერმა საკუთარი ვერტმფრენი გვაჩუქა. თავიდან ვფიქრობდით ფინანსთა სამინისტროსთვის ამ ვერტმფრენის დოტაციის საკითხი შეგვეთავაზებინა, მაგრამ პრემიერმა საკუთარი ვერტმფრენის ჩუქება გადაწყვიტა. ამიტომ მიმოსვლის პრობლემა მოგვარებული იქნება. ზოგადად, წელს, მთაში არნახული აქტივობა იყო, მესტიაშიც, თუშეთშიც, ხევსურეთშიც, ფშავშიც. მესტიას აქვს უკვე საკმაოდ დიდი ცნობადობა და ჩვენ აუცილებლად გავარძელებთ ამის პოპულარიზაციას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„არსებობს ძალიან დიდი სოციალური უკმაყოფილება და არის უსამართლობის გრძნობა“

EXCLUSIVE

...მათი განცდა ძალიან ძლიერია, სხვათა შორის, არის მოლოდინი, რომ ეს ყველაფერი ძალიან მალე ამ ხელისუფლებას მოუტრიალდება

დღეს მოსახლეობის განწყობა ასეთია – ისინი ელოდებიან ან დასჯას, ან ბოდიშის მოხდას...

„როდესაც დანაშაულის პატიებაზეა საუბარი, მაშინ დამნაშავემ უნდა აღიაროს ეს დანაშაული“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

პოლიტპატიმრები სიმშვიდეს ერთადერთი მიზეზით ინარჩუნებენ. მათ სჯერათ, რომ 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდება და ყველა მათი მოთხოვნის შესრულებას სწორედ ახალი პრეზიდენტი დაიწყებს. მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში სამართლიანობის აღდგენაში დარწმუნებული უფლებადამცველები უკმაყოფილო მოსახლეობის პროტესტის შეჩერებას ცდილობენ.

ირაკლი კაკაბაძის განცხადებით, მარგველაშვილს შანსი აქვს, ძლიერი პროტესტი, რომელიც ნაციონალებისგან ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მოიმართა, შეაჩეროს. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებადამცველები აცხადებენ, რომ არ არის გამორიცხული, უკმაყოფილო მოსახლეობამ პასუხი „ოცნებას“ მოსთხოვოს და თანაც საკმაოდ ცუდი ფორმებით.

ირაკლი კაკაბაძე, უფლებადამცველი:

– სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა ძალაში იქნება მანამ, სანამ ყველაფერი არ გაკეთდება ამისთვის. ამ მოთხოვნით აქციები უკვე დაიწყო და ის კიდევ უფრო გახშირდება იმის მიხედვით, რომელი პრობლემური ჯგუფი გააქტიურდება, იქნება ეს კერძო მესაკუთრე, პენიტენციარული სისტემის მსხვერპლი თუ უსამართლოდ დაპატიმრებული. ადამიანთა უამრავი ჯგუფია, რომელიც ითხოვს საკუთარი დარღვეული უფლებების აღდგენას.

– თქვენ გაქვთ ურთიერთობა ამ ადამიანებთან?

– რასაკვირველია. ჩვენ სწორედ მათ ვუცხადებთ სოლიდარობას, თორემ ჩემი და პირადად ნანა კაკაბაძის უფლებები, ალბათ, ყველაზე ნაკლებად იყო შელახული ამ ცხრა წლის განმავლობაში. მე კი ვიყავი დაკავებული, მაგრამ როცა ჩვენ სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ, საუბარი გვაქვს სწორედ ამ ჯგუფებზე. ჩვენ გვაქვს კონსულტაციები ამ ადამიანებთან და ყოველთვის გვერდში დავუდგებით მათ.

– პრემიერმა მედიასთან შეხვედრისას, პრინციპში, განაცხადა, რომ კოჰაბიტაცია შედგა და, სავარაუდოდ, დაპატიმრებებიც აღარ განხორციელდება. ფიქრობთ, რომ ეს ხელახალ პროტესტს გამოიწვევს მოსახლეობაში?

– როდესაც დანაშაულის პატიებაზეა საუბარი, მაშინ დამნაშავემ უნდა აღიაროს ეს დანაშაული და ბოდიში მაინც უნდა მოიხადოს. ამასთან დაკავშირებით ძალიან მკაფიო პოზიცია გამოიხატა. თუ არ აღიარებს, მაშინ უკვე ძალიან ძნელი ხდება საუბარი პატიებაზე. როდესაც არსებობს დამნაშავე და მას გაუპატიურებული ჰყავს ადამიანი, ან უკანონოდ არის დაჭერილი მის მიერ, ან ფიზიკური აგრესიის მსხვერპლი ჰყავს, ძალიან ძნელია, ამ მსხვერპლს მოსთხოვო, რომ დამნაშავეს აპატიოს. ეს, ალბათ, ძალიან ძლიერი ფსიქიკის მქონე ადამიანს შეუძლია. ასეთები კი მხოლოდ გამონაკლისები არიან. ის, რომ ყველა ნაციონალს უნდა ეპატიოს დანაშაულის ჩადენა, წარმოუდგენელია. ამას ვერც ხელისუფლება და ვერც დასავლეთი ვერ მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნაციონალურმა ძალამ აღიაროს საკუთარი დანაშაულები. თქვას, რომ იყო სისტემური დანაშაული, მოიხადოს ბოდიში კოლექტიურადაც და პიროვნულადაც, მათ შორის დავით ბაქრაძემაც. ბოდიშების სია უნდა გაგრძელდეს გიგა ბოკერიათი და კიდევ სხვა ბევრით. თუ ასე მოხდება, ეს, რა თქმა უნდა, სულიერი აქტი იქნება. ასე ხდება ყველა სახელმწიფოში, ვინც არ აღიარა დანაშაული, მათ მოუწიათ ციხეში წასვლა, ვინც აღიარა, იმას მიეტევა. ეს სამართლებრივი მომენტია. დღეს მოსახლეობის განწყობა ასეთია – ისინი ელოდებიან ან დასჯას, ან ბოდიშის მოხდას. მათი განცდა ძალიან ძლიერია და სხვათა შორის, არის მოლოდინი, რომ ეს ყველაფერი ძალიან მალე ამ ხელისუფლებას მოუტრიალდება. არსებობს ძალიან დიდი სოციალური უკმაყოფილება და არის უსამართლობის გრძნობა. როდესაც ცხრა წლის განმავლობაში შენი უფლებები ირღვევა, გართმევენ საკუთრებას, გისწორდებიან ფიზიკურად და ამ ყველაფერს იმ იმედით ითმენ, რომ დამნაშავე აუცილებლად დაისჯება, შელახული უფლებები აღდგება... და როცა ამ ყველაფერს ვერ იღებ, ბუნებრივია, ჩნდება ძლიერი პროტესტი... ვფიქრობ, შელახული უფლებებისთვის სერიოზული თერაპიაა საჭირო.

– გამოდის, ერთადერთი მოთხოვნა ბოდიშის მოხდაა?

– არ არის მარტო ბოდიშის მოხდა საკმარისი, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რატომ ხდებოდა ეს ყველაფერი ცხრა წლის განმავლობაში, რატომ მოკლეს ზურაბ ჟვანია, ან ვინ მოკლა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რატომ არ იჭერენ და რატომ არ სჯიან გირგვლიანის, ვაზაგაშვილისა და რობაქიძის მკვლელებს, რატომ არ იჭერენ 26 მაისის დამრბევებს და კიდევ სხვა ბევრი კითხვა არსებობს. ამ კითხვებზე ხალხმა უნდა მოისმინოს პასუხები და აღიარებები. რაც მთავარია, ეს პროცესი გამჭვირვალე და ყველასთვის დასანახი უნდა იყოს. უნდა არსებობდეს გარანტია, რომ საქართველოში აღარასოდეს განმეორდება ნაციონალური დიქტატურის მსგავსი.

– თქვენ თუ გიცდიათ ამ კითხვების დასმა უმრავლესობის, ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის?

– მარგველაშვილმა გასაგებად განაცხადა, რომ 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდება და სწორედ ამის შემდეგ დაიწყება სამართლიანობის აღდგენა. თუკი მარგველაშვილი გიმარჯვებს, ის საკუთარ ამომრჩეველს ჰპირდება, რომ სამართლიანობას აღადგენს.

– თქვენ გჯერათ მარგველაშვილის სიტყვების?

– იცი, რა? მოდით, მივცეთ მას შანსი, რატომ არ უნდა დავუჯეროთ? თუ ამ პირობას არ შეასრულებენ, მაშინ ხალხს შესაბამისი და ადეკვატური რეაქცია ექნება.

„მარგველაშვილმა გასაგებად განაცხადა, რომ 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდება და სწორედ ამის შემდეგ დაიწყება სამართლიანობის აღდგენა. თუ ამ პირობას არ შეასრულებენ, მაშინ ხალხს შესაბამისი და ადეკვატური რეაქცია ექნება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბურჯანაძის ამომრჩეველი არის ძალიან ცოტა“

EXCLUSIVE

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

პოლიტიკოსები გამორიცხავენ, რომ ნინო ბურჯანაძე საპრეზიდენტო არჩევნებზე ბევრ ხმას მიიღებს. მისი რადიკალიზმი ნაკლებად მოსაწონია ამომრჩევლების დიდი რაოდენობისთვის. შესაბამისად, არჩევნებზე პროცენტებიც ადეკვატურად გადალაგდება და სავარაუდოდ არანაირი გამონაკლისებიც არ იქნება. ნიკა რურუას განმარტებით 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები ამ მხრივ პიროობითი რეფერენდუმიც კი იქნება იმის დასტურად, რომ ქართველი ხალხი პრორუსულ ძალებს მარგინალ ძალებად აღიარებს.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ბურჯანაძე ერთადერთი პოლიტიკური ძალის ლიდერია, რომელიც ევრაზიულ კავშირზე აქამდეც დადებითად საუბრობდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდის წევრები სიტყვიერად დასავლურ კურსს მაინც აუცილებელ ვექტორად ასახელებენ, მათი ქმედებები მთლიანად რუსეთისკენ არის მიმართული.

რაც შეეხება პრემიერის განცხადებას ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით, რურუა თვლის, რომ ივანიშვილი ძალიან მალე საკუთარ სიტყვებს უკან წაიღებს...



ნიკა რურუა:

„დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი პრორუსული ძალა, როგორიც ბურჯანაძეა, პოლიტიკურად მარგინალების სიაში აღმოჩნდება“

ნიკა რურუა, კულტურის ყოფილი მინისტრი:

- ევრაზიის კავშირის შექმნა გახლავთ რუსეთის პრეზიდენტის ოცნება. სურს საბჭოთა კავშირის რეინკარნაცია. სურს, რომ ამ კავშირის შექმნით მის მეზობელ სახელმწიფოებზე აღადგინოს ძალაუფლება. შეიძლება პრემიერმა ჩათვალა, რომ განცხადებით ლავირება გააკეთა, მაგრამ მას მოუწევს ამ განცხადებაზე ბევრი თავის მართლება და ამ სიტყვებს აუცილებლად უკან წაიღებს, იტყვის, რომ მე ასე არ მიგულისხმია. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი ამ სიტყვებს გაიგებს, როგორც სიგნალს, რომ ჩვენზე განახორციელოს მეტი ზეწოლა, მეტი შანტაჟი, გადმოწიოს კიდევ საზღვრები, შეგვავიწროვოს კიდევ უფრო მეტად, რომ გვაიძულოს ევრაზიულ კავშირში შეთრევა. დღეს რუსეთთან რაიმე ტიპის მოლაპარაკება გამორიცხულია, სანამ ის არის ოკუპანტი ქვეყანა. მასთან თუ დავალაგებთ ურთიერთობას, უნდა დავალაგოთ მხოლოდ იმ თემაზე, რომ მოხდეს დეოკუპაცია. ამას რუსეთისგან მთელი მსოფლიო ითხოვს, რუსები უნდა გავიდნენ ჩვენი ტერიტორიიდან, მათმა ტანკებმა უნდა დატოვონ საქართველოს ტერიტორია, აღიარება უკან უნდა წაიღონ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩვენს დამეგობრებაზე საუბრის დაწყება. ევრაზიაში შესვლა დამეგობრებას კი არა პირდაპირ ვასალად ქცევას ნიშნავს. საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მთელი ეს წლები ტყუილად არ ინვალა და თავის საუკეთესო შვილები ტყუილად არ შესწირა, რომ დღეს რომელიღაც პოლიტიკურ ძალას მოუნდეს და ეს ყველაფერი გადახაზოს. ამას მოჰყვება ქვეყანაში ძალიან არაპროგნოზირებადი პროცესები. გამორიცხულია, რომ ამაზე წავიდეს ნებისმიერი შერაცხადი ხელისუფალი. ევრაზიაზე საკითხის ღიად დატოვება არის აშკარად სუიციდალური საქართველოსთვის და პოლიტიკოსისთვის. რუსეთი როგორც კი მიხვდება, რომ შეუძლია ამაზე გელაპარაკოს, ის მაშინვე მაქსიმალურ წნეხს მომართავს, რომ საქართველო აიძულოს სრულიად ბატონ-ყმურ პოლიტიკურ კავშირში შეათრიოს. საქართველოს თუ ეს აიძულეს ამ შემთხვევაში საქართველო მაშინვე დაემშვიდობება თავის თავისუფლებას, განვითარების პერსპექტივას, კიდევ ძალიან დიდი ხნით. პუტინი არის ადამიანი, რომელსაც ძალიან ეშინია დემოკრატიის, როგორც თავის სახელმწიფოში, ასევე, მის მეზობელ სახელმწიფოებშიც. ევრაზიულ კავშირზე საუბრისას საზოგადოების მხრიდან იქნება ძალიან მწარე რეაქცია და თანაც არაერთგვაროვანი. ევრაზიულ კავშირში შესვლა ნიშნავს ჩვენი თავისუფლების დათმობას და კაპიტულაციას პუტინის წინაშე. ამას ქართველი ხალხი არ გააკეთებს. ვინც გააკეთებს, მარგინალურ ძალებს ვგულისხმობ, ისინი ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, როგორც ისტორიის წინაშე, ასევე ქართველი ხალხის წინაშე.

- ამ განცხადების ფონზე კიდევ უფრო ხომ არ მყარდება ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილი ნინო ბურჯანაძის პოლიტიკაში აქტიურად შემოსვლას ხელს უწყობს? მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით სერიოზულად განიხილებოდა...

- ჩვენ საპრეზიდენტო არჩევნებით გვაქვს უნიკალური შანსი, ჩავატაროთ პირობითი რეფერენდუმი და ვაჩვენოთ მთელს მსოფლიოს, მათ შორის საკუთარ თავსაც, რომ პრორუსული და პროოკუპანტური ძალა არის მარგინალური ძალა. დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი პრორუსული ძალა, როგორიც არის ნინო ბურჯანაძე, პოლიტიკურად მარგინალების სიაში აღმოჩნდება. ეს ასეც უნდა იყოს ყველა ლოგიკით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება ყველა ისეთი პოლიტიკური ავადმყოფობების დაბრუნება, როგორიც არის კლანური მმართველობა, კორუფცია და კიდევ ბევრი სხვა... არ ვფიქრობ, რომ ვინმე პრემიერის ქმედებებში დაინახავს ბურჯანაძისთვის ირიბ მხარდაჭერას. ბურჯანაძის ამომრჩეველი არის ძალიან ცოტა და ძალიან ილუზიებში მყოფი, ეს არის ხალხი, რომელთაც უნდათ მუქთა ცხოვრება, როგორც იყო საბჭოთა კავშირის დროს. მუქთა ცხოვრება არ გამოვა. ან არის იმ კატეგორიის ხალხი ვისაც უნდა კორუფცია და ამ კორუფციაზე ხელის მოთბობა. დარწმუნებული ვარ ასეთი ხალხი საქართველოში ძალიან ცოტაა. არა მგონია ივანიშვილს ბურჯანაძე ეხატებოდეს გულზე იმდენად, რომ თავი გაიმასხარაოს, წარადგინოს საკუთარი კანდიდატი, იაროს მასთან ერთად წინასაარჩევნო პერიოდში, ილაპარაკოს მასზე და შემდეგ გაუხარდეს ამ კანდიდატის დამარცხება. ივანიშვილი არ გახლავთ სულელი და უთავმოყვარეო კაცი. ამიტომ მე ამ კონსპირაციის არ მჯერა. კანდიდატი, რომელიც ისეთ ბოროტ ძალას, როგორიც არის რუსეთი, მუხლებზე დაჩოქილი ეახლება კრემლში და თანაც უჭირს ფაქტის კონსტატაცია, რომ რუსეთი ოკუპანტია საქართველოში მიიღებს ძალიან ცოტა ხმას. ეს იქნება ძალიან კარგი მაგალითი იმისა, რომ ყველა პრორუსული და პროოკუპანტი ძალა არის მარგინალური საქართველოში.

- რამდენად უცნაურია, რომ ქვეყნის პრემიერმა, რომელიც უკვე ერთი წელია პოსტზე იმყოფება, არ განახორციელა ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში?

- ძალიან უცნაურია მართლაც, რატომ არ იგეგმება მისი ვიზიტი ამერიკაში. რადგან ამერიკა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და ჩვენი თავისუფლება პირდაპირ დამოკიდებულია შტატების და საქართველოს სიახლოვეზე. როგორც ხედავთ, ჩვენი ოკუპანტი არის ერთ-ერთი მთავარი ოპონენტი ამერიკისა სირიის კონფლიქტში. რუსეთი და ირანი არიან ის ქვეყნები, რომლებიც მთლიანად ეწინააღმდეგებიან მთელი თავისუფალი სამყაროს მოთხოვნას ქიმიური იარაღის გამოუყენებლობის თაობაზე. რუსეთი არის ქვეყანა, ვინც დღეს ამარაგებს სამხედრო იარაღით ბაშარ ალ ასადს, რომელმაც 100 ათასზე მეტი მოქალაქე გაიმეტა სიკვდილისთვის. ეს ნარმოუდგენელი ბოროტებაა. ეს არის სტატისტიკა. ეს არის ძალა, რომელსაც ეხმარება რუსეთი. პუტინის რუსეთი ასეთივე ბოროტმოქმედია დღევანდელ მსოფლიო გაგებით, ამიტომ ჩვენ მათთან არაფერი არ გვესაქმება. რაც შეეხება პრემიერის ვიზიტს ამერიკაში, თუ რატომ არ შედგა ის, უნდა ვიკითხოთ პრემიერის გარემოცვაში. მცდელობები, ვიზიტი რომ შემდგარიყო, იყო თუ არა, ამაზე თავად უნდა ისაუბრონ. მე ამაზე ინფორმაცია არ მაქვს.

- რაც შეეხება სირიის კონფლიქტს, ამ ქაოსში საქართველოს სახელი გაეხვა, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქიმიური იარაღი სწორედ საქართველოდან შევიდა...

- ეს იყო ეფესბე-ს ძალიან იაფფასიანი და უნიჭო ფსიქოლოგიური დეზინფორმაცია, რომელიც არავინ არ დაიჯერა და მაშინვე ჩაქრა. ეს რუსეთმა თავადაც არ დაიჯერა, ისინი მიხვდნენ, რომ ეს ტრიუკი არ გაიყიდებოდა.

- ანუ ეს რუსეთის მიერ იყო მოწყობილი?

- რა თქმა უნდა, რუსების, ან რუსებზე მომუშავე ხალხის მიერ. საქართველოში ქიმიური იარაღი არ არის, არც ყოფილა და ჩვენ ვართ ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის ნაწილი. ეს არის ყალბი დეზინფორმაცია, რომელიც გააკეთა ჩვენმა მტერმა.

- როგორც ირკვევა, სწორედ რუსეთი გვთავაზობს სირიიდან ჩვენი მოქალაქეების გამოყვანას...

- რუსეთმა უმჯობესია სირიას იარაღი არ მიაწოდოს და ეს იქნება მათი დახმარება სრულიად კაცობრიობის და მათ შორის იქ მყოფი ქართველებისთვისაც. ეს არის პოლიტიკური ტრიუკი, იმისთვის, რომ ჩვენი გულუბრყვილო ხალხის გულები მოიგოს. ეს არის პოლიტიკური ქულების დასაწერად გაკეთებული პოლიტტრიუკი.

- მალე კარასინი-აბაშიძის შეხვედრაა დაგეგმილი, თვლით, რომ ამ შეხვედრაზე ევრაზიულ კავშირზე საუბარი იქნება?

- მე ძალიან სკეპტიკურად ვარ განწყობილი ამ ფორმატის მიმართ. ეს არის ფორმატი, რომელიც ნაგულისხმებია თანდათანობით ჟენევის ფორმატის ჩასანაცვლებლად. სახიფათო ფორმატია. ზურაბ აბაშიძეს ვურჩევდი ძალიან ფრთხილად მოეკიდოს ამ საკითხს, რომ არ აღმოჩნდეს ისტორიის არასწორ მხარეს. რუსეთი დიდი ქვეყანაა, მას აქვს ბევრი ბერკეტი, რომ ჩვენ ჩაგვითრიოს ძალიან წამგებიან გარემოებებში და სიტუაციებში. ერთ-ერთი გახლავთ სწორედ ჟენევის ფორმატის გაუქმება.

- მინდა შევეხო დაჭერების თემას, პრემიერმა განაცხადა, რომ დასავლეთში ბოლოს უკვე უჭირდათ იმის ახსნა თუ რატომ ხდებოდა დაჭერები...

- რეალურად ამას ჰქვია პოლიტიკური რეპრესიები. პოლიტიკური რეპრესიები საქართველოში არ გავა და ვინც მაინც ჩაატარებს პოლიტიკურ რეპრესიებს იმას, ადრე თუ გვიან, მოუწევს პასუხის გაცემა. ამას დღევანდელი ხელისუფლება, რომელსაც წინა ხელისუფლებამ მშვიდობიანი არჩევნების საშუალებით გადასცა ძალაუფლება, აცნობიერებს და ესმით იმდენი, რომ პოლიტიკური ოპონენტების დაკავება და სამართლებრივი დევნა არ არის კარგი. თუ კონკრეტული მტკიცებულებები არის დანაშაულზე, ბუნებრივია, ვალდებულები არიან ირიაგირონ, თუმცა პოლიტიკური ნიშნით დევნა არის სრულიად უგუნური იდეა. მე შთაბეჭდილება მრჩება, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ სულელურ იდეაზე ხელი აიღო. არ ვპროგნოზირებ ფართო მასშტაბიან დაპატიმრებებს.

- არც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ?

- არც არჩევნების შემდეგ. თუ ახალი ხელისუფლება სუიციდალური არ არის ასე არ იმოქმედებს. თუ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სურვილმა გადაწონა მათში, მაშინ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენ არ ვართ კონსოლიდირებული დემოკრატია და ამიტომ მოგვიწევს ამ გამოცდილების გავლაც. ვთვლი, რომ გამოცდილება უკვე საკმარისია იმისთვის, რომ გონიერ ხელისუფლებას გამოეტანა დასკვნა. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საყდრისი-ყაჩაღიანის ეგრეთ წოდებული „უძვ

მეცნიერების ღია წერილი საზოგადოებას
საქართველოს პრემიერ-მინისტრს;
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს;
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს;
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს;
საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებს;
საქართველოს სახალხო დამცველს;

ბოლო ხანებში ხმაურია ატეხილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის იმ ბრძანების გამო, რითაც ე.წ. „საყდრისის უძველეს ოქროს მაღაროს“ მოეხსნა ძეგლის სტატუსი. სამწუხაროა, რომ პოლემიკაში, რომელიც უმეტესწილად დილეტანტურ ხასიათს ატარებს, ჩაერთნენ ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციები, როგორიცაა ბოხუმის უნივერსიტეტი და ბოხუმის სამთო ინსტიტუტი, რომლებიც პრაქტიკულად მხარს უჭერენ ე.წ. „ძეგლის“ სტატუსის შენარჩუნებას. კიდევ უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ ხსენებული ავტორიტეტული ორგანიზაციები, რომლებიც თვითონ არ ფლობენ საკითხთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას, ეყრდნობიან მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მიწოდებულ ცალმხრივ და ზედაპირულ მასალებს და ამდენად ფაქტობრივად, ნებსით თუ უნებლიედ, ხდებიან არქეოლოგთა იმ ჯგუფის თანამოაზრენი, რომელიც სათანადო მეცნიერული მტკიცებულებების გარეშე, მეცნიერებაში მიუღებელი არაეთიკური მეთოდებით ცდილობენ მიზნის მიღწევას. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მინისტრის ზემოხსენებული ბრძანება აბსოლუტურად სწორია და დროული (თუ არა დაგვიანებული), ეფუძნება იმ კომისიის დასკვნას, რომლის წევრებიც ჩვენ ვიყავით და რომლის დასკვნაზეც ჩვენ, ჩვენი ოპონენტებისგან განსხვავებით, პასუხს ვაგებთ.

პრობლემა პირველივე უკანონო ქმედებამ და მასზე თვალის დახუჭვამ შექმნა, რის შედეგებსაც დღეს ვიმკით.

როცა საქართველოში მოქმედ უმსხვილეს საბადოს ცენტრალურ ნაწილს ენიჭება ძეგლის სტატუსი, ანუ უწესდება ისეთი შეზღუდვა, რაც იწვევს სამთამადნო საწარმოს ფუნქციონირების შემცირებას, ან საერთოდ მის შეჩერებას, ნათელია, რომ ამას მოჰყვება უაღრესად სერიოზული უარყოფითი სოციალური, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური შედეგები, მათ შორის ისიც, რომ შეიძლება ათასობით ადამიანი ულუკმაპუროდ დარჩეს. დაგვეთანხმებით, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ რისკების დეტალური, სკრუპულოზური შეფასების შემდეგ, მხოლოდ გადაუდებელი, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და მხოლოდ შეუვალი მტკიცებულებების საფუძველზე, აუცილებლად საჯაროდ, ფართო საზოგადოებრივი განხილვის პირობებში უნდა ხდებოდეს, რადგან ასეთ გადაწყვეტილებაზე მრავალი ოჯახის ბედია დამოკიდებული.

სამწუხაროდ, საყდრისის შემთხვევაში ეს ასე არ არის – ყველაფერი საქართველოს კანონმდებლობისა და ამავე კანონმდებლობით დადგენილი განხილვის პროცედურების სრული უგულვებელყოფით განხორციელდა.

კერძოდ, საბადოს ცენტრალურ ნაწილს ძეგლის სტატუსი ისე მიანიჭეს, რომ სამთამადნო საწარმო არც კი იქნა გაფრთხილებული ან საქმის კურსში ჩაყენებული, მეტიც – სტატუსის შესაძლო მინიჭებასთან დაკავშირებით საერთოდ არანაირი დისკუსია ან თუნდაც ერთი განხილვა არ გამართულა არსად, მათ შორის თვით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროშიც კი! და ვერც გაიმართებოდა, რადგან ამის არანაირი წინაპირობა არ არსებობდა.

ვერც იქნებოდა ვერანაირი წინაპირობა, რადგან კვლევა, რომელიც კანონის თანახმად 2006 წელს საფუძვლად უნდა დადებოდა ამ ობიექტისათვის „ძეგლის“ სტატუსის მინიჭებას – ბუნებაში არ არსებობს და სტატუსის მინიჭება განხორციელდა არა „პროცედურული დარღვევებით“, როგორც ამის რბილად წარმოჩენა სურთ, არამედ თაღლითური გზით, კერძოდ, „საყდრისის ოქროს მაღარო“ შეაპარეს სულ სხვა ბრძანების დანართს, რომლის მიხედვითაც ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში (1978-1989 წ.წ.) არსებულ ძეგლებს, რომლებმაც შემდგომში ეს სტატუსი დაკარგეს, ხელმეორედ მიენიჭათ იგი. აქედან გამომდინარე, პირდაპირ ვთქვათ – საქმე გვაქვს შეგნებულ თაღლითობასთან, შეგნებულ გაყალბებასთან, შეგნებულ ფალსიფიკაციასთან.

ფალსიფიკაცია არ იყო უაზრო და უანგარო – მას სრულიად კონკრეტული, მერკანტილური მიზანი ჰქონდა – საზღვარგარეთული, კერძოდ ფოლკსვაგენის ფონდის გრანტის მიღება, რაც (სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ) ამ ჯგუფმა ბრწყინვალედ შეასრულა. სწორედ ამ მიზანს შეეწირა საწარმოსა და მისი 3 000 კაციანი შრომითი კოლექტივის მომავალი, შესაბამისად, მთლიანად რეგიონისა თუ ქვეყნის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესები. სამწუხაროდ, ამაზე მაშინ არავის ამოუღია ხმა.

ახლა, რაც შეეხება საკუთრივ საკითხის შინაარსს – გვაქვს თუ არა საქმე ნამდვილად პრეისტორიულ ოქროს მაღაროსთან, თუ ესეც გარკვეული, რბილად რომ ვთქვათ, ფანტაზიის ნაყოფი, ან სულაც კვლავ შეგნებული ფალსიფიკაციაა? ამ ეჭვის საფუძველს „გაძეგლების“ პერიპეტიები გვაძლევს. არის თუ არა რაიმე სახის უტყუარი მტკიცებულებები წარმოდგენილი თუნდაც დღეისათვის, 9 წლის შემდეგ? დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ - არა! კომისიის ერთთვიანი მუშაობის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი საყდრისის მიდამოებში 5 000 წლის წინ ოქროს მომპოვებელი მაღაროს არსებობის დამადასტურებელი ვერც ერთი დამაჯერებელი მტკიცებულება ან არგუმენტი.

გარდა ამისა, 9 წლის შემდეგაც კი დაუსაბუთებელია და უპასუხოდ არის დარჩენილი თითქმის ყველა პრინციპული საკითხი თუ შეკითხვა, რომელთა გარკვევის გარეშეც რაიმე სახის, მეტ-ნაკლებად მწყობრი მოსაზრების ჩამოყალიბებაც კი შეუძლებელია. კერძოდ:

- როგორ ადგენდა პრეისტორიული ადამიანი უხილავი ოქროს არსებობას ამა თუ იმ ქანში? როგორ საზღვრავდა მის შემცველობას? როგორ არჩევდა იმ ქანებს, საიდანაც ოქროს ამოღება მექანიკური გზით იყო შესაძლებელი?
- როგორ გაიყვანა სუბვერტიკალური 20-30 მ სიღრმის გვირაბები უფრო მაგარ ქანებში, ვიდრე შრომის იარაღებია?
- რატომ მოიპოვებდა ოქროს უმძიმესი ტექნოლოგიით, შახტური მეთოდით და არა გაცილებით ადვილი, გარეცხვის მეთოდით იქვე არსებულ ოქროსშემცველი ქვიშრობიდან?
- საერთოდ, როგორ სუნთქავდნენ ადამიანები 20-30 მ სიღრმეზე ყოველგვარი ვენტილაციის გარეშე? როგორ ანთებდნენ და ინახავდნენ კოცონს?
- როგორ ხდებოდა განათების უზრუნველყოფა, როდესაც ერთი ჭრაქიც კი არაა ნაპოვნი, ხოლო ჩირაღდანი ადამიანის დახუთვის იგივე შედეგს გამოიწვევდა, რასაც ცეცხლის დანთება.
- როგორ შეიძლება ემუშავათ ადამიანებს და ეხმარათ ქვის ურიები 70-120 სმ სიგანის გვირაბში – პრაქტიკულად ხვრელში! (ასეთ ახსნას გვთავაზობენ: ბავშვთა შრომა გამოიყენებოდაო).
- მაშინ, რამდენად შეეძლოთ ბავშვებს ასეთი მძიმე სამუშაოს შესრულება? თუ შეეძლოთ, საიდან უნდა ჰქონოდათ მათ ოქროს შემცველი ქანების გამოცნობის ცოდნა? თუ საუკუნეების მანძილზე ხდებოდა აქ ოქროს მოპოვება, სად გაქრა ოქროს კვალი შრომის იარაღებიდან? რატომ არ არის არც ერთი ასეთი შემთხვევა დაფიქსირებული?
- სად არის ოქროსმომპოვებელი საქმიანობისთვის აუცილებელი ნარჩენები და ოქროს გამოდნობის შედეგად წარმოქმნილი შლაკები?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ელესი ოქროს მაღარო“ - მითი თუ რეალობა?!

• რატომ არ არის წარმოდგენილი მთელი 9 წლის მანძილზე მსოფლიოში მიღებული სტანდარტის შესაბამისად ლაბორატორიულად დადასტურებული ოქროს არც ერთი ანალიზი?

• რატომ არ იქნა შენახული სინჯების დუბლიკატები, როგორც ეს საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული?

• თუ მართლაც თერმული დამუშავებით (ცეცხლით) ხდებოდა გვირაბის გაყვანა, სად გაქრა მისი შესაბამისი ნახშირი ან ნაცარი, რომელიც უამრავი რაოდენობით უნდა დაგროვილიყო?

• შეეძლო თუ არა პრეისტორიულ ადამიანს ემუშავა იმ ქანებში, სადაც ოქროს შემცველობა დადასტურებულია როგორც 1-1,5 გ/ტ? ხომ წარმოუდგენელია, რომ ვინმემ სცადოს რამდენიმე ტონა გაკაჟებული ქანის მონგრევა და მისი დაფქვა ქვის და ძვლის იარაღებით, დარწმუნებულიც რომ იყოს, რომ იქიდან ერთ გრამ ოქროს მიიღებს? ვინმეს სჯერა ეს?

• სად გაქრა არქეოლოგიური შესწავლის ანგარიშებიდან ამ გამონამუშევრებში საწყის ეტაპზე ნაპოვნი რუსუდან დედოფლის დროინდელი მონეტები და საერთოდ რატომ იჩქმალება ეს ფაქტი?

• და ბოლოს – რატომ მიენიჭა ძეგლის სტატუსი მაინცდამაინც მოქმედი საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ობიექტს, მაშინ როცა მსგავსი არტეფაქტები მრავლად არის იქვე, იგივე ბოლნისის რაიონში?

ცალკე აღნიშვნის ღირსია გაყალბებისა თუ ფაბრიკაციების ის ფაქტები, რომელიც მრავლად არის „კვლევების“ ანგარიშებში. დავიწყოთ იმით, რომ 2005 წლით დათარიღებული ანგარიში არ არსებობს, არც მეცნიერებათა აკადემიაში, არც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, არც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში. მიუხედავად ამისა, კომისიას წარედგინა მისი არაოფიციალური ელექტრონული ვერსია (PDF ფაილის სახით), რომელიც 2013 წელს არის შედგენილი(?!). ასევე გასაოცარია, თუ რა გზებით და სასწაულით მოხვდა 2007 წლის ანგარიშში 2008, 2009 და 2010 წლის სამუშაოების შედეგები!! კომენტარი, ალბათ, ზედმეტია. 2009 წლის ანგარიშში მოყვანილია ციტატა „აქ ოქროს შემცველობები მეტად შთამბეჭდავი იყო“ – თუმცა ეს რეალურად მხოლოდ 0,62 და 0,69 გ/ტონაზე აღმოჩნდა, რაც დღევანდელ პირობებშიც კი დაბალ, თითქმის არარენტაბელურ შემცველობებად ითვლება.

არქეოლოგიური „ფაქტების“ ფაბრიკაციისა და მოპვებული არქეოლოგიური მასალის არასწორი ინტერპრეტაციის უამრავი სხვა მაგალითებიც უხვად მოიპოვება. ამის საილუსტრაციოდ იკმარებდა 2007 წელს ბალიჭი ძეძვების ნამოსახლარზე აღმოჩენილი ნამგლის პირსართავების (2007 წლის ანგარიშის გვ.14, სურათი 8) უგულვებელყოფა 2010 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, რაც ნამოსახლარის ხასიათს ტოტალურად შეცვლიდა.

ძალიან საინტერესო სურათი იკვეთება 2008 წლის (გვ 13,15,16.) და 2009 წლის (გვ.37) ანგარიშებში, აგრეთვე მონოგრაფიაში (გვ. 110), ე.წ. „ქურასთან“ დაკავშირებული ნახაზების ურთიერთ შედარებისას. „ქურის“, ქვით შემოწყობილი რკალი არაერთგვაროვანია, და ის წლების შესაბამისად იცვლება: ხან ფართოდ გახსნილია დასავლეთის მიმართულებით, ხანაც სრულ წრეზე შეკრული, რაც აშკარად ფაბრიკაციის იერს ატარებს.

როგორც ჩანს, ავტორებს ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, აღნიშნულ „ქურას“ ჩრდ.-აღმ.-დან კვლავ მეორე „ქურა“ მიაბან, თუ „საცეცხლე“ განყოფილება, რომელსაც ორგანულად „ქურას“ ვერანაირად ვერ აბამენ (დაშორება დაახლოებით 65-70 სმ-ია). ამ ტიპის დოკუმენტირება და ინტერპრეტაციები ქმნის ეჭვის მყარ საფუძველს.

საყდრისში „უძველესი ოქროს მაღაროს“ არსებობის იდეის ვტორები პრეისტორიულ ხანაში წარმოუდგენლად დიდი ოდენობით გამოდნობილ და სავარაუდოდ ქვეყნიდან გატანილ ოქროზე აპელირებენ (მონოგრაფია გვ.76). სამწუხაროდ, არც ანგარიშებში და არც მონოგრაფიაში, არსად ჩანს ის დასაბუთება, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლებოდა კონკრეტულ რაოდენობაზე მსჯელობა. აქ კი კვლავ ვხედავთ უსაფუძვლო რიტორიკას „დიდი რაოდენობით ოქრო“-ზე. ერთადერთი მოხსენება სადაც მოპოვებული და ქვეყნიდან გაზიდული ოქროს მიახლოებითი რაოდენობა ირკვევა, ესაა თ. შტოლნერის მოხსენებაში გამოთქმული იდეა ასეულობით კილოგრამ ოქროზე და აბსურდამდე მისული ინფორმაცია ერთ ტონა მადანში სამასი გრამი ოქროს არსობების შესახებ, რაც 2013 წლის 22 აგვისტოს ჩატარებული პრეზენტაციისას თვითონვე გააბათილა დაზუსტებული ინფორმაციით, რომ სულ 150 კილოგრამამდე ოქრო მოუპოვებიათ ხანგრძლივი დროის, დაახლებით 500 წლის განმავლობაში. კომენტარი ნამდვილად ზედმეტია.

ყოველივე ამის მიუხედავად, პრინციპით – „მიზანი ამართლებს საშუალებას“ – კვლავ და კვლავ შეუსვენებლად ხდება ზეწოლა საზოგადოებრივ აზრზე აშკარა ფალსიფიკაციისა თუ ფაბრიკაციების აბსოლუტურ ჭეშმარიტებად გასაღების მიზნით.

თუნდაც ეს რად ღირს: „ორიოდე წლის წინ ბოლნისში, სოფ. საყდრისის ტერიტორიაზე, 25-30 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს ოქროს საბადოს დაახლ. 5 000 წლის წინანდელი შახტი, სადაც თურმე ადგილზე ამზადებდნენ ოქროს ნაკეთობებს. ქალბატონმა ირინა ღამბაშიძემ უცხოელ სპეციალისტებთან ერთად გამოიკვლია ეს შახტი, აიღო ოქროს სინჯი და შეადარეს ყველა ძველი ცივილიზაციის ოქროს ნაკეთობებს. აღმოჩნდა, რომ ამ შახტაში დამზადებული ოქროს ნაკეთობები მხოლოდ შუმერშია აღმოჩენილი. იგივეს ადასტურებს არქეოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი ბატონი ზურაბ მახარაძე, ეს ფაქტობრივად ადასტურებს შუმერთა მითში „ინშერქარი და არათას ბატონი“-ში გადმოცემულ რეალურ ისტორიულ ფაქტებს, რომლის მიხედვითაც ეს ოქროს ნაკეთობები საქართველოს „წმინდა მიწიდან“ შუმერში ქალღმერთ ინანას ბრძანებით ჩაიტანეს, როგორც უდიდესი სიწმინდეები მათი ტაძრებისათვის“.

ეს არის ამონარიდი ქ-ნი ნაზი ხანიაშვილის სტატიიდან, რომელიც არა თუ ფართოდ გავრცელდა ელექტრონული თუ ბეჭდვითი მედიით, არამედ გამოიცა კიდეც (ჰოროსკოპ+რევიუ, ივნისი, 2013წ., გამომცემლობა „გლობალ-პრინტი+“, თბილისი 2013წ.). დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ასეთი კვლევა არასდროს არ ჩატარებულა და ზემოხსენებული მტკნარი სიცრუეა, თუმცა, მიუხედავად ამისა, არც ბ-ნ შტოლნერს, არც ქ-ნ ღამბაშიძეს, არც ბ-ნ მახარაძეს, რომელთაც კარგად მოეხსენებოდათ ამ პუბლიკაციის არსებობის თაობაზე, ეს სიცრუე არ უარუყვიათ. პირიქით, თავისი ჩუმი თანხმობით ამ აზრის საზოგადოებაში დანერგვას უწყობენ ხელს!

ამგვარივე მიდგომის ნათელი მაგალითია „უძველესი მაღაროს“ იდეის სხვა აქტიურ მხარდამჭერთა პოზიცია. 22 აგვისტოს მოწყობილ ე.წ. „საველე პრეზენტაციისას“ ისეთი ცნობილი სამეცნიერო ინსტიტუტის სერიოზულმა ფიგურამ, როგორიც ბატონი დავით სახვაძეა, იქ მყოფ კომპანიის თანამშრომელს პირდაპირ განუცხადა - „ამგვარი მაღარო, რომც არ გვქონოდა, უნდა გამოგვეგონაო“. ამაზე კომენტარი ზედმეტია.

რას იზამ – ჯანდაბას იქით გზა ჰქონია რეპუტაციას – მიზანი ხომ ამართლებს საშუალებას! ესეც მეცნიერული კეთილსინდისიერება! მაგრამ აქ ხომ სხვისი რეპუტაციაც ითელება: „შემთხვევითი არ არის, რომ გერმანელმა არქეოლოგმა სვენტ ჰანსენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს საკითხი, როცა აღნიშნა საყდრისის ოქროს მაღაროს უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს და მესოპოტამიის კულტურათა შესწავლის საკითხში“, – ვკითხულობთ იქვე.

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ბ-ნი სვენტ ჰანსენს ნამდვილად არ მიუწვდება ხელი ამგვარ გამოცემებზე, მაგრამ მისი კოლეგები კი ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ საკუთარი თუ არა, ბ-ნი ჰანსენის რეპუტაცია მაინც, დარწმუნებულები ვართ აგრეთვე, რომ ბ-ნი ჰანსენი, ბ-ნი შტოლნერისაგან განსხვავებით, არ იზიარებს ზემოხსენებულ „აღმოჩენას“.

როგორც ჩანს, ბ-ნი შტოლნერისა და მისი გუნდისათვის ფალსიფიკაცია და თვალში ნაცრის შეყრა ჩვეული ხელობაა. დიდი ზარ-ზეიმით გამოცემულ მონოგრაფიაში (2010, გვ.96. სურ. 35) ბ-ნი შტოლნერის მიერ ნაჩვენები ფოტოგრაფია – ერთერთი „მაღაროს“ ე.წ. „ოქროს მადნის ძარღვი“ -კიდევ ერთი, ჩვეული ფალსიფიკაციაა, რადგანაც სინამდვილეში სულაც არ არის „ოქროს ძარღვი“, არამედ რკინა-სპილენძის (!) მეორადი მინერალების შემცველია. ისე ცნობისათვის, „ოქროს ძარღვი“, როგორც ასეთი, რაც გაუცნობიერებელ ადამიანზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მხოლოდ კინოფილმებში – მაგ. „მაკენას ოქრო“ – და ბ-ნი შტოლნერის ფოტოგრაფიებში შეგვიძლია ვიხილოთ, ისე კი ბუნებაში არ არსებობს – სინამდვილეში ეს შეიძლება იყოს კვარცის ძარღვი, ან სხვა ქანი, რომელიც ამა თუ იმ რაოდენობით შეიცავს ოქროს.

სრულიად ნათელია, რომ ზემოხსენებული მაგალითებს არც ნამდვილ მეცნიერებასთან, არც ნამდვილ პატრიოტიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს – გაყალბების და ფალსიფიკაციების ეს კრებული მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნისთვის – გრანტის კვლავ და კვლავ მიღების და მისი ხარჯვისთვის არის გამიზნული. გასაოცარია, რომ მიუხედავად ამისა, ამ ბლეფის ავტორებს მაინც ჰყავთ თავგამოდებული დამცველები, მათ შორის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უმაღლეს ეშელონებში ქ-ნ მარინე მიზანდარის სახით, რომელიც არც მალავს, რომ ამ ჯგუფს ყველა გზით, ყველა მისაღები თუ მიუღებელი ხერხით ლობირებს.

რასაკვირველია, ჩვენ პატივს ვცემთ განსხვავებულ აზრს, ყველა მეცნიერს, მათ შორის უცხოელს, რომელიც სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენ სხვაზე არანაკლები კომპეტენცია გაგვაჩნია ჩვენს სფეროში და კარგად ვარჩევთ ნამდვილ მეცნიერს ავანტიურისტისგან, ნამდვილ არგუმენტებს ზერელე და პოპულისტური მსჯელობისგან. რადგანაც ჩვენს ოპონენტებს პირდაპირი პოლემიკა ჩვენთან არ ძალუძთ საკმარისი ფაქტების უქონლობის გამო, ისინი მიმართავენ არამეცნიერულ, არაეთიკურ ხერხს, უფრო სწორად კი, ხრიკს: უამრავი მათი მხარდამჭერი წერილი თუ გამოხმაურება მოდის იმ ხალხისგან, პოლიტიკოსებისგან თუ მეცნიერებისგან, ვისაც საერთოდ არა აქვს შეხება ამ საკითხთან, ვინც არ ფლობს სათანადო ცოდნას და ინფორმაციას, ან ვინც ბრმად ენდობა ბ-ნი შტოლნერის ფიგურას. კულისებსა თუ კულუარებში საკუთარი თაღლითობის მეცნიერულ სიმართლედ გასაღება – უღირსი ხერხია, სამწუხაროა, რომ ბ-ნი შტოლნერი ჩვენთან პირისპირ კამათის ნაცვლად ამ უღირს ტრიუკს მიმართავს და, რაც მთავარია, ამას არც მალავს.

მოგმართავთ ყველას, ნუ მიიღებთ გაუცნობიერებლად ბ-ნი შტოლნერის ამ უნიჭო, უღირს სპექტაკლში, ბლეფში მონაწილეობას – ამან შეიძლება მრავალი ადამიანის, მრავალი ათასი ოჯახის ბედი დააზიანოს.

მოგმართავთ ყველას: ჭეშმარიტების დადგენის სურვილი, რასაკვირველია, მისასალმებელია, მაგრამ ვიდრე თქვენს საზოგადოებრივ აზრს სახალხოდ გამოთქვამდეთ, გთხოვთ, კარგად გაერკვეთ პრობლემაში, გაეცნოთ კვლევას, კვლევის შედეგებს, ოპონენტების მოსაზრებებს და მხოლოდ შემდეგ, ისე როგორც ნამდვილ მეცნიერს და უბრალოდ პატიოსან მოქალაქეს შეეფერება, გამოხატოთ თქვენი პოზიცია.

და ბოლოს, ჩვენ და ჩვენი კოლეგები მოხარული ვიქნებოდით თუ მართლაც დადასტურდება, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში (ეგვიპტელ ფარაონთა აკლდამების მშენებლობამდეც კი) ჩვენი წინაპრები ოქროს უკვე მიწისქვეშა წესით, მაღაროებიდან მოიპოვებდნენ, მაგრამ ამის დამტკიცებას ბევრად უფრო დამაჯერებელი არგუმენტები და რაც მთავარია, ბევრად უფრო კეთილსინდისიერი მიდგომა და არა ავანტიურიზმი სჭირდება.

პატივისცემით,

ა. თვალჭრელიძე - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ო. ქუცნაშვილი - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

დ. ლომიტაშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

გ. ყიფიანი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

ნ. შეყრილაძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

რ. მიხელსონი - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი სასწავლო წელი „თბილისი მოლში“

რამდენიმე დღეში მოსწავლეებისთვის პირველი ზარი დაირეკება. ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, 6 სექტემბერს, ,,თბილი მოლში”, წიგნის მაღაზიათა ქსელის, ,,ბიბლუსის” სასკოლო- საკანცელარიო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, აქცია 15 სექტემბრამდე გაგრძელდება. ,,თბილისი მოლში” მისულ მშობლებს, სასკოლო-საკანცელარიო პროდუქციის ფართო არჩევანი, უმაღლესი ხარისხი და მისაღები ფასები დახვდებათ, ხოლო მათ პატარებს, სავაჭრო ცენტრის მეორე სართულზე სახალისო გარემო. ხატვისა და ძერწვის კუთხის გარდა, სპეციალურად პატარებისთვის მოწყობილ ზონებში, სხვადასხვა გემოვნების და ინეტესის მქონდე ბავშვებისთვის, მოეწყობა 3D მუტფილმების ჩვენება. ამ ყველაფერთან ერთად, მათ განწყობაზე ზღაპრის გმირები იზრუნებენ. ,,თბილისი მოლი” გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

მათთვის, ვისაც ავტომობილი არ ჰყავს, ქალაქის თითქმის ყველა უბნიდან ხუთი სამარშრუტო ტაქსი (44, 51, 87, 116, 117) და ერთი ავტობუსი (121) დადის. სურვილის შესაბამისად „თბილისი მოლის“ტაქსებითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნათელმხილველი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას მარგველაშვილს უწინასწარმეტყველებს

EXCLUSIVE

ნანა შონია

2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ვნებათაღელვა არ ცხრება, ყველას აინტერესებს, ვინ გახდება საქართველოს ახალი პრეზიდენტი.

ნათელმხილველი სილვა კაზარიანი არჩევნებში გამარჯვებას კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს უწინასწარმეტყველებს.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში კაზარიანი აცხადებს, რომ გამარჯვების მიღწევას კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი პირველივე ტურში შეძლებს. როგორი იქნება 2013 წლის არჩევნები, ვინ დაიკავებს მეორე ადგილს? რა პროცესებს შეიძლება ველოდოთ არჩევნების შემდეგ და რა ბედი ელის „ნაციონალურ მოძრაობას“? **„პრაიმტაიმის“ კითხვებს ნათელმხილველი სილვა კაზარიანი პასუხობს.**

– ზოგადად, არჩევნებსა და მის შედეგებზე ყოველთვის ვერიდები ხმამაღლა საუბარს, რადგანაც ჩემი პროგნოზები ყოველთვის მართლდება. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, შემიძლია გითხრათ, კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი წარმატებას პირველივე ტურში მიაღწევს და მისი გამარჯვება გარდაუვალია. მარგველაშვილი არჩევნებში 53-54%-ის მიღებას შეძლებს და ამას საზოგადოების უმეტესობა მოიწონებს. არჩევნებში გამარჯვების მსურველი ბევრია, თუმცა „ქართული ოცნების“ წინაშე ისინი უძლურნი იქნებიან. „ნაციონალური მოძრაობა“ მის შედეგს არ მიიღებს, გარკვეული სპეკულაციები დაიწყება ამ მიმართულებით, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას შეეცდებიან, მაგრამ არაფერი გამოუვათ. შედეგი მაინც გარდაუვალი იქნება. ხმაურის ატეხას მაინც არავითარი აზრი არ ექნება...

მათ ძალიან უნდათ ამ არჩევნებში მეორე ადგილის მიღება, სურთ პოზიციების გამტკიცება, მაგრამ ეს არ გამოუვათ, რადგანაც, საზოგადოების უმეტესობის გადაწყვეტილებით, მეორე ადგილზე ვნახავთ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს ნინო ბურჯანაძეს. მას საზოგადოების დიდი ნაწილი დაუჭერს მხარს და მისი წარმატებაც გარდაუვალია...

– ანუ ამბობთ, რომ არჩევნების შემდეგ მთავარ ოპოზიციურ ძალად შესაძლოა, ნინო ბურჯანაძე წარმოგვიდგეს?

– კი, მას ამის ყველა რესურსი და შესაძლებლობა აქვს. ბურჯანაძის პერიოდში ჩვენ შევძლებთ და დავარეგულირებთ ურთიერთობებს რუსეთთან. ამიტომაც რუსეთთან ურთიერთობების მომხრე საზოგადოების ნაწილი სწორედ მის გვერდით აღმოჩნდება. საპრეზიდენტო არჩევნებში მას მოსახლეობის 37-38% დაუჭერს მხარს. შემდეგ იქნება დავით ბაქრაძე, შემდეგ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ კანდიდატი გიორგი თარგამაძე და შემდეგ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი. რაც შეეხება საალომე ზურაბიშვილს, მე მას და მის მხარდაჭერას ვერ ვხედავ. საპრეზიდენტო არჩევნებში დარეგისტრირების შემთხვევაში მას შანსები არ აქვს, არჩევნებში გამარჯვების მიღწევა არ შეუძლია... ბურჯანაძე ხელს არ შეუშლის მარგველაშვილის მმართველობას, ის განიმტკიცებს პოზიციებს ამ საპრეზიდენტო არჩევნებით.

– როგორი იქნება წინასაარჩევნო პროცესი და არჩევნების შემდგომი სიტუაცია?..

– წინასაარჩევნო პროცესი ხმაურისა და ზედმეტი აურზაურის გარეშე ჩაივლის. არჩევნების შემდეგ გარკვეული ხმაური, აქციები, გამოსვლები, შეხლა-შემოხლები იქნება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, პროცესი მშვიდად დასრულდება.

– გამარჯვების შემთხვევაში როგორი იქნება მარგველაშვილის მმართველობის პერიოდი საქართველოსთვის?

– ჩვენი ხალხი მოუთმენელია და უნდა, ყველაფერი ერთბაშად, სწრაფად გადაწყდეს. ამიტომაც მისი მმართველობიდან სულ რამდენიმე თვეში პროტესტი დაიწყება. ორ-სამ თვეში პრეზიდენტი რადიკალური ცვლილებების განხორციელებას ფიზიკურად ვერ შეძლებს, ამას კი საზოგადოების უკმაყოფილება მოჰყვება, თუმცა გარკვეული პერიოდის მანძილზე ესეც დალაგდება. დასაქმების მაჩვენებელი მოიმატებს, ქვეყნის ეკონომიკა გაუმჯობესდება, ქარხნები ამუშავდება და სიტუაციაც მკვეთრად შეიცვლება. მარგველაშვილი არის ძალიან განათლებული კაცი და მისი მმართველობის პროცესში ბევრი კარგი რამ გაკეთდება. სიტუაციის ცვლილების შემდეგ კი ის მხოლოდ 4 წელი დარჩება ქვეყნის მმართველობაში და პირველი ვადის დასრულებისთანავე დატოვებს პრეზიდენტის პოსტს. მარგველაშვილის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი იქნება ქალი. ვინ იქნება ეს ქალი, დღეს ამაზე საუბარი არ შემიძლია. პროცესები ისე განვითარდება, რომ აქტიურად გამოიკვეთება მისი კანდიდატურა. არჩევნების შემდეგ პრემიერი მალე არ დატოვებს თანამდებობას, მაგრამ ის სამუდამოდ წასვლას არ გეგმავს. საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლებაში მობრუნდება კიდეც... მარგველაშვილის გაპრეზიდენტებიდან ივანიშვილი 4-5 თვეში წავა... მარგველაშვილს აქვს გაწერილი საარჩევნო პროგრამა, პრემიერი ნახავს, რომ ეს პროგრამა შესრულდება და წავა კიდეც თანამდებობიდან. პარალელურად გარკვეული პროცესები განვითარდება „ქართულ ოცნებაში“. უმრავლესობის ბევრი

„საპრეზიდენტო არჩევნებში მარგველაშვილი პირველივე ტურში 53-54%-ს მოიპოვებს...“

წარმომადგენელი მოინდომებს დაწინაურებას, ცვლილებები განხორციელდება მინისტრთა კაბინეტში და საერთოდ, ახალი სახეებიც გამოჩნდებიან. მთლიანობაში, ქვეყნისთვის ნეგატიურ პროცესებს ვერ ვხედავ.

– რა ბედი ელით მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“?

– სააკაშვილი თითქმის წასულია პოსტიდან. სურვილის მიუხედავად, ის და მისი პარტია ლიდერის ფუნქციებს ვერ შეინარჩუნებენ. სააკაშვილი არჩევნების შემდეგ გარკვეული პერიოდი შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერად მოგვევლინოს, თუმცა დროებით. ნინო ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლის შემდეგ სააკაშვილი 3-4 თვეში წავა და პროცესებს მთლიანად ჩამოშორდება. ლიდერის ფუნქციების აღებას კი დავით ბაქრაძე შეეცდება. ეს საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი იქნება და მისი შედეგი ძალიან ბევრ რამეს შეცვლის.

„საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ნინო ბურჯანაძე გაიმყარებს პოზიციებს, რადგანაც ის მეორე ადგილზე გასვლას შეძლებს...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გია გაჩეჩილაძე: „ივანიშვილი რომ წავა, დიდი ალბათობით, მეც დავტოვებ უმრავლესობას“

„ჩვენი ჩამოშორება არც ისე ადვილია“

ხათუნა მგალობლიშვილი

უმრავლესობა უმცირესობის რიგების შემცირებას საპაკაშვილის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ვარაუდობს. ვინ დატოვებს ნაციონალებს? „ოცნებაში“ კონკრეტულ გვარებს არ ასახელებენ, ამბობენ, რომ ეს პროცესი ბუნებრივად ვითარდება და მასში საპარლამენტო უმრავლესობა არ ერევა. ნაციონალების შემცირების მოლოდინში უსუფაშვილის გუნდს მთავარი ფაქტორი რჩება უყურადღებოდ. როგორც ირკვევა, ლიდერის თანამდებობიდან წასვლა პრობლემა მარტო ყოფილი უმრავლესობისთვის არ არის. ბიძინა ივანიშვილის პრემიერობიდან გადადგომას მოქმედი უმრავლესობაც ელოდება. მაგალითად, ერთი წევრი უკვე აცხადებს, რომ გუნდს მაშინვე დატოვებს, როგორც კი პრემიერი თანამდებობიდან გადადგება. „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, გია გაჩეჩილაძე საკუთარი გუნდით აქამდეც უკმაყოფილო იყო. ის თვლის, რომ უსუფაშვილი მას ძალიან უსამართლოდ მოექცა, როდესაც პარტიული დაფინანსების გარეშე დატოვა.

გია გაჩეჩილაძე, მწვანეთა პარტიის ლიდერი:

– ბიძინა ივანიშვილი რომ წავა, დიდი ალბათობით, მეც დავტოვებ უმრავლესობას. 80% ეს უკვე გადაწყვეტილი მაქვს, რადგან ძალიან არასამართლიანად და არაგუნდურად მომექცნენ. წარმოუდგენელი რამ მოხდა, როდესაც ჯერ პარლამენტში არსებულ პარტიებს გაუზარდეს ფანტასტიკურად თანხები და შემდეგ პარლამენტსგარეთ დარჩენილ პარტიებს, რომლებსაც არანაირად არ ეკუთვნოდათ დაფინანსება კანონმდებლობის მიხედვით, ბონუსის სახით მაინც მისცეს საჩუქრად ფინანსები. ამ სიიდან ამოაგდეს „მწვანეთა პარტია“.

– ეს კოალიციის წევრების ინტერესში შედიოდა?

– გარკვეული ნაწილის ინტერესებში შედის. უმრავლესობა არა, მაგრამ გარკვეული ძალები დაინტერესებულები არიან, რომ დასავლური ორიენტაციის კონკურენტები ჩამოიშორონ. მაგრამ ჩვენი ჩამოშორება არც ისე ადვილია, ჩვენ ვართ „ევროპის მწვანეთა პარტიის“ მმართველი საბჭოს წევრები. ევროპის პარლამენტში გვაქვს ფრაქცია და ჩვენთან ბრძოლა დიდი შეცდომაა. ეს მათი პოლიტიკური შეცდომაა.

– თუ უმრავლესობას დატოვებთ, ვისთან ითანამშრომლებთ?

– არ ვიცი, ჯერ ამაზე არც მიფიქრია. საერთოდ, პოლიტიკა ისეთი რამეა, რომ შეიძლება, რასაც ერთხელ იტყვი, ის გადათქვა, თუმცა პოლიტიკაშიც კაცი უნდა იყო და სიტყვა შეასრულო.

– გია ჟორჟოლიანის მოსაზრებაც თქვენსას ჰგავდა...

– არ ვიცი, მე მასთან არ მისაუბრია, სიმართლე გითხრათ.

ამ შემთხვევაში გაჩეჩილაძე ერთადერთი არ არის. გია ჟორჟოლიანი, რომელიც ასევე უმრავლესობის წევრია, გუნდის დატოვებით ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ იმუქრებოდა. პროცესი, როგორც ჩანს, დაძრულია და რით დასრულდება, ალბათ, არც ისე ძნელი მისახვედრია.

NEWS

ვის ემუქრება სადეპუტატო მანდატის გარეშე დარჩენა?

მარიკა ვერულაშვილი, დავით ბეჟუაშვილი, როლანდ ახალაია და გივი თარგამაძე – ოთხივე მათგანს სადეპუტატო ხელფასის დაქვითვა უკვე გარანტირებული აქვს. თუმცა რეკორდსმენი მათშიცაა. მარიკა ვერულაშვილი დეპუტატის მანდატის ჩამორთმევის ერთადერთი კანდიდატი იყო, თუმცა უმრავლესობამ ის გადაარჩინა. საპროცედურო კომიტეტის ხელმძღვანელის, ირინა იმერლიშვილის განცხადებით, ხელფასები საპარლამენტო სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენისთვის ყველაზე ხშირად ახალაიასა და გივი თარგამაძეს ექვითება. თუმცა გადაბმულად ოთხი თვის განმავლობაში სხდომებს მხოლოდ ვერულაშვილი აცდენდა. ეს კი იმის წინაპირობაა, რომ კომიტეტმა დეპუტატის პარლამენტიდან გარიცხვის საკითხი განიხილოს. უმრავლესობიდან უმცირესობაში გადასული ვერულაშვილი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ ჩანდა საკანონმდებლო ორგანოში. რეგლამენტის შესახებ კანონის მიხედვით, იმ დეპუტატის ხელფასი, რომელიც გამუდმებით აცდენს სხდომებს, ჯერ 10%-ით, შემდეგ უკვე 20%-ით იქვითება. თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დეპუტატმა წარმოადგინა ცნობა, ან განცხადება და ახსნა, რა მიზეზით არ ესწრებოდა სასესიო სხდომებს, ეს მას საპატიოდ ჩაეთვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში მაქსიმუმი ოთხი თვეა და სწორედ ოთხთვიანი არყოფნის შემდეგ მისი მანდატი ავტომატურად ჩაითვლება გაუქმებულად.

NEWS

რესტორანი VICTORIA

ქეთევან წამებულის ქ. N11

სასტუმრო Victoria

პეტრიაშვილი ქ. N42

Tel: (99532) 2 251235;
2 290304.
Fax: 2 294450

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პატიმრობიდან გათავისუფლებულ კამერუნის მოქალაქეს საქართველოს წინააღმდეგ სარჩელი სტრასბურგში შეაქვს

„რასიზმი და უკანონო პატიმრობა – ეს არის ის ბრალდებები, რომელსაც მე საქართველოს ვუყენებ“

„შეთითხნილი ბრალდებით ტყუილად გამომკეტეს ციხეში, სადაც აშკარა დისკრიმინაციას განვიცდიდი ჩემი კანის ფერის გამო“

EXCLUSIVE

my View

მირიან ბოქოლიშვილი

აპპოლინაირე კენმეუგნემ სასჯელაღსრულების დაწესებულება რამდენიმე დღის წინ დატოვა. პატიმრობიდან გათავისუფლებული კამერუნის მოქალაქე რედაქციაში დაგვიკავშირდა და მისი საქმის გახმაურება გვთხოვა. უცხოელი ტურისტი საქართველოში 2010 წელს ჩამოვიდა, მან თბილისის ერთ-ერთ კაზინოში გაიცნო პიროვნება, რომელიც, მისივე თქმით, ფინანსური პოლიციის აგენტი გახლდათ. კენმეუგნე ამბობს, რომ წინასწარ დაწერილი სცენარით მოხდა მისი დაკავება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. მას ბრალი საგამოძიებო ორგანომ ყალბი ფულის დამზადებისა და თაღლითობის მუხლებით წაუყენა, სასამართლომ კი 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„მე, როდესაც საქართველოში ჩამოვდიოდი, ვფიქრობდი ევროპულ ქვეყანაში მივდიოდი, სადაც კანონის უზენაესობა იქნებოდა დაცული, მაგრამ იმან, რაც პირადად მე გადამხდა, მთლიანად შემიცვალა წარმოდგენა თქვენს ქვეყანაზე. მე გახლავართ კამერუნის ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი და რომ არა საქართველოში ჩემი დაპატიმრება, 2012 წელს, ჩემს ქვეყანაში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებშიც ვაპირებდი მონაწილეობის მიღებას. ყველა ეს საქმე, მათ შორის გარკვეული ბიზნესი წყალში ჩაიყარა, რადგან აქ სრულიად უკანონოდ გამომკეტეს ციხეში, არ მეძლეოდა ახლობლებთან კონტაქტის საშუალება, სანამ ხელისუფლება არ შეიცვალა. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოვახერხე ჩემს ოჯახთან დაკავშირება, რითაც გავიგე, რომ ჩემი და და მამაჩემი, ჩემზე ნერვიულობას გადაჰყვნენ“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას აპპოლინაირე კენმეუგნე.

ის იხსენებს, რომ თბილისის ერთ-ერთ კაზინოში გაიცნო პიროვნება, რომელიც მოკლე ხანში დაუმეგობრდა, საქართველოდან გამგზავრების წინ კი აეროპორტში გაცილება სთხოვა.

„როდესაც აეროპორტში მივედით ამ პიროვნებამ მითხრა, ყალბი დოლარები მაქვს და შენ გაიტანე ქვეყნიდანო. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი, მაგრამ ამოიღო და იქვე მაგიდაზე დაალაგა ეს თანხა, რომელიც სინამდვილეში არ გახლდათ ყალბი. სწორედ ამ პერიოდში შემოცვივდნენ ვიღაც პირები, დამადეს ხელბორკილები და მითხრეს, რომ ყალბი ფულის დამზადების ბრალდებით ვარ დაპატიმრებული. ეს იყო წინასწარ დაგეგმილი ოპერაცია. წამიყენეს მოთხოვნა, რომ თუ გარკვეულ თანხას გადავიხდიდი, საპროცესო შეთანხმებით გამიშვებდნენ, რაზეც ცხადია, უარი ვთქვი, რადგან სრულიად უდანაშაულო ვიყავი. საბოლოოდ სასამართლომ პატიმრობა მომისაჯა“, – ყვება აპპოლინაირე კენმეუგნე.

ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ ვითარებასაც იხსენებს და ამბობს, რომ ფერადკანიანობის გამო მას ხშირად აყენებდნენ შეურაცხყოფას. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მიღებული ამნისტია იმ მუხლებსაც შეეხო, რომლითაც კამერუნის მოქალაქე გაასამართლეს, თუმცა ციხის დატოვებას მაინც ვერ ახერხებდა.

„ერთი კითხვა მაქვს სამართალდამცველებთან – თუკი მე მართლა მქონდა ყალბი ფული, მაჩვენონ ერთი დაზარალებული, ან პიროვნება, ან ორგანიზაცია. რად მინდოდა ყალბი ფული? ჩამოვედი საქართველოში, ყალბი ფული დავბეჭდე და უცხოეთში მიმქონდა? ეს ხომ აბსურდია? შეთითხნილი ბრალდებით ტყუილად გამომკეტეს ციხეში, სადაც აშკარა დისკრიმინაციას განვიცდიდი ჩემი კანის ფერის გამო. დიახ, სხვა ყველაფერთან ერთად ეს არის რასიზმი. ეი, ზანგო – ასე მომმართავდნენ და იყო ცემის ფაქტებიც. ამნისტია მთლიანად შეეხო იმ მუხლებს, რომლითაც გამასამართლეს, მაგრამ ციხეს მაინც ვერ ვტოვებდი. ეკა ბესელია რომ არის, დეპუტატი, ის იყო შემოსული და ჩემი სიტუაცია ავუხსენი. მხოლოდ ამის შემდეგ გამათავისუფლეს“, – ყვება ყოფილი პატიმარი.

კამერუნის მოქალაქე, ამჟამად საქართველოს ხელისუფლებას კუთვნილი დოკუმენტაციის მოძიებას და იმ თანხის დაბრუნებას სთხოვს, რომელიც დაკავების მომენტში ჰქონდა თან, საუბარია რამდენიმე ათას დოლარზე, რომელიც მას აეროპორტშივე ჩამოართვეს.

„ჩემი კუთვნილი თანხა დღემდე არ დამბრუნებია, ისევე როგორც პირადი დოკუმენტაცია, რის გარეშეც ქვეყნიდან გამგზავრებას ვერ ვახერხებ. მე აუცილებლად ვაპირებ იურისტების აყვანას და ევროპის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას. რასიზმი და უკანონო პატიმრობა – ეს არის ის ბრალდებები, რომელსაც მე საქართველოს ვუყენებ“, – ამბობს აპპოლინაირე კენმეუგნე.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა კამერუნის მოქალაქის დაკავებაზე თავის დროზე სპეციალური განცხადებაც გააკეთა, სადაც უწყება აღნიშნავდა, რომ აპპოლინაირე კენმეუგნე აქამდე უცნობი მეთოდებით კუსტარული გზით ამზადებდა და შემდეგ სხვადასხვა ადგილას ასაღებდა ყალბ აშშ დოლარებს.

„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის საბაჟო წესების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ყალბი ფულის დამზადების ფაქტზე დააკავეს კამერუნის მოქალაქე აპპოლინაირე კენმეუგნე, რომელიც აქამდე უცნობი მეთოდებით, კუსტარული გზით ამზადებდა და შემდეგ სხვადასხვა ადგილას ასაღებდა ყალბ აშშ დოლარებს. სამართლადამცველებმა კამერუნის მოქალაქე მაშინ დააკავეს, როცა მან ვითომდა 150 000 ყალბი აშშ დოლარის დასამზადებლად მოქალაქისაგან მოითხოვა 50 000 ნამდვილი აშშ დოლარი, რომლის თაღლითურად მითვისება და საქართველოდან გაქცევა ჰქონდა დაგეგმილი, რადგან თან ჰქონდა თვითმფრინავის ბილეთი თურქეთის მიმართულებით. აპპოლინაირე კენმეუგნეს მიერ დამზადებულ სხვადასხვა კუპიურას ექსპერტიზა ჩაუტარდა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რომლის დასკვნის თანახმად, აღნიშნული კუპიურები დამზადებულია კუსტარული წესით პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგიისა და საშუალებების გამოყენებით. ა. კენმეუგნე ყალბი ფულის დასამზადებლად იყენებდა საგანგებოდ უშუალოდ მის მიერ საქართველოში ჩამოტანილ სპეციალურ ქაღალდსა და ქიმიურ ფხვნილებს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე და 180-ე მუხლებით, რაც შესაბამისად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას შვიდ წლამდე და ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით“, – წერია ფინანსთა სამინისტროს მიერ 2010 წლის 29 მარტს გავრცელებულ განცხადებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქართველი ხელოვანები და ჟურნალისტები ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადასარჩენად

my View
თამარ გონგაძე

პოეზიის და მუსიკის ფესტივალის, „პოემუსის“ მრავალფეროვანი აქციების მორიგი ღონისძიება ბათუმში 15 სექტემბერსაა დაგეგმილი. 29 აგვისტოს ქობულეთში წინა საპიარო აქცია უძღოდა წინ, სახელწოდებით „სიცოცხლის ხაზები“. მასში მონაწილეობდნენ - ია ნინიძე, გაგა ჩიხლაძე, გიორგი შალამბერიძე, ნინია მეტრეველი, მაკა შალიკაშვილი, ნატო სულხანიშვილი, რეზი ქინქლაძე, პაატა ჩოხელი.

ფესტივალ „პოემუსის“ ფარგლებში, 15 სექტემბერს, ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდი ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადასარჩენად დიდ ტელემარათონს მართვას, რომელშიც 50-მდე მონაწილე ერთიანდება: რუსთაველის თეატრის ძველი და ახალი თაობის მსახიობები, მარჯანიშვილის და სამეფო უბნის თეატრების მსახიობები, მუსიკოსები, მომღერლები, მოცეკვავეები, პოეტები, მწერლები. პროექტს შეუერთდა ანსამბლი „ერისიონი“. ჩატარდება თეატრალური პერფორმანსები, მსახიობები წაიკითხავენ ლექსებს, ცოცხალი ბენდები მუსიკალურ ნომრებს შეასრულებენ. დიდი გალა კონცერტი 9 საათზე დაიწყება და პირდაპირი ტრანსლაციით ორ არხზე გადაიცემა. მაყურებელი მარათონს აჭარის ტელევიზიითა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით იხილავს. ასევე „პრაიმტაიმის“ საიტის პირდაპირი ეთერით მთელი მსოფლიო ნახავს. პროგრამა 2 საათ-ნახევრიანი და მრავალფეროვანია. საღამოს წამყვანები არიან ბექა ელბაქიძე და ეკა მიშველაძე. დასწრება უფასოა.

ლეიკემიით დაავადებული 4 წლის ლიკა კაპანაძის გადასარჩენად 75 ათასი ევრო უნდა შეგროვდეს. მას სჭირდება ძვლის ტვინის გადანერგვა, ოპერაცია სექტემბრის ბოლოს, იტალიაში, ვერონას კლინიკაში უნდა გაუკეთდეს. ყველა მობილური ოპერატორით მოხდება ზარების და ესემესების შემოსვლა. შემოსული თანხა ჩაირიცხება დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდში.

გახსნილი და გამოცხადებული იქნება საბანკო ანგარიში და ნებისმიერ მსურველს შეეძლება სურვილისამებრ ჩარიცხოს თანხა.

გამოცხადდება ლეიკემიასთან დაკავშირებული სტატისტიკა, შემოსული ზარების რაოდენობა, იმ ადამიანების ვინაობა, ვინც გარკვეულ თანხას გაიღებს.

ეკა მიშველაძე: - ლიკა კაპანაძე პატარა პრინცესაა. იმედი მაქვს, მის ჯანმრთელობას გარკვეულ დახმარებას გავუწევთ და ის ვერონის კლინიკიდან ჯანმრთელი დაბრუნდება. ყველას, ვისაც ლეიკემია და ონკოლოგიური დაავადება აქვს გამოჯანმრთლებას ვუსურვებ. ჩვენი ფონდი ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს და მათ ოჯახებს წვრილმან რაღაცებში ეხმარება. მაგალითად, წამლების ყიდვაში, რომელიც საქართველოში არ იშოვება და მათთვის უცხოეთიდან ჩამოგვაქვს, დამატებითი კვლევების ჩატარებაში, თვიმფრინავის ბილეთის შეძენაში. ხარჯი დიდია. ეს ტელემარათონი ძალიან კარგი წამოწყებაა და „პოემუსისთვის“ და ვინც ჩართულია ამ პროექტში ყველა მათთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ყველა იმ ადამიანს, ვინც გადარიცხავს თანხას, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო. მნიშვნელობა არ აქვს რა თანხა იქნება, დაწყებული 1 ლარიდან უსასრულობამდე, რასაც გაიმეტებენ. ყველა კერძო კომპანიას მოვუწოდებ, მიიღონ მონაწილეობა ამ აქციაში. ეს დახმარება მხოლოდ ამ ერთი ტელემარათონით არ შემოიფარგლება. დიტო ცინცაძის ფონდში კერძო და სახელმწიფო კომპანიები ყოველთვიურად რიცხავენ თანხას. ეს არის ფონდის ძირითადი შემოსავალი.

ანგარიშის ნომერი:
0901080806

ბექა ელბაქიძე: „დიდი მადლობა ბათუმის მუნიციპალიტეტს, მერიას, კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ მამუკა თამაზაშვილს. მადლობა ხელოვნების და მუსიკის ცენტრს, რომელმაც თვითონ გამოიჩინა ინიციატივა, რომ ჩართულიყვნენ პროექტში. გარდა იმისა, რომ დარბაზს უფასოდ გვითმობენ, იქნებიან საღამოს წარმომდგენნი. ინსტრუმენტების დამატებაში კომპანია „მიფა-

ქველმოქმედებას ვერავის აიძულებ, მაგრამ მინდა ყველას ვთხოვო - ნუ გამოიჩენენ გულგრილობას. ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან ბავშვები, განსაკუთრებით 3 წლიდან 14 წლამდე. მუდმივად სჭირდებათ ყურადღება და კონტროლი. სამოქალაქო სოლიდარობა სწორედ ის არის, რომ ყველა გავერთიანდეთ. 15 სექტემბერს ჩვენი ხმა ბათუმის მუსიკალური ცენტრის სცენიდან მთელ ქვეყანას მიეწვდინება. გადავარჩინოთ სიცოცხლე! ლეიკემია იკურნება. მხოლოდ ყურადღება, გვერდში დგომა და გაერთიანებაა საჭირო. ერთად გადავარჩინოთ ბავშვების სიცოცხლე. მალე მედიით გავრცელდება მიმართვები, თუ რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ“.

21 სექტემბერს „პოემუსის“ აქცია ქუთაისში უპატრონო მოხუცებს მიეძღვნება. ღონისძიება გაიმართება ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში. ფესტივალის დასკვნითი აქცია კი სექტემბრის ბოლოს თბილისში ჩატარდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო გაჩეჩილაძე და ნიკა წულუკიძე „ტვ 3“-ზე დაწყვილდნენ

ტელეკომპანია „ტვ 3“-ზე ახალი გადაცემების ბუმია. ნინო გაჩეჩილაძემ გვახარა, რომ ნიკა წულუკიძესთან ერთად სექტემბრის მეორე ნახევრიდან დილის გადაცემას წაიყვანს.

ნინო გაჩეჩილაძე: - ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია. ჩვენი გადაცემა ზუსტად ისეთი ფორმატის იქნება, როგორიც „ჯიემჯიზე“ ნიკას და სალომე არშბას („დღის აკორდი“) მიჰყავდათ.

თამარ უჯმაჯურიძე, პროდიუსერი: - ეს დილის გადაცემა იდეაში გვაქვს, თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არ არის. ერთ კვირაში ჩამოვყალიბდებით და ზუსტად გვეცოდინება მისი სახელიც და რა ტიპის გადაცემა იქნება.

ამასობაში, სანამ ამ გადაცემის ბედი გადაწყდება, ნიკა წულუკიძე თეკლა კოსტავაზე დაოჯახდა, ნინო გაჩეჩილაძე კი ინტერნეტ ორგანიზაცია „ჯეო ტოპის“ ინტერნეტ გამოკითხის საფუძველზე „ტოპ ათი სასურველი ქართველი ქალბატონის“ სათავეში აღმოჩნდა. გამოვლენილია „ტოპ ათი სასურველი ქართველი მამაკაციც“, სადაც გიორგი ვარდოსანიძე ლიდერობს.

ნინო გაჩეჩილაძე: „შეიძლება ერთი შეხედვით უმნიშვნელო გამარჯვება იყოს, მაგრამ მაინც სასიამოვნოა. ქართველ მაყურებელს ასე თუ ისე ვუყვარვარ. ჯერ ეს ნიუსი გავიგე, მერე დამირეკა ლევან წულაძის ასისტენტმა, ჭოლამ ახალ სპექტაკლში გაგანაწილაო. კარგ სიახლეებში ვარ“.

ხის სათვალის ქართული ბრენდი „ლაშქო“

მგონი, ჩვენთან მოდური გახდა სათვალის დიზაინზე მუშაობა. ცოტა ხნის წინ ნინი ქარსელაძემ შექმნა სათვალის ხაზი. ახლა ერთი საინტერესო ბიჭი აღმოვაჩინეთ. უკვე ერთი წელია ლევან ლაშქარაშვილი ხის სათვალეებს ამზადებს. მაღაზიის გახსნამდე ბრენდს სახელი შეურჩია და სათვალეზე „ლაშქო“ ამოტვიფრა. ყველაფერი ხეზე მუშაობით დაიწყო. „სამხატვრო აკადემიაში, სანამ არქიტექტურის ფაკულტეტზე გადავიდოდი, რაღაც პერიოდი ავეჯის დიზაინს და ხეში კვეთას ვსწავლობდი. საკურსო ნამუშევარს ვამთავრებდი, როცა სათვალე გამიტყდა და მის შეკეთებას შევეცადე. სწორედ მაშინ გამიჩნდა ხისჩარჩოიანი სათვალის დამზადების იდეა“.

დღეს უკვე „ლაშქოს“ ათი დიზაინის სათვალე აქვს. უმეტესად „რეიბანის“ სტილის და მრგვალი სათვალე ჭარბობს. ერთი სათვალის გაკეთებას საშუალოდ 3-5 დღეს ანდომებს. შპონისგან და მასიური ხისგან დამზადებული სათვალეების ახალი კოლექცია დიზაინერს მალე მზად ექნება.

ლევან ლაშქარაშვილი: - რაც ძველდება, მით მაგარი ხდება ეს სათვალე. ხეს სულ სხვა ღირებულება აქვს, მით უმეტეს, თუ ძვირფასი ხისგან ამზადებ, რაც უფრო მეტი წელი გადის, მით უფრო ღირებული ხდება, ღვინოსავით.

„ლაშქოს“ სათვალის ფასი 200 ლარიდან იწყება. ფასი დამოკიდებულია იმაზე, მთლიანად ხის არის თუ არა აქსესუარი და რა ხარისხის შუშა და ხე აქვს. დიზაინერი დეკემბერში თავისი მაღაზიის გახსნას გეგმავს. კონკურენტი არ ჰყავს, ყოველ შემთხვევაში საქართველოში.

„კვინტესენციური ხუთეული“ - ვირტუოზებმა ევროპა გააგიჟეს

ამ ვირტუოზი ბავშვების შესახებ აჩიკო სოლოღაშვილისგან შევიტყვეთ. აჩიკო მათი ქორეოგრაფიის პედაგოგია. აკაპელას 13-16 წლის ბავშვები ასე მღეროდნენ, გასაოცარია. ამიტომაც არის, რომ სულ დიდების კონკურსებში მონაწილეობენ. მათი მუსიკალური ხელმძღვანელი ბუკა კარტოზიაა. ბუკამ 90-აინი წლების დასაწყისში საქართველოს ჯაზსექსტეტი ჩამოაყალიბა და ათი წელი მღეროდა. 12 წელი ამერიკაში დაჰყო, ჯერ ფილადელფიაში, შემდეგ კი ნიუ-იორკში. ანსამბლი, პირადი უთანხმოების გამო, წარმატების ზენიტში დაიშალა. მერე ივენთ მენეჯმენტით იყო დაკავებული. თბილისში შარშან ივლისში დაბრუნდა. მუსკომედიის თეატრს უცხოეთთან კონტაქტებში ეხმარება. შარშან შემოდგომაზე კი „ანა ბანას“ გამარჯვებული ბავშვებისგან ეს ჯგუფი შექმნა. ჯგუფს „კვინტესენციური ხუთეული“ ჰქვია. ჯგუფის მეორე პედაგოგი და ხმის რეჟისორი კახა ხოშტარიაა. მუსკომედიის შენობაში ერთი ოთახი აქვთ, სადაც რეპეტიციობენ. ჯგუფის წევრები არიან: ანა დოიაშვილი (დათო დოიაშვილის ქალიშვილი), ელენე და სალომე დოლიძეები, გიორგი თორაძე და პაპუნა შარიქაძე. პედაგოგმა მოკლე დროში მიაღწია იმას, რისი მიღწევაც სურდა. რეპერტუარი პირდაპირ რთული კომპოზიციის გაკეთებით დაიწყეს. ეს იყო „ხორუმი“. ერთწლიანმა მუშაობამ მოიტანა რეპერტუარი, რომელშიც შედის - ქართული ეთნო-ფუჟენი, ტრადიციული ჯაზური ნაწარმოებები, კლასიკა. ახლა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ არიაზე მუშაობენ. 40-წუთიანი საკონცერტო პროგრამა უკვე მზად აქვთ.

ივნისში გერმანიაში, ლაიფციგში აკაპელის ფესტივალის კონკურსში მონაწილეობდნენ. ამ საოცარმა ბავშვებმა ფესტივალის მთავარი ჯილდო აიღეს - გაისად, 14 მაისს, სოლო კონცერტი ექნებათ ლაიფციგში. ჯგუფმა ფულადი ჯილდოც აიღო და მაყურებლის სიმპათიის პრიზიც. 23 ივლისს ავსტრიაში, ქალაქ გრადში ასევე დიდ ფესტივალში მონაწილეობდნენ და იქაც მეორე ადგილი აიღეს. საამაყო ხუთეულმა აკუსტიკით ცნობილი სიმფონიური მუსიკის დიდ დარბაზში იმღერა.

„სადაც გამოდიან, ყველგან პატარები არიან, აკაპელა რთული ჟანრია. საბავშვო ფესტივალებზე არ დავდივართ. რამხელა კომპოზიციაც იმღერეს სამი იმდენი დრო ტაშს უკრავდნენ“, - ამბობს ბუკა. ჩანაწერი მაჩვენეს, ვირტუოზებს 2 500-კაციანი დარბაზი ტაშს საკმაოდ დიდხანს უკრავდა.

ბუკა კარტოზია: „პროგრამა მრავალფეროვანი გვაქვს. ქართული ჰარმონია და ტემპერამენტი ამ ბავშვებს სხვებისგან გამოარჩევს. ქართული კომპოზიციები უცხოელებისთვის ახალია და არასდროს მოუსმენიათ. ჯაზური ნაწარმოები ისე გვაქვს გაკეთებული, როგორც აქამდე არ გაუკეთებიათ“.

დეკემბერში ვენაში აქვთ კონცერტი. ევროპაში ყველაზე დიდი პოლიფონიური მუსიკის ფესტივალის ფარგლებში ვენის „მეტროპოლ თეატრში“ გალა კონცერტზე გამოვლენ.

პაპუნა შარიქაძე: „ბედნიერი და იღბლიანი ვარ, რომ ამ გუნდში მოვხვდი. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ წარმატებას მივაღწევთ. დიდი პერსპექტივა გვაქვს. მიყვარს „ხორუმი“, „კრიმანჭული“. გრადის კონცერტს გავიხსენებ. სიმღერა რომ დავამთავრეთ, კულისებში შევედით და ხუთი წუთის მერე საგრიმიოროში შესულებმა აღმოვაჩინეთ, რომ დარბაზში კიდევ ჩვენ გვიკრავდნენ ტაშს. არ ჩერდებოდნენ. დიდი გამოცდილებაა ასეთ ფესტივალებში მონაწილეობა“.

„კვინტესენციურ ხუთეულს“ 6 ოქტომბერს სოლო კონცერტი აქვს „ქარვასლაში“. თბილისის თეატრალური ფესტივალის ფარგლებში მათი საღამო ასევე იგეგმება მუსკომედიის თეატრში. მარტში იაპონიის ქალაქ ფუკუშიმაში მიემგზავრებიან ფესტივალზე. ჯგუფს გვერდში კულტურის სამინისტრო უდგას.

„შუა ქალაქი“ „ჩვენმა ამბავმა“ შეცვალა

ორი კვირაა „იმედზე“ სარეკლამო პრომო გადის. ეჭვიანი ქალი აბაზანიდან ტელეფონზე რეკავს - „გიორგი, სად ხარ?“ ეს ახალი სერიალის პრომოა. „ჩვენი ამბავი“ 14 სექტემბერს იწყება და ყოველ შაბათ-კვირას ათ საათზე გავა ეთერით. მან სერიალი „შუა ქალაქი“ ჩაანაცვლა. სიტუაციურ კომედიაში მთხრობელი (მწერალი) ერთი სამეგობრო წრის ამბებს ჰყვება.

სერიალში სიტუაციების გახსენების სცენები - ფლეშბეკები იქნება, ასევე იქნება მთხობელის ჩართვა... მთხრობელი ზურას როლს ტატო ჩახუნაშვილი თამაშობს. სერიალში ასევე დაკავებულები არიან: ნატა ზარდაძე, ნინო შავგულიძე, როლანდ ოქროპირიძე, ნიკა კუჭავა, ნოე ჟორჟოლიანი, დიმა ტატიშვილი, ლევან ბუაძე, რუსკა მაყაშვილი... მუსიკაზე ზურა ჯავახია მუშაობს.

დათო გოგიჩაიშვილი: - ეს სერიალია „შუა ქალაქის“ ბაზაზე კეთდება. „შუა ქალაქის“ ათ სეზონში ძველი შემდგენლობა თამაშობდა. როცა ამოიწურა სცენარი და პერსონაჟები, ახალი პერსონაჟებით შევცვალეთ. ახალ „შუა ქალაქში“ ხშირი იყო ცვლილებები. ახლა ვთქვით, მოდი, კიდევ შევცვალოთ რაღაცები-მეთქი. მივყევით და გამოვიდა ისე, რომ ყველაფერი „შემოგვეცვალა“. მერე სერიალის სახელიც შევცვალეთ. „შუა ქალაქის“ მსახიობებთან ვაგრძელებთ თანამშრომლობას. ბაჩო ქაჯაიასთან (ლაშა) და ნოდარ გურგენაშვილთან (პეტო) ერთი პროექტის გაკეთებას ვაპირებთ. სხვათა შორის, ნოდარი „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ იცეკვებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნიჭიერის“ ჟიურის გამომწვევი ოთხეული ცნობილია!

მეოთხე სეზონზე „ნიჭიერის“ ჟიურის შემადგენლობის დაკომპლექტებამ თითქოს ცოტათი დაიგვიანა. ყოველ შემთხვევაში პროდიუსერები ამ თემაზე დიდი ხანია დუმდნენ. სულ ახლახან კი ექსკლუზიურად „პრაიმტაიმისთვის“ „ნიჭიერის“ საპროდიუსერო ჯგუფმა ჟიურის წევრების ვინაობა გაამხილა. ესენი არიან: ნიკა გვარამია, ხატია ბუნიათიშვილი, გეგა ფალავანდიშვილი და ია ფარულავა. „ნიჭიერის“ ისტორიაში ჟიური პირველად არის ოთხი წევრით დაკომპლექტებული. პროდიუსერები თვლიან, რომ ეს ოთხეული გამომწვევია და არ არის რაფინირებული და სტერილური.

ნიკა გვარამია: „პრაიმტაიმი“ ყველაფერს იგებს. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ჟიურის ერთ-ერთ წევრად მოვიაზრები. როგორც შემოქმედებითი ჯგუფი წყვეტს, რომ არხისთვის და პროექტისთვის ჯობს, მეც ვთანხმდები. მე ამ არხზე ვმუშაობ და ჩემთვისაც ინტერესის საგანია არხის მთავარი პროექტი როგორი იქნება. ვფიქრობ, პროექტი ყველაზე სახალხო და საინტერესოა. რა თქმა უნდა, არის სხვა პროექტებიც, სხვა მხრივ საინტერესო. თუმცა ამ პროექტს თავისი ძლიერი მხარეები აქვს. ყველაზე უფრო დემოკრატიული პროექტია და ხალხის ჩართულობა ყველაზე მეტია. საკმაოდ კრიტიკული ადამიანი ვარ, არც ერთი გარემოების გამო სპეკულირებას და თამაშს არ ვაპირებ. თუ არ მომეწონება, ამის თქმას პირდაპირ ვგეგმავ. პირდაპირობა და კრიტიკულობა არის ის, რაც ჩემში შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს აინტერესებთ.

დემნა ჯაფარიძე („ნიჭიერის“ პროდიუსერი, რეჟისორი): – აქამდე ადამიანებს ვტესტავდით და „ვახვევდით“. შემადგენლობა ერთი კვირაა ვიცით, უბრალოდ არ ვლაპარაკობდით ამაზე. ჟიურიში პირველად არის ოთხი წევრი. 2 „კი“-ზე და 2 „არა“-ზე ვარდება კონკურსანტი, გამსვლელია 3-1-ზე. ეს შოუს დრამას მატებს.

- ამ სეზონზე სოფო ნიჟარაძეს შესთავაზეთ ჟიურის წევრობა?

- ჩვენ მას არ ვცვლიდით, უბრალოდ, მერე შეიცავალა დამოკიდებულებები...

- მისგან?

- მისგან, ჩვენგან. მეოთხე სეზონია და ზოგს ტექნიკურად არ აწყობს, ზოგს ობიექტურად თუ სუბიექტურად არ უნდა. ძალიან ძნელი იყო ამ ყველაფრის აწყობა და დაწყობა. ჩვენ სოფოთი ძალიან კმაყოფილები ვიყავით. როგორც ვიცით, ის „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობს.

პირველი ორი საკასტინგო რიცხვებია 10-11 სექტემბერი. ხატია ბუნიათიშვილი საქართველოში 10 სექტემბერს ჩამოვა და ორ დღეში უკან მიდის. მისი კონცერტების გამო გადაღებები სექტემბრის ბოლომდე ინელება. შოუ ეთერში ოქტომრის შუა რიცხვებში გავა.

უკვე ორი კვირაა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ „ნიჭიერის“ ჟიურის ერთ-ერთ წევრად ია ფარულავა მოიაზრება. ჩვენთვის კულუარულად ცნობილი გახდა, რომ „ნიჭიერის“ ჟიურიში დაჯდომაზე სოფო ნიჟარაძემ უარი ფარულავას გამო თქვა. წინა კვირაში გაირკვა, რომ მომღერალი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ კონკურსანტი გახდა. ჯერ ცნობილი არ არის, ვინ იქნება მისი პარტნიორი მოცეკვავე. სოფო ამბობს, რომ მისი საყვარელი ცეკვა ტანგოა.

სოფო ნიჟარაძე: - ამ შოუს პირველი სეზონიდან მქონდა შემოთავაზება. მაშინ ორ პროექტში ერთად ვერ მივიღებდი მონაწილეობას. წელს კი ისე მოხდა, რომ ახალი გამოწვევის წინაშე დავდექი. რამდენიმე თვე ვიფიქრე - მიმელო თუ არა მონაწილეობა. მინდა ჩემს თავს და ხალხს ვაჩვენო, რა შემიძლია ამ ჟანრში. ცეკვის სურვილი ყოველთვის მქონდა. ამ კონკრეტულ ჟანრში გამოცდილება არ მაქვს, მიუზიკლებში მონაწილეობით პატარ-პატარა გამოცდილებები დავაგროვე. წინა მონაწილეებისგან ვიცი, ძალიან დატვირთული გრაფიკი და 24-საათიანი შრომა მელოდეკი და 24-საათიანი შრომა მელოდება.

- სოფო, გავრცელდა ინფორმაცია, „ნიჭიერის“ ჟიურიში დაჯდომაზე ია ფარულავას გამო თქვი უარი.

- ეს სიცრუეა. „ნიჭიერიდან“ არავის გამო არ წამოვსულვარ. ეს ჩემი ინდივიდუალური გადაწყვეტილება იყო. ჩემთვის ახლა უფრო მნიშვნელოვანი ახალი გამოწვევა - ცეკვა. „ნიჭიერში“ ორი სეზონი ვიჯექი. ეს პროექტი ძალიან მიყვარს. ახლა კი მინდა ჩემი თავი მაყურებელს სხვანაირად დავანახო და სიახლე შევთავაზო.

- გქონდა „ნიჭიერიდან“ შემოთავაზება?

- მე შემოთავაზება „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ მქონდა და ამ შოუს ამიტომ დავთანხმდი.

სოფო ნიჟარაძემ ია ფარულავას გამო „ნიჭიერზე“ უარი თქვა?

ლელა წურწუმია - „ახალი ხმის“ ახალი მწვრთნელი

მუსიკალურ პროექტ „ახალ ხმას“ ერთი ახალი მწვრთნელი შეემატა. მაია დარსმელიძეს, დათო ფორჩხიძესა და სტეფანე მღებრიშვილს ლელა წურწუმია შეუერთდა. კონკურენტები ერთმანეთის მეგობრები არიან. ლელას დიდი ხანი არ უფიქრია გადაცემაში მონაწილეობაზე. მომღერალი ამ პროექტის გულშემატკივარი ყოფილა და გადაცემის ყურებისას თავისთვის ხშირად მოუწყვია ბრმა კასტინგი.

ლელა წურწუმია: - დამიხუჭავს თვალი და მიფიქრია, მოვბრუნდებოდი თუ არა იმ ბავშვზე, ან რომელიმე მწვრთნელი შებრუნდება თუ არა-მეთქი. ბევრი კარგი მონაწილე გაუშვეს ხელიდან, რომელზეც მე მოვბრუნდებოდი. საინტერესოა ახალი ადამიანების აღმოჩენა. მე მიყვარს, როდესაც ნიჭიერ ადამიაებს ვეხმარები. ვამაყობ ჩემი აღმოჩენილი ბავშვებით - დუეტით „ჯორჯია“. მწვრთნელობა დიდი პასუხისმგებლობაა. სწორი მიმართულება უნდა მისცე. სწორი სვლები უნდა აკეთო, რომ ისინი მაყურებლის ყურამდე სწორად მივიდნენ. სიმღერებიც სწორად უნდა იყოს შერჩეული. აზარტული ვარ, მით უმეტეს ღირსეული მოწინააღმდეგეებიც რომ მყავს, უფრო მოტივირებული ვიქნები. ბევრი სამუშაოა, ბევრ დროს წაიღებს და საფრთხილოა. ჩემ საქმეში ძალიან მომთხოვნი და პრინციპული ვარ. არც თავს დავზოგავ, არც დროს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სალომე ჭაჭუას და გიორგი ვარდოსანიძის რომანი თვე-ნახევრის წინ ზღვაზე დაიწყო

„ვიცი, ამ ინტერვიუს რაც მოჰყვება“

თამარ გონგაძე

ეს წყვილი ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე სეზონში მონაწილეობის დროს მოექცა. ყველა გადაცემის ჩაწერაზე იქ ვიყავი. გიორგი ვარდოსანიძისა და სალომე ჭაჭუას წყვილს გამოსასვლელად რომ აცხადებდნენ, რუსთაველის თეატრის დარბაზს გამაყრუებელი კივილი გადაუვლიდა. გულშემატკივართა არმია ორივე მათგანის სახელს გაჰყვიროდა. შესვენებაზე მოსაწევად გასული დამსწრე საზოგადოება ჭორაობას რომ მოჰყვებოდა, ხშირად ამ მუსაიფის საგანი გიორგი და სალომე იყო. აქა-იქ ასეთ ფრაზებს ვიჭერდი ხოლმე: „რაღაც ეს წყვილი სხვანაირად ვნებიანად ცეკვავს“, „სალომე ამ სეზონზე განსაკუთრებული ჟინით ცეკვავს“, „მეც ასე მგონია, ერთმანეთი უნდა მოსწონდეთ“, „ორივეს რომ შეყვარებული ჰყავს?“ „რა მოხდა, ცეკვა ისეთი ინტიმურია, ვნებას აღძრავს და შეიძლება წაგლეკოს...“ წყვილი მეორე ადგილზე გავიდა. ვარდოსანიძემ მანქანა მოიგო. პროექტის პერიოდში ორივეს ჰყავდა შეყვარებული. თავიანთ რჩეულებთან ორივეს რამდენიმეწლიანი ურთიერთობა ჰქონდა, რაც არაერთი გადაცემა და სტატია მიეძღვნა. გიორგის შეყვარებული - მსახიობი თამთა შალამბერიძე ყველა შოუზე დარბაზში მეგობრებთან ერთად იჯდა და შეყვარებულს გულშემატკივრობდა. იანვარში ცნობილი გახდა, რომ წყვილი ერთმანეთს დაშორდა. გიორგიმ ეს ტელევიზიით გააცხადა. ყველას პროექტის დროს გაჩენილი ეჭვი გაუმყარდა, გიორგი შეყვარებულს სალომეს გამო დაშორდაო. თუმცა მალევე ჭაჭუა და მისი შეყვარებული იმავე გადაცემაში ერთმანეთს სიყვარულს უხსნიდნენ. სალომეს რჩეული გიგი გაჩეჩილაძე მოცეკვავე და სტუდია „თელას“ დამფუძნებლების უმცროსი ვაჟია. მათი სიყვარულის ისტორიაც „თელას“ უკავშირდება. სალომეს და გიორგის სტუდიაში თავიანთი ჯგუფები ჰყავთ და ცეკვას ასწავლიან. თუმცა ეს ადრე იყო. ახლა, როცა მათი გზები გაიყარა (უკვე ექვსი თვეა), სალომემ „თელა“ დატოვა და ახალ სტუდიას დამოუკიდებლად ხსნის. სტუდიას „პრაიმდენსი“ ჰქვია და სექტემბრის ბოლოს გაიხსნება. როგორც ამბობს, მასთან ერთად ცეკვას იტალიელი წყვილი ასწავლის.

„ეს დროზე და ურთიერთობაზეა დამოკიდებული“

25 წლის გიორგი და 23 წლის სალომე ერთმანეთს მიუზიკლიდან - „ვერის უბნის მელოდიები“ იცნობენ. გათანამედროვეებული ვერსია შარშან ზაფხულში ფრანგმა ქორეოგრაფმა და რეჟისორმა რედა ბენიფორტემ დადგა. მერე რაც მოხდა, უკვე იცით. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე სეზონზე დაწყვილებული ჭაჭუა და ვარდოსანიძე პირველად „პრაიმტაიმში“ აღიარებენ, რომ თვენახევარია ერთად არიან. „სიხარულიც, ტკივილიც - ყველაფერი გვზრდის. ბედნიერი ვარ, არ მეტყობა?“- ამბობს გიორგი. „ასე ხმამაღლა ჯერ ვერ ვიტყვი, რომ შეყვარებული ვარ. ვნახოთ, რა როგორ იქნება. ეს დროზე და ურთიერთობაზეა დამოკიდებული“- ამატებს სალომე.

საოცნებო როლი, პირადი, გასტუმრებული ვალები

ახლახან ედინბურგის თეატრალურ ფესტივალზე სპექტაკლის თამაშისას გიორგის მხარი ამოუვარდა. როცა რაიმე მოგვდის, დამსახურებულად გვემართება. „ვთვლი, რომ ტყუილად მართლა არაფერი ხდება. ეტყობა, გადავრჩი ბოლო რთული სცენის თამაშს, რომელიც იქნებ ისე ვერ მეთამაშა, როგორც საჭიროა. ახლა მეტი დრო მაქვს როლის გასააზრებლად“. ახლახან საოცნებო როლის თამაში შესთავაზეს. „დორიან გრეის პორტრეტს“ ნინი ჩაკვეტაძე დგამს. „ვერ აგიხსნით, რა დონეზე ბედნიერი ვარ. ეს ჩემი საოცნებო როლია. 25 წელი იდეალური ასაკია მის სათამაშოდ. იმხელა მეტამორფოზა ხდება ამ როლში, გპირდებით თავს არ დავზოგავ. ყველაფერი კარგად აეწყო - საქმე მაქვს ტომრით, თეატრში სეზონი 7 ოქტომბერს „ზაფხულის ღამის სიზმრით“ იხსნება. საუბარია მიუზიკლის „ვერის უბნის მელოდიების“ აღდგენაზე. პირადშიც ყველაფერი კარგადაა. მინდა ირგვლივ ყველა ჯანმრთელად მყავდეს... პროექტში მოგებული მანქანა შვიდთვიანი მცდელობის შემდეგ გავყიდე. ვალები დავფარე და „მერსედესის“ ჯიპი ვიყიდე. კმაყოფილი ვარ. რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს. ოთარ, შე ბებერო, თავი დამანებე, გავყიდე ის მანქანა, ნუღარ მერჩი:)“.

„მზად ვარ, რომ არავის ვუყვარდე“

„ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ვარდოსანიძემ 20 კილო დაიკლო. მისი თაყვანისმცემლების სია ამ პროექტის დროს გაასმაგდა. გოგონები მის სახელს გაჰკიოდნენ და თეატრის გამოსასვლელთან ხვდებოდნენ.

გიორგი ვარსდოსანიძე: „ცეკვავენ ვარსკვლავები“ კარგი მონაკვეთი იყო ჩემს ცხოვრებაში. მიყვარს ეს პროექტი. მინდა მესამე სეზონიც კარგი გამოვიდეს. ვეცდები კარგი ტურები არ გამოვტოვო. მიყვარს „ტანგო“ და მის ტურზე მივალ. „სამბაზე“ მისვლას, შეიძლება სხვა საქმე ვამჯობინო.

- ამ პროექტის მერე სიყვარულს გამოემშვიდობე...

- ამ პროექტის დროს ბევრი რამ მოხდა. არა უმავს, ცოცხლები ვართ, ყველაფერი გრძელდება და კარგადაა. ასე დაემთხვა. თუმცა ჩემი პირადი ამ პროექტთან არაფერ შუაშია. ისეთი რაღაცები ისმის... რახან ხალხის ინტერესის ობიექტი ვარ და თვალყურს მადევნებენ, რაღაცების შეთხზვის უფლებაც აქვთ. ეს ჩემი პროფესიის ნაწილია. ვერავის დავუშლი, რომ ჩემს პირადზე ილაპარაკონ, თუმცა მე კი მეცინება ჭორებზე. ილაპარაკებენ, დაიღლებიან და მაგრად არ მაინტერესებს. სიმართლე ვიცი მე და ჩემმა ახლობლებმა. ცუდად არ გამიგოთ, სხვები არ მაინტერესებს.

- თუ რამე ზოგად იმიჯს გილახავს, არ გაინტერესებს - რას იტყვიან და იფიქრებენ შენზე?

- მე არ მგონია, რომ ჩემი იმიჯი ამ პროექტით შეიქმნა, მოცეკვავე არ ვარ. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, ცუდად გამომდის თუ კარგად, ხალხის გადასაწყვეტია. მე ამ საქმეს გავაგრძელებ, მინდა, რომ მთელი ცხოვრება ეს საქმე ვაკეთო. იმისთვისაც მზად ვარ, რომ არავის ვუყვარდე და იმასაც ვგრძნობ, რომ ძალიან ბევრს ვუყვარვარ. ამას კი ძალიან ვაფასებ და ვუფრთხილდები. თუმცა „ბუკეტნი“ პერიოდის გასაგრძელებლად არაფერს ვაკეთებ. არც მის დასანგრევად ვიღნვი. ვიღაცას ეყვარები, ვიღაცას - არა. იმედია, არ შეთხზავენ, რომ კაცი მოვკალი და დანარჩენი...

„მე არასდროს ვმალავ ჩემს თავს რაც ხდება“

- რა რეაქცია გქონდა, როდესაც ამბობდნენ, გიორგი თავის შეყვარებულს იმიტომ დაშორდა, რომ სალომე ჭაჭუასთან გააბა რომანი?

- ძალიან მეღიმებოდა, მე ხომ ვიცოდი სიმართლე. მარტო სალომეზე? ნუკი კოშკელიშვილზე დამაქორწინეს, ვითომ გავიპარეთ. მერე ნინი ცნობილაძესთან დამაწყვილეს. რაც შეეხება სალომეს, მე ჩემი პრობლემები მქონდა, მას - თავისი. მხოლოდ პირადი არა. ყოველდღიური ათასი პრობლემაა და არ მეცალა ამ ხმებს ავყოლოდი. ახლა არ ვამბობ, რომ ეს ამბავი ტყუილია, იმ დროს არ შეეფერებოდა სიმართლეს, როცა გავრცელდა. რეალურად ჩვენ რომანზე რომ ჭორი აგორდა, მაშინ ეს სისულელე იყო. პროექტი რომ დასრულდა, მე და თამთა დავშორდით, მერე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზიური აღიარება „პრაიმტაიმს“

გიორგი ვარდოსანიძე: „დარწმუნებული ვარ, გიგი მარტივად და ცივილურად მიიღებს“

EXCLUSIVE

დაემთხვა და გიგი და სალომე დაშორდნენ. არ მინდა ამაზე ვრცლად საუბარი, ვიცი, ამ ინტერვიუს რაც მოჰყვება. მე არასდროს ვმალავ ჩემს თავს რაც ხდება. რაც არ ხდება, იმას არ ვამბობ. მე და სალომე ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით. თვე-ნახევარია მეგობრობა სხვა რამეში გადაგვეზარდა. მეგობრობიდან სიყვარულში გადაზრდილი ურთიერთობა ძალიან მყარია. გაპრანჭვა და ურთიერთობის თავიდან დაწყება არ გჭირდება. 24 -საათიანი მეგობრობა გვქონდა. გვყავს საერთო მეგობრები. ასეთი მეგობრობა არ უნდა დაკარგულიყო. მერე მას თავისი პრობლემები ჰქონდა, მე - ჩემი. პრობლემებიც გადაგორდა. ჩვენ ორივე „სახეებით“ ვმოძრაობდით. მერე ჩვენი „სახეების ანყობა“ ოთხი თვე გაგრძელდა. მერე დაიწყო პიკნიკები, სამეგობროსთან ერთად ოთხი მანქანით ერთად ვმოძრაობდით. ასე გადაიზარდა და გადაიზარდა... ახლა კარგად ვარ და ჩუმად ვარ. ურთიერთობაზე ყოველგვარი სახელის დარქმევის გარეშე ვარ კარგად. მეზიზღება რაღაცას რომ ვარქმევ. ამაზე უკვე წავიტეხე ცხვირი. მივხვდი, რომ ჩემს პირადზე ბევრი ვილაპარაკე და ეს იმიტომ არ მომივიდა, რომ გამჟღავნება მინდოდა. უბრალოდ, მაშინ ძალიან კარგად ვიყავი. ალბათ, ბევრსაც ვლაპარაკობდი. მერე მივხვდი, რომ პირადული იმდენად კარგი სიტყვაა, რომ ბევრს ნიშნავს. უფრო მეტად აღარ დავკონკრეტდები. მე კარგად ვარ, სალომეც კარგადაა. ვისაც გაუხარდება, გაუხარდეს, ვისაც არა და ნუ გაუხარდება.

„არავისი არ მეშინია, არც თავს ვიმართლებ“

- გრძნობის გაღვიძებაში ცეკვამ ითამაშა დიდი როლი?

- გრძნობათა ბუნების თემა მესმის, მაგრამ, ალბათ, ეს იმათ ემართებათ, ვისთვისაც ეს ახალია. ჩემთვის პარტნიორის სახის ახლოს მოსვლა არაფერს ნიშნავს. დამიჯერეთ, სცენაზე თამაშის დროს უფრო მძაფრია გრძნობები, ვიდრე ცეკვისას. არ ეწყინოთ მოცეკვავეებს, მაგრამ ათასჯერ მეტია. ისეთი სცენები მქონია სცენაზე პარტნიორთან, მაგრამ გრძნობა არ გამჩენია. რა სისულელეა, ეს საქმეა. მე ცეკვის გამო არ დამმართია ეს. ახლა იტყვიან, ცეკვების დროს გაუჩნდათ გრძნობა და ახლა გაამჟღავნესო. თავის მართლებას არ დავიწყებ, ეს ნიშნავს, რომ არ ვარ მართალი. არავისი არ მეშინია, არც თავს ვიმართლებ.

- იქნებ ცეკვების დროს დაინთო ცეცხლი, მერე მინელდა და ახლა ისევ გაღვივდა.

- ეგრეც შეიძლება, იფიქრონ.

- იქნებ საჭირო დროს ელოდებოდით?

- მე თამთასთან დაშორების მერე სხვა ურთიერთობის დაწყება ვცადე. მაგრამ მივხვდი, რომ სხვა განწყობაზე ვიყავი. მერე იყო მეორეც, მაგრამ ისიც მარტივი ფლირტით დავამთავრე. იმ დროს საქმეში ვიყავი გადართული. ზაფხული და ზღვა ხომ ეგეთია.

- ეს ზღვაზე იყო? „ფეისბუქზე“ ზღვის ფონზე გადაღებული შენი და სალომეს ძალიან საინტერესო ფოტო გიდევს.

- კი, ერთი თვის წინ ოხთი მანქანით წავედით. გვიყვარს ცეცხლი პლაჟზე, კარვები... ოთხი დღე გავერთეთ. სალომე მერე ჩამოვიდა. ეს ფოტო სარფში პლაჟზეა გადაღებული. ცეკვის ილეთებს ვაკეთებდით. პორტფოლიოსთვის კლიპებად მინდა ექვსი-შვიდი ცეკვის გაკეთება და მაინტერესებდა ე.წ. „პადძერჟკები“ როგორ გამომივიდოდა და მეგობრებმა გადაგვიღეს. მაშინ მივხვდით, რომ ეს ურთიერთობა მეგობრობაზე ცოტა მეტი იყო... ახლა, ამ ეტაპზე ვართ და ეს ყველაფერი ძალიან მომწონს.

- ანუ შენ პირველად აღიარებ საჯაროდ ამ სიყვარულს?

- ანუ ეს იმას ნიშნავს - „პრაიმტაიმი“ მიყვარს? ჰო, ეგრეა. პირველად ვამბობ. აქამდე ხმამაღლა საღიარებლად არც მქონდა საქმე.

„ასე გამოვიდა, ასე მოხდა...“

სალომე ჭაჭუა: - ძალიან დიდი ხანია ჩვენზე ლაპარაკობენ. ვერ ვიტყოდი, რომ ეჭვები გამართლდა. როდესაც საზოგადოებამ ამაზე დაიწყო ლაპარაკი, მაშინ არაფერი გვქონდა. ის აქ არ იყო, არც მე ვიყავი და დიდი ხანი ვერ ვნახულობდით ერთმანეთს. მერე, შემთხვევით მეგობრობა გადავიდა რაღაც ისეთში... ურთიერთობამ მოიტანა, ძალიან დავახლოვდით. ასე გამოვიდა, ასე მოხდა... გიორგი კარგი პიროვნებაა, დადებითად შემიძლია დავახასიათო.

- მაინც რა იყო შენი და გიგი გაჩეჩილაძის დაშორების მიზეზი?

- ასე მოხდა, ბევრი მიზეზი იყო. სამწუხაროა, მაგრამ მოხდა. ორივემ გადავწყვიტეთ დაშორება.

გიორგი ვარდოსანიძე: - სალომე ძალიან ჩუმია. ეს იცით რამხელა კომფორტია? რაღაცნაირად ჩუმია. ეს არ ნიშნავს, რომ არ ლაპარაკობს. მანქანაში ყველა რომ ყაყანებს, ერთი ადამიანი ჩუმად არის, მაგრამ ამ სიჩუმით არავის ანუხებს.

ახლა იოგაზე დადის და მეშინია ისეთ რაღაცებს აკეთებს. ძვალი მართლა არ აქვს. საშინელი პლასტიკა აქვს. რამდენადაც მაგარი მოცეკვავეა, იმდენად მაგარი ადამიანია.

- გიორგი, ეჭვიანი ხარ?

- არა, არ ვარ. როცა ენდობი, ენდობი. ყველაფერი ნდობიდან იწყება.

- მგონია, რომ სალომე კაცურად გვერდში მდგომი მეგობარია.

- ზუსტად ეგეთია. იცი, როგორია? ქიციც იცის და ქიცმაცურიც. რა სიტუაციაში როგორ მოიქცეს, იცის. იუმორის გრძნობა აქვს. ეს კი მნიშვნელოვანია ჩემთვის.

- გიგისთან შეხვედრას გაურბიხარ?

- არა, ვნახავ, „ვერის უბნის მელოდიებში“ სცენაზე შევხვდებით. დარწმუნებული ვარ, გიგი მარტივად და ცივილურად მიიღებს. არ მიიღებს და არ ვიცი... არაფერს არ ვმალავ. ტყუილში არავის ვაცხოვრებ.

- წინა ურთიერთობის დასრულებას შენ გაბრალებენ.

- არა, ორივემ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. იმ ურთიერთობას ნუ შევეხებით, დასრულდა. ძალიან მტკივნეული იყო. მინდა თამთა კარგად იყოს. მის მიმართ დიდი პატივისცემა მქონდა, მაქვს და მექნება.

- გაქვს ურთიერთობა?

- არა, არ მაქვს ურთიერთობა. დარწმუნებული ვარ, თამთა ჩემზე უკეთესს იპოვის. ძალიან კარგი გოგოა და ამას ათასი პროცენტით იმსახურებს.



„სალომე მერე ჩამოვიდა. ეს ფოტო სარფში პლაჟზეა გადაღებული. მაშინ მივხვდით, რომ ეს ურთიერთობა მეგობრობაზე ცოტა მეტი იყო...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამუკა გიორგაძე - ჯონ ტრავოლტას

„ლამაზი უკანალების მხატვარი“- „თუ ამ სახელით შევალ ფერწერის ისტორიაში, დაე, შევიდე“

„ჩემი ცოლის დამსახურებით მე საჭირო დროს საჭირო სიტუაციაში აღმოვჩნდი. აი, ამას ჰქვია ამერიკული ოცნება“

„წვეულებაზე აღმოვჩნდი მთელ ჰოლივუდთთან ერთად. ვინც კი გაგიგიათ, ყველა იქ იყო - ალ პაჩინოდან და ჯორჯ ქლუნიდან დაწყებული, ბრედ პიტით და ანჯელინა ჯოლით დასრულებული. ასე გავყიდე 17 ნამუშევარი. ჩემი გაპიარებაც დაიწყო... თინა თერნერმა, ჯონ ტრავოლტამ, ჯანეტ ჯექსონმა, ჟაკ შირაქმა შეიძინეს ნახატები“



my View
თამარ გონგაძე

45 წლის მხატვარ მამუკა გიორგაძეზე მეგობრისგან შევიტყვეიცი, მისი ნახატები ჰოლივუდელ ვარსკვლავებს სახლში უკიდიათო. ვაა, დავინტერესდი და პირველი, რაც გავაკეთე, იყო ის, რომ მხატვრის „ფეისბუქზე“ „შევიჭყიტე“. ნახატები მაშინვე ახდენს შთაბეჭდილებას და პირველი, რაც მათი თვალიერებისას გახსენდება, ეთერ ჭკადუას ხელწერაა. მამუკა და ეთერი სტილით, სამხრეთული ტიპის ქალების ხატვით ჰგვანან ერთმანეთს. თუმცა ჭკადუა ავტოპორტრეტისტია, მამუკა კი სიმბოლისტურად ხატავს თავის საყვარელ არსებას, ქალს. ნახევრად ხუმრობით „ლამაზი უკანალების მხატვრად“ მონათლეს. „თუ ამ სახელით შევალ ფერწერის ისტორიაში, დაე, შევიდე. ჩემი მეგობრების ნამუშევრებს რომ უყურებ, ხედავ, რომ ზოგან ფერთა თამაშია, ზოგი პრიმიტიულია, მაგრამ საინტერესო... ჩემი ნახატების თვალიერებისას კი გმინვა მესმის - „ოხ ამის... უხ...“ - ეღიმება მხატვარს.

11 წელი იცხოვრა ამერიკაში. წარმატების პიკს მიაღწია, ჰქონდა გამოფენები, მისი ნამუშევრები მსოფლიოში ცნობილ ადამიანებს აქვთ შეძენილი. ბუნებრივია, ძალზედ საამაყოა. მიკვრის, რატომ აქამდე არაფერი ვიცით მამუკას შესახებ. ბევრი მის ადგილას იუკადრისებდა, როგორ არ მიცნობთ, მით უმეტეს, შვიდი წელია საქართველოში ვარო? მაგრამ მამუკა ასეთი არ არის, პირიქით, უშუალო, ურთიერთობის დასაწყისშივე შენიანი და სიცოცხლისმოყვარული ხელოვანია. ის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობების - ტარიელ გიორგაძისა და ნათელა პაატაშვილი-გიორგაძის შვილია. მხატვარი ამ თეატრთან ახლაც აპირებს თანამშრომლობას. პარალელურად, შვიდ ტილოზე ერთდროულად მუშაობს. მაისში გამოფენის გამართვა სურს. ამ ტილოებზე ქალბატონები სხვადასხვა კუთხით დაინახავენ თავიანთ თავსო, ამბობს. დაახლოებით 12 ნამუშევარს გამოფენს. მერე მათ ევროპაში - შვეიცარიაში, საფრანგეთში, პოლონეთსა და რუმინეთში გატანას გეგმავს. აქვს ოცნება - მსოფლიოს ყველა ეროვნების ქალი დახატოს. უნდა თავისი ნამუშევრებით ისტორიას დაუტოვოს, როგორი სახე მიიღო 21-ე საუკუნეში სხვადასხვა ეროვნების ქალმა.

„ემიგრანტების შტო ვართ“

მამუკა გიორგაძე: „ჩემი გვარის შტო ემიგრანტები ვართ. ბაბუა გერმანიაში 1941 წელს ტყვედ ჩავარდა. იქიდან მოხვდა ვენესუელაში, კარაკასში. 35 წელი უვლიდა ჩავარდნილ უკრაინელ ცოლს. ბაბუა პროკურორი იყო, შვიდი ენა იცოდა. მერე, შემთხვევით, კონცერტზე ჩასულმა სუხიშვილებმა აღმოაჩინეს, რომ ბაბუა ცოცხალია და შეგვატყობინეს. 1973 წელს მათ კონცერტზე მისულმა ბაბუამ ანსამბლი სახლში დაპატიჟა და სუფრა გაუშალა. იქ უთქვამს, ოჯახი დამრჩა თბილისშიო... „კაგებე“ ხევდა საზღვარგარეთიდან მოსულ ბაბუას წერილებს, თან ჩვენ საცხოვრებელი ადგილიც შეცვლილი გვქონდა. ის კი ამაოდ გვწერდა წერილებს... სუხიშვილებში მამაჩემის მეგობარი ცეკვავდა და ისტორიის და გვარის ხსენებისას ეს მოცეკვავე წამომდგარა, მე ვიცნობ ტარიელ გიორგაძეს, მსახიობიაო. მერე უკვე მოდიოდა წერილები და მოჰყვებოდა კაცი, რომელიც ხელს გვაწერინებდა. ბაბუა ისე დაილუპა, ვერ ვნახეთ. თუ ოდესმე მომეცემა საშუალება, მინდა მისი ფერფლი ვენესუელადან ჩამოვიტანო“.**

მამის ანდერძი

„ჩემი მშობლები, მამა - ტარიელ გიორგაძე და დედა ნათელა პაატაშვილი-გიორგაძე ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი იყვნენ. მე ამ თეატრში გავიზარდე. თემურ ჩხეიძემ დადგა სპექტაკლი „შვიდფერა ყვავილი“. დედა მერვე თვეში ჩემზე იყო ორსულად, მუცელი რომ გაიკრა და არაორსული ქალი ითამაშა. ახლა ვეხუმრები, დედა, ოსტეოხონდროზი იმიტომ მაქვს, მაშინ მუცელი რომ გაიკარი-მეთქი. რეპეტიციებზე ვიჯექი. მსახიობების ოჯახი ცირკია. რეპეტიციები ცოცხლად მიდის, სამზარეულოში თუ საძინებელში. სულ წასულები იყვნენ მშობლები და მე ვწერდი ასეთ ლექსებს: „დედა, დედა, სად მიდიხარ, მალე მოხვალ?“ სულ მენატრებოდა. სანამ ამერიკაში წავიდოდი ამ თეატრში მხატვრად ვმუშაობდი. მერე, მოულოდნელად, მამა ავად გახდა. უთხრეს, ორივე ფეხი უნდა მოგკვეთოთო. იყო მეორე ვარიანტი, დიდ თანხად ოპერაცია და ფეხების შენარჩუნება. მთელი თეატრალური სამყარო დაგვეხმარა და მოკვეთას გადაურჩა. გერმანული იმპლანტები გაუკეთეს. ოთხი თვე იწვა გაუნძრევლად. მერე ისევ სცენას დაუბრუნდა. ეს ის დროა მშრალ სპირტზე რომ ვადუღებდით ჩაის, უშუქობის, ნავთქურის... მყავდა ორი პატარა შვილი, ლიზი და ბარბარე. ვალები ხომ უნდა გამესტუმრებინა? ამის გამო წავედი ამერიკაში. 11 წლის შემდეგ ისევ მამის ავადმყოფობის გამო მომიხდა ჩამოსვლა. მამამ გარდაცვალებამდე დამიბარა: „ჩვენი ოჯახი, ისევე როგორც ბევრი მსახიობის ოჯახი, ბიძინა ივანიშვილის მადლიერია. მინდა, ამ მადლიერების ნიშნად მას შენ სცე პატივი“. იმ დროს ბატონი ბიძინა პოლიტიკაში არ იყო. ყოველგვარი გაფრთხილების გარე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნვეულებიდან გაპიარებული მხატვარი

„დედა სულ მეჩხუბება, არასდროს დაგიხატივარო. ის კი არ იცის, რომ ყველა ნახატში მისი სულიერი მდგომარეობა და ის ნასწავლია, რაც ჩემში ჩადო“

„შვილები და მშობლები ისე მენატრებოდნენ, ბალიშის კუთხეს სიმწრისგან ვღეჭავდი. ჩემი მუზა ჩემი სამშობლოს ნოსტალგია და ტკივილი იყო. ამიტომ იყო ჩემი ნახატები დეპრესიული“

EXCL USIVE

შე ავდექი და ორმეტრიანი ნახატით მის სახლს მივადექი. დაცვამ გამაჩერა, მე ჩემი ვინაობა და ისტორია მოვუყევი, ნახატი და სამადლობელი წერილი გადავეცი და წამოვედი. ტილოს „ოჯახი“ ჰქვია. ამ ფაქტიდან ორ თვეში ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა“.

ამერიკაში მუშად

„1998 წელს მინესოტას შტატში ჩავედი, მინეაპოლისში. ეთერის ძმა, გოჩა ჭკადუა მირეკავდა, ჩამოდი, აქ გაყიდი ნამუშევრებსო. რომ ჩადიხარ, სულ სხვა რეალობა გხვდება. ამერიკული ოცნება ათასში ერთხელ სრულდება. როგორც იტყვიან, ვირის მუშად ვიმუშავე. თუკი რამე ფიზიკურად საშრომი სამსახური არსებობს, მენაგვიდან დაწყებული, ყველგან ვიმუშავე. ხორცის კომბინატში ქონიან მანქანებს ექვსი საათის განმავლობაში გაუჩერებლად ვრეცხავდი. დილით ხელის მტევანზე იმხელა სპაზმი მქონდა, რომ თითებს ვერ ვშლიდი. თბილ წყალში ვდებდი და სათითაოდ ვხსნიდი თითებს, რომ მერე მეხატა. ფიზიკურად მუშაობის პარალელურად სულ ვხატავდი. არ გავჩერებულვარ. ორი-სამი წელი ძალიან ვიწვალე. ამასობაში მე და ჩემი მეუღლე, თამუნა მოსაშვილი დავშორდით ერთმანეთს. ახლა ის საფრანგეთში ცხოვრობს. უფროსმა ქალიშვილმა, 22 წლის ლიზიმ, საფრანგეთში პიარმენეჯმენტზე ჩააბარა. 17 წლის ბარბარა კოლეჯში სწავლობს. მას უნდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბაროს. საფრანგეთში მეორეხარისხოვანი მსახიობობა არ სურს. უნდა, რომ საქართველოში იყოს პირველი. მის ამ სურვილს მივესალმები, რადგანაც მე სულ აქედან გაქცევაზე ვარ“.

წვეულებაზე ტრავოლტასთან

„სამი წლის შემდეგ, ამერიკაში, ქართველ-ჩინელთან ერთად ქართული რესტორანი გავხსენი. კედლები მოვხატე, ხელით შევკერე ჩოხები, ყანწები, ნივთები გავუკეთე ინტერიერისთვის. თუმცა მალევე გავიცანი მფრინავი, კაპიტანი ქალბატონი - არსი გარსია და მასთან ერთად დავიწყე ცხოვრება. მაშინ გადავწყვიტე, რომ ამერიკაში ვრჩებოდი და ჩემი, როგორც მხატვრის კარიერა იწყებოდა. ჩემი ცოლის დამსახურებით მე საჭირო დროს საჭირო სიტუაციაში აღმოვჩნდი. აი, ამას ჰქვია ამერიკული ოცნება. მე და არსიმ ლოს ანჯელესში რვა წელი ვიცხოვრეთ ერთად.

სანამ არსი დიდ ავიაციაში დაიწყებდა მუშაობას, მანამდე ინსტრუქტორად მუშაობდა. ის, ჯონ ტრავოლტას თვითმფრინავის მართვას ასწავლიდა. ჯონს ორი თვითმფრინავი ჰყავდა.

ერთხელ არსის შვილის დაბადების დღეზე ტრავოლტას ცოლ-შვილი მოვიდა. ამ ქალმა ჩემი ნამუშევრები დაინახა და ჩემით დაინტერესდა - არ გაყიდი ამ ნახატებსო? გამოფენებზე მეყიდება-მეთქი. მე გაგაცნობ ხალხსო მითხრა და წვეულებაზე დამპატიჟა. ის იყო ჯონ ტრავოლტა პირველად ჯდებოდა თვითმფრინავში და ოჯახურ გარემოში ამის პრეზენტაცია ჰქონდათ. სწორედ იმ წვეულებაზე აღმოვჩნდი მთელ ჰოლივუდთთან ერთად. ვინც კი გაგიგიათ ან კინოში გინახავთ, ყველა იქ იყო - ალ პაჩინოდან და ჯორჯ ქლუნიდან დაწყებული, ბრედ პიტით და ანჯელინა ჯოლით დასრულებული. კაპიტნის ფორმით ჩაჯდა ჯონი თვითმფრინავში და წრე დაარტყა ტერიტორიას. იქ ყველამ გაიგო, რომ მხატვარი ვიყავი კავკასიიდან. იმ საღამოს მსახიობებმა და მუსიკოსებმა შეიძინეს ჩემი ნამუშევრები და ჩემი გაპიარებაც დაიწყო. ასე გავყიდე 17 ნამუშევარი. თინა თერნერმა, ჯონ ტრავოლტამ, ჟაკ შირაქმა შეიძინეს ნახატები. ჯანეტ ჯექსონმა სამი ნამუშევარი იყიდა. ჯანეტი ჩვენი სახლის გვერდით ცხოვრობდა. მუდმივად დეპრესიაში ვარდებოდა, სუქდებოდა და როცა ძაღლს ვასეირნებდი, მოდიოდა, მხარზე თავს დამადებდა, გავსუქდიო, ტიროდა და გულს იოხებდა. მერე საკონცერტოდ ისევ გახდებოდა. იმ უბანში მექსიკელ ქალს პატარა რესტორანი ჰქონდა და დილაობით იქ ვსაუზმობდი. ბევრ ვარსკვლავს ვხვდებოდი ამ რესტორანში. ერთხელ, შუაღამის 4 საათზე, სუპერმარკეტში თმაგაჩეჩილმა კაცმა მიიქცია ჩემი ყურადღება, პარაშუტივით შორტი ეცვა, დიდი შლოპანცებით იყო და საოცრად პატარა ძაღლი ჰყავდა. დასტინ ჰოფმანი აღმოჩნდა. გამოველაპარაკე. არ ჰქონია ის მომენტი - მიცნო თუ ვერაო. ასეთი რამ იქ არ სჭირთ. ჩემი მეუღლის დეიდაშვილია შაკირა. მათ რომ ვუყურებდი, სუფთა ქართულ სიტუაციებში გავეხვიე და მეცინებოდა. იმ წრეში მოხვედრილმა იმაზე ვიხალისე, რომ ერთმანეთს ჭორავდნენ, კბენდნენ. სიტუაცია თბილისს ჰგავდა“.

ალ პაჩინოს საჩუქარი

„ერთხელ, მაღაზიებში სიარულისას, შევედი „არმანიში“, სადაც სულ სომეხი გოგონები მუშაობდნენ. მცნობდნენ - „მამუკჯანს“ მეძახდნენ. „მიმინო“ მახსენდებოდა. მაღაზიის კართან დავინახე ბევრი პაპარაცი იყო ჩასაფრებული. ვიფიქრე, ვიღაც ვარსკვლავია მაღაზიაში შესული-მეთქი. არავის უშვებდნენ. მე რაღაცნაირად აღმოვჩნდი შიგნით. შევედი და ჟაკეტი გავისინჯე. გავიხედე და ჩემგან ათ მეტრში იდგა ალ პაჩინო. მომაძახა - „მოგწონს?“ კი, მაგრამ ძალიან ძვირია-მეთქი. თვითონაც მოიზომა, მოუხდა. სახლის ფორმაში იყო. უცებ მეკითხება - „Russian?“, „No, Georgian“.

და რას მეკითხება - „Is It fucking Shevardnadze's country?“ მერე დამემშვიდობა, გავიდა და მანქანამდე მიაცილეს. გამყიდველი მეუბნება, შენთვის საჩუქარიო და შეფუთვას მაძლევენ. ალ პაჩინოს უკითხავს ჩემზე - ვინ არისო? მხატვარიაო, გოგონებმა უთხრეს. ჟაკეტის შეფუთვაზე დაუწერია - „საჩუქრად ალისგან ქართველ მეგობარს“. იგივე ჟაკეტი თავისთვისაც შეუკვეთავს. ახლა ეს ჟაკეტი ანუკა მურვანიძეს აქვს. ძალიან უყვარს პაჩინო და ეს ისტორია რომ მოვუყევი, გაგიჟდა და მას შემდეგ იმ ჟაკეტს ატარებს“.

22 ათას დოლარად

„არ მერიდება რომ ვთქვა, რომ ცუდი მხატვარი არა ვარ. პიარი ყველა მხატვარს სჭირდება. წარმატების 50 პროცენტი, პიარზეა დამოკიდებული. თუ არადა... შეიძლება იყო ნიკალა და სიკვდილის მერე გახდე ცნობილი. დღეს მხატვარი ბერეტით და პალიტრით ხელში ვეღარ წარმომიდგენია. მხატვარმა რომ თავი შეინარჩუნოს, ბევრი გამონვევვაა, კინო, თეატრი. სულ რაღაც წრეში უნდა იყო, რომ გამოფენები მოაწყო და ნამუშევრები გაიყიდოს. მოკლედ, იმ დროს, იმ წრეში, ჩემი სახე შეიქმნა. ბევრი გამოფენა მქონია, მათ შორის არა გალერეაში, არამედ „ოფენ ჰაუსში“. ეს იყო ღია ცის ქვეშ

მოწყობილი საგამოფენო სივრცე, სადაც მუსიკა ჟღერდა და შეკრებილი საზოგადოება ეცნობოდა ერთმანეთს და გამოფენილ ნამუშევრებს. ასეთი ტიპის გამოფენებზე ხშირად მინახავს სტივ ჯობსი. ასევე ხშირად დადიოდა დონალდ ტრამპი მეუღლესთან ერთად. ვიწრო წრეში ხდებოდა ნამუშევრების ჩვენება. მთხოვდნენ გალერეაში მიტანამდე, ჩვენ გვაჩვენეო. გალერეა ნახატის ფასს 50 პროცენტს უმატებდა. აქაც მსურს მსგავსი ტიპის გამოფენების მოწყობა.

- ყველაზე ძვირად რამდენად გაგიყიდიათ ნამუშევარი?

- 22 ათას დოლარად გამიყიდია. ბოინგის ერთ-ერთ მენეჯერს შეუძენია.

მუზა

„მუზა ჩემთვის ადრენალინია. ჩემი მუზა ჩემი სამშობლოს ნოსტალგია და ტკივილი იყო. წლების განმავლობაში შვილებს ვერ ვხედავდი. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიყავი ამერიკაში, საოცარი ნოსტალგია მტანჯავდა. ამიტომ ჩემი ნახატები დეპრესიული იყო. პერსპექტივაში საქართველოს, ეკლესიას, სულ ვხატავდი. ჩასულმა პირველ დღეს ნათლობის ჯვარი დავკარგე. მივხვდი, რომ ამერიკაში მთელი ცხოვრება ვერ ვიცხოვრებდი. მესამე დღეს, ხეზე ვხედავ, რაღაც ანათებს. აღმოვაჩინე თეთრი ანგელოზის მედალიონი. მოვხსენი და დღემდე ვატარებ. უფალი მმფარველობს. მამა გაბრიელის და სერაფიმ საროველის ხატები მქონდა ნაღებული. ვლოცულობდი, ბევრს ვტიროდი... შვილები და მშობლები ისე მენატრებოდნენ, ბალიშის კუთხეს სიმწრისგან ვღეჭავდი. დედას ძალიან ვგავარ. ის ჩემთვის სანთელია. ასე ვეძახი... ჩემთვის უდიდესი შემოქმედია. მიმაჩნია, რომ, როგორც მსახიობი, აქ სათანადოდ არ არის დაფასებული. მან დიდი წვლილი შეიტანა ბავშვების გონებრივ განვითარებაში. დედა ტრავერსია, მსახიობი, რომელიც ბიჭ გმირებს თამაშობს. იცით რა? როცა დედა შენი ტკივილის ბიძგის მომცემია, იცით, რას ხატავ? სასწაულებს აკეთებ! დედა სულ მეჩხუბება, არასდროს დაგიხატივარო. ის კი არ იცის, რომ ყველა ნახატში მისი სულიერი მდგომარეობა და ის ნასწავლია, რაც ჩემში ჩადო. აი, მუზა...“

ქალის მუზეუმი

მამუკა სახლში მუშაობს. სახელოსნო ამერიკაში წასვლამდე გაყიდა და ვეღარ ყიდულობს. ხატავს რისირების ტექნიკით. შრომატევადია, რთულად სახატავი გზა ავირჩიეო, ამბობს. აქვს საინტერესო იდეა.

„მინდა ჩვენთან ექსკლუზიურად გაკეთდეს ქალის მუზეუმი. თუ ამ იდეას ვინმე ჩაავლებს და დამიკავშირდება, ამით დიდ საქმეს გააკეთებს. რამდენი სასახელო ქალი გვყავდა. ჯერ მარტო ქალი მეფე არც ერთ ქვეყანას არ ჰყოლია. კოლხი მედეადან დაწყებული, წმინდა ნინო, თამარ მეფე და მეოცე საუკუნის ცნობილი ქალებით (მსახიობებით, მწერლებით, მხატვრები) დასრულებული, ყველა მათგანის ცვილის ქანდაკებებს გავაკეთებდი და თავიანთ კუთხეებში დავდგამდი... ასეთი მუზეუმი არავის აქვს. ეს პოლიტიკაა, სახელმწიფოს ინტერესებში უნდა იყოს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პირველად „პრაიმტაიმში“ - ლეი

მსახიობის ტრაგიკული ცხოვრება მეუღლისა და ორი შვილის გარეშე

თამარ გონგაძე

30 აგვისტოს მსახიობ ლეილა ძიგრაშვილს შვილთაშვილი შეეძინა. დავითი, მსახიობის უფროსი ვაჟის, ლაშა კიკალეიშვილის მესამე შვილიშვილია. „პაწაწუნაა, კარგად ჭამს. მის დაბადებაზე ძალიან ვინერვიულე. სამშობიაროში პირველი მივედი და პირველმა მე გავიგე, ბიჭი რომ დაიბადა და ყველას გადავურეკე. ასე შემეძინა მესამე შვილთაშვილი“ - სიხარულს გვიზიარებს ქალბატონი ლეილა. ოთხი წელია ვურეკავთ, იქნებ დაგვთანხმდეს ინტერვიუზე-მეთქი... არ სურდა, უფრო სწორად გაურბოდა თავისი ტკივილიანი ცხოვრების გახსენებით მოუშუშებელი იარების ხელახლა შეხსნას... სავსებით გასაგებია. ერთი ადამიანისთვის ამხელა ტრაგედია აუტანლად მძიმე ჯვარია. ჯერ 42 წლის მეუღლე - ანდრო კიკალეიშვილი დაკარგა, მერე 42 წლის ვაჟი - ლაშა, სამი წლის შემდეგ კი მეორე შვილი - 39 წლის მამუკა... ძლიერი ქალი ვყოფილვარ, რომ ამ ყველაფერს გავუძელი და დღემდე ვცოცხლობო, ამბობს.



„ძალიან ძლიერი აღმოვჩნდი. ხშირად მიფიქრია, რატომ მომივლინა ღმერთმა ამხელა განსაცდელი-მეთქი... რეზო ჭეიშვილმა დაწერა - „მეშინია, დედაჩემზე ადრე არ წავიდეო...“ ჩემი შვილების წასვლის შემდეგ სულ ეს სიტყვები მახსენდება“

„სოფიკო მეუბნებოდა - შენ უფრო ჰგავხარ ვერიკოსო“

ლეილა ძიგრაშვილი 86 წლისაა. „არაფერი აღარ შემიძლია, გარდა იმისა, რომ მეხსიერება არ დამიკარგავს“. ამაში დასარწმუნებლად მარკესის „ბოლო სიტყვა“ უშეცდომოდ წაგვიკითხა. მე და ფოტოგრაფი გაფართოებული თვალებით შევყურებდით. „თუ სადმე, რამე წამიკითხავს, ყველაფერი მახსოვს. უფრო ჭკვიანი ვიქნებოდი, წამლებს რომ არ ვსვამდე“. საოცრად ჰგავს ვერიკო ანჯაფარიძეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდი მსახიობი ასე ცოცხლად არ მინახავს, წარმოვიდგინე, რომ ასეთი სახის იყო, სახასიათო პროფილით და მრავლისმნახველი, გამჭოლი მზერით. „სოფიკო ჭიაურელი მეუბნებოდა - შენ უფრო ჰგავხარ ვერიკოს, ვიდრე მეო. სხვათა შორის, ტაქსის მძღოლმაც მითხრა, ანჯაფარიძეს ჰგავხარო“. მოკლედ, ოთხწლიანი მცდელობის შემდეგ მოცემული ინტერვიუ პატარა დავითის დაბადებით გამონვეული სიხარულის დამსახურებაა. როცა ასეთ საინტერესო რესპონდენტებს ამოვიჩემებ, მერე საოცარ დამთხვევებს აღმოვაჩენ ხოლმე. ქალბატონმა ლეილამ ორივე ვაჟი აგვისტოში გააჩინა. 4 აგვისტოს ლაშას დაბადების დღე იყო. სოციოლოგი და ჟურნალისტი 60 წლის გახდებოდა, 10 აგვისტოს კი მსახიობ მამუკა კიკალეიშვილს 53 წელი შეუსრულდებოდა. თვის ბოლოს კი ოჯახს ახალი სიცოცხლე შეემატა.

„არ დავეცი. ეს არი

წიგნი აუტანელი ფიქრების წინააღმდეგ

მტანჯველ ფიქრებს რომ გაექცეს, მსახიობი სულ კითხულობს. მოგონებებთან, სურათებთან და თავთან მარტო დარჩენა უმძიმს.

„ახლა მხოლოდ ვკითხულობ. ერთ წიგნს რომ წავიკითხავ, მეორემდე პაუზა არ უნდა მქონდეს. წიგნს იქით ჩემთვის ცხოვრება მძიმეა. ყავისფერ ფერებშია სამყარო. მარტო ყოფნაც არ შემიძლია. მიყვარს ბავშვები რომ ხმაურობენ. მე ოთახში შევიკეტები, ბავშვები უნდა ხმაურობდნენ. ეს მამშვიდებს. ახლა ორჰან ფამუქს ვკითხულობ. „მე წითელი მქვია“ დავასრულე და „მდუმარე სახლს“ ვკითხულობ. რიგში „უმანკოების მუზეუმი“ და „თოვლია“. ფამუქს მთლიანად ავითვისებ. ძალიან მომეწონა. ლაშას მეგობარი ბექა ჭილაშვილი თურქია. თურქეთში ჟურნალი „ფიროსმანი“ აქვს. ფამუქის წიგნი პირველად მან მაჩუქა. ბავშვობიდან მიჩვეული ვარ კითხვას. ეზოში ბავშვები რომ თამაშობდნენ, მე მამას დავალებით ვკითხულობდი და მერე მის შინაარსს ვწერდი. ხუთოსანი ვიყავი. სიბეჯითით ლაშა მგავდა, ფიზიკურად კი ორივე მამას ჰგავდნენ“.

„მინდა შვილები სიზმრად მაინც ვნახო“

„ძალიან ძლიერი აღმოვჩნდი. ხშირად მიფიქრია, რატომ მომივლინა ღმერთმა ამხელა განსაცდელი-მეთქი... ცუდი ცხოვრება გავიარე, ეს ისეთი უბედურებაა, რომელზე ლაპარაკიც არ შეიძლება. რომ ვიგონებთ ისტორიებს, მამუკაზე ვყვებით, გავიცინებთ და თითქოს არაფერი... მაგრამ დიდი ტკივილია. რეზო ჭეიშვილმა დაწერა - „მეშინია, დედაჩემზე ადრე არ წავიდეო...“ ანუ ჩემი სიკვდილით დედა არ გავამწაროო. ჩემი შვილების წასვლის შემდეგ სულ ეს სიტყვები მახსენდება“.

- ამხელა ტრაგედია ზოგ ადამიანს თავის თავში კეტავს, ზოგს - აბოროტებს...

- ღმერთმა დამიფაროს. არა! სულ ვწუხვარ, როდესაც გავიგებ, რომ ახალგაზრდა კვდება. სასაფლაოზე ვხედავ რამდენი ახალგაზრდაა დაღუპული... მინდა შვილები სიზმრად მაინც ვნახო, მაგრამ ვერ ვხედავ. ნათესავი ყვება, ცოცხლად ვნახე მამუკა, გადაღება მაქვსო, ამბობდაო. ალბათ, იმიტომ ვერ ვხედავ, რომ მათზე ფიქრი სულ თავში მიტრიალებს.

- გიზო ჟორდანიამ ჩემთან ინტერვიუში თქვა, რომ გამთენიისას ხშირად აქვს ხილვა და მამუკას ხედავს. როცა ვფხიზლდები, მიდისო...

- წავიკითხე. მამუკამ თეატრალურ ინსტიტუტში რომ ჩააბარა, დავრეკე - უთხარით, თუ გიზოსთან არ იქნება, ახლავე წამოვიდეს-მეთქი. გიზოს ჯგუფში მოხვდა. მერე დამეგობრდნენ. ერთმანეთის საოცარი სიყვარული ჰქონდათ...

ანდრო კიკალეიშვილი

ლეილა ძიგრაშვილის მეუღლე მსახიობი ანდრო კიკალეიშვილი იყო. 21 წლისამ მომავალი მეუღლე მოზარდ მაყურებელთა თეატრში გაიცნო. ანდრო სპექტაკლში „სიჭაბუკე ბელადისა“ ახალგაზრდა სტალინს თამაშობდა. ცოლად ხუთი წლის შემდეგ გაჰყვა. ანდრომ მსახიობობას თავი დაანება და მუსკომედიის თეატრის დირექტორად დანიშნეს... 1967 წელს, როცა ახალგაზრდა თაობის მსახიობები (ოთარ მეღვინეთუხუცესი, ირაკლი უჩანეიშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, გურანდა გაბუნია, ქეთევან კეკნაძე და სხვები) გამოეყვნენ მარჯანიშვილის თეატრს და ახალდაარსებულ რუსთავის თეატრში გადავიდნენ (სამხატვრო ხელმძღვანელი გიგა ლორთქიფანიძე გახლდათ), ანდრო დირექტორად მიიწვიეს. მერე კი სერგო ზაქარიაძემ ანდრო რუსთაველის თეატრში გადაიყვანა დირექტორად.

„ანდრო ძალიან კარგი პიროვნება იყო. ორგანიზებული. მსახიობი იყო და თეატრების დირექტორად ნიშნავდნენ. სერგო ზაქარიაძესთან თბილი და კარგი ურთიერთობა ჰქონდა. სერგო ძლიერი მსახიობი იყო. მოულოდნელად გარდაიცვალა. მთელი ზაფხული იმუშავა. თეატრს უკანა მხარე მიაშენა და მუშებს თავზე ადგა. უხარიათ მე რომ მხედავენო და არ შორდებოდა. „ატეც სალდატა“ იყო. მერე ის იყო სტენოკარდიული შეტევებიც დაეწყო. ძალიან ემოციური იყო. „ანტიგონეში“ კრეონს რომ თამაშობდა, გრიმს არ იკეთებდა. რომ გაიგებდა, შვილი ანტიგონესთან ერთად დაიმარხა, სახეზე სულ თეთრდებოდა. სპექტაკლის თამაშის ღამეს ემოციებისგან არ ეძინებოდა. ვერ ისვენებდა. ამიტომაც დაიღუპა 62 წლის ასაკში.

ანდრო ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. იმ დროს ლაშა ჩვიდმეტი წლის იყო, მამუკა ათი წლის“.

„მამუკამ ძმის სიკვდილი ვერ გადაიტანა“

„მამუკას ფილმებიდან ძალიან მიყვარს „არამზადა“, შესანიშნავი ფილმია. მამუკამ საერთაშორისო პრემია მიიღო - „როლის საუკეთესო შესრულებისთვის“. რუსულ გაზეთში უზარმაზარი სტატია დაიწერა - „ნახეთ, ვინ მოვიდა?“ ასეთი მსახიობი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ უნდა გამოგვეგონაო, წერდნენ.

არაჩვეულებრივი იუმორი ჰქონდა. დამირეკა, ტატიანა ვედენეევასთან ვარ სტუმრად. ის ეუბნება, თქვენზე ამბობენ, უმალ შეგიძლიათ შპაგატში ჩაჯდომა. რა თქმა უნდა, შემიძლია. ახლავე? ახლავეო და მამუკა იქვე ჩაჯდა. ოი, არ გტკივათ? ლამაზი ქალისთვის ყველა მსხვერპლისთვის მზად ვარო. „დონ კიხოტში“ ღორების სცენაში იღებდნენ. უზარმაზარი ღორების კოლტში უნდა ჩაწოლილიყო. ჩაუწექიო, დაუყვირეს. სად ჩავუწვე, იმხელები არიან, შემეჭამენო.

ლაშა სხვანაირი იყო, სულ კითხულობდა. საზოგადოებათმცოდნეობას მაგის გარდა სკოლაში არავინ სწავლობდა. მერე სოციოლოგი გახდა. ინგლისურს კარგად ფლობდა. რახან ენა იცოდა, ლაშას სულ სიმპოზიუმებზე უშვებდნენ. ხორხის ოპერაცია რომ გაიკეთა და სახლში მოვედით, კანადიდან ნერილი (ახლაც შენახული მაქვს) მივიღეთ. კანადელი პროფესორი წერდა, ჩემთან იცხოვრებთ და ლექციები გექნებათ, ამდენ ჯამაგირს აიღებთ. ერთ წელინადში სადოქტოროს დაიცავთო... ლაშას უკვე ხმა აღარ ჰქონდა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლა ძიგრაშვილის პირადი დრამა

„ცხოვრება ტანჯვის მეტი არაფერია“

- ცხოვრება რა არის?

- ჩემთვის ტანჯვაა. კარგად არასდროს მიცხოვრია. ბავშვობისას მამის გადასახლების მოლოდინში ვიყავი. მშობლებს ღამით არ ეძინათ და კანკალებდნენ. როდის ნაიყვანდნენ, არ ვიცოდით. მერე მეორე მსოფლიო ომი იყო... ძალიან კარგად მახსოვს, როდესაც გამოაცხადეს - ომი დამთავრდაო, რუსთაველის გამზირზე ყველა ერთმანეთს კოცნიდა. საოცარი სანახაობა იყო. ასეთი რამ ახლა წარმოუდგენიათ? რამხელა სიძულვილია ჩათესილი... აკაკი ხორავამ გვითხრა, ახლა წადით სახლებში და ვისაც რა გაქვთ, ის მოიტანეთო. პეჩენიებისგან ტორტს ვაკეთებდით. თეატრალურში ფაფას გვაჭმევდნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ თურმე წყალზე მოხარშულ ჰერკულესს ვჭამდით. მერე უცებ მამა დაიღუპა. მერე, როცა მეგონა, ყველაფერი კარგად იქნებოდა, არა... ასე არ ხდება. ცხოვრება ტანჯვის მეტი არაფერია. მე მაშინ მიხაროდა, როცა ჩემი შვილები კარგად იყვნენ, მოდიოდნენ და ამბებს მიყვებოდნენ - „დედა, იცი იქ რა კარგი იყო?...“ ეს ჩემთვის ყველაფერი იყო. სხვა დანარჩენი არაფერია. მეუბნებიან - ლეილა, გაიხსენი ვარსკვლავიო. მეცინება. სესილია თაყაიშვილს არა აქვს ვარსკვლავი და მე გავვარსკვლავდე? ძალიან დიდი სისულელეა. აუტანელი რამაა. ჩემი შვილები აღარ არიან და მე აღარაფერი მინდა. რა ვარსკვლავი?..

„მამუკამ ძმის სიკვდილი ვერ გადაიტანა. დარწმუნებული ვარ, ჩემი ქმარიც ერთ დღესაც ვერ იცოცხლებდა. მე რატომ დამტოვა ღმერთმა, სულ ვეკითხები ჩემს თავს - რატომ?“

ს ჩვენი პროფესია“

უფროსი ძმის უკურნებელმა სენმა და სიკვდილმა გაანადგურა მხიარული მამუკა. ის ძალიან შეიცვალა, ველარ ცნობდნენ. ძველებურად ლაღი აღარ იყო.

„გულჩათხრობილმა წერა დაიწყო. დღიურებად წერდა თავის ცხოვრებაზე, სულ სევდიანად. ჯღაპნილად ეწერა და მერე მე გადავწერე. მამუკას ბავშვობაში ჰკითხეს, ყველაზე მეტად ვინ გიყვარსო? ლაშაო, უპასუხა. თავის დღიურებში ლაშაზე წერს: ამათნაირებისთვის ნაკრძალი უნდა არსებობდესო. ერთხელ ლაშამ დისერტაცია მოსკოვში გაგზავნა. ტექნიკური ხარვეზების გამო ორჯერ მოუბრუნეს უკან. მამუკამ გამოართვა, თვითონ წაიღო და მიაღებინა ასეთი ჩასწორებული დისერტაცია. ერთხელაც ლაშა ორთვიან ჯარში წაიყვანეს. სამუშაო ჰქონდა, ლექციები, აქეთ გაზეთი „დვრიტას“ რედაქტორი იყო. მოვიდა მამუკა, სად არისო, მოიკითხა ძმა. ახალციხეშია, ჯარში-მეთქი. მომეცი ჟურნალი გარეკანზე ჩემი ფოტო რომ არისო. იმ დროს „დონ კიხოტს“ ახალციხეში იღებდნენ. სამხედრო გენერლიდან დაწყებული ყველა ესწრებოდა გადაღებას და მამუკას იცნობდნენ. ჩააკითხა და ორ დღეში ჩამოიყვანა თავისი ძმა. „მომიყევი რა რაღაცები“, თხოვდა მამუკა. ლაშაც უყვებოდა. ორი დღის მერე მოვიდოდა მამუკა და ეუბნებოდა, რაც მომიყევი სულ „გავყიდე“ და მითხრეს, მამუკა, რა ჭკვიანი ხარო. ბოლოს ლაშა მეტწილად ინვა. მამუკა გადაღებიდან რომ ჩამოვიდა და ნახა ლაშა ინვა, გვერდით საწოლზე დაწვა და მთელი დღე ასე იყო. ლაშა თუ ადგებოდა, ისიც მაშინ დგებოდა. რამდენიმე დღე სახლიდან ფეხი არ გაუდგამს, მაშინ, როცა სულ მოძრაობაში იყო და სად მიდიხარო რომ ვეტყოდით, საქმეზეო. ეს „საქმე“ ყოველთვის ვიღაცის დასახმარებლად წასვლა იყო... მამუკამ ძმის სიკვდილი ვერ გადაიტანა. დარწმუნებული ვარ, ჩემი ქმარიც ერთ დღესაც ვერ იცოცხლებდა. მე რატომ დამტოვა ღმერთმა, სულ ვეკითხები ჩემს თავს - რატომ?“

„ალბათ, მათი გაყრის მიზეზი ესეც გახდა“

მამუკაც იმ სენმა შეიწირა, რამაც ბევრი, ვინც რეალობიდან გაქცევა სცადა. ძალიან სდომებია ფილმის გაკეთება ნარკომანიაზე, სადაც მაყურებელს ყველაფერს გულახდილად მოუყვებოდა, თუ რა ჯოჯოხეთი გამოიარა.

„საერთოდ არ ეწეოდა. მეშვიდე-მერვე კლასში რომ იყო, ვეუბნებოდი - მართალი მითხარი, არ ეწევი-მეთქი? არა, გავსინჯე და არ მომეწონაო. მისი ნარკომანობა წარმოუდგენელი იყო. ბოლოს, მოსკოვში ცხოვრებისას, მასთან სახლში ორი ექიმი ცხოვრობდა, მძიმე პერიოდები გადაიტანა. მისმა მესამე მეუღლემ, ტანია სმირნოვამ დამირეკა, ახლა მამუკა კარგად არის, ჩამოდითო. აეროპორტში დასუსტებული დამხვდა. დედა, რა კარგია, უკვე კარგად ვარო, მითხრა...“

მამუკას პირველი ცოლი მსახიობი ნინო კობერიძე გახლდათ, მეორე - ხათუნა ძამაშვილი. ხათუნას და მამუკას ჰყავთ ერთი ვაჟი, ანდრო. მან ნელს მადრიდის უნივერსიტეტში ბიზნესის განხრით ჩააბარა. „ნინო კობერიძე ცუდად მოექცა. უყურადღებობას იჩენდა მამუკას მიმართ. „დონ კიხოტის“ გადაღების დროს სამი წლის განმავლობაში ერთხელაც არ ჩაუკითხავს ქმრისთვის ახალციხეში. ალბათ, მათი გაყრის მიზეზი ესეც გახდა. ხათუნა მოსკოვში არ წაჰყვა მამუკას. ბავშვი პატარა ჰყავდა.“ მერე შეირთო ტანია სმირნოვა, რომელიც ცდილობდა, ქმარს უბედურებისგან თავის დაღწევაში დახმარებოდა. ერთ დილით კი სასტუმრო ოთახში გასულს ტელევიზორი აშიშინებული დახვდა, მამუკა სავარძელში იჯდა და გულისცემა თითქმის არ ისმოდა. ერთი კვირა ამაოდ ელოდნენ მამუკას კომიდან გამოსვლას...

„სცენაზე გული მიმდიოდა“

„შვილები რომ დავკარგე, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც რუსთაველის თეატრი სულ გასტროლებზე დადიოდა... ხუთჯერ ვიყავით გერმანიაში. იაპონიის გარდა, ყველგან ვიყავით. ლაშას გარდაცვალებიდან თვეც არ იყო გასული, რომ მითხრეს, ლეილა, გასტროლებზე მიდიხარო! როდის? ვიკითხე, ჩავალაგე და წავედი... ასე იყო მამუკას გარდაცვალების შემდეგაც. ორ კვირაში ისრაელში წავედით. „კავკასიურ ცარცის წრეს“ ვთამაშობდით. მახსოვს, სცენაზე გული მიმდიოდა, ვიგრძენი, რომ ვეცემოდი, თავბრუ დამეხვა, ყველაფერი გაშავდა, მაგრამ ძალღონე მოვიკრიფე, რომ სცენაზე არ დავცემულიყავი. არ დავეცი. ეს არის ჩვენი პროფესია. მედეა ჩახავას დედა რომ გარდაეცვალა, გეგმა რომ არ ჩავარდნილიყო, მიდიოდა და თამაშობდა სპექტაკლს“.

გახმოვანება

ლეილა ძიგრაშვილი კინოგახმოვანებაზე 1949 წლიდან მოყოლებული მუშაობს. უამრავი ცნობილი ქართული ფილმი აქვს გახმოვანებული. ჩემთვის აღმოჩენა იყო ის, რომ „გარიგების“ ორივე ნაწილში ნანული სარაჯიშვილს ლეილა ძიგრაშვილი ახმოვანებს.

„გამუდმებით ვახმოვანებდი ქართული ფილმი იქნებოდა, რუსული თუ უცხოური. კინოსტუდიიდან ერთი კვირა არ მქონია თავისუფალი. შვილებს სიონში რომ ნავიყვანდი დასასვენებლად, ფოსტის ერთადერთ ტელეფონზე მირეკავდნენ - „კინოსტუდიიდანა რეკამენო“ - მეძახდნენ. „გეროინია ზაკულისამი“ შემარქვეს. ფილმში „წარსული ზაფხული“ მედეა ჯაფარიძე გავახმოვანე. თავიდან უარზე ვიყავი, რატომ ვანყენინო მედიკოს-მეთქი. სხვა საშველი არ არის, მოდიო, მითხრეს. მედიკომ დუდღუნი იცოდა... მერე, ფილმი რომ გამოვიდა, ყველამ თქვა, მედეა რა კარგად ახმოვანებსო. იოლი არ არის, სასწრაფე უნდა. თავიანთი გმირის გახმოვანება უჭირთ მსახიობებს. მე მალე ავუღე ალღო. ორგანული უნდა იყო. არიადნა შენგელაიას მე ვახმოვანებდი. აქ უკვე ხასიათი იყო მოსაძებნი. ელდარი ამბობდა, „შემოქმედებაა, აბა რა არის? ვეძებთ ხასიათსო“. ამას წინათ ვუყურებდი „პირველ მერცხალს“. გულჩინა დადიანს ვახმოვანებდი. გავოცდი, ამდენი მეგრული სიტყვა საიდან ვიცოდი-მეთქი. ფილმში ვიწყევლები მეგრულად. ამ დროს, არც ერთი სიტყვა არ ვიცი მეგრულად. შეშლილ ფატიმას რომ ვახმოვანებდი ფილმში „ფატიმა“, სივრცე იყო საჭირო და ქუჩაში დავდიოდი და ერთი ღამე წიოკობაში გავატარე. „დათა თუთაშხიაში“ მუშნის დედა გავახმოვანე. მე მომწონს ეს გახმოვანება. „დიმიტრი თავდადებულში“ ლიანა ასათიანი გავახმოვანე. დატირება რომ მორჩა, გახმოვანების მერე მთელი სხეული მიკანკალებდა. ეს დაჯერების მომენტია. ეს თუ არ გაქვს, წინაღმდეგ შემთხვევაში ნამუშევარი ყალბია“.

„სახლი ძველ უბანში“

ლეილა ძიგრაშვილი სერიალში „სახლი ძველ უბანში“ თამილას როლს ასრულებდა. მძაფრად მახსოვს, მისი და გურამ საღარაძის საოცრად მეშინოდა.

„თავიდან არ მიფიქრია, რომ ცუდს ვაკეთებდით, ბოლოს რომ ჩავუღრმავდი, მივხვდი, მაგრამ რაღა უნდა გვექნა. ავთო ვარსიმაშვილი კუპონებს შეგვპირდა. ოთხი სერიის მერე კავკასიის ბანკი გაკოტრდა და ბოლომდე კეთილსინდისიერად უფასოდ ვითამაშეთ. ნინო გაჩეჩილაძემ თანხის გამო რომ თავი დაანება სერიალში თამაშს, მინდოდა გამოხმაურება. ჩვენ უფულოდ ვიმუშავეთ, აზრად არ მოგვსვლია საქმის მიტოვება. ეს ხომ უხერხულია“.

წიგნი მამუკაზე

„მინდა მამუკაზე წიგნი გაკეთდეს. უამრავი მასალა მაქვს. ბევრი მნიშნელოვანი პრიზი აქვს მიღებული. სტუდენტობის დროსაც მიიღო პრიზი დიტო ცინცაძის „კვაზიმოდოში“. კომისიის თავმჯდომარე ნიკიტა მიხალკოვი იყო. 90-ან წლების დასაწყიში „არამზადასთვის“ ჩაპლინის პრიზი აიღო, მაშინ როცა პიერ რიშარი და ჟერარ დეპარდიე იყვნენ ნომინირებული ამ პრიზზე. ჩემმა შვილიშვილმა სალომემ მთხოვა, ბიძაჩემზე მე გავაკეთებ წიგნსო. კინომცოდნეა, თან ჟურნალისტი. ელდარ რიაზანოვთან დავრეკე. გია დანელიაც გაიხსენებს... და, რა თქმა უნდა, აქაური აუმრავი ადამიანი. გოგა პიპინაშვილი და ზურა ყიფშიძე მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ. ზურაზე ამბობდა, აი, ვინ არის ნამდვილი ვარსკვლავიო. მოსკოვში „ერტეერზე“ კინოსცენარისტ ალექსანდრე მინდაძეს ოთახი გამოუყვეს და მამუკაზე 26 სერიიანი გადაცემისთვის სცენარს წერდა. გადაცემას უნდა რქმეოდა „სტუმრად მამუკასთან“ და კვირაში ერთხელ უნდა გასულიყო. მაგრამ დაფინანსებამ დააგვიანა, გაჩერდნენ, მერე მამუკა დაიღუპა“...

„სანჩოს ცრემლები“

2004 წლის გაზეთ „საბესედნიკში“ სერგეი პუსტავოიტოვმა მამუკას ხსოვნას სტატია მიუძღვნა. სტატია ასე იყო დასათაურებული - „სანჩოს ცრემლები“.

ია ნინიძე: მამუკას შეეძლო მგრძნობიარედ და შთამბეჭდავად გარდასახულიყო ბავშვიდან მოხუცის როლში. ის არ იყო ეკრანისთვის ლამაზი, მაგრამ არავის შეეძლო მის ტემპერამენტს შედარებოდა.

რეზო ჩხეიძე: სანჩოს როლისთვის ვერავის ვპოულობდი. უცებ გამახსენდა 8 წლის წინ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტების მონაწილეობით ნათაშები სპექტაკლი „კვაზიმოდო.“ ამ სპექტაკლში მაშინვე დამამახსოვრდა ჩასხმული ბიჭი, რომლის სახელი და გვარი არ ვიცოდი. დავიწყე მისი ძებნა. ვიპოვე, მაგრამ 26 წლის მამუკა სანჩოს როლისთვის ახალგაზრდა იყო. მივაწებეთ წვერები და ასაკი უცებ მოემატა. მაშინ დავფიქრიდ: რა მნიშვნელობა აქვს სანჩოს ასაკს. მისი მეტრიკა ვინ ნახა? არ შევმცდარვარ. როცა ეს ფილმი მისი გარდაცვალების შემდეგ ვნახე, მისმა თამაშმა ცრემლები მომგვარა. რამდენი გამარჯვება ელოდა წინ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N36 (234) ორშაბათი, 9 სექტემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

გიორგი ვარდოსანიძის ექსკლუზიური აღიარება „ჰრაიმტაიმს“

„მე და სალომე ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით. ბოლო თვე-ნახევარია მეგობრობა სხვა რამეში გადაგვეზარდა. მეც კარგად ვარ, სალომეც კარგადაა. ვისაც გაუხარდება, გაუხარდეს, ვისაც არა და ნუ გაუხარდება“

EXCLUSIVE

მამუკა გიორგაძე - ჯონ ტრავოლტას ნვეულებიდან გაპიარებული მხატვარი

EXCLUSIVE



„ნიჭიერის“ ჟიურის ოთხეული ცნობილია!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება